ISSN 0132-0025

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

2

1985

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ დაიდარდო, დედაო...

1943 წლის ნოემბერში ტამანის ნახევარ-
კუნძულზე ვინახულე უცნობი ქართველი
მეომრის საფლავი, ლევანი რქმევია.

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.

მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...

მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ იტყვით,
დამალეთ ჩემი სამარი,
თუ მტერმა გკითხოს, უთხარით,
კრემლშია, სტალინთან არი!

და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,
იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-პაპანი!

ცხრა ძმათ, მეათედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

გიორგი ლეონიძე

1944.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სვეტი

331
გამოცემის ოცდაშვიდეკეტლი წელი

2

თებერვალი
1985
თბილისი
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გურამ გეგეშიძე
გივი გეგეჭკორი
გიორგი გუგლია
თეიმურაზ დოიაშვილი
მერაბ ელიოზიშვილი
მედეა კახიძე
ჯემალ მარგველიძე
შოთა ნიშნიანიძე
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
სოსო ცინცაძე
გოგი წერეთელი
ტარიელ ჭანტურია
ბადრი ჭოხონელიძე
მაკა ჯოხაძე

შინაარსი

ოქგადახდილი პოეტები

3. აკაკი გეწაძე — ლექსები

პოეზია და პროზა

5. მორის ფოცხიშვილი — ლექსები
10. ოტია იოსელიანი — ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ. რომანი. გაგრძელება
30. ანზორ აბულაშვილი — ლექსები
33. გელა შალვაშვილი — ლექსები
36. გურამ გეგეშიძე — ჟამი. ისტორიული მოთხრობა
73. გულიკო დვალი — ლექსები
74. ემენ დავითაძე — ლექსები
75. ზაურ კალანდია — ზვარაკი. რომანი. დასასრული
105. ლია ჭავჭავაძე — ლექსები
107. სოსო ბერიძე — ლექსები
108. მიკა ალექსიძე — ოტლე. მოთხრობა

დიადი გამარჯვების 40 წელი

131. გალაკტიონ კაიჭაძე — ქართველები განმათავისუფლებელ ბრძოლებში

წერილები

135. გივი ჩხიკვიშვილი — უკომპრომისო მემოქმედი
141. ზაურ მოლაშხია — „მე წამალს ვეძებ"...
144. გიორგი ნოდია — ფილოსოფია. ენა და ფილოსოფიის ენა
154. პარმენ ზაქარაია — ქართული ციხე-სიმაგრეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

მეომრული ძახილი

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!
ნიკოლოზ გარათაშვილი.

ეჰეი, მოვდივარ ტკბილ-მწარე შარაზე,
ღრუბლების მარბეველ მეომარ მზის დარად.
ცოტა რამ მახარებს, ბევრი რამ მაბრაზებს
და ვარბევ, სულ ვარბევ ყორნისფერ ჭირ-ვარამს.

სულ ვებრძვი ჩემ სულში ღრუბლების ღრეობას
მარადის დაუხრელ უხილავ მახვილით.
არ ვკარგავ, არ ვკარგავ არასდროს მხნეობას
და სხვებსაც ვამხნევებ მეომრულ ძახილით:

— შენს გზა-კვალს, სიცოცხლეს სულ შუქი ამკობდეს,
ჭირ-ვარამს ალხენდე, იმედით მოსავდე!..
და ვიდრე ცოცხალ ხარ,
არ მოკვდე,
არ მოკვდე,
არ მოკვდე,
არ მოკვდე სიკვდილის მოსვლამდე!

ჯვარცმული სოფელი

სახლებს ეპოტინებიან შამბნარები მაღლები,
შამბნარებში ღრეობა გაუმართავთ ავსულებს.
ჯვარედინად კარ-ფანჯრებ აფიცრული სახლები
ჰგვანან უღვთო წამებით გაშეშებულ ჯვარცმულებს.

დგას სახლები...
სახლებში დუმილია მკაცრი.
დგას სახლები...
ჭაჭანება არსადაა კაცის.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. ხალ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარჩენილა სოფელი უკაცოდ და უღმერთოდ.
ისმის მიწის გოდება:
— ვკვდები, მშველელს უხმეთო.

მაგრამ მიწის გოდება აქ არ ესმის არავის,
თითქოს სასაფლაოა, დიდი, გულშემზარავი.

დგას სახლები ჯვარცმული, სავსე უხმო გოდებით,
ხავსიანი ლოდინის გულზე აწევთ ლოდები.

— ესე ავი დღეები გვიჭამს გულს და იმედსო.
ნეტავ წუთისოფელი რისთვის გვაცოდვილებსო...

მიწას დაჰპატრონებიან შამბნარები მაღლები,
შამბნარებში ღრეობა გაუმართავთ ავსულებს.
ჯვარედინად კარ-ფანჯრებ აჭედილი სახლები
ჰგვანან უღვთო წამებით გახევებულ ჯვარცმულებს.

აქ მოსვლა ბოლოს ყველას მოგველის

ზოგი ფიქრია — თითქოს მტვერია,
ზოგი ფიქრი კი — ფერია ფითრის,
სულ სხვა ფერია, სულ სხვა ფერია
სასაფლაოზე მოსული ფიქრი.
ქვეყნად რა ბევრიც უნდა ვიაროთ,
გზებზე გავჭიმოთ წუთისოფელი,
ბოლოს გავუხსნით მიწას იარას,
აქ მოსვლა ბოლოს ყველას მოგველის.

მაგრამ ბოლომდე უნდა ვიწვოდეთ,
რათა არ ვიქცეთ მხოლოდ დარდებად:
სასაფლაოზე კაცთა სიცოცხლე,
ჩვენი სიცოცხლე არა თავდება.

მეც რომ მეწვევა კუპრის ღრუბელი,
მეც რომ მეწვევა ავი ამინდი,
სიკვდილს შევხვდები წარბშეუხრელი,
როგორც შეხვდება რაინდს რაინდი.

ზოგი ფიქრია — თითქოს მტვერია
და ზოგი ფიქრიც ფერია ფითრის...
სულ სხვა ფერია, სულ სხვა ფერია
სასაფლაოზე მოსული ფიქრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორის ფოცხიშვილი

მუდარა

დრო მე არ მინდობს და
არც არვინ მზოგავს,
ქარქაშში ჩაგებულ ქარიშხლად
ვშიშინებ, —
ყოველდღიურობით მატყვევებს პროზა,
მიშველე, პოეზიავ, მიშველე!

წვიმას ვუჯავრდები.
დავკარგე გონი.
მიწას გავურბივარ,
ქვის ქალაქს ვიშენებ, —
ვაი, სიძულვილმა მომნუსხა მგონი,
მიშველე, სიყვარულო, მიშველე!

ბავშვის პერანგივით წმინდაა სევდა,
ფიქრია ბარტყივით თბილი და
შიშველი, —
შენ აქ ხარ,
რა მოხდა, მე თუ ვერ გხედავ,
მიშველე, გაზაფხულო, მიშველე!

პრიმიტივი

არც რა რეკლამა, არც რა აფიშა,
არც ვინ, როკვით რომ
იღებს ბარიერს, —
ის, მართალია, თვითონ გაგიჟდა,
მაგრამ ის მაინც თქვენ გადარიეთ.

არც რა „ბაროკო", არც რა „გოთიკა",
არც ვინ, ხელთოკით დასაბორკავი, —
მან ერთ საღამოს
თავი მოიკლა,
თავი მოიკლა, როცა მოჰკალით.

არც რა გვემა და არც რა სისხლისღვრა,
არც ვის მოსვლია, მჯერა, ფიქრადაც,
რომ თქვენი ცოდვა
თვითონ იკისრა,
თქვენგან მოკლული თავს რომ
იკლავდა.

სუფრა

მზის თასი და
მთვარის თეფში, —
შუქი დანა-ჩანგლად ხელში.

ცრუ საწუთროს
მაცდურ სუფრას
გზააბნეულ სტუმრად შევრჩი.

მე მგონია,
ფხიზელი ვარ,
მთვრალი თუ ვარ, ვის რას ვერჩი?!

არ მესმევა?
მაინც დავლევ, —
უნდა მოვკვდე შენი ეშხით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასასთუმლო

ჟამი ჩემი კრულია და
ზარი ჩამოკრულია, —
მზის ჩასვლამდე თუ მივატან,
არ ვინაღვლებ სრულიად.

ჩუმად დავემშვიდობები
უფულოს და ფულიანს,
ვიტყვი, ჩემი მინდორ-ველი
ჩემი გადახნულია.

სამკურნალოდ რა დამაწვენს,
ჩემს ბედს მხრებით ვეწევი, —
ალბათ უნდა ჩავქრე ამ წელს,
რახან მომწონს ეს წელი.

უფსკრულზე ვარ გაკიდული,
თავის დახსნა რთულია,
ჩემი დასამარხი ფული
თითქმის გაფლანგულია.

გულზე დასაყრელი მიწა
უკვე გაყიდულია, —
გიცავდი და ვეღარ გიცავ,
ვატყობ, აღარც გულია...

კიდევ ერთხელ გემთხვევი და
მერე დასასრულია.

ცელი

სიცილი — იგივე ქვითინი,
სიმღერა — იგივე კვნესა,
სიცოცხლე — იგივე სიკვდილი
და ისევ სიცოცხლე ლექსად.

სიმართლე — იგივე სიცრუე,
შენება — იგივე ნგრევა, —
მე რომ სიგიჟემდე მივცურე,
შენ რომ ხარ ყველგან და მე ვარ...

აღმართი — იგივე დაღმართი,
დღეები ისე ვით წლები;
რაც მიძღვენ უმალ რომ წამართვი,
ახლა რომ მიბრუნებ შვებით.

წუთებს რომ თითებზე მითვლიდი,
ცელს, სულ რომ ჩემს სიმზე ლესავ, —
სიცილი — იგივე ქვითინი,
სიმღერა — იგივე კვნესა.

●

რატომ დამსაჯე
სმენის ნიჭით,
რად გამაგონე
ყვავილების
კვნესა-გოდება.

●

არ კვდება ის, ვინც
აღარაფერს აღარ იხსენებს,
ო, მაგრამ
ვაი, მსგავს უკვდავებას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

გაქებ, ისევე,
        როგორც გაქებდი.
აქ ანთებული
        იქ თუ ჩავქრები,
მხოლოდ იმიტომ
        კვლავ რომ ავენთო, —
ვერა, ჩვენ ვერ ვძლებთ
        უერთმანეთოდ.

ლულლული, ანუ ლექსი ნარკოზის ქვეშ

„დედ... დედიკო... თავი მტკივა...
სიმს ვინ მიქცევს სხივად...
დედა მეამბორება და...
        თავიც აღარ მტკივა...

დედ... დედიკო... გული მტკივა...
ვიღაც მიმზერს ცივად...
დედა მომეფერება და...
        გული აღარ მტკივა...

წლები... წლები მორებივით
შეკრული მაქვს ტივად...
დედ... დედიკო... ახლა რა ვქნა,
        საქართველო მტკივა...“

შეჩერება

რაც არ ყოფილა, იყო, რაც იყო,
იქცა არარად, იქცა აბსურდად, —
ვთქვი, ყველაფერი უკვე დასრულდა,
და ყველაფერი მაშინ დაიწყო.

ლხინმა იძალა, სევდამ შემიპყრო,
ვთქვი რომ გაძლება უკვე ძნელია, —
ვთქვი, ყველაფერი სისულელეა,
და სისულელე სწორედ ეს იყო.

მეგონა, ჩემი ცოდვით შეგშლიდი,
შენ კი შენს კერპად მიხმე მაშინვე,
ვთქვი, აწ ვერავინ ვერ შემაშინებს,
ვთქვი და რატომღაც მაშინ შევშინდი.

დღე გულუბრყვილო, ჟამი ჩერჩეტი,
უაზრო როკვა და აღტაცება, —
ვთქვი, საჭიროა ახლა გაქცევა,
ვთქვი და ო, სწორედ მაშინ შევჩერდი.

საქმე

დაღლილი დედა ხავსივით იწვა,
იყო მწუხრი და...
        ხსენებაც მიმძიმს...
დასაბარია ოხერი მიწა,
დასათესია კამა და ქინძი.

აღძრავს აღმართი დაღმართის აზრებს,
ცა მინდორივით ეთმობა კირჩხიბს...
მოსათიბია ბალახი მთაზე,
მოსატანია ჭალიდან ფიჩხი.

რაც იყო, იყო, რაც არის არის,
ვდიდგულობ, ცისფერ პერანგებს
        ვიცვლი...
შესაბმელია უღელში ხარი,
გასახედნია ველური კვიცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდრებს გაუმარჯოს, ისე ვით ცოცხლებს

მკვდრებს გაუმარჯოს ისე, ვით ცოცხლებს,
სხივს გაუმარჯოს შუქივით მარადს, —
მე თქვენ ყვირილის უფლებას მოგცემთ,
მაგრამ კანკალის უფლებას — არა!

ფრთებს გაუმარჯოს ვით გაშლილ ანძებს,
დროს, თეთრ საფეთქლებს
თოვლით რომ გივსებთ, —
მე თქვენ სიგიჟის უფლებას გაძლევთ,
მაგრამ სიბრიყვეს გიკრძალავთ ისევ!

ცრემლს გაუმარჯოს ვით გამდნარ ლითონს,
მიწას, რომელზეც კვლავ ერთად ვივლით, —
მე თქვენ სიცოცხლის გზატკეცილს გითმობთ,
ჩემთვის ვიტოვებ სიკვდილის ბილიკს...

წლებს გაუმარჯოს ისე ვით ლოცვებს,
მზეს, სულ რომ გვწვავს და
სიშორით გვზარავს, —
მე თქვენ სიკვდილის უფლებას მოგცემთ,
მაგრამ ლაჩრობის უფლებას — არა!

უუფლებოთა უფლებისათვის

ჯერჯერობით უუფლებო ქალ-ვაჟებო,
თქვენს უფლებებს
სჯულმდებელის
ერთგულებით ვუვლი, —
უუფლებო სიყვარული არ არსებობს,
სიყვარული თავისთავად უფლებაა სრული!

ცივი გული ცხელი სისხლით გამითბია,
ხელს და მიჯნურს ცხრა უფსკრულზეც
გამივლია რწმენით, —
უიმედო სიყვარული რას მიქვია,
სიყვარული თავისთავად იმედია ჩვენი!

ხნულში თესლი ითესება იაგუნდად,
ხავსოვანი ხილვები აქვთ
უსიცოცხლო ლოდებს, —
უსიცოცხლო სიყვარული ვის რად უნდა,
სიყვარული თავისთავად სიცოცხლეა ოდეს.

მამღერეთ და არც არასდროს დამასვენოთ,
პოეტები მხოლოდ თქვენთვის
ვაბუბუნებთ ბუკებს, —
უკანონო სიყვარული არ არსებობს,
სიყვარული თავისთავად კანონია უკვე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყოს, ოღონდ იყოს

რაა იქეთ, ცრემლის წვეთი,
თუ ზუზუნი ზართა, —
იყოს თუნდაც ჯოჯოხეთი,
ოღონდ იყოს მართლაც!

ცა ზმუილით ვინ აზომა,
თავს მზის ჩხებში ვინ ყოფს, —
იყოს თუნდაც უაზრობა,
იყოს, ოღონდ იყოს!

დრო უდროოდ არ მიშვებდა,
გზა მიგრეხდა კისერს, —
იყოს თუნდაც გაგიჟება,
ოღონდ იყოს ისევ!

ქართველი უცხოელი

აღარაფერი ეტყობოდა ქართველობისა,
არც არაფერი არ გააჩნდა
წმინდა ქართული,
გარდა ფრაზისა —
„მე ქართველი ვარ!“

ოღონდ ამ სიტყვებს
ისე ამაყად
წარმოსთქვამდა,
ნამდვილად ვიგრძენ
მაინც იყო
მასში რაღაც
მართლა ქართული!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

ქალი გამოვიდა ქმრის საღალატოდ

რომანი

„სიცოცხლე მაინც სიცოცხლეა, იგი ერთხელ ეძლევა ადამიანს, სიკვდილი კი ხელში გიჭირავს და არსად წაგივა, იცი. ამიტომაა თვითმკვლელობა ასე იშვიათი, თორემ ვინმეს რომ ეგონოს, ადამიანის წამება დაუსრულებელიაო, ამდენ სატანჯველს ვინ გაუძლებდა. იციან, დღეს-ხვალ ყველაფერს ბოლო მოეღება და არარაობაში სასუფეველს დაიმკვიდრებენ.

შეყვარებული ქალი და კაცი რომ ჭკუას კარგავენ, თხოვა-გათხოვების შემდეგ ხშირად ერთმანეთი გულზე აღარ ეხატებათ და ნოესთანა ქმრებთან ნეტავი რა აძლებინებთ. აი როგორი იყო თქვენი შეუღლება, ის პირველი ღამე, თუ ერთ ლოგინში არა, ერთ სახლში ხომ გაათიეთ?..“

„ღმერთმა დასწყევლოს ის დღეცა და ის ღამეც...“

„ასე ჩვენ ჭეშმარიტებასთან ვერ მივალთ“.

„ჭეშმარიტება ერთია, არაფერი ყოფილა, ან ყველაფერი შავი და ბნელი იყო და დღეს ეს ლუსკუმიც ჩამოინგრა...“

„მაგრამ ეს ქორწილის ღამესვე იყო, მეორე თუ მესამე... ხინიკაძეებს ლოდინი შეუძლიათ, სიჩქარით საქმეს არ წაახდენენ. პირველი ღამე იყო...“

„გაიტანა თავისი ნოე ხინიკაძემ, აბა რისი მურთხი იყო...“

„დაგეუფლა და... აქ არაფერია არაადამიანური, ჩვენ ცოლ-ქმრის საბანქვეშ კი არ მივძვრებით. პირველი ღამე ზოგჯერ მთელ ცხოვრებას ნიშნავს. ასეთი კაცის გამარჯვება საშიშიცაა, მონა თუ გაგიბატონდა!..“

„მბრძანებლად ვერ დაჯდა, მაგრამ ლოგინიდან ერთგვარი მეპატრონის... პატარა მფლობელის, დამპყრობლის გული აიყოლა — თავისი უფლებების ცნობას რომ გავალებს“.

„ხინიკაძეების სარეცელს თუ გაიყოფდი, ეს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ საქმოსან მურთხებს პატიოსან საზოგადოებაში არასახარბიელო რეპუტაცია ღრღნის და გარეთ დაკარგულ თავიანთ „წილს“ ოჯახში უფრო გულმოდგინედ ეძებენ“.

„აუცილებელზე მეტი ვერ დავანებე და გაუმეტებელი გავიმეტე...“

„ნოე შეჩქვიფდა და დაიბნა, თუ თავისი ჯიუტად მოითხოვა?“

„ამისთანები, ვინც გარეთ დათმო, მათი შემგუებლური ბუნებია გამო ბოლოს შინაც დათმობს. ესენი ყველაფრისთვის მზად არიან, მაგრამ მე ვერ გავიმეტე. ისედაც რა იყო და ჩვრად ქცეული რაღა დარჩებოდა“.

„თუ ზედ ფეხით შედგებოდი, მერე პირზე როგორ მოისვამდი. ისედაც უფორმო, თონთხლო მასა — გაწყალდებოდა. ისევ შენ უნდა მიგეცა რაღაცნაირი სახე, რომ გული მიგსვლოდა, მაგრამ თუ გაუმეტებელსაც გაიმეტებდი და მისცემდი — ყველაფერს დაკარგავდი. თვითონ ის არაფრის მქონებელი ფსკერგავარდნილი კასრივით ვერაფერს მოიკავებდა. დამპყრობელი მონღოლივით ხარკს თავის სახლში ვერ წაიღებდა, რაკი არ გააჩნდა. რაკი შენ ღირსებებს კისერზე აჯდა და რასაც გა-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომევდა, იმით ცხოვრობდა. ერთ დღეს თუ ყველაფერს მისცემდი, ყველაფერს ჩანთქავდა. ისე უნდა გეძლია, არც შენ დამათხოვრებულიყავი, მისაცემი გქონოდა“.

„დამპყრობლის ის პატარა „ღირსება“ რომ გაჩნდა, თუ გინდოდა შერჩენოდა, რაღაცა დაპყრობილისა და მორჩილის შენც უნდა გაგეღო. თვითონვე უნდა გაგებატონებინა, თუ მონა გულს გრევდა. უნდა დაგეკარგა ბევრი, რომ პატარა რაღაც გღირსებოდა. ცოლების დიდი ნაწილი ასე იღუპავს თავს. თუ ქმრებს არაფრის წართმევა არ შეუძლიათ, თვითონ ნებაყოფლობით არაფერს თმობენ და კი ხდებიან ხელისუფალნი, მაგრამ საუფლოც აღარაფერი აქვთ. ყურებდაჭრილ ფინიას როცა მოუხმობ, კი შემოგახტება გულზე, გლოკავს, გლოშნის, მაგრამ აღარც ღრენა იცის და აღარც კბენა. ასეთის პატრონი ქალი რაიმე მამაკაცურ ნებას კი აღარ მორჩილებს და ნებდება, თავისივე ნებისა და ვნების ტყვეა...“

●

ხინიკაძეს, რასაც ნუცა მისცემდა, იმის პატრონი იქნებოდა და არაფრის მქონებელს, სულისაგან განძარცულს, წილი ვითომ თავის სალაროში დაუდო. ოქროსა და ბრილიანტების პატრონი, ალბათ, არც თვითონ იყო, თორემ „დათვი საძაღლედ არ გახდებოდა“. ვერცხლი ჰქონდა თუ სპილენძი, ჩაიზიარა და ტოლფერობის თამაში ამჯობინა, უღირსისაგან ღირსეულის ჯიჯგნას, მონის თავზე დასმას, აზატის მოყვრობა არჩია...

და ახლაც, ალბათ, ამან დაღუპა, რაკი აზატმა უფლებები მოითხოვა, „მიწა-წყალი“ მოინდომა და ცხენს თავის მინდორში აბალახებს.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის მიზეზი თვითონაა... ახლა, ამ ვიღაცის ცხენს თავისი ყურებპანტურა სახედარი ერჩია, მაგრამ ცხოვრება დოღია და ყაბახში ვირითა და ჯორით რას გახდები, სასაცილოდ არ ეყოფი მოსეირეებს.

რა უნდა ჰქნას ადამიანმა, საით უნდა გაიქცეს, რომ არ წაიქცეს...

●

„ვინაა ეს ოჯახქორი, ამ ძელსკამის თავში რომ დაშვავდა და შეანჯღრია. თუმცა ისედაც მონჯღრეული და მოღანჭალებული ყოფილა...“

„რას მოგჩერებია?..“

„ვითომ ესაა, ვინც „რაიმეს“ ინდომებს... აქვე ცხოვრობს?.. მარტოხელაა, თუ ცოლი გაიგულა და „სანადიროდ“ აღდგა“.

„იქნებ მზერა გააპარო?“

„აბა, თუ არ შეხედე და შემოგხედა, თუ თვალში არ მოუხვედი... შენა ხარ, რომ თვალდახუჭული აპირებ გარყვნასა და გათახსირებას, თორემ ის კაცი, ვისკენაც გული არ გაუწევს და ვერაფერს ისიამოვნებს, შენ რომ ჯავრი ამოგაყრევინოს, ამისთვის თავს რატომ შეიწუხებს. ქალს შეუძლია თვალახვეული დანებდეს, ან ძალადობით, მისი სურვილის წინააღმდეგ დაიმორჩილონ, თორემ მამაკაცს ლოგინშიც რომ შეუვარდე, თუ ხელი არ გაანძრია, რას გამორჩები“.

„დასწყევლოს ღმერთმა ქალის გაჩენა!“

„შეხედე, როგორმე გაბედე, შეავლე თვალი...“

„ქუჩაში რამდენი კაცი შეგხვედრია და თვალს შეგავლებს, როგორ გინდა ასე ურცხვად უჭვრიტინო?..“

„მაგრამ თუ თვალები დაითხარე და ზურგი შეაქციე, ტყე და უკაცრიელი რომ იყოს, კიდევ, ვინ იცის და, სადაც ხალხი მიდი-მოდის, სადაც, ეგერ, ძელსკამზე მოხუცი ზის და ბავშვია... ბიჭუნას ვიღაცა გოგუცანაც გამოსჩენია და ხის ტანს მოხვეულნი, ხელებს ერთმანეთს უწვდიან...

ადრეა, თორემ საღამოს ამ პატარა ბაღში, ალბათ, ხალხი მომრავლდება...“

„არა, ასეთ ადგილზე, ალბათ, „ასეთი“ რამ არ ხდება. არც ამ კაცს ეტყობა მაინცდამაინც დიდი დონჟუანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო დაღლილივით დაჯდა, ვინემ ქალის ეშხით მუხლმოკვეთილი“.

„სანამ აქეთ იყურება, მანამდე თუ არ გახედე...“

„კი მაგრამ, ასე თხასავით რაფერ შევაბეცდე...“

„ზურგს მაინც ნუ შეაქცევ, გიყურეს, იქნებ თვალშიც არ მოუხვიდე, ტყუილად რომ სინდის-ნამუსზე ხელი აიღო, შემოგაფურთხოს და თავის გზას დაადგეს...“

რაღაცა ხელშიც სჭერია, ეტყობა, ხსნის და ახვევს... მგონი შენი დარდი არცა აქვს...“

„რამხელა ყურები ჰქონია... არც თვითონაა ტანმორჩილი...“

„არ გიყვარს ეს ბეხლეწი, უხეში მამაკაცები, მარტორქასავით ჯიქურებია და მხოლოდ პირდაპირ ხედავენ, თუ მსუქნებიც არიან, თავის მობრუნებაც უჭირთ... ასე მგონია, ქალის დაჭერა რომ მოინდომონ და გვერდზე გაუხტეს, ხელს ვერ წაავლებენ. რაც მკლავებში და პირში უვარდებათ, იმას ანაცოხრებენ“.

„ღმერთო სასწაულმოქმედო, არჩევანი მოინდომე?! რას სულელობ!..“

„არა, ისე... ყველა ქალს თავისი აზრი და შეხედულება აქვს, როგორც მამაკაცს...“

„ვისა აქვს აზრი... და შენ ახლა რა აზრი და შეხედულება გაგაჩნია?!.“

„საჭმელი აქვს იმ ქაღალდებში რაიმე შეხვეული, თუ...“

„რა შენი საქმეა... მაგრამ ხელახლა იმიტომ გიცქერის, მუსაიფს აპირებს, თუ იმ რაღაცის შეჭმა, ან შემოწმება უნდა?“

„აღარც ყმაწვილია, ორმოცზე მეტის იქნება...“

„ასაკით წუნობ, თუ პირიქით... ირჩევ და კახპობ? თუ შურს ძიობ მოღალატე ქმარზე!..“

„უთუოდ ადამიანის ბუნებაა არჩევანი: შენი ცუდი და კარგი...“

„რა აქსუტუნებს... ამოდენა მამაკაცის ქსუტუნი?.. ცხვირი მოიხოცა... რამ გააცივა ამ სიცხეში, ან ასე ხმამაღლა ქუჩაში ცხვირის მოხოცვა... ამას სულ არა აქვს შენი დარდი... არ ჩანს ისეთი ვინმე... ან აქ რომ მოდიოდა, ქალზე სულ არ უფიქრია. რაღაცა იშოვა ეტყობა და, საწყალს, რა ემამაძაღლება ქუჩაში ქალი დაითრიოს... ან ამ დროს ალბათ არავინაც არ ეძებს ქალებს...“

„თუმცა, ეს „დანიშნული“ დროც თუა, როდისაა?“

„ეტყობა ავტობუსში ჭყლეტის თავი არ ჰქონდა, ეს უბედური სადღაც ფეხით მიბრაცუნობდა, აგერ ჩამოსაჯდომი დაინახა, შემოუხვია და მისი გზით წავა“.

„მაგრამ შენ სანამდე აპირებ აქ ჯდომას? არ სჯობს შენს გზას ეწიო და ეძებო?“

●

„რა დაკარგე და რას ეძებ? ან, ვინც ყველაფერს კარგავს, რაღაის პოვნის იმედი აქვს?..“

„ოჰ, ნოე ხინიკაძე, რით ამოვიყარო შენი ჯავრი... ამ ქუჩიდან ქუჩაში წანწალით ვითომ შენ გამწარებ, თუ საკუთარ თავს ვაწამებ...“

„რა გინდოდა, რატომ ჩაიდგი ფეხი ჩემს ცოდვაში, რატომ გაუჩნდი და მუცელში არ გაუწყალდი შენს გაფუებულ დედას. მაინც წყალწყალა და უსახური გაგაჩინა“.

„მაგრამ ასეთი მშობლები რომ ხედავენ თავიანთი ნაშიერის უგვანობას, მათი ნაცოდვილარისთვის სულ იმას ცდილობენ, რაც მუცლიდან ვერ დააყოლეს...“

ნუცა რომ მის მემკვიდრეს ხელში ჩავარდნოდა, გულხელდაკრეფილი არც დედამისი მჯდარა. სტუდენტობის დროს, რომ სარძლოს არაფრით ფეხი არ მოუცდა, ოჯახში ვერ მიიტყუა, ნოემ ვითომ ნუცა და ნატა თეატრში დაპატიჟა. რად უნდოდა თეატრი ხინიკაძეს. მისთვის თეატრი და თავლა ერთია, მაგრამ გაეგონა, რომ ასეთი რამ არსებობს და დადის ხალხი.

„დედიკო“ მთლად მოულოდნელად

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აღმოჩნდა“ თეატრში. თურმე ისეთი ქალია, პრემიერას არ გააცდენს... არ ეტყობოდა, რისი არგამცდენი, რა განათლებისა და კულტურის პატრონი იყო? ჯერ, დედაკაცი რომ ასე გაფუვდება და გაზულუქდება, რა ღირსება და თავმოყვარეობა უნდა გააჩნდეს.

მაგრამ ნუცას შემნდობი და გულსაწყალი ხასიათი აქვს, დედამისისგან მოდგამს, მემკვიდრეობით.. რატომ არ ჩაჰყვა მიწაში, როცა იგი ამქვეყნიდან წავიდა. ხანდამწვარი, სანამ იყო, შვილს თუ გვერდში ვერ ამოუდგებოდა და ციხე-გალავნად ვერ ექცეოდა, გაუგებდა, ჭირის მოზიარედ გაუხდებოდა. ნათელდამდგარი, გულმიამიტი იყო, ცხოვრება როგორიც ჰქონდა, იმნაირს ხედავდა და იმნაირით გაჰქონდა თავი, ვერც ქალიშვილს ურჩია უკეთესი. ქმარსაც სულ იმას ეჩიჩინებოდა: „შენთვის დროსა და წუთისოფელს არავინ გამოცვლის, რაც სხვაა, ჩვენც ისა ვართო“. ეს „სხვა“ იყო ხინიკაძეც. „რაც სხვაა, ისიც ის იქნება, ახლა ჩემი შვილისთვის ქვეყანას ვინ გადააკეთებსო...“

წუთისოფლის გადაკეთებასა და გადატრიალებას არც კოსტა ალავიძე აპირებდა, მაგრამ შეგუება და დათმობა უჭირდა... ვერც ასეთ ცოლს უშაქრდებოდა, მხარს რომ ამნაირად უბამდა — აშოშმინებდა და ამუნათებდა. ჯერ იყო, ვაჟიშვილმა მოუყვანა ნაქმარევი ქალი და ყველაზე უწინ მაინც დედამ გაუგო და ცალკე ქმარს აყარა ქოქოლა და ცალკე ქალიშვილს.

მამამ: ოჯახში მე ვარ უფროსი, რაც არ მინდა, აქ მაინც არ მოხდებაო! — ვაჟი პატარძალს ხელიდან ვერ გამოგლიჯა, მაგრამ არც აქეთ მოაყვანინა. მოყვრებსაც ეს უნდოდათ. ვექილის, კარგად ხელმომთბარი ოჯახის შვილი იყო, ჩასასიძებელს ეძებდნენ. მამამისმა ამისთვის გააშორა პირველს, ერთადერთი მემკვიდრე თავის ფუძეზე რომ ვერ დაიგულა, ახალ სიძეს საკუთარ სახლში არ უშვებდნენ, ამაზე უფრო რით აამებდი და, სიმამრს უფრო ბახალასავით ჩაუვარდა ხელში, ბოლოს ჭკუაზე გაზარდა. ახლა, დედა რომ რა ხანია აღარაა და, ისედაც ცხოვრებაზე გულაღრენილ მამას ეს დამთმობი და ქვეყანასთან ხიდივით შემაერთებელ-შემრიგებელიც ხელიდან გამოეცალა, ვაჟიშვილს მშობელი მერეც არ გახსენებია, ნუცაც აქეთაა და ხმის გამცემი აღარავინ დარჩა და ისე გაამწარეს, აიძულეს, ქვრივს, წლის თავზე, მეორე ცოლი მოეყვანა. ქალიშვილმა კი ირტყა თავში ხელი, მაგრამ ბოლომდე ვერც მამა გაამტყუნა. — „მაგათ ჩემი სიკვდილი უნდათ და გგონია აქაურობას მერე მოხედავენ? ფულად აქცევენ და ფულს მიუმატებენ. შენი ძმის სიმამრი რა ადვოკატიც და სასწორ-სამართლის დამდგენია, მაგას შენ და შენი ძმა ვერ მასწავლითო“. ერთ ქალაქში დაბერდნენ და არ იცოდნენ, ვინ რისი მაქნისი იყო?

ღმერთმა დასწყევლოს, რა გასახსენებელია ის შავი და ბნელი წარსული, რომელსაც ვერაფრით შეცვლი და ისედაც დამწვარს დაგმდუღრავს...

ცოლქმრობა, ოჯახი, თუ ის მოჩვენებითი, ტყუილი არაა, ქალისა და კაცის უაღრესად რთული დამოკიდებულების, ურთიერთობის შედეგია. ვერც თავდადებული შრომა და ზრუნვა, ვერ საქმის ცოდნა და ერთმანეთის გაგება შველის ყოველთვის. ოჯახში უნდა მოხდეს ორი სხვადასხვა პიროვნების, თუ შერწყმა არა, შეგუება — ხასიათების ურთიერთშევსება, ჩანაცვლება, როგორც ორი ერთნაირი ძალისა და მიზნის მქონე ადამიანისაგან ერთი ზედმეტია, ასევე საპირისპირო, სულ სხვადასხვა მიმართულებით მავალნი ერთმანეთს ხმას ვერ მიაწვდენენ. სხვადასხვა ბუნებისაა რიყის ქვა და დუღაბი. ერთი მკვრივი, ძნელად დასამორჩილებელი მასალაა, რომელსაც თავისი ფორმა და სიმძიმე აქვს. კედელი თითქოს ქვით შენდება, მაგრამ რიყის ქვას რიყის ქვით ვერ ააშენებ, დუღაბი უნდა, რომ მათ შორის სიცარიელე ამოავსოს. სადაც ქვა ლარს არ უსწორდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ერთმანეთს არ ესადაგება, იქ ჩაისხას, მისი ნაკლი დაიფაროს და ღირსება გამოაჩინოს. აშენებული კედლის მაყურებელი, თავდაპირველად საამშენებლო ქვის ღირსებას ხედავს. მაგრამ ხურომ იცის, იგი ქვითკირია და არა ყორე. როგორც ერთნაირი ხასიათები (ორივე რიყე, ან ორივე დუღაბი) საამშენებლოდ ვერ გამოდგება, ასევე ერთნაირი ბუნება-ხასიათი ერთმანეთს ვერ იგუებს. არც ორი, ურთიერთარმგუებელი, სხვადასხვა მასალა ვარგა. თუ ცოლი პატიოსანი შრომითა და რუდუნებით აპირებს ოჯახის საძირკველის ჩაყრას, იმ საძირკველზე ნაპარავი და ნაძრახი ქვა არ დაშენდება. იმისი მასალა წყლის პირას, რიყეზე უნდა შეირჩეს საკუთარი ხელით და შენი გათლილი ურმითა და შენი გაზრდილი და გახედნილი ხარებით უნდა მოიზიდოს...

მამას ჰქონდა რიყის ქვის ბუნება (მამა მშენებელი კირით-ხურო იყო). დედა — თეთრი კირწყალისა და ლურჯი წმინდა სილის ნარევს ჰგავდა. რომელსაც, იქნებ თავისთავად არ ჰქონდა გამოკვეთილი სახე, მაგრამ მისი მგუებელი, დამყოლი ბუნება ავსებდა ქმრის სიმყიფე-გაუტეხელობას.

ახლა მამა რომ ქვეყანაზე ვეღარ დაეტევა, ის მეორე ცოლიც შინაბერა და მარტოობას ნაჩვევი, ასეთ აბუნტებულ კაცს ყოველთვის წითელ კვერცხს ვერ უგორებს. გავა მეორე ოთახში, მიიკეტავს კარს და საღამოს, სამსახურის მერე, ჯამით ლობიოს, მჭადს ან ღომს მაგიდაზე უბრად შემოუდგამს...

იმ ქალმაც რა ჰქნას... არაა უწესო ადამიანი, მაგრამ შენ რომ გიჭირდეს და ქვებს ისროდე, ის თავს რატომ მოგიშვერს. ამას კოსტაც ხედავს, სხვისთვის ნასროლი რიყე სხვას რომ მოახვედრა. ეს ემატება ამდენ დარდს, ბოღმად გულზე შემოაფრინდება და ლოგინზე რომ წააქცევს, ვაჟიშვილზე უიმედოს, ქალიშვილი ხარ და შენც, გიჭირს თუ გილხინს, უნდა უწამლო.

„ბრმა რასა ჩიოდა და ორივე თვალსაო“. მურთხები მხოლოდ თავის გაჭირვებას გრძნობენ და ხედავენ, როცა მოშივდებათ, თავისი იქნება, თუ სხვისი, ჭამენ და ლოგინი რომ გაუცივდებათ, თავისი ცოლი იქნება თუ სხვისი, კახპით იქნება თუ პატიოსნით — გაითბობენ“.

„აი, რატომ არ უნდა დაინდო ასეთი მუცელღმერთა და არ აპატიო, ვინც შენ ერთგულებას ზანდუკში ჩაკეტილი განძივით უყურებს, რომლის ერთადერთი გასაღები გულზე ჰკიდია და იმ გულზე სხვას ისე დაიწვენს, არ იფიქრებს ჩემს „ქონებას“ რაიმე დააკლდებაო. აი, იმ განძიდან უნდა გაძარცვო ეს გაუტანელი „ძუნწები“ და გააღატაკო, რომ გაიგონ, რა სიმდიდრის პატრონები იყვნენ და რა დაკარგეს“.

„მურთხს კი, თავისი უბედურება .ყოფნის და იქნებ ყველაფრის ღირსია, მაგრამ ერთი წუთი რომ წარმოვიდგინოთ, ისიც კაცია!.. მის წინაშე, ქალბატონო ნუცა, პირშავად ხომ არ აღმოჩნდებით?“

„ვისთან?!“

„ყველაფერს თავსაც ვერ უმხელს ადამიანი, თუ, ყველაზე პირუთვნელიც თავისთავისადმი მიკერძოებულია“.

„ღმერთმანი, არაფერი მესმის!“

„და მაინც... კაცს რომ აკადრებ უსიყვარულოდ გაჰყვე?“

„კაცი ამას არც მოინდომებს“.

„ჭეშმარიტებაა. მომაკვდინებელი შეურაცხყოფაა, ქალს ირთავდე და არ უყვარდე“.

„გითხარი, კაცი ამას არ მოინდომებს“.

„ნოემ მოინდომა“.

„მოინდომა კი არა, მიაღწია კიდეც...“

„მაგრამ უშენოდ ხომ ვერ მიაღწევდა? მართლა და მართლა, ის დრო ხომ არაა, დაავლო გზაში ქალს ხელი ლეკვივით, შეუკრა ხელ-ფეხი და... შენი თანხმობის გარეშე ეს მაინც არ მომხდარა“.

„ჩემი თანხმობის?..“

„ჰო, ხინიკაძემ, მართალია, ყველა ნებადართული და აკრძალული ხერხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხმარა. მაგრამ ისე რომ შენ ხელ-ფეხ-შეკრული, სახლიდან ხელზე თმებდახვეული, წივილ-კივილით გამოეტაცო, ეს არ უქნია".

„არა... თუმცა..."

„და ქალმა, რომელიც ასეთ „კაცს" უსიყვარულოდ გაჰყვა, შეურაცხყო? თუ სულ ერთია, ვისაც გაჰყვა".

„მურთხს ვერ შეურაცხყოფ".

„ვერც თავს?"

„თავი თუ მოძულებული გაქვს..."

„რატომ? იმიტომ, რომ მურთხს უყვარხარ?"

„მურთხებმა სიყვარული არ იციან".

„კარგი, არ შეუძლიათ, მაგრამ უნდიხარ".

შენ, რალა სალაპარაკოა, იცი, რაა სიყვარული, არ გიყვარს, ამდენად, არც გინდა... და მაინც თანახმა ხარ მის ცოლობაზე".

„ეს ჩემი სურვილითა და თანხმობით არ მომხდარა..."

„შენი სურვილითა და თანხმობით არ მომხდარა..."

„არა... კი... აბა, მართლა თმით კი არავის ვუთრევივარ..."

„მაშინ როგორ, შენი თანხმობით მოხდა და შენი სურვილით არ მომხდარა?"

„თითქოს..."

„ესე იგი, შენი თანხმობით მოხდა და თანხმობა შენი სურვილით არ იყო?"

„ჰო... მაგრამ ასე გამოწვლილვით გაჭირდება, ყველაფერზე ზუსტი პასუხი გასცე, თუ სასამართლოსავით მშრალი და უსულგულო იქნები".

„არ გედავები, რომ ძნელია, იქნებ შეუძლებელიც, მაგრამ ამ გზას, რასაც ახლა ადგახარ, თუ ახლა არ უპასუხე, მერე თავში ხელის ცემა დაგვიანებული კი არა, უაზროც იქნება".

●

„ავტობუს-ტროლეიბუსის გაჩერებასთან რომ დადგე, ვინ იფიქრებს, ქმრის საღალატოდ გამოსულა და კაცს ეძებსო. მარტოდმარტო, მოშორებით უნდა აიტუზო და არც ისეთი სახე მიიღო, არიქა, მაგვიანდება და ავტობუსითა და ტროლეიბუსით ღოღიალის დრო არა მაქვსო. აგერ ვარ, „მანქანას" ველოდები, არც ვჩქარობ და არც არაფერი... ტაქსიც არ მინდა, თორემ ტაქსის გაჩერებასთან დავდგებოდიო.

„უნდა მიხვდეს, თუ საამისო „ნიჭი" აქვს, ვის უცდი და სად „გეჩქარება". თუ იმ „მიმხვედრს" ვინმე უზის, რომ დაემგზავრო, სისულელე იქნება. ის კი არადა, მარტოც რომ იყოს, ერთ მიპატიჟებაზე არც უნდა წაჰყვე. ასე ხელიდან წასული არ უნდა ეგონო, ვინც ხელს დაუქნევს მაშინვე გაეკიდებაო..."

„წავიდეს და დაბრუნდეს, დაგინახოს, არავის გამოკიდებიხარ და და იმანაც „დაგიმტკიცოს", რომ მოეწონე — მეორედ მოგადგა, შენთვის არც დრო ენანება, არც ბენზინი და მანქანა".

„იქნებ?.."

„არა, არა!.. ასე არაფერი გამოვა, თვალებში უნდა შეხედო, გამომწვევად, უტეხად და ცხვირაბზუებულმა უარი ისე, სიტყვიერად უნდა უთხრა. თუ ატყობ, ისე „მოიხიბლა", მესამედ, მეოთხედ მობრუნდება. და მერეც, როცა „გაიძულებს", მანქანაში არ უნდა შევარდე. იგი ნელა დაიძრება, სარკიდან გიცქერის, როგორც კი ნაბიჯს გადადგამ, მაშინვე უკუსვლით მოგაწყდება და როცა ჩაუჯდები, ისეთი სახე უნდა მიიღო: — ოჰ, ეს მამაკაცები... როგორი მაცდუნებელი შეჩენა იციან, მაგრამ... სხვა მაინც ვერაფერს გახდებოდა... ეს, შენ გერგო ასეთი ბედნიერება. არა, შენ მაინც „სხვა" ყოფილხარ..."

●

„მაგრამ საიდან იცი ეს შენ?"

„გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო", თუ ყველა ქალში ზის კახპა და, გააჩნია, ამ „ნიჭს" შენ ან სხვა როგორ წარმართავთ. პატიოსანი გარემო ერთგულებით შემოსავს და გარყვნილი და გათახსირებული სათავისოდ მოაქცევს? ადამიანი გარემოების საყვირია, ან ჭური და, რასაც ჩასძახებ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმას ამოგძახებს? რა თავანკარა ღვინით აავსებ, იმით გიმასპინძლებს, ან რა მთხლესაც ჩაასხამ, იმით „გაამებს?“

●

გადაშუადღდა.

„ეს გზა ქალაქგარეთ არ გადის? აბა, სად ჯანდაბაში მიედინება, ამ ოხრად დასარჩენი მანქანების მდინარე“.

„რა ხდება?..“

ქალმა თითქმია სულ გამოინაპირა და ტროტუარიდან ქუჩაში ცალფეხჩამოდგმულიც კი დაეყუდა, მეტი რაღა ექნა.

„კიდევაა რაიმე საჭირო?.. კიდევ იყო რაიმე გასაკეთებელი და არ გააკეთა, თუ ვერ გაითვალისწინა? რა უნდა სცოდნოდა კიდევ და არ იცის?

ნუთუ გარყვნაა და გათახსირებასაც „ცოდნა“ უნდა და აქვს ისეთი „საიდუმლოება“, რაზეც ყველას ხელი არ მიუწვდება?“

„მესმის ქურდობა იყოს ეს, ძარცვა, საქმოსნობა, კომბინაცია... არიან ამის „ნიჭით“ დაჯილდოებული პიროვნებები და ყველამ, რომც მოინდომოს, არაფერი გამოუვა“.

„ხინიკაძეებს აქვს საამისო თანდაყოლილი „ჭკუა“ და იმდენადაც კი, რომ იურიდიულად ვერ შეედავები. ცოლი რომ ცოლია, ისიც კი ვერაფერს გაუგებს (ალბათ ცოლსაც გააჩნია. ისინი, ვინც ქმრებივით მურთხებია, ან თანამზრახველები, მათთვის არაა საიდუმლო).“

„არადა, ედავე თუ გინდა, არტყი თავი კედლებს და არტყმევინე, ვერაფერს დასტყუებ, სიტყვას ვერ დააცდენინებ. თითქოს თვითონაც არ იცოდეს, ვიღაცის ბრმა იარაღი, მანქანა იყოს, რომელსაც რაღაც ბოროტი ძალით დამუხტული ძრავა ამუშავებს და „პროდუქცია“ სადღაც, მეათე თუ მეოცე „ვიღაცის“ ხელში გადის. თავის წილს ისე ღებულობს, თვითონ არც საწყისია, არც სასრული... იქნებ ამ „წილმა“ არც უნდა იცოდეს; იქნებ ეს „წილი“ მართლა ერთი „უცოდველი“ ჭანჭიკია, კბილანა, და წაღმა დააბრუნებ, თუ უკუღმა — უნდა იბრუნოს. ან, როცა უკუღმა დაატრიალებ, ესღა იცის, წაღმა აღარ ტრიალებს და მეტი არაფერი“.

„ამისთანებს ხატზე დაფიცებაც კი შეუძლიათ, რომ უზაკველნი არიან, რაკი ნამდვილ დამნაშავედ მხოლოდ ის მამოძრავებელი ძალა ჰგონიათ, ვინც მათ წაღმა-უკუღმა ატრიალებს. და რაკი მორალური მურთხებს არაფერი გააჩნიათ, „სინდისიც“ სუფთა აქვთ“.

„ნოეს, კარგი ხელფასის გარდა, „პრემიებიც“ ეძლევა, თითქმის ყოველთვის: „წახალისება“, „ჯილდო...“ და, ამას გარდა, „სესხი“ და „ვალი“ აქვს... დედამისს „არაფერს“ აძლევს. „საწყალი“ ქალი, ქმრის პენსიითაა რომ ტყავში არ ეტევა. პირიდან ლუკმას იღებს და შვილიშვილს უყოფს. ქვრივმა, მარტოხელა ქალმა რა ჰქნას, ხმის გამცემი და საზრუნავი სჭირდება, თორემ რძალსა და შვილს ერთადერთ სიხარულს როგორ წაართმევს. ამაზე, შენ რომ რძალი ხარ, შენც სინდისი არ მოგცემს უფლებას, ნამკვდრევ სახლში მიტოვებულ დედამთილს, ხვეტაწმენდას რომ არ გთხოვს, თავისი და შვილიშვილის სარეცხსა და უთოს, ბავშვს როგორ ეტყვი, ბებიასთან ფეხი არ დაადგა. ეს რა წესი და სამართალია...“

„მათ იციან მორალური და იურიდიული კანონების სათავისოდ მოწესრიგება და მორგება. გარეგნულად იმ ფორმასა და ფერს იღებენ, რაც საზოგადოებას მშვენივრად ეხამება და ერთი დანახვით, თვალში გეცემა კი არა, ვერც შეამჩნევ“.

ისინი თვალზე ცრემლმომდგარნსწუხან და ვიშვიშებენ სიძვირეზე, ფაიების დამახინჯებაზე, ბაზრის ცეცხლის წაკიდებასა და „თავის ფასში“ ნაშოვნ ლუკმის ვაინაჩრობაზე“.

„მათ უცნაური ძაღლური ალღოთი იციან თავიანთი საიდუმლოების ფასი. სიცხიანსაც კი არ წამოაბოდებთ. ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც ფხიზელი იციან და სიმთვრალეც. მათი სიმართლე არის ის, რითაც ცხოვრობენ, რაკი სხვანაირად ტყუილად კი არ ჰგონიათ, მართლა ვერ იცხოვრებენ. მათი ერთადერთი ცხოველური ინსტინქტი არსებობაა და ამ არსებობისათვის ყოველნაირი გზა — გზამართალი".

„მაშინ რას აკეთებენ ისეთს, რაც არ უნდა აკეთონ? თავიანთ გაჩენაში, როგორც სხვას, ბრალი არც მათ მიუძღვით. არსებობა, გაჩენის — ამქვეყნად მოვლინების პირდაპირი გაგრძელებაა, როგორც გათვლა: ერთი, ორი, სამი, ოთხი... არსებობისათვის საჭიროა ჭამა, სმა, ჩაცმა-დახურვა, სახლი, კარი, საწოლი, კარადა, საკერავი მანქანა და ავტომანქანა. კაცისთვის ქალი და ქალისთვის — კაცი. ესენი მათ არ მოუგონიათ ისე, როგორც თავიანთი თავი. ეს, რაც ადამიანი გაჩნდა, იმ დღიდან მომდინარეობს და რომ ჰკითხო და გულითაც მოინდომონ, ვერ გეტყვიან, რაში არიან ისინი მტყუანნი..."

„ოჰ, ღმერთო ძლიერო, შეიძლება მაგათზე ფიქრი და მათი ცოდვა-ბრალის აწონა?.. შეიძლება ამ ცხოველებთან ურთიერთობა და მერე იმის კვლევა, შენ მართალი ხარ, თუ ისინი და, პატიოსნად მოგექცნენ, თუ უდიერად? მათთან რომ ერთ ჭერქვეშ ბინას იდებ, ვიღას რა სამართალს სთხოვ, ვინც რაცაა, იმას მოგაგებს და „კოკასა შიგან რაცა დგას..."

„მათთან თუ ხარ, მათნაირი უნდა იყო, თუ არადა, მაშინ მათთან რა გინდა! ორ დანაშაულს სჩადიხარ: ერთი — რატომ ხარ მათთან და მეორე — მათნაირი არა ხარ. იმ კაცს უშლი ცხოვრებას და შენც არ ცხოვრობ... მათთან თუ ხარ, უნდა დაემგვანო, ფერიც უნდა იცვალო და ზნეც, ან არადა..."

„ახლა უკვე „არადა" არ არსებობს. უკვე გვიანია თითზე კბენანი. შენ ქალი ხარ, საცოდავი არსება. ათასსა და ათიათას პატიოსან მამაკაცს რომ შეეძლოს შენს გულში ჩახედვა და იცოდეს, ცამდე მართალი ხარ, არავინ ქმარს შენს თავს არ მოსტაცებს. რაც უნდა დაც ჭეშმარიტი კაცია, იმდენად ეძულება მურთხები და ამდენად, შენც, რაკი მურთხის ხარ, რაკი შენი თავი დაუკარგე სიმართლეს და ეშმაკს ამსახურე. შურისძიებადღა თუ განაწყობ და თავი გააქელად რომ შესთავაზო, არ ინდომებს, რაკი იცის, ჭაობში თუ ჩაწვება, ამოსვრილი ადგება".

●

„რა ხდება?"

„სანამდე უნდა იდგე აქ! გადახრილი მზეც მოგადგა, ეს ჩქოლა ჭადრის ჩრდილიც გაგექცა. ხომ ხედავ, არავინ გიჩერებს მანქანას და არავინ კაბის კალთას არ გახევს".

„იმას ვერ იტყვი, შენისთანა ქალს ზედაც არავინ შემოგხედავსო... წუხელისაც, მატარებლით რომ მოდიოდი (რატომ არ დაგტყდა ფეხები და მამაშენი რომ გეხვეწებოდა, ერთი ღამე გაათევ დედაშენის სახლშიო, არაფრით არ დაეტევ), იმ შენ თანამგზავრ ჭკუადამჯდარ მამაკაცს რა საწრიალე აუტეხე და, ღმერთწინაშე, „ისეთი" კი არაფერი უკადრებია, მაგრამ ქალს გიყურებდა და თვალები ვერ დაითხარა".

„რა ხდება?.."

„რა ხდება და, აქაურობა ქალაქის, ამოდენა ქალაქის განაპირაა. აქედან რომ ავტომანქანებით გარბიან, ისინი უკვე გზაზე დგანან. ავია თუ კარგი, თავისი საქმე აქვთ. მოსაგვარებელი მოაგვარეს, მოსახელკეთილებელი მოახელკეთილეს და გარბიან. იმანაც, ვიაც შენ ელოდები გგონია, თუ „იმისთანა ვინმეს" ეძებდა, იქ იპოვა, სადაც ეგულებოდა, ახლა გვერდით უზის და „საქმეზე" ეშურება. ეგონა, აქ დახვდებოდი? აქამდე ხელცარიელი მოსულიყო? ეს ქალაქის დასასრულია. მოსახდენი აქამდე უნდა მოხდეს".

არ ყოფილა საშველი და ესაა, — იტყვი.

ოტია იოსელიანი
ქალი გამოვიდა ქმრის სალალატოდ

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

„არაა, არ იცი მაგი?“

„არც წესიერად შეიძლება ცხოვრება და არც უწესოდ?“

„არა, უწესო ცხოვრება, ცხოვრება საერთოდ არაა. წესიერი და პატიოსანი იმდენად ძნელი, რთული და თვალჩაუწვდენელია, რომ შენ ვერაფერი გაუგე, ან იმდენად მარტივი და უბრალო, რამეს რომ მიხვდე, ბრძენთაბრძენი უნდა იყო, ისეთი, რომელსაც არც შია, არც სწყურია, არც სცივა და არც სცხელა. შენ როგორ გახსოვს, მოგშიებია? — მოგშიებია. მოგწყურებია? — როგორ არა. კაი ბეწვის პალტო რომ გიყიდა შენმა ქმარმა და ჩაიცვი, აღარ გციოდა?“

„მაინც მციოდა“.

„და მაინც გეცვა?“

„ცეცხლმა დაწვას!“

„ახლა რომ სიცხე მოგადგა, გცხელა?“

„მამაკაცი მამაკაცთან შიშველ-ტიტველი ივლის, როგორც ქალი-ქალთან. სანამ ადამი მარტოხელა იყო (თუნდაც ასი და ათასი ადამი ყოფილიყო), ლეღვის ფოთოლი არ აუფარებია. გაჩნდა ევა და გაჩნდა სირცხვილი. სანამდე ორნი იყვნენ, ლეღვის ფოთოლი მოდიდან არ გამოსულა. მაგრამ, როცა ასი და ათასი ევა და ადამი გაჩნდა, არჩევანიც გაჩნდა. ამდენი ლეღვისფოთლიანი მამაკაცი და ქალი მოსაწყენი გახდა. ერთმა ადამმა რომ კურდღლის ტყავი აიფარა, მაშინვე თვალი იმისკენ გაგეპარათ, რა ფეხმარდი ყოფილა, კურდღელს დასწევიაო. მერე, მან, თავისი რჩეული ევაც თავის საფერად შემოსა. იმ დღიდან ასეთებიც მომრავლდნენ და ლეღვისფოთლიანს კურდღლისტყავიანები ჩაგრავდნენ. მელისტყავიანი ადამი რომ გამოჩნდა, რომელსაც კუდი წელზე ჰქონდა შემოხვეული (მაშინ, ჯერ კიდევ კუდს წელზე იხვევდნენ), ამან ევებში დიდი მოწონება და გამოცოცხლება მოახდინა: მარდი და დაუღლელი ხომ ყოფილა და, ამას გარდა, მოხერხებულიც, რაკი მელა (მაშინ შიშველი ხელით ნადირობდნენ) დაუჭერია და ოთხში [illegible] (საუბედუროდ, მელის ტყავისადმი და ბეწვეულიანადმი ლტოლვა ქალებს დღემდე შემორჩათ). იმ ადამმა, მაშინდელი, ყველაზე უკეთესი ევა აირჩია“.

„მომრავლდნენ მელიებზე მონადირენი, მაგრამ მგლის ტყავით შემოსილმა ადამმა მათ მაინც მალე გამოუყვანა წირვა და ცხვირწინ აართვა უმშვენიერესი ევა, ასეც უნდა მომხდარიყო, კურდღლებზე და მელიებზე მონადირეს მგლებია დამჭერი და ტყავის გამძრობი ადამი სჯობდა. მგლის დამჭერსა და გამტყავებელს — დათვთან და ავაზასთან მორკინალი... მით უმეტეს, ვეფხვისტყაოსანს ხომ ეკუთვნოდა და ეკუთვნოდა ბელადის მზეთუნახავი ქალიშვილი. მაგრამ ყველა ვერაა ვეფხვისა და ავაზის დამჭერი, როცა მგლისტყავიანი ადამი თავის რჩეულ ევას სიყვარულში გამოუტყდა, ევამ, თუ ვეფხვისა არა, ავაზის ტყავი მაინც უნდა გეცვასო. ქალი არ ტყუოდა, მგლის ტყავს ავაზისა სჯობს და მგლის დამჭერს — ავაზასთან მეომარი. დაეტაკა სიყვარულით გაგიჟებული მგლის მმუსვრელი ადამი ავაზას და ტყავი, პირიქით, ნადირმა შემოაბდღვნა. ძლივს გადარჩა, დასახიჩრდა. ა, ხომ ხედავ, შენთვის თავი არ დამიზოგია და, ქე ხედავ, რა დღეში ვარო. აი, აქ შეცდა ევა და ჩაიდინა პირველი და გამოუსწორებელი ცოდვა, მორცხვად თავდახრილმა რომ ჩაილაპარაკა: კი მაგრამ, ავაზის ტყავიო...“

„გამწარდა ადამი, გადაიკარგა და კარგა ხნის მერე დაბრუნდა ლომის ტყავით შემოსილი. კისერზე ჩამოეკიდა ევა და ვეფხვისტყაოსანი ადამის ცოლები შურით დასკდნენ. არადა, თუ სხვამ არა, მისმა ევამ ხომ იცოდა, მგლისტყავიანი ადამი ლომის დამჭერი არ იყო. სადღაც სიბერით მკვდარი ეპოვა და გაეტყავებინა, მაგრამ ამის თაობაზე მას არაფერი უთქვამს და ევამაც პირში წყალი ჩაიგუბა, რაკი მის რჩეულზე ქვეყანას თვალი რჩებოდა. მგელზე შიშველი მონადირეც არაა ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლწამოსაკრავი და არც ხელსაკრავი. მაგრამ ლომის „დამჭერი“ ამჯობინა“.

„ჰო, ვითომ შენ მართალი იყავი და პატიოსანი“.

„ეს „ვითომ“ რას ნიშნავს?!“

„ერთგულიც...“

„ერთგულება ჩემი არსია, ჩემი... მე სხვანაირი სიცოცხლე არ მესმის!..“

„გასაგებია. ეს შენი ბუნებაა, ხასიათი, იქნებ მოწოდებაც, თუ... რაც გინდა, ის დავარქვათ. და იქნებ სასიქადულოც...“

„უბრალოდ, ადამიანური...“

„ადამიანური, დიახ, ჩვეულებრივი... მაგრამ ადამიანური?..“

„ჰო, აქ, მგონი, არაფერია გამორჩეული და თავმოსაწონებელი, როგორც ახლა ამბობენ: ეს ქალი (ან კაცი) კარგი ვინმეა, მართალი, პატიოსანი, ერთგული, სიტყვის პატრონი... ასეთი არ უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანი? „კარგი ვინმე“ უნდა ნიშნავდეს გამორჩეულს, მოღვაწეს, მოამაგეს, განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის მქონეს, სხვაზე მეტის გამკეთებელსა და შემქმნელს“.

„მთლიანად გეთანხმებით, მაგრამ ადამიანური სიმართლე ხომ ფართო უნდა იყოს, ღრმა, გააზრებული, გამიზნული, დიდი სიმართლისათვის, არსის სიმართლისათვის. ყოველთვის, სიცრუეც ხომ სიცრუე არაა და დანაშაული — დანაშაული“.

„გამოდის, რომ ჩემი ერთგულება იყო... ვიწრო, შეზღუდული, თვითმიზნური, ცხოველური, შორს გაუხედავი და განუზოგადებელი?..“

„შეიძლება ასე ითქვას...“

„ძაღლური?“

„მსჯელობის დროს ხდება, მოკამათეები უკიდურესობაში ვარდებიან, ზოგჯერ დაუკრეფავშიც გადადიან, მაგრამ თუ ჭეშმარიტების დასადგენად ხდება, შეიძლება“.

„და, ძაღლური?“

„ძაღლური, რომელიც ზოგჯერ ღალატს უდრის“.

„ერთგულება უდრის ღალატს?“

„თუ ეს ერთგულება ცხოვრების... ჭეშმარიტი ცხოვრების არსს არ მსახურებს... შენ ჰმონებდი ერთგულებას, მაგრამ შენი ცხოვრება ჭეშმარიტი არ იყო. შენ მოღალატე ხარ“.

„ახლა ყველაფერი ვარ“.

„არამარტო ახლა. დღევანდელი დღე შენი ცხოვრების ლოგიკური გაგრძელებაა, რაკი არსს უღალატე, შენი არსების, რწმენის დედააზრს უღალატე. ამის შემდეგ ყოველი შენი ერთგულებაცა და ორგულობაც ღალატი იყო. თუ აღმოსავლეთით უნდა წასულიყავი და პირი დასავლეთით ჰქენი, იმის შემდეგ ყოველი შენი ფეხის ნაბიჯი გაშორებდა იმას, რისკენაც უნდა გევლო. ესე იგი, სიმართლეს — შენს სახლს“.

„ჰოო?..“

„შენ კვერცხს სხვის ბუდეში დებდი“.

„მაგრამ მე ვაშენებდი“.

„რასაც შრომით, წვალებით, ერთგულებითა და სიმართლით აშენებდი, სხვისას აშენებდი... შენი შერთვისას ნოეს ბინის საკითხი მოგვარებული ჰქონდა. მან იცის, უბინაო და უსახლკარო კაცი ნაკლებ ფასობს...“

„ჩემს თვალში მურთხს ამისთვის არაფერი მომატებია“.

„საბედნიეროდ, თორემ მაშინ შენთან ლაპარაკს რა ფასი და აზრი ექნებოდა, მაგრამ უნდა დაკლებოდა თუ არა?“

„ჯერ არ იყო ძმარიო და შიგ შევიდა წყალიო?..“

„რით აიშენა ის „კოპერაციული“ სრული ბინა, რომელიც, რაც ოფიციალურად დაჯდა, დაჯდა და იმაზე მეტი რაც იყო, მაგი შენ კი არა, მისმა ამშენებელმაც არ იცის. დედამისის მზითევი უმტვრევდა ზანდუკებს თუ მამამისის სამემკვიდრეო ადგილ-მამულები“.

„ეს მე მეკითხა?“

„შენ! შენ გადაწყვიტე იმ ბინაში ცხოვრება და არა მე. მე იქ ზღურბლზე ფეხის გადამბიჯებელიც არა ვარ. შენ რა, მურთხივით ხომ არ გგონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სახლში ღამე გაითევა, სადაც თუნდ ერთი ღერი ლურსმანი შენი გაჭედილი და შენი ხელით მიჭედებული არაა? როგორ გგონია, ყველა ბრძენი და ჭეშმარიტი მოაზროვნე რომ სიმართლის გზას ადგა და ადგას, რასაც გასცემ ისაა შენი და არა რასაც მიიტაცებ და მიითვისებ. ცალტვინა ხინიკაძემ იცის, როგორ იშოვოს და ჭკუით დაყურსულმა მოაზროვნემ ვერ გაიგო, მთელი სიცოცხლე შენზე და თუნდაც იმ მურთხებზე რომ ფიქრობს? ნოემ კი იშოვა, მაგრამ თუ არავინ შექმნიდა, რას იშოვიდა. და ვინც შექმნა, იყო თუ არა მისი? იქ რაც შენ დაგხვდა, ან მთლად სხვისი იყო, ან დიდი ნაწილი მაინც. შენ არ შეგიქმნია კი არა, შენი ნაშრომ-ნაღვაწის მხოლოდ ცოტა ნაწილია შენი, რაკი არსებობს ხალხი, ქვეყანა, შრომის უნარს მოკლებული, ხეიბარი, ზარმაცი და უსაქმური, ქვრივი და ობოლი, ავადმყოფი და სნეული, მტერი და ორგული, ეს ყველაფერი შენს კისერზეა, აბა, ღმერთი ციდან კი არაფერს ჩამოუყრის. შენ შედი ხინიკაძის გაჩაღებულ სახლ-კარში და გეგონა, საწყალი წელზე ფეხს იდგამდა და ისე თავისი ხელითა და ოფლით აწეპა ქვა ქვაზე და ფიცარი ფიცარზე? მამაშენი მოხელე კაცი იყო და სანამ ჯანი მოსდევდა, წელში გაწყვეტილი შრომა იცოდა, მაგრამ თქვენი სახლი რამდენ ხანს შენდებოდა? ორ შვილზე მეტი რომ ჰყოლოდით, ვიტყოდით, ამოდენა ოჯახს ვერ აუთავდაო. რაც, როგორც იყო, ააშენა, მერე რაა? ცხოვრება შეიძლება და მეტი არაფერი. დედაშენიც რომ იმ სახლის კედლებში არ ჩაკირულიყო, არც ის იქნებოდა. მამაშენი მეზობლებთან დავასა და მუშტრებთან ჩხუბს გადაჰყვებოდა. სანამ ეტლი და არღანი იყო, ძმაბიჭებიც ჰყავდა და თანამეინახეებიც. ხინიკაძის ბინას, შენი მისვლისას თუ რაიმე აკლდა, იმიტომ არ აკლდა, კიდევ უნდა ეშრომა, ებეჯითა, ეშიმშილა და ისე შეეძინა. მურთხებმა ასე იციან, გაჭიმავენ ბინას და მერე წლობით ცარიელი აქვთ, ვითომ ასე ერთბაშად აშენებაც და დამშვენებაც ვერ შევძელით, ჩვენი შემოსავალი ერთბაშად ვერ გასწვდაო. სხვამ თუ ეს „არ იცის“, შენ ხომ იცოდი. ან სხვას თუ ფეხებზე ეკიდა, ან მიაფურთხა: თავში ქვა უხლიაო. შენც ასე ხომ ვერ მოიქცეოდი. სხვა უბედურებასთან ერთად, იგი შენ ამიტომაც არ გიყვარდა და, რა გასაკვირია, ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რისთვისაც არ დაგენახვებოდა, იმაში დაიდე წილი? შეუძლებელია ის, ან მისი სახლი შენი ყოფილიყო და მერე იმის უფლება გქონოდა გეთქვა, „მიყვარდა — არ მიყვარდაო“. სადაც სიყალბე, სიცრუე, გაიძვერობა და მუხანათობაა, იქ სიყვარულზე და ზნეობაზე ლაპარაკს ვინ გაბედავს. ან რა აზრი აქვს. უდაბნოში აქლემის ფსელს სვამენ, პეშვ წყალს ნატრობენ და არა ცხრა წყაროს...“

„თავიდან ამაზე არ მიფიქრია...“

„არა, რა თქმა უნდა, ან იმდენად იკითხე, რამდენადაც ნოე არ გიყვარდა, ამით შენი სინდისი სუფთა იყო. ის ისეთი იყო, ვისი სიყვარულიც არ შეიძლებოდა და დამნაშავეს განაჩენი გამოუტანე, მისაგებელი მიაგე. მაგრამ როცა მას მისთხოვდი...“

„ღმერთო, შენ მაინც თუ იცი ჭეშმარიტება“.

„ღმერთმა კი არა, ეს შენც იცი...“

„მე რა ვიცი!..“

„ყველაფერი ვთქვათ? გაუმხელელიც?“

„მაინც დაღუპული ვარ და...“

„ისიც, რაც სიკეთით დაგემართა და, ამდენად, დანაშაული არ გგონია?“

„თუ სიკეთით დამემართა, მაინც?..“

„მაინც, რაკი შენ მეგობრის ერთგულებით გახდი ხინიკაძის ცოლი“.

„თუ ასე იყო, მეგობრის, ადამიანის, მოყვასის ერთგულება მთავარი არაა? განა ახლობლის, საყვარელი ადამიანის, ძეხორციელის გატანით, ნდობით არ იწყება ყოველნაირი ერთგულება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, საერთოდ, ადამიანთა მოდგმის, თუ-ნდაც საკუთარი თავის სიყვარული და არსებობის უფლება?“

„შენ შენს მეგობარს უერთგულე და ადამიანთა მოდგმას უორგულე“.

„ხინიკაძეზე უნდა მეთქვა უარი?“

„ყველაფერზე უნდა გეთქვა, რაც შენი მრწამსი არ იყო. ჭეშმარიტების ერთგულებაა ადამიანთა მოდგმის ერთგულება“.

„ჩემს მეგობარს სჭირდებოდა ჩემი ერთგულება. მე იგი სიკვდილისგან უნდა მეხსნა, ორი სიკვდილით რომ არ მომკვდარიყო, ერთისგან მაინც უნდა გადამერჩინა. ნატას სჭირდებოდა ჩემი თავგანწირვა და უფლება არ მქონდა, სიცოცხლის ფასადაც რომ დამჯდომოდა, უკან დამეხია. ასე რომ არ მექნა, ჩემს არსებობას ვერაფრით გავამართლებდი“.

„ახლა ამართლებ?“

„ყოველ შემთხვევაში, მასთან პირნათელი ვარ“.

„მასთან ხარ თითქოს პირნათელი, მაგრამ ქმართან, შვილთან, დედასთან, მამასთან, ხალხთან, ქვეყანასთან, ყველასთან — პირშავი“.

„არ შემეძლო, ვისთვისაც მინდოდა, თავი შემეწირა? თუ ამას შეწირვა შეიძლება დაერქვას?“

„არა!“

„ჩემი თავი მე არ მეკუთვნის?“

„არავითარ შემთხვევაში!“

„უსაშველო მქონია გაჩენილი, ეგაა“.

„მაგი არ იცი, რომ ადამიანს უსაშველო აქვს გაჩენილი?“

„არა, ვიცი, შვილს ვჭირდები, დედა ვარ და ვჭირდები. მამას ვჭირდები, შვილი ვარ...“

„რატომ ასე ვიწროდ და ცხოველურად... აგერ რომ ქალი მოდის და ბავშვი მოსდევს, ან ის ჯოხდაბიჯგებული მოხუცი მიფარცუხობს, სამივეს არ სჭირდები?“

„აბა, არც ერთი არ გადარჩება ჯავრით, მე თუ არ ვიქენი!“

„ასე, ისინიც რომ არ იყვნენ, არც შენ ჩაიცვამდი შავს, მაგრამ თუ არც ერთი არ იქნებოდით, არ იქნებოდა ხალხი, ადამიანთა მოდგმა და ქვეყანა. შენ და ისინი საზოგადოების ნაწილი ხართ და ამდენად გეკუთვნით თქვენ თქვენი თავი ქვეყნის მერამდენედი ნაწილიცა ხართ. ვინ მოგცა შენ, ერთ მემილიონედს — გროშის პატრონს, უფლება, მილიონი გაფლანგო. ნატაც ერთი ნაწილი იყო ამ დიდი მთლიანისა, შენ შეგეძლო შენი გროში მიგეცა, მაგრამ არა მთელი შენი სიცოცხლე. შენ უერთგულე ნატას და უღალატე ადამიანთა მოდგმას. უღალატე დედას, მამას, ქმარს, შვილს, ხინველს... ყველასა და ყველაფერს, ბაბუაშენსაც კი...“

„ხინველს ერთგულების ფიცი როდის მივეცი...“

„ყოველთვის, ყოველდღე... როცა შენ ნატას ასე თავგანწირვით ერთგულებდი, ხინველს ერთგულებდი“.

„თუ...“

„ერთგულებდი! ერთგულების ფიცს აძლევდი. შენი საქციელი იყო ის, რისთვისაც ადამიანს ადამიანი უნდა უყვარდეს. მით უმეტეს, ხინველისთანებს“.

„მე, თითქოს... თუ არ მეჩვენებოდა და მაინც ვგრძნობდი ხინველის ყურადღებას, „ვუმტკიცებდი“, რომ მეგობრის ღალატი არ შეიძლება და ნურასოდეს ექნებოდა იმედი, რომ ოდესმე, ნატა იქნებოდა თუ არ იქნებოდა (ჩემთვის ის ყოველთვის იქნება), ნურასოდეს იფიქრებდა ჩემგან რაიმე თანაგრძნობას“.

„და ასხამდი ცეცხლზე ნავთს და აქრობდი ცეცხლს ცეცხლით!“

„სად იყო მაშინ აქ გამოსავალი?..“

„გამოსავალი არ არსებობს!“

„არც, ხინიკაძეზე რომ მეთქვა უარი?“

„მაშინ ხინველს აღარ ეყვარებოდი. ნოეს ცოლობა იყო დასტური შენი უანგარო, თავგანწირული, უერთგულესი მეგობრობისა“.

„მაგრამ უარი რომ მეთქვა, ხომ მართალი ვიქნებოდი“.

„ეს ასეც უნდა გექნა შენი სამყაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასარჩენად, შენი დედააზრის, ადამიანთა მოდგმის ერთგულებისათვის“.

„მაშინ ხსნაც ეს ყოფილა“,

„კი, ეს ზოგადად სიმართლისათვის, მაგრამ ხინველი ხომ მაინც ადამიანია და არა ღმერთი. შენ ე მაგ თავგანწირული მეგობრობისათვის უყვარდი მას და ეს რომ არ ჩაგედინა... უფრო სწორად, რაც ჩაიდინე — ნატას გადასარჩენად რომ თავი გაიმეტე, ამიტომ შეგიყვარა... (შენ ლაშას ყოველთვის უყვარდი) გახდი მისი კერპი სამარადჟამოდ. მართალია, მან შენ დაგკარგა, მაგრამ მისთვის ამ დაკარგვამ აღმოგაჩინა, როგორც ერთადერთი ხატი და სალოცავი. და შენ რომ მეგობრისთვის ამოდენა მსხვერპლი არ გაგეღო, როგორ დაენახე. შენი დაკარგვა იყო ხინველისთვის პოვნა. და, თუ ცოდვა გამხელილი სჯობია, შენ ქვეშეცნეულად ხომ არ გრძნობდი ამას და ამ თვითშეწირვისაკენ ხინველმაც ხომ არ „გიბიძგა?“

„უცოდველი ადამიანი, ალბათ, არ არსებობს, მაგრამ რა ვქნა, რომ არაფერი მესმის“.

„ერთი წუთით დავუშვათ, რომ უყვარდი ხინველს და გიყვარდა. ორივეს გქონდათ იმდენი ჭკუა, რომ შენი ლამაზი ფეხებისათვის და მისი ღონიერი მხრებისთვის თავი არ დაგეკარგათ. იმას ჰქონდა ბევრი ისეთი ღირსება, აზრიან ქალს ჰყვარებოდა, მაგრამ ახლა ეს არ გვინდა. შენ უყვარდი...“

„ვუყვარდი?!.“

„ერთი წუთით წარმოვიდგინოთ-მეთქი“.

„ჰო, ვთქვათ...“

„რატომ უნდა ჰყვარებოდი შენ ხინველს, თუ ის მარტო ლამაზი მუხლისთავებისთვის და ათქვირებული მკერდისთვის ქალს სამუდამოდ ვერ შეიყვარებდა (არც მგონია, ჭკვიანი მამაკაცი სხვანაირად მოიქცეს), არც ქალის უნახავი იყო, და არც თვალში გამოუხედავი. გარეგნულად შენზე უკეთესებიც შეხვედრია. რა იყო შენში ისეთი, რაც ასე გამოგარჩევდა ასისა და ათასისაგან. თვით ნატასაგან?! ამაზე შენ, თუ ჭკუა მოგეკითხებოდა, ხომ უნდა გეფიქრა?“

„ამას ვიფიქრებდი იმ შემთხვევაში, თუ...“

„თუ გეყვარებოდა... მაგრამ ეს ასეც რომ ყოფილიყო, ვერ გაბედავდი ამაზე თავის ტეხას, რაკი ხინველს საშენოდ ვერ დაიგულებდი და ნატას ვერ უღალატებდი. შენ გაუცნობიერებლად ჩაები ამ თამაშში?“

„რა თამაში, ქალი ხელში გვაკვდებოდა და თამაშში ჩავები?“

„ჩაებით!“

„ღმერთო, შენ დამიფარე!“

„ხინველი აღტაცებული იყო შენი ერთგულებით“.

„ნატას ხინველის მოსახიბლად ვერთგულებდი?“

„არა, და სწორედ აქ იყო დამარხული ძაღლის თავი და სხვამ ძირისკიდემდე არავინ იცოდა, შენ რას აკეთებდი“.

„მე სალაპარაკოდ და ქვეყნის დასანახად არ ვაკეთებდი“.

„ესეც ხინველის იდეალის თვისებაა, მაგრამ შენ მეტიც ვინ გინდოდა, ის ხომ ყველაფერს ხედავდა“.

„ნატა ხედავდა ამას, ღმერთო, ცოდვილი ვარ, ვისთვისაც ვაკეთებდი, ის ხედავდა...“

„ლაშა ხინველი?“

„ხინველს მე თვალებს ვერ დავთხრიდი“.

„რას დათხრიდი, როცა ყველაფერს მისთვის აკეთებდი!“

„ღმერთო, ძლიერო! ნუთუ ისე გაუტანელი ვარ? ნუთუ ასეთი ეგოისტი და წაწყმედილია ადამიანი?!. და ნატასთვის, ჩემი ტანჯული, წამებული დისთვის, არაფერს?“

„სიტყვა მოიტანს და აზრის ნათლად გამოსახატავად ითქმება, მაგრამ ასე უკიდურესად ნუ გავიგებთ. ყველაფერს ნატასთვის აკეთებდი, მაგრამ აკეთებდი იმას, რასაც ხინველის იდეალი ჩაიდენდა. ხინველი გკარნახობდა თავის მრწამსს და შენ აკეთებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო უარესი, თუ ეს ჭკუიდან არ შეგშლის, შენ აქამდე ქმარსაც იმიტომ ერთგულებდი, რომ ხინველი გკარნახობდა“.

„კარგი... კმარა... იქნებ ქვეშეცნეულად სიმართლის მარცვალი დევს იმაში, რომ ადამიანს გმირობისათვის ისევ ადამიანი აქეზებს და თავგანწირვამდე მიჰყავს (რაკი სიცოცხლე ასე ხელაღებით შეულეველია). მაგრამ ხინიკაძეს იმიტომ ვერთგულებდი, რომ ხინველს ეამებოდა?“

„თვითონ ხინველისკენ არ გაგიხედია შენ მას აქეთ“.

„არა. და ესეც ხინველისათვის?“

„ესეც ხინველის სიყვარულისათვის“.

„მიყვარდა და...“

„გიყვარდა, გიყვარს და გეყვარება!“

„და მისკენ არ ვიხედები?“

„დღეის ამას იქით რას იზამ, არ ვიცი, მაგრამ...“

„დღეიდან რაიმე შეიცვლება?“

„ძალიან ბევრი რამ...“

„რა თქმა უნდა... ალბათ... მაგრამ ხინველის მიმართ?..“

„არ ვიცი. ჯერ აქამდე არ მისულა საქმე, მაგრამ, წარმოვიდგინოთ, შენ რომ ხინველს მისდგომოდი ქმრის საღალატოდ, მოეწონებოდა?“

„ღმერთმა ნუ ჰქნას!“

„ან ქმრისთვის სხვასთან გეღალატა? ქმრიანი ქალი რომ საყვარლობანას თამაშს დაიწყებსო, რა თქვა ერთხელ? ჰო, შენს საწოლზე იჯდა, სხვათა შორის, იმ საღამოს. შენ და ნატას იმ ნაქირავებ, ციცქნა ოთახში ორი სკამი გედგათ და სტუმრები საწოლებზე „ნებივრობდნენ“. მგონი, პირველად იყო, რომ უხეშად შეიგინა ისეთი ქალების მისამართით და შენ სახეზე ცეცხლი შემოგენთო, თუ ხინველმა უწმაწური ლანძღვა-გინება იცოდა, არ გეგონა“.

„შენ ხინველი გაპროგრამებდა“.

„იქნება ახლაც ის მმოძღვრავს და ამ ღალატის გზაზეც მან დამაყენა“.

„მან და მხოლოდ მან!“

„თუ აქამდე ქმრის ერთგულებას მასწავლიდა!“

„არც ასე პრიმიტიულად და უხეშად გესმის შენ ერთგულება ან ღალატი. ხინველი მღვდელი არაა და არც შენ ხარ მონაზონი“.

„ნატასთან ის ცხოვრობდა ბოლო დროს, ეს იცოდი შენ“.

„...მათი საქმე იყო“.

„ასე გულგრილად ახლა ლაპარაკობ...“

„ვიცოდი, რომ ეს განწირულს წუთიერ სიამოვნებას...“

„ხინველმაც იცოდა ეს და აკი გითხარი, ქალის უნახავი არც მანამდე ყოფილა, ღმერთო კი მომკალი, ნატას ზიარ ლოგინზე რომელი მამაკაცი არ იოცნებებდა, მაგრამ ეს მაინც მსხვერპლის გაღება ხომ არ იყო და ამიტომ ხომ არ შეგზარა, როცა ეს ნატამ ყურში ჩაგაწვეთა? შენი ხინიკაძის ცოლობასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ამანაც ხომ არ შეუწყო ხელი და შენც კეთილი შურისმაძიებელი გახდი, ისე რომ ამაში თავსაც არ გაცხადებიხარ?“

„მე, რაც ნატას სიკვდილისაგან დაიხსნიდა, ყველაფერს ვაკეთებდი, მგონია“.

„იყო კიდევ ერთი კაცი“.

„ახლა რაღა დროს იმის გახსენებაა...“

„ყველაფერმა რომ ჩაიარა, გეგონა, გათხოვდი, ნატაც აღარ იყო, აღარც ხინველი და ვითომ ერთხანს სამსახური დააპირე. განყოფილების გამგე იყო „ის“, ვინც ვითომ ნოეს თხოვნით „მოგაწყო“ და თქვენთან ერთ ვახშამზე მიხვდა: შენ და შენი ქმარი რკინის ჯაჭვებით არ იყავით ერთმანეთზე მიბმული და ეგონა, ბამბის ძაფივით დაწყვეტდა, მაგრამ, ჯერ ერთი, იმ კაცის ეს არ მოგეწონა. იმან რა იცოდა, შენ რა ხისაგან იყავი გამოთლილი და, ამას გარდა, მაშინვე არ გაიფიქრე: ხინველი ამას ჩაიდენდა, ოჯახში დიასახლისს, ან სამსახურში თანამშრომელს, თვალების პაჭუნს დაუწყებდაო?“

„მშობიარობის შემდეგ არც დავბრუნებულვარ სამსახურში...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

„თქვენი ბინიდან სკოლა სულ სამას მეტრზე თუ იყო და მასწავლებლის ნახევარი განაკვეთი დღეში ორი საათით ამოიწურებოდა. ვერც მთაში (სადაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი) და, მით უმეტეს, აქ — ქალაქში, შენ ბავშვებთანაც ვერ იპოვე ის სიწრფელე და ერთგულება, რომელსაც უნდა წარეტაცე, რომელიც უნდა ყოფილიყო შენი საქმის მამოძრავებელი ღერძი, რომლითაც უნდა გეცხოვრა. საუბედუროდ, შენ ფანატიკოსი არ იყავი, შენ ხედავდი სინამდვილეს, როგორიც იყო. ვერც ქმნიდი ისეთს, როგორშიც გაგეძლებოდა და არც მისი ისეთის გამოგონება შეგეძლო, რომლითაც უნდა გეარსება. სინამდვილე ან არასოდეს არაა ის, რაც გვინდა, ან თუ იგი მაინც არსებობს, ყოველთვის ჩვენგან მოშორებით და მიახლოვებისთანავე იმდენივე მანძილით გვშორდება, რამდენადაც მისგან ყოველთვის ვიყავით დაშორებულნი.

შენ ბავშვებს ვერ აპატიე, ან ერთხელ აპატიე ტყუილი, ეშმაკობა და სიზარმაცე. თითო-ოროლას, მართლა ბეჯითებისა და გულწრფელების გამორჩევა არც შეიძლებოდა და არც გიქნია. დარჩი შენ შენთვის და ისინი თავისთვის. შენ ასწავლიდი საგანს და ისინიც, რა ჭკუისა და უნარის პატრონიც იყვნენ, იმის კვალობაზე სწავლობდნენ. შენი სამსახური მაინც მოვალეობის მოხდა იყო, პატარა ხელფასის, სტაჟის და, უბრალოდ, რომ არ გრქმეოდა „დიასახლისი“ და სხვა არაფერი. ისევე, როგორც შენი მეუღლეობა ნოეს ცოლობის მოვალეობის მოხდა იყო. ვითომ გაუთხოვარი რომ არ დარჩენილიყავ. ვითომ — ოჯახი გქონოდა და დედაშენსა და მამაშენს ქალიშვილი დაბინავებული და პატრონს ჩაბარებული ჰყოლოდათ. სინამდვილეში შენი ცხოვრებით არსად არ ცხოვრობდი და არ იყავი ის, რაცა ხარ. ვინც ის არაა, რაც უნდა იყოს, იგი არც არსებობს. შენ ბედში მყოფს რაზე შეეძლო ეოცნება, რისი იმედი უნდა ჰქონოდა და რისთვის უნდა აეტანა ის სიცარიელე და უჰაერობა, რითაც ის სუნთქავდა?“

„შვილი!“

„აი, რისთვის უნდა დაწოლილიყავი იმ კაცთან, რომელიც შენში ვნებას ვერ აღძრავდა და თუნდაც წუთიერ სიამოვნებას ვერ მოგანიჭებდა, ვისთვისაც უნდა გერეცხა, გამოგეცხო და მოგეხარშა, რისთვისაც უნდა გევლო სკოლაში და კუთხე-მეზობლებთან, დედ-მამასთან და ნათესავ-მეგობართან“.

ჩვენ შევთანხმდით, რომ მკაცრ სიმართლეზე და თავისთვისაც გაუმხელელ ჭეშმარიტებაზეც კი თვალებს არ დავხუჭავდით“.

„რაც დავხუჭეთ, არ გვეყო?“

„ალბათ თვალების დავსების ხშირი მიზეზიც ესაა, ცეცხლს თივა არ უნდა მივაყაროთ და დამწვარ-დაფუფქულს წყალი კი არ უნდა დავასხათ, ცეცხლს უნდა მივაფიცხოთ, ჭრილობაზე კი მარილის, ან თუთუნის დაყრა სჯობს“.

„დაორსულდი ისე, რომ თითქოს მონაწილეობაც არ მიგიღია საკუთარი შვილის ჩასახვაში“.

„საოცარია და, ეს მართლა ასე იყო. ალბათ ეს მარტო მე დამემართა. შეუძლებელი, წარმოუდგენელი...“

„ამ დროს შენ... ამ დროს კი არა, სულ რაღაც „თაფლობის თვეში“ მოასწარი ქმრის შეძულება“.

„ნეტავ როდის მიყვარდა“.

„შენ გითხრეს, ვინც გიყვარდა და ერთსა და იმავე დროს ორი, შენ კი არა. არავის ჰყვარებია“.

„არავინ არ მიყვარდა!..“

„კარგი. მაგაზე სხვა დროს, მაგრამ ახლა რაზე არ ლაპარაკობენ და, ჩვენ ვლაპარაკობდით, სიტყვას ბანზე ნუ ავაგდებთ. სათქმელი ბარემ ბოლომდე ითქვას, ნუ გადავთავრავთ და ზევით-ზევით ნუ გადავიბალახებთ. ჭეშმარიტებასთან მხოლოდ დიდი და უღალატო სიმართლის გზა თუ მიგვიყვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ააქორწინო მოგზაურობაში წადით, არა ქორწილის ღამეს, არამედ ათი დღის შემდეგ, როცა ნეფე მიხვდა, შენ შენი ოთახის კარის გაღებას აგვიანებდი. რაკი ვნებაამღვრეულს ყოველღამ აშოშმინებდი: — ახლა არა, დღეს... ამაღამ არა... მერე მე თვითონ... მე...

მურთხების მოლოდინი მტაცებლის მოთმინებას ჰგავს. მსხვერპლს საათობით, პაპანაქებაში და ქარ-ყინვაში, გაუნძრევლად დარაჯობენ. მაგრამ როცა მათ კლანჭებში მოხვდება, რამდენადაც დიდია მათი მოდარაჯე, ჩასაფრებული მოთმინება, იმდენად სულოკლე და გაუმაძღარნი ხდებიან, როცა მსხვერპლი ხელთა ჰყავთ. „საქორწინო მოგზაურობა“ შენც გერჩია. უნდა გასცლოდი, უნდა გაჰქცეოდი იქაურობას, იმ ადგილს, იმ ქალაქს, იმ ქვეყანას, სადაც... მოიცა, ნუ გამაწყვეტინებს, სადაც „ის“ გეგულებოდა“.

„მე არ შემეძლო... უსიყვარულოდ... უსულგულოდ...“

„არ შეგეძლო და ეს დღეს-ხვალ უნდა მომხდარიყო, შენ ნოე უნდა დაგუფლებოდა. ამისგან შენი დახსნა უკვე აღარავის და არავითარ ძალას არ შეეძლო. ტყუილად ჩაიკეტე ქორწილის ღამეს ცალკე ოთახში (მე შენ გეტყვი, მურთხს არ ჰქონდა ამის საშუალება.) და დააღე ფანჯრები...“

„ეს ალბეთ იყო, ხომ შეიძლება, ჭკუიდან გადავიდეს ადამიანი...“

„მაგრამ შენ უკვე ერთხელ გასწირე თავი, როცა მურთხს გაჰყევი და, ორჯერ არავინ იკლავს თავს... ამიტომ ვერც ფანჯრიდან გადახტი და ისე გათენდა, არავის კიბე არ მოუდგამს, ან სახურავიდან ბაწრებზე არავინ დაშვებულა, რომ ხელში ატატებული გადაეყვანე“.

„განა ეს შეიძლებოდა მომხდარიყო? მაგრამ განწირულ ადამიანებს უჩნდებათ სასწაულის იმედი. ალბათ ეს თავის გადარჩენის ინსტინქტია და დაუჯერებელს, შეუძლებელს წარმოიდგენენ, რომ ერთხანს თავი შეაფარონ, სანამ ბედია მონა გახდებოდნენ. ... ყოფნა-არყოფნა ჩალის ფასი გახდებოდეს, სანამ სული გამოეცლებათ და ლეშად იქცევიან. ლეში კი, თუ სხვამ არ აიღო და გადააგდო, თვითონ ძალა აღარ შესწევს და თავის ხრწნას თვალღია უცქერის“.

„რატომ, ის სასწაული, შენ რომ იმ ღამით ელოდი, ან იმის მსგავსი რამ უნდა მომხდარიყო. ქორწილიდან გაპარული დედოფალი, ან გაუტაცნიათ. მაგრამ „მას“ — ვისაც შენ იმ ღამეს ელოდი, აქვს თავისი მძიმე ნაკლი, თუ ხასიათის სისუსტე. ეს იცოდა ნატამ ისე, როგორც შენი შეუვალი ერთგულებისა იცოდა და უთუოდ ამის იმედიც ჰქონდა, იმ საშინელი, უკურნებელი სენით არ დაღუპულიყო, ვინ იცის, რა მოხდებოდა.

„ნატას არ შეეძლო ვინმეს სისუსტის ბოროტად გამოყენება. ნატა თავკერძობაზე და ეგოიზმზე ყოველთვის მაღლა იდგა!“

„მყვირალა სიტყვებია. ნატა ადამიანი იყო. ჭკვიანი, განათლებული, კულტურული, და არა გულუბრყვილო ადამიანი“.

„ნატას არასოდეს უთქვამს, რომ მის საფიცარ ხატს რაიმე ნაკლი ან სისუსტე გააჩნდა. იგი იმდენად აღმერთებდა ხინველს, სრულყოფილ ადამიანად მიაჩნდა“.

„ნატამ იცოდა — თუ გინდა შეგიყვაროს და გიერთგულოს, მხოლოდ მის ღირსებებს უნდა ხედავდე და არასოდეს არ უნდა ილაპარაკო მის უხეირო, უბადრუკ თვისებებზე“.

„როგორ, ნატა რაიმეს ხედავდა, ფიქრობდა და მე მიმალავდა?“

„არაფერს გიმალავდა, რისი გამხელაც შეიძლებოდა. მეგობრები იმდენად არიან გულწრფელნი, რამდენადაც ეს მათ ურთიერთობას არ ვნებს. ადამიანის — ამ ამოუწურავი, უფსკერო ოკეანის თვისებებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და ბოლოს მაინც მის ზედაპირზე დავრჩებით. ჩვენ იმ პირველი ღამის უბედურებაზე გვქონდა საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთი რამ გამოგვრჩა, სასოწარკვეთის თუ დაღუპვის დროს არსებობს კიდევ ერთი გადარჩენის ინსტინქტი — ცრემლი. ცრემლი სულაც არაა მოზღვავებული, აუტანელი ჭირის ან სიხარულის გამომხატველი მოვლენა, მას სხვა, უფრო დიდი მიაია აკისრია. ცრემლს ამოაქვს გულიდან ის დაუტევარი შხამი, რაც ადამიანს გაჰგუდავდა ან ჭკუიდან შეშლიდა. ცრემლი — შეურიგალს, ყურით გაუგონარ უბედურებას შეგარიგებს. გამწარებული და თავზეხელაღებული მანამდეა საშიში, სანამ ატირდებოდეს. სანამ მის სხეულში სასოწარკვეთის ზღვაა დაგუბებული. როგორც კი იგი თავს იჩენს და ცრემლის მდინარეებად და ტბებად დანაწევრდება, უვნებელია. შვილს რომ დედა უკვდება, ან დედას — შვილი, რაა ან ვინაა ამ ცოდო-ბრალის განმკითხავი და ნუგეშისმცემელი — ცრემლი".

„ცრემლი. დედაჩემის... ამქვეყნად ჩემი ერთადერთის. ვინ მყავდა... ვინ გამაჩნდა მე უბედურსა და შავდღიანს მის მეტი..."

„იმ შენი ქორწინების ღამესაც ცრემლი იყო შენი მფარველი და გადამრჩენი. შენ მანამდე ხეირიანად არც კი იცოდი იმის ფასი და მას შემდეგ კი, მადლობა ღმერთს, ხშირად სარგებლობ მისი თანადგომით და ჭირს იოხებ.

მატარებლის ცალკე კუპეც არ გამოდგა ხინიკაძეს აანთიობოდ. მეორე დილით, უთენია, რომელიღაც ზღვისპირა ბაქანზე ჩამოგაგდო ფაცაფუცით, თან როგორც იცის, იმ საქმიანი ფოლორცით ჩემოდანი და ჩანთები მოგიყარა და ჩაგეზებული წაგლიჯინდა. შენ თვალი გააყოლე, რაკი იცოდი, უკან არ მოიხედავდა. იგი დაღმართზე ჩარბოდა. ისე ჩქარა მოკლდებოდა და პატარავდებოდა, ისე მღრღნელივით დაძვრებოდა უზარმაზარი, კანშემოცლილი, ახოვანი ევკალიპტების ძირებში და აფუებულ, ნოტიო მიწაში და ნეშოში მუხლებამდე ჩაცურებულის მაყურებელს, ნატას ტკრცალი ჩაგესმა: „მურთხი!"

შენ იცოდი, იგი სახელდახელოდ რბოვიდა ბინას, სადმე მიყრუებულს, განცალკევებულს, განგებ პატარას, ერთი ციცქნას, რომ ორი საწოლიც არ გამართულიყო, ან, თუ მეორეც იქნებოდა, ააღებინებდა, რომ იმ ერთადერთზე გვეღდით მოგწოლოდა".

„ოთახში ორი საწოლი იდგა..."

„ის კი არადა, როგორც მერე გაირკვა, მან საგანგებოდ შეუკვეთა და დააადგმევინა. მასპინძელიც შეარჩია, თუ, მის ბედად, ხეიბარი გამოდგა. ორივე ფეხით კოჭლი კი არა, სახსრებდაკრუნჩხული. ყავარჯნებით რომ ერთად აითრევდა და კი არ გადადგამდა, გადადებდა. მკლავებიც მარილით თუ ჩაკირვით დამრუდებოდა და თითები დაღვარჭნილი ჰქონდა, იღლიებში შედგმული ყავარჯნებით გამოჰქონდა გასხვისებული სხეული მზიან ამინდში და კბილებჩაყრილი, პირმოღებული თვლემდა მზის გულზე, როცა ცოლი ციტრუსების ძირებში და ბოსტანში წელგაუმართავი საქმიანობდა. კოჭის ძაფით შეკრული, ბეჭდისტოლა ქინძისა და ოხრახუშის კონებს დილით სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ეზო-ეზო დაარბენინებდა და კაპიკ-კაპიკ გროშებს აგროვებდა. საღამოს მუდამ ჩხუბი და წივილ-კივილი იდგა. ქმარი ყავარჯნებს უბრაგუნებდა იატაკზე და ცოლს უბიდან ფულსა და სულს აცლიდა. უთხრა მერე მურთხა, როცა დაძმაკაცდნენ:

„რას ვერჩი, მაგრამ რომ მოვეფერო და თავზე ხელი ვუსვა, ამდენ შრომასა და წვალებას ვერ აიტანსო".

სამაგიეროდ ვაჟიშვილს ანებივრებდა. თვრამეტი წლისაც არ იყო, რომ ზღვის პირას მობანავე დამსვენებელ ქალებთან დილიდან საღამომდე სილაში ეგდო წითელი საბანაო ტრუსის ამარა, ეზოდან რომ ასე ტიტლიკანა გადადიოდა და ბრუნდებოდა. ისეთმა „ბრძენებმა" იციან, რა ეგოისტია ადამიანი და რით მოისყიდონ. შვილის გულს თუ არ მოინადირებდა, იგი სამართლიანობას მოითხოვდა და დედის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენ ჯაფას ვერ მოითმენდა, თვითონ კაცი არაფრის მაქნისი იყო და ოჯახს მარჩენალი ხომ უნდოდა.

შენ ამანაც გაგამწარა, გეგონა, მურთხს იქაურობა ადრევე ჰქონდა შეგულებული და განგებ იქ მიგაყენა, სადაც ქალი შენზე უარეს დღეში ჰყავდათ, რომ შენ ბედს იოლად შერიგებოდი. რა თქმა უნდა, ეს ეჭვი იყო, არ შეიძლებოდა მას მატარებლით ერთი ღამის სავალზე ამისთანა ოჯახი ეძებნა, ან მისი არსებობა წარმოედგინა. იქ, იმ ახლომახლო კი, ალბათ, ჩალანგარა ქოხი საგანგებოდ შეარჩია, რაკი შენ მის სრულ ოთახებში არ დანებდი. იმ საღამოსვე დარწმუნდი, რომ ამ „კუკუდამალობანასა“ და „ნამუსის“ დაცვას აზრი არ ჰქონდა. შენ მუჭში მალავდი იმას, რაც უკვე ნოეს საკუთრება იყო და ის კაცი სამართლიანად მოითხოვდა თავისას. სიმთვრალეში პატივმოყვარენი რომ ოქროს საათს გააჩუქებენ, ხელზე სუფრის ბოლომდე არ შეიხსნიან, შინ „გაიყოლებენ“ და მერე, გამოფხიზლებულები, პატრონს ეხვეწებიან ერთი ორი დღე მაცალეო. სიყვარული მოკრძალებულია, გაუბედავი და მორცხვი. ვნება — შიშველი, თავაწყვეტილი და უძღები. მურთხი გულზე გაწვა მაშინაც, როცა სურვილდამცხრალს, ქალი აღარც უნდოდა, მაგრამ მისი იმდენი ხნის მოლოდინი და ჩასაფრება, წყურვილი და ჟინი ვერ გელეოდა და მთელი ღამეები თვალს არ ახუჭვინებდა, იმ სახლის პატრონივით ცოლთან ჩხუბში ნერვებს რომ იშლიდა და აკანკალებული უკბილო პირიდან უშვერ გინებასა და დორბლს ჰყრიდა. ქვეშ გაგებულს, მურთხი არც თავს იზოგავდა და არც შენ გაძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას. ებრძოდა შენს სიცივესა და უგრძნობლობას, რომ შეურაცხყოფილს შური ეძია, სულწასულს შენში ქალი გაეღვიძებინა და რაკი შენში ერთგულების თავისთავადი გენი სხვა მამაკაცისკენ არ გაგახედებდა, შენი ვნების ცეცხლზე ხელები მხოლოდ ნოეს ეთბო. ესეც შენი უბედურება: როცა დანებდი, ერთგულად დანებდი და საკუთარ ბედს თუ თავს რაკი აუმხედრდი, თვითგვემისა თუ თვითდასჯის ავი, პათოლოგიური ვნება გაგიჩნდა, რომ თავი მურთხს ჩაუგდე საჯიჯგნსათრევად, რომ ყველასა და ყველაფერს არ გაექეცი და თუ საყვარელ ადამიანთან არა, საძულველს მაინც ლეიბად არ გაჰგებოდი. იმ დღეებში შენ ნიშნისგების, ნაცვალგების, დასჯისა და დასჯილის წვალების ავადმყოფური ჟინი გიჭერდა კისერში ხელს და ყოველ მოსურვილებაზე და ყოველნაირ ხუსტურზე თავს ხელში აჩეჩებდი, რომ შენი ცივი სხეულის თრევისთვის თვალღიად გეცქირა, შურისგებით დამტკბარიყავ. დაიქანცა მურთხი, დაილია, გამოებლიტა ისედაც არაფრისმთქმელი წყალწყალა თვალები და ის თვითკმაყოფილისა თუ პატარა მფლობელის რიხიც დაკარგა, რომელიც ავ კაცუნას მაინც ამგვანებდა...“

„ეს იყო თქვენი თაფლობის თვე“.

„მერეც, როცა თქვენი ოჯახური ცხოვრება დაიწყო, ვერაფრით იმის შეგუება ვერ შესძელი, რაც არ გიყვარდა, რაც შენი არ იყო. მურთხები ის გარეწრები არიან, ყოველნაირი მუხანათობით მონაპოვარს რომ ითავისებენ და ოცდაოთხნათურიან ბროლის ჭაღს მაღლა რომ ჰკიდებენ, ქვევიდან მორცხვად კი არ შესცქერიან, ზედ ადიან და იქიდან იმზირებიან. შენ, ერთხელ, სამზარეულოში კედელზე ხის კოვზების, ჩამჩისა და ქაფქირის საკიდი თაროს მიმაგრება დაგჭირდა. თურმე ნოე ლურსმნის მიმჭედებელიც კი არაა. გაგიცხადა კიდეც: მე დურგალი და კალატოზი არა ვარ, ეკონომისტი მქვია, უმაღლესი კინაღამ წითელ დიპლომზე მაქვს დამთავრებულიო. „დურგალი და კალატოზი“ გულზე კი გეცა, გეგონა, შენი წარმოშობა და მამაშენის ხელოსნობა გაქირდა, მაგრამ ლურსმნის დაჭედება რომ მხოლოდ ხელოსნების მოვალეობა ეგონა, ეს უფრო ამიტომ თქვა, თავის საქმეს კი რომ მართლა რაღაცად თვლის და სამსახურის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ მწვანე ხავერდგადაკრულ რბილ დივანზე ვაღმობდილი კაცივით რომ ნებივრობს... გულზე გაშლილი გაზეთი რომ ადევს და ან თვლემს, ან ჭერიტა თვალების ბლეტვით მსუნაგად გითვალთვალებს, როგორც ომით მონაპოვარ განძს, თვალებიც რომ დაითხარო, მაინც დაინახავ. მურთხებმა ისიც უნდა აკეთონ, რაც მათი თანამდებობის პატრონსან შემსრულებელს დასჭირდებოდა, რასაც სამსახურის საქმე მოითხოვს და ისიც, ალბათ ორჯერ მეტი, რაც მათ ჯიბესა და „ოჯახს“ უნდა. ასე, მართლა ქუჩაში კი არაფერი ყრია, ნამუსზე ხელის აღება გეყოს და აბოჭო. ცხვარი თუ მოგაბარეს, ცხვარს მოითხოვენ და, ჩვენ რას გავიგებთ, რამდენნაირ გველის ხვრელში უნდა გაძვრე, რომ გაკრიჭო და დუმა მოათალო. ჯოჯოხეთურ შრომას აიტანს ადამიანი თუ მის წვალებას დამფასებელი ჰყავს. მურთხებმა იციან, მათ „მოღვაწეობას“ ტაშს ვერ დავუკრავთ, ამოდენა რისკი, თავგანწირვა და წელისწყვეტა უნდა მალონ და თუ კიდევ შერჩათ, ვინ მამაძაღლი ამოიღებს ხმას. ზოგჯერ აქლემის მომპარავს ნემსის ქურდობაზე წაასწრებენ და ბუმბულის მაგიერ ბეტონის იატაკზე მოუწევს წოლა. ამაზე გამწარებულები, დახარბებულები არიან და ასწრებენ. ასწრებენ ხავერდგადაკრულ რბილ დივნებზე კოტრიალს, ჭამა-სმას, ღვინოს, ქალს, ძღომას, თრობას, ხრჩობას, ყველაფერს, რასაც ისინი ცხოვრების სიამტკბილობას ეძახიან. თითქოს ყოველი დღე უკანასკნელი იყოს და ყოველი ღამე გაუთენებელი, არანორმალური, არაადამიანური მათი შრომა და დასვენება, მათი ლხინი და დროსტარება, მათი ლოგინი და ქალი...

ამიტომ იყო შენმა ფეხმძიმობამ ვერ მოგიტანა ის ბედნიერება, რაც ქალმა დედობის მოლოდინით უნდა განიცადოს. შენ განგაცვიფრა ამან და სიხარულის მაგიერ კიდევ ახალი გულისტკივილი გაგიჩინა“.

„მეგონა, სრულფასოვანი ადამიანი არა ვარ-მეთქი!“

„ჰო, შენ ეს საკუთარი სიმახინჯე გეგონა, რაკი ჯერ სრულფასოვანი ქალი არ აღმოჩნდი და მერე დედობის მოლოდინიც, ერთადერთი შენი არსებობის მიზანი, ხელიდან გეცლებოდა. თითქოს შვილი ნახევრად იქნებოდა შენი და არა მთლიანად. თითქოს, რაც შენს სხეულში ჩაისახა, შენი არ ეთქმოდა. თითქოს, რაც შენ უნდა გეშვა, სხვისვის უნდა დაბადებულიყო. რაც უსიყვარულოდ შეიქმნა, უდედმამოდ უნდა გაჩენილიყო“.

„ეს საშინელებაა!“

„აქამდე ამას შენ თავსაც ვერ უმხელდი. იშორებდი, იგერიებდი, ებრძოდი იმაზე წამიერ ფიქრსაც, რომ მშობიარობის შემდეგაც შვილი მთლიანად შენი არ იქნებოდა და ამ ერთადერთ, მხოლოდ შენად „შობილს“ ვინმე შეგეზიარებოდა. მას, შენის გარდა, სხვისი ხელიც ექნებოდა, სხვისი ყურიც ან თმის ფერი გამოჰყვებოდა და რასაც შენ არ უცქერდი, იმას დაინახავდა. შენ შეგიპყრო სასოწარკვეთამ და შიშმა, რომ მოკვდებოდი, რომ ამ უზენაეს ბედნიერებას, დედობრივ ღვთაებრივ ამაღლებას ვერ მოესწრებოდი, რაკი ამის ღირსი არ იყავი, რაკი ეჭვი შეგეპარა წმიდათაწმიდაში და შებღალე. მკრეხელი ხარ, რაკი ხატი ტეხე და ანგელოზს ფრთა მოკვეთე...“

„მკვდარი მესიზმრებოდა ჩემი თავი, ცალი თეთრი, ცალი ყოფნისფრთებიანი ანგელოზი რომ გულზე მაჯდა და ცალ თვალს მიკორტნიდა. ანგელოზი ორბის თავითა და ნისკარტით...“

„აკივლებული იღვიძებდი და გეწყებოდა პირის ღებინება. ამის გამხელა არ შეგეძლო და ცუდ, მიზეზიან ორსულობას აბრალებდი. მეორე დილით სამსახურში წასასვლელ ქმარს ძილი და მოსვენება აღარ ჰქონდა: რომ შენ გესიზმრებოდა „რაღაც“ ისეთი („ვიღაცო“ ამის თქმას ვერ ბედავდა), რაზეც არ ლაპარაკობდი, არ იყავი გულწრფელი, რასაც შენგან ელოდნენ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათხოვების შემდეგ შეიცვალე. არ შეიყვარე ის, ვინც შენთვის ყველაფერი გააკეთა და ახლაც დღეს და ღამეს ასწორებს, რომ „ადამიანურად“ გაცხოვროს. რომ უსიხარულოდ, აკანკალებული, შეშინებულიც კი, მოელი შვილის გაჩენას. ქმარი არ გიყვარს და რასაც ოჯახისთვის აკეთებ, თითქოს იძულებით, დაქირავებული ქალივით, უგულოდ და უგულისყუროდ. აკეთებ, ქმრის გამოჩენა არ გახარებს და თავის ნაშრომს ძაღლივით მიუგდებ, ლუკმას ამადლი, დედამთილს წარბშეკრული ხვდები, ნათესავ-მეგობარი არც შენი გინდა და არც მეუღლის. ქმარს სახეში არ უცქერი და დანახვაც კი არ გინდა და, თუ მაინც თვალში გებორკება, მის მიღმა იხედები. თქვი, რა გაკლია, რა ინატრე და არ აგისრულეს... რაკი ითქვა, ყველაფერი ითქვა: ბოლოს და ბოლოს, ძალით არავის მოუტაციხარ... ცოტა ყოფილა, ერთმანეთისთვის ჭკუას არ კარგავდნენ, შეუღლებულან და ოჯახი შეუქმნიათ? შვილი აღუზრდიათ და მომავალი, დედამთილ-მამამთილისთვის პატივი უციათ, კუთხე სცოდნიათ და მეზობელი, ლხინში წარბგახსნილი მსხდარან და ჭირში — თმაგაშლილი“.

„მართლა, როგორ იყო? როგორ იქმნებოდა ოჯახები, როცა ჯვრისწერამდე ზოგჯერ ერთმანეთი არც კი ენახათ“.

„ჯერ ერთი, ჩვენში როდის იყო ქალი ისე კარგამოკეტილი, მზის სხივი არ ენახა. ჭირში დედაკაცი იყო თავიდათავი ჭირისუფალი, ჩანდა მისი გულმომწვაობა და მოყვარული ხასიათი. ლხინი იყო და შეხვედრა, სტუმართმოყვარეობა, ნახელაობა, სუფრაზე თავდაჭერა და ოჯახიშვილობა. ეკლესია, წირვა-ლოცვა, რწმენა და ღვთისმოსაობა, დღესასწაული, ჯარიანობა და დღეობები... მარტო ერთ ქართულ ცეკვაში გამოჩნდება ქალ-ვაჟის ვარგისიანობა, ბუნება და სულიერ-ფიზიკური ჰარმონია. ყველა სიმღერაში მონაწილეობდა ქალი, ყველა თავყრილობის წევრი იყო, ხმისა და სიტყვის პატრონი. არც თვალახვეულსა და ბაწარზე გამობმულს ატანდნენ, ვინც მშობლებსა და ნათესავებს მოესურვებოდა. ამას გარდა, არც მაჭანკლობა-გარიგება იყო ყოველთვის მარტო გამორჩენასა და თავგაციებული დედაბრების ხუსტურსა და ლაქლაქზე დამოკიდებული. ბევრი ამისთვის მოწადინებულიც კი იყო და ათასიდან ერთს გამოარჩევდა, მეორე — ათასიდან გამორჩეულისათვის. ასე, მართლა, ყვავს არწივს კი ვერავინ შერთავდა და მელას — ლომს, „ტოლმა ტოლთან განისვენოსო“. ბოლოს და ბოლოს, ქალ-ვაჟი რომ დაინიშნებოდა, ქორწილამდე მთელი წელიწადი წინ იყო, მანამდე სასიძო სამოყვროს ხშირი სტუმარი იყო, ერთმანეთს ეცნობოდნენ, უახლოვდებოდნენ. რამდენი ყოფილა, დანიშნულზე რომ უარი უთქვამთ, ან შეუღლებულები გაყრილან. მაშინ ღმერთის რწმენა ჰქონდათ და რაც ბედმა არგუნათ, ღვთის წყალობად მიიჩნდათ და განგების ნაბოძვარზე მოკვდავს ხელისკვრა არ ეგებოდა. ორჯერ ჯვარს ვერ დაიწერდი, ღმერთს თავისი ნაწყალობევი რომ თვითონვე წაერთმია. სიკვდილ-სიცოცხლით ის შენი იყო და შენ მისი. შენი სული ზეციერს ებარა, მისიც და, თუ განსასჯელი იყო, ის განსჯიდა...

დღეს, როცა სულიც ჩვენია და ხორციც, გაჭირდა ღმერთისა და კაცის პატრონობა. სული რომ დავაპურეთ, ხორცი მოგვიშივდა. ხორცი გავაძღეთ და სული გაგვიპარტახდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანზორ აბულაშვილი

ფიქრი ორმოცდაათი წლის კაცისა

მე წარმოვიდგენ ყვავილებად ხანდახან მართლაც,
უფრორე ხშირად რომ იღიმის ყვითლად და თეთრად,
ამ ორმოცდაათ ფერგადასულ ზაფხულს და ზამთარს,
გაზაფხულსა და შემოდგომას — შეკონილს ერთად...
ჩემი სიზმრების კვლავ სულპირველ შამბნარში ვწევარ
და ცისარტყელა კიბედ ადის მიწიდან მზემდე.
მეორე წლისკენ ჰა — მისროლა პირველმა წელმა,
მერმე მეორემ მესამისკენ... და ასე შემდეგ.
ნელ-ნელ დნებოდა მობრჭყვიალე ბურუსის სისქე
და მევსებოდა ტკბილ-მწარეთი გაწვდილი პეშვი.
მისროდა ჟამი ერთი წლიდან მეორე წლისკენ,
გადმოვდიოდი მღვრიე წლების ხელიდან ხელში.
და მოველ დღემდე, არც მე მიღირს სიცოცხლე ჩალად
და ვფიქრობ ჩემთვის, დაკაწრული ეკალ-ბარდებით,
იმ ძაბუნ წელზე, რომელს აღარ ეყოფა ძალა,
ვეღარ დამიჭერს და ხელიდან დავუვარდები.

მამულო, შენთვის სათხოვარი

სიკვდილით ჩემით რა უნდა გარგო,
როცა სიცოცხლით ვერარა გარგე...
ძე და ასული, ვით ორი ნერგი,
შენს საჩრდილობლად ახლაღა დავრგე.
მხოლოდ ეს ორი — სამსხვერპლოდ
შენდა,
ჩემგან მოძღვნილი ორი ზვარაკი
და ორი კრავი და მერმე ერთად
ზათქით დაძრული ორი არაგვი.
შავი არაგვი, თეთრი არაგვი,
ეს ჩემი ორი შემოსაწირი,
შენი მთა-ბარის, შენი ქარ-წვიმის,
შენი მაისის სუნთქვის ნაწილი
რაც გამაჩნია, ეს არის მხოლოდ,
ხან კი რად გინდა ფიცი და მტკიცი,
როცა ვინ რითი ცოცხლობს და
ცხოვრობს,
ყველაზე უკეთ შენ თვითონ იცი...
შენს ბრიალა ცას ავხედავ ხარბად
და სავედრებელს შემოგთხოვ აგრე:
— ფესვი უმაგრე უმწეო ნარგავთ,
შენს საჩრდილობლად რომელიც
დავრგე.

●

წუხელის ბიჭი დაბადებულა,
გადაჭარბებად თუ არ ჩამითვლით,
ისეთი ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე დავითი!
წუხელის ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ იმისთვის — ცოტნე,
შენ — ორგულობავ, აბა გაბედე
და გული ჩვენი ისევე კორტნე!
წუხელის შოთაც დაბადებულა,
დაბადებულა თურმე დემეტრე,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განგებავ, ჩვენი საქართველოსთვის
რა სიხარული გამოიმეტე!
წუხელ ცის კარი ცხრავე გააღო
ყველა გმირმა და თავდადებულმა:
დაბადებულა თურმე ვახტანგი,
წუხელ თევდორე დაბადებულა!
საქართველოს ცა ისეც მაღალი
უფრორე მეტად ამაღლებულა,
დაბადებულა მთვარე — გიორგი,
თურმე ილია დაბადებულა!
წუხელის მტერი —
ერთპირად ჩვენი
მოსპობის მდომი — დადარდებულა,
დაბადებულა თურმე სულხანი,
გრიგოლ ხანძთელი დაბადებულა!
დაბადებულა ბიჭი პაატა!
გათენებულა წუხელის თეთრად:
დაბადებულა სამასი გმირი,
ვით დაიხოცნენ,
ისევე ერთად!
. . . . . .
წუხელის გოგოც დაბადებულა,
ცის ნამი, ცისფრად ნაკამკამარი,
ისეთი გოგო დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე თამარი!
დაბადებულა წუხელის ნინო
და ქეთევანი დაბადებულა!
ის ბნელი ღამე თურმე უეცრად
ღვთიურის ნათლით განათებულა!
ყველა ზღაპარი — ნაოცნებარი
ახდენილა და გამართლებულა:
დაბადებულა თურმე ნესტანი
და თინათინი დაბადებულა!
და გიხაროდენ!.. ქართველთა შორის
ღვიძლ ძმათა ხიდი კვლავ გადებულა
და ერთიანი, ნანატრი დროის,
ქართლი ხელახლა დაბადებულა!!!

ვედრება

უფალო, ჩემს ძეს — ქარი და ნისლი,
კაცთ საკადრისი სევდა უძირო,
ტკივილი, ზოგჯერ გაუსაძლისი,
არ მოაკლო და არ დაუძვირო.
ნაგვემს ტანჯვითვე მიეცი შველა,
უბოძე საღმრთო სესხი და ვალი:
მერანზე უფრო მერანი — ელვა,
მერიზე უფრო ცისფერი ქალი.

ო, როგორ მღუპავს გრძნობა...
გალაკტიონი.

რაც მიწერია, ის უნდა ახდეს!
გულში სიცხადემ დაიდგა ტახტი:
მზაკვართან ჯიბრით რას უნდა
გავხდე,
თუკი დათმობით ვერაფერს გავხდი.
ბედს რაც ესურვა, ის უნდა ახდეს!
ეს ღვინო მაინც დამიდგით ნაღდი;
სიავით ჩემით რას უნდა გავხდე,
თუკი სიკეთით ვერაფერს გავხდი.
დეკემბრის ღამეც წუხილში გატყდეს!
ჩემს გზებზე — ყველგან ჭრილობად
მახლდი...
თუნდაც ღალატით რას უნდა გავხდე,
თუ ერთგულებით ვერაფერს გავხდი.
ფეხზე ვდგავარ და რად უნდა წავხდე!
გულო, აწ თვალთმაქცს სხვაგვარად
დავხვდი.
ან სიძულვილით რას უნდა გავხდე,
თუ სიყვარულით ვერაფერს გავხდი.
გულჭვათა მხარეს გადავსახლდები...
სოფლის სიმუხთლეს ბოლომდე
ჩავხვდი,
სად სიკვდილითაც ვერას გავხდები,
რაკი სიცოცხლით ვერაფერს გავხდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოდნავ ნაღვლიანს ჰგავს დღესასწაულს,
იანვრის ქარი როცა ცხარდება,
ცხოვრების მრუმე დრამაში ჩემს წინ
შენი თოვლისფრად გამოცხადება.
არმიწიერი კრთის მღვრიე ქარში
მიმნდობი მზერის ციაგი — ბროლი,
ჩანს წუთისოფლის მზაკვრულ დრამაში
შენ ანგელოზის გებოძა როლი.
მეკი ამ ერთხელ — ამ სიყვარულის
აღარ მომიწევს ყალბი თამაში
და ჟონავს წრფელი ცრემლი ფარული
ჩემი ცხოვრების ნამდვილ დრამაში.

ბრძოლის ქარცეცხლით
კალთებშემომწვარ
და დაფლეთილი დროშის
ქარში ფრიალ-ტკაცუნით
შეიცნობა სიამაყეც და უტეხობაც
იმ ხალხის, ვისაც ბედმა არგუნა
დაჭრილ-ნაჩეხი ჰგვანებოდა თვისვე
ბაირაღს.

. . . . . .

სამშობლოს მხოლოდ ამნაირი
დროშით იცავენ.

ხვატში ამოდ შრიალებენ
შენი გრილი ჭალაკები...
და ჩურჩულით — გულში ჩემთვის
შორით გელაპარაკები.
შენს მოწყენილ ღიმილს ვწირე
ღვთის საფერი ზვარაკები.

ვერას ხვდები რას ვჩურჩულებ
და რას გელაპარაკები.
ფუჭად მიეთმოეთობენ
ყავის შავი არაკები,
თუკი ახდა, რასაც ახლა
ჩუმად გელაპარაკები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

მომეჩვენა თუ...

მომეჩვენა თუ... მეძახდით მართლა,
თუ მეძახოდით, აჰა, მოვედი,
თანაც, ის დროა, საკუთარ თავთან
ვერ დარჩებოდით განმარტოებით.
ეს ის ჟამია, ხანგრძლივი ბრძოლით
სითბომ სძლია და... დაამხო ყინვა,
მოტყდა ზამთარი — ბებერი ლომი
და ენძელებმა დაიწყეს ბზინვა.

ეს ის ჟამია, როცა ნუშებმა
ჰაერს დაატყვეს ქათქათა ხნული,
როცა არ იცი, როგორ უშველო, —
მთელის ძალით რომ მუშაობს გული.
ჰოდა, ცხადია, მიხმობდით მართლა, —
მომიხმობდით და — კიდეც მოვედი...
ისეთი დროა, საკუთარ თავთან
ვერ დარჩებოდით განმარტოებით.

კიდევ კარგია!

მე ხომ ვიცოდი და ვიცი ახლაც, —
რასა და რატომ იფარავს ხავსი...
რაც მთელის გულით გწადდა და ახდა,
მას შენსავ თვალში აკლდება ფასი.
მე ხომ ვიცოდი, შენი გზა გქონდა,
მე კიდევ — ჩემი, ხოლო ეს გზები
არ გადაჰკვეთდნენ ერთმანეთს ოდეს
და ფუჭად დავშვერ ამაო ცდებით.
ხოლო ამ ცდებმა ჩემსავე თავზე
გადაიარა გრგვინვად და მეხად,
მე ხომ ვიცოდი, თუკი ხარ ნაზი,
ვეღარ გამოხვალ, ცეცხლში თუ შეხვალ.
კიდევ კარგია, ყოველი ისე,
იმგვარად მოხდა, როგორაც მოხდა...
ახლა... სიამით ვაბრუნებ კისერს, —
ქუჩაში წყვილი სეირნობს კოხტა.

პოეტის ბედი

შესაშურია პოეტის ბედი,
ძალზე მძიმეა პოეტის ბედი, —
მან მუდამ იცის რაღაცა მეტი
და მაინც უნდა იცოდეს მეტი.
შესაშურია პოეტის ბედი —
ნიადაგ ესმის ციური ხმები,
ლაჟვარდებს სერავს მაღალის ნებით,
თუმც, რა თქმა უნდა, არა აქვს ფრთები.
ძალზე მძიმეა პოეტის ხვედრი, —
ყველაფერს სხვაგვარს მოველით
მისგან,
მასაც აბრუნებს ცხოვრების ეტლი,
ადარებენ კი ქურუმს და მისანს.
მიმტევებელი და მეამბოხე
და ერთდროულად ბავშვი და ბრძენი...
ფეხქვეშ უგია ეკალიც, ნოხიც,
ცხოვრობს თავისით და ცხოვრობს
შენით.
გულგრილს ვერ სტოვებს ვერა
სულიერს
ჩვეულებრივად ნაშობი დედის...
ოღონდ... რაც უფრო ტრაგიკულია,
მით უფრო გვხიბლავს პოეტის ბედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ამღამინდელს...

თუ ამღამინდელს გავაღწევ ღამეს,
სხვასაც გავუძლებ უარეს ღამეთ,
გავუძლებ მწარე არათუ წამებს, —
ზღვარად წამოსულ ასობით დრამებს.
თუ ამღამინდელს გავაღწევ ღამეს,
ხოლო გაღწევა ძნელია ერთობ...
ოღონდ... არც ცრემლი, არცარა ნამი,—
აი, მაშინ კი გიწამებ, ღმერთო!
თუ ამღამინდელს გავაღწევ ღამეს
და არ ჩამიქრა გონების თვალი, —
მაშინ კი უნდა ვიწამო რამე
და პირველ ყოვლის — ჩემივე ძალი!

ოჰ, ეს სანახები!

სიმწვანემ ლაპარაკი დაიწყო,
სიმწვანე ამეტყველდა ძალუმ, —
ყოვლის სასმენელი დაიპყრო
ბგერებმა, აქამდე ფარულმა.
სიმწვანემ რაკრაკი მოაგონა
რაკრაკმივიწყებულ ღელეთ...
მდინარე ტალღებს მოაგორებს,
ბუნება მოაგორებს ფერებს.
ოჰ, ეს საყვარელი სანახები, —
კოხტად მომზირალი ატამივით...
თავს აღარც ვეკუთვნი სანახევროდ, —
ერუანტელისაგან ატანილი.

მესიზმრა...

წუხელის მესიზმრა ტერენტი
გრანელი —
დღე იყო ჩახჩახა, მზიანი,
სევდას ასხივებდა ტერენტის
თვალები —
ეგრისის ნატიფი იანი.
ნათელში იდგა და ბრწყინავდა ერთიან,
თვალებში კი ედგა ბორიო,
ღამე, ეტყობოდა, ბაღში გაეთია, —
ფეხზე შეეგება ორიონს.
ადგა, გამოვიდა ბაღიდან უძილო,
ლექსი აედევნა ბავშვივით...
ლექსი აედევნა, ეს უცილობელი
ცის და დედამიწის კავშირი.

და... როგორც იქნა

და როგორც იქნა, როგორც იქნა, განვაგდე ჩემგან
წარსულის მავნე გადმონაშთი — სიყვარული —
შლეგი, ველური,
პირველყოფილი, — წამლეკავი ყველას და ყოვლის.
ის ბატონობდა სხეულსა და გონებას ზედა,
მეუფეობდა გულსა ზედა, ნებასა ზედა,
გარს მევლო, როგორც ბეტონის გარსი,
და აღარ იყო საშველი არსით.
მე მას ვებრძოდი თავგანწირვით, თავგამეტებით, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩართული მყავდა ამ ბრძოლაში ჩემი მძიმე არტილერია —
გული, გონება, ნებისყოფა, ციდა სხეული
და... როგორც იქნა, როგორც იქნა, იქმნა ძლეული
ეს უსაშველოდ წამლეკავი, პირველყოფილი,
წარსულის მავნე გადმონაშთი —
სიყვარული — შლეგი, ველური.
და ახლა ვდგავარ გამარჯვებულ-დამარცხებული,
სავსე — ზეობა-სიხარულით, სიცარიელით
და გამარჯვება-დამარცხებით დანაცრებული, —
უარმყოფელი სიყვარულის, ტრფობით მშიერი
და... სიყვარულის უარყოფით განაციები.

გამომეღვიძა და...

გამომეღვიძა და გავიფიქრე, —
ღვიძილს ხან ძილი სჯობნის
სწორედაც,
ცად ვმაღლდებოდი, ზღვად იდგა
იფქლი, —
და მწადს ამ სიზმრის გამეორება.
ზღვა ღელავდა თუ ჯეჯილი იყო, —
რაღაც ამგვარი — ზღვა-ჯეჯილს შუა...
მზე დაჰყურებდა მარჯანის რიყეს, —
სიზმრად ვფიქრობდი — სიზმარი თუა...
ცხადს, ზოგჯერ მართლა სჯობია
ძილი, —
თუმც... ძვირფას სიზმრებს ვნახულობ
ძვირად,
ხვალ, ფერად სიზმრით ავდგები
დილით, —
ამაღამ ვწვები ტეხურის პირას.

როგორც მინდოდა

როგორც მინდოდა იმგვარად არა,
როგორც მომიხდა, ვიცხოვრე ისე, —
ყველა მეორე ძე-კაცის დარად,
მღელვარედ, მდორედ, მშვიდად და
მქისედ.
არავინ ცხოვრობს როგორაც უნდა,
მე რატომ უნდა მეცხოვრა, ჰოდა, —
როგორც მეწადა, როგორაც მსურდა, —
რა საამისო სიკეთე მქონდა.

ერთი კი არის, — ვიცხოვრე სულით
და სულისათვის დავჩაგრე გვამი...
გულზე გამევლო ასობით ხნული,
თვალებს ნიადაგ მიმკობდა ნამი...
ტაძარს ჰგავს ახლა სხეული ჩემი,
მე ტაძრის ბზარებს სათუთად ვუვლი
და ამ ტაძარში, როგორც სანთელი,
ლიცლიცებს ჩემი ანკარა სული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გეგეშიძე

ჭამი

ისტორიული მოთხრობა

ბაყაყების ყიყინი მესმის. საცაა გათენდება. კიდევ კარგი, რომ თბილა.

დაგლეჯილ ანაფორაში გახვეული, ძაღლივით ვგდივარ ბუჩქის ძირში დაგდებულ ხავსზე.

მსიამოვნებს ბაყაყების ყიყინი რომ ისმის შორიდან. ეს ხმა მამშვიდებს, მაწყნარებს. ეტყობა, ახლოა მდინარე. მდინარისპირა ტბორებში ჩასკუპული ბაყაყები იწყებენ ყიყინს გარიჟრაჟისას...

ცა ჯერ ბნელია, მაგრამ ვატყობ, საცაა ინათებს.

სწორედ ამ დროს მეღვიძება ხოლმე. დაუღალავად მოვდივარ და მოვდივარ, სიქა მეცლება, დაბინდდება თუ არა მიწაზე ვეცემი და მკვდარივით მეძინება. მაგრამ გათენების წინ, როცა წამით გაიტრუნება ქვეყანა, ვიღაც ფეხს მკრავს თითქოს, უცებ მეღვიძება, ლანდივით ვდგები და ისევ მივდივარ, ხან მივრბივარ, ხან მივლასლასებ...

ფეხები დამეჩქლითა...

თუ მდინარეზე გადასვლა მოვახერხე, მერე არაფერი მიჭირს. ვინ იცის, გაღმა რა ხდება. მე ყოველთვის იმის იმედი მაქვს, რაც არ ვიცი. რაც ვიცი და შევისწავლე, დავინახე და გავიგე, — უიმედოდ მდაბალი და უბადრუკი აღმოჩნდა. სასტიკად ცდება ვისაც ჰგონია, რომ ოდესმე კეთილი სძლევს ბოროტს. ნეტავ, გულწრფელად სჯერა ვინმეს ეს ცარიელი სიტყვები?

აღარც ვიცი, რამდენი ხანია მოვდივარ. ამერია დღეების სათვალავი. თითქოს ბნელ ხაროში ვიყო ჩაგდებული. ცხოვრება მართლაც ბნელი ხაროა, ადამიანები — ვერაგები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაუტანლობის და უმეცრების მოწმედ ყოფნა, ყოველივეზე გულს გიცრუებს. ნებსით თუ უნებლიეთ, ყველას ვიღაცის დაჩაგვრა, დამონება, გამწარება და მოკვლა უნდა. არ არსებობს კაცი, ვიღაცის მოსპობა რომ არ სურდეს. და სპობენ კიდეც ერთმანეთს სხვადასხვა საშუალებებით. იმისთვის არსებობენ, რომ ერთმანეთი ჟლიტონ, ერთმანეთს თავს მოახვიონ საკუთარი ნება-სურვილი, თითქოს სისხლში თვითგანადგურების მძაფრი ჟინი უდუღდეთ, რომელსაც ათასგვარი ტყუილით ნიღბავენ. მთელი ცხოვრება ტყუილებზეა აგებული!

ეს არის ადამიანის მაღალი დანიშნულება?

ცაზე თალხი ღრუბლები ირევიან. ვიწვები ცოტა ხანს, ძვლებს მოვასვენებ, რა მეჩქარება, ვინ მომდევს? თუმცა, ვინ იცის, იქნებ მომდევენ კიდეც. იქნებ, ახლოსაც არიან?! გუშინწინ სერზე ავედი, სადაც დანგრეული სახლი და ერთადერთი ხე იდგა. იქიდან რომ გადმოვიხედე, შორს, ტყის პირას, ცხენოსანი დავინახე. იქნებ, იმანაც დამინახა? ეტყობა, ერთ-ერთი იმათგანი იყო. კარგა ხანია შევამჩნიე ეგენი. საღღაც მიდიან თავის გზაზე ჯგროდ, თავიანთი ურმებით და საქონლით. ვითომ ჭირს ერიდებიან. მე მგონი, თვითონაც არ იციან, სად მიდიან. ჯერ დასავლეთისკენ ჰქონდათ გეზი აღებული, ახლა ჩრდილოეთისკენ გაუწევიათ. მე ჩემი გზა მაქვს, მე ჩემთვის ვივლი. არ მინდა მაგათ შევუერთდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვერდები მტკივა, მთელ ტანში მამტკრევს. განსაკუთრებით მაწუხებს მაინ ჩამტვრეული ნეკნი, იმ გარეწარმა ჩაფარმა რომ შემინგრია შუბით, ვიდრე მოვკლავდი...

●

ქალაქში ჭირი იყო მოდებული. ქალაქის კარიბჭესთან გუშაგები იდგნენ, რომლებიც გალავანს გარეთ არავის უშვებდნენ. კაცმა არ იცოდა საიდან შემოდიოდა სურსათ-სანოვაგე, ვინ ამარაგებდა მოქალაქეებს. ყოველდღე იხოცებოდა ხალხი და აქა-იქ მწარე მოთქმა ზარავდა სულს, მაგრამ მოთქმა-გოდებას ფარავდა სიმღერა-მხიარულება, დაფა-ზურნა და დუდუკების ღუღუნი, განუწყვეტლივ რომ ისმოდა ბაღებსა და სამიკიტნოებში, რადგან დღე და ღამე ქეიფობდა ჭირიანი ქალაქი, თითქოს არავითარი საშიშროება არ ელოდა და არც არაფერი ხდებოდა განსაკუთრებული. დუქნები და აბანოები მუდამ გაჭედილი და გადატენილი იყო, უამრავი ღვინო ისმებოდა, უამრავი საქონელი იკვლებოდა. შრომა არავის ეხალისებოდა. ღამღამობით, როცა რომელიმე სახლის ბანზე ავდიოდი ღამის გასათევად, გათენებამდე მესმოდა მოქეიფეთა ხორხოცი, ქალების კისკისი. ყოველ ხის ძირში წააწყდებოდი ერთმანეთის მოტრფიალე წყვილებს, რადგან მხოლოდ ერთი კერპი ბატონობდა, ეს იყო — დროსტარება, თავდავიწყება. და მართლაც დროს ატარებდნენ, მხიარულობდნენ, ჭირს არ იმჩნევდნენ...

მშიერი და უპოვარი დავწანწალებდი ლუკმა პურის საშოვნელად. შემეძლო შენება, კედლების მოხატვა, წიგნების გადაწერა, მაგრამ ვის რაში სჭირდებოდა ჩემი ხელობა, ხელს ვინ მომიმართავდა, როცა დაუსრულებელ ძღომაზე და დაუფიქრებელ ტაციაობაზე იყო მიდრეკილი ქვეყანა. ერთხელ, დაღლილი, ქალაქის კედელთან ჩრდილში დავჯექი. მოშორებით შევამჩნიე სახედანაოჭებული, წვერგაბურძგნული კაცი, რომელიც ერთი შეხედვით მაწანწალას ჰგავდა. ისიც ჩემსავით გასცქეროდა ქალაქის ამ უბანს, ხელისგულივით რომ გაშლილიყო ძირს. ჩვენს ქვემოთ მოჩანდა პატარა მოედანი, საითაც ვიწრო ქუჩაბანდები ეშვებოდნენ და სადაც გაუქმებული ეკლესია და ალიზით ნაგები რამდენიმე სახლი იდგა. ერთ-ერთი მიწურის წინ ბავშვები თამაშობდნენ, ხოლო სახლის ბანზე წამით შავად მორთულ ქალს მოვკარი თვალი. ცოტა მოშორებით, ერთ-ერთი ალაყაფიდან კაცებმა კუბო გამოიტანეს, ვირტაჭზე დადეს და სასაფლაოსკენ წაიღეს. ეკლესიის უკან, ხეებით შემოფარგლული კოხტა მინდორი ამწვანებულიყო. იქ, მდელოზე, ჭადრის ჩრდილქვეშ თვალწარმტაცი ჭაბუკები წამოწოლილიყვნენ, მიწაზე სუფრა გაეშალათ და ილხენდნენ. ცხენებიც იქვე მიეშვათ საბალახოდ. პატარა ბიჭი ყარაულობდა ცხენებს. მოქეიფე ჭაბუკები ისე ტკბილად იმღერდნენ, ტანში ჟრუანტელი დაგივლიდა. მაწანწალამ შემომხედა და უცხოური კილოთი მითხრა: „დროს ატარებენ“. შევამჩნიე, რომ იგი ამას დაცინვით ამბობდა.

„ეხლა მაგის დროა?!“ ჩავილაპარაკე ჩემთვის.

„სხვებს არ უნდათ ჩამორჩნენ...“

ეს კაცი კარგად ლაპარაკობდა ჩვენებურად, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ აქაური არ იყო.

„სადაური ბრძანდები?“

„ელინთა ქვეყნიდან“.

„მეც ახლახან დავბრუნდი ტყვეობიდან“.

მაწანწალა გამოცოცხლდა.

„აქ მეტიჩარა, კუდაბზიკა, ყბედი, უწესო და შარიანი ხალხი ცხოვრობს. სულ რაღაც წყინთ, სულ ერთმანეთს ედავებიან. ნეტა, რა აქვთ ამდენი გასაყოფი? ეს არის მაგათი ყველაზე გამორჩეული თვისებები. მეტიჩრობით ემართებათ ყველაფერი ცუდი. ერთმანეთისა და სხვების მიბაძვაც ძალზე უყვართ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჭირი ხომ მეტიჩრობის ბრალი არ არის?“

„ჭირი თათრებმა შემოიტანეს, მაგრამ ეგენი ჭირშიც კი მეტიჩრები არიან“.

„რა მოგახსენოთ?!“ ვთქვი მე და დავინახე: პატარა ბიჭმა, მოქეიფეთა ცხენებს რომ ყარაულობდა, მინდორი დატოვა, მოედანი გადაკვეთა და იმ სახლში შევიდა, რომლის ბანზე, ცოტა ხნის წინ ქალი შევნიშნე. მალე დოქით ხელში ისევ კარში გამოვიდა და მოქეიფეებისაკენ გაიქცა, მაგრამ ამასობაში ისინი აიშალნენ, ცხენებს შეახტნენ და გახელებით გამოაჭენეს მოედნისკენ, სადაც ბავშვები ირეოდნენ, — და დოქიანი ბიჭი, მათკენ რომ გარბოდა, — გადათელეს, გადათქორეს და ყურისწამღები ყიჟინით გაქანდნენ სახედრებითა და ბრბოთი აქოთქოთებული ბაზრისკენ, ისე რომ ერთხელაც არ მოუხედიათ უკან. როცა მტვერი გაიფანტა და ფლოქვების თქარათქური მიწყდა, მოედნის შუაგულში მიწაზე უძრავად გართხმული ბიჭი დავინახე თავის დოქის ნამსხვრევებთან ერთად. ერთბაშად სიჩუმე ჩამოწვა. მერე მიწურიდან ისევ ის შავად შემოსილი დედაკაცი გამოვარდა, უმწეოდ გაშოტილი ბიჭის დანახვაზე წამით შედგა, უცებ, სახეში ხელები შემოირტყა და საშინელი ხმით დაიკივლა. მე წამოვდექი და ქვემოთ დავეშვი.

ქალი მოთქვამდა, თმებს იგლეჯდა, კაბის კალთაში შეშინებული ბალღები ჩასჭიდებოდნენ. ირგვლივ აყაყანებული ხალხი შემოხვეოდა, ბიჭი კი ისევ იქ ეგდო, სისხლის გუბეში. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას, ვერ გადაეწყვიტათ, რა ექნათ. ამ ქალს ქმარი ცოტა ხნის წინ მოკვდენოდა. ამ დროს ჩაფარმა ჩამოიარა და დაიშალეთო, დაიღრიალა, თავზარდაცემულ ქალს ხელი ჰკრა, აქედან დაიკარგეო. ამათ ყოველთვის ეშინიათ ხალხის თავშეყრისა, რაიმე ჩვენს საწინააღმდეგო არ მოიმოქმედონო, თითქოს დამონებულ ბრბოს კიდევ შესწევდეს უნარი ერთობლივი ფიქრისა და მოქმედებისა. ვინ რას გაბედავს, მაგრამ მაინც უნდა დაიშალონ, ასეთია წესი. ჩაფარმა ხელის კვრა არ აკმარა იმ ბეჩავ ადამიანს, მკვდარ შვილს რომ დასტიროდა მოედნის მტვერში, შუბის ტარი მისცხო. ქალი ერთხანს ვერც კი გრძნობდა დარტყმებს, ბალღები კი შიშისგან აწივლდნენ. მუცელმოშვებული კაცები პირდაღებული შესცქეროდნენ სეირს. დედაკაცები გაკაპასდნენ. ესენი უფრო გულადები გახდნენ ჩვენს დროში, ეგენი უფრო ბედავენ აღშფოთების გამოხატვას. მისცვივდნენ ჩაფარს წივილ-კივილით და ამ დროს, მოკლულის დედა თითქოს გონს მოეგო, ჩაფარს მიუბრუნდა და ლოყები ჩამოაკაწრა. სწორედ მაშინ დავინახე ამ კაცის სახე. თვალებში სისხლი მოსწოლოდა, პირზე დორბლი, როგორც ბნედიანს, შეშლილს ჰგავდა. გამიკვირდა კიდეც, რამ გააცოფა ასე, ნუთუ ამ ქალის გაჭირვებას სრულებით ვერ გრძნობს-მეთქი? მაგრამ ჩაფრებად ხომ მუდამ ცოფიანები მიდიან, რომლებიც მართლაც ვერაფერს ვერა გრძნობენ ადამიანურს. ისეთი გამეტებით დასცხო უბედურ ქალს და იმის ბალღებს, თითქოს სახედარს ურტყამდა. კაცები ვიდექით, დედაკაცები გაჰკიოდნენ, და უეცრად შემრცხვა საკუთარი თავისა, რომ მეც კაცი მერქვა და ქუდი მეხურა. ჩემმა თანდაყოლილმა სიფიცხემ მაინც დასძლია იმ წუთში ჩემს მონურ სიმხდალეს, ვეღარ მოვითმინე და ვეცი ჩაფარს „რას შვები, შე ძაღლიშვილო-მეთქი?!“ ჩაფარმა ქალის ცემას თავი დაანება და ყელში მეძგერა მზეცივით. ის უკვე ამქვეყნად აღარ იყო, სისხლი სწყურეოდა და სულერთი იყო ვის სისხლს დაღვრიდა. ისეთი გამეტებით მიჭერდა ყელში, უეჭველად დამახრჩობდა. მაგრამ ეს არ იკმარა, შუბის ტარი საშინელი ძალით ჩამცა ფერდში და ნეკნი შემინგრია. აუტანელი ტკივილისაგან ცნობა წამერთვა და აღარ მახსოვს, როდის დავაძრე ტანსაცმლის ქვეშ დამალული ხანჯალი. გონს რომ მოვედი, ხელთ სისხლიანი ხანჯალი მე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭირა, ხოლო ჩემს ფეხებთან მუცელ-გამოფატრული ჩაფარი ეგდო, მკვდარი ბიჭის გვერდით. საშინელი ხმით ყვიროდა, სისხლიანი ხელები ქუჩის მტვრით მოთხვრილ მუცელზე აეფარებინა, საიდანაც ნაწლავები გადმოყრილიყვნენ, — და გველივით იკლაკნებოდა. ხანჯალი დავაგდე, ჩატეხილ ნეკნზე ხელი მივიჭირე და ბარბაცით წავძუნძულდი. გაიქეცი, გაიქეცი, მეძახდნენ, მაგრამ სად შემეძლო სირბილი. ჰაერი არ მყოფნიდა, თვალები მებინდებოდა, ვგრძნობდი, რომ უკან ვიღაც მომდევდა. სასოწარკვეთილი შევჩერდი და ძლივას ვიცანი ის მაწანწალა, გვერდით რომ მეჯდა და მებაასებოდა წეღან. ხელი დამავლო და ერთი ბნელი ეზოს ალაყაფში შემათრია...

ბერძენმა ვაჭრებმა შემიფარეს. ის კაცი მაწანწალა კი არა, ამ ვაჭრების ათისთავი ყოფილა. ბნელ სარდაფში ტახტზე დამაწვინეს, ზეწარი მჭიდროდ შემომახვიეს და სანთელი დამინთეს. ორი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მესამე დღეს ტკივილმა დაამება დამიწყო, მაგრამ ახლა შიში მომერია, არ მიპოვონ-მეთქი. ჩემი მხსნელი ხშირად შემოდიოდა ჩემთან და იმისაგან ვიცოდი, რომ გამწარებული დამეძებდნენ, მაგრამ ბერძნებმა კარგა ხანს მმალეს, სანამ არ მოვმჯობინდი. როცა ფეხზე დადგომა შევძელ, ბერძნული ტანსაცმელი ჩამაცვეს და ეზო-სახლის მოვლა დამავალეს. ღამღამობით ვგვიდი და ვუვლიდი ამათ სამყოფელს და ხშირად მესმოდა სულთმობრძავი ქალაქის შფოთიანი ხმაური, რომელიც სულ უფრო და უფრო მაფიქრებდა და მაშინებდა. რა მეშველებოდა, სად წავსულიყავი, რა მელოდა? ქალაქიდან გასვლა აკრძალული იყო, თუმცა ქრთამით ყველაფერს მიაღწევდი, რადგან ქრთამი აქაურ ჯოჯოხეთსაც ანათებდა, მაგრამ მე რა მებადა, რომ ეს გზა ამერჩია. ისევ ბერძნებმა იმარჯვეს, მცველები მოისყიდეს. ერთ მშვენიერ დღეს, ქარავანმა ჭირიანი ქალაქი დატოვა და შორეული საბერძნეთის გზას გაუდგა. მეც გამომაპარეს და სიკვდილისგან მიხსნეს. საღამო ხანს, ქალაქს რომ კარგა გამოვშორდით, მდევრები შევამჩნიეთ. ცხადი იყო, იმავე მცველებმა, ქალაქის კარი რომ გაგვიღეს და გამოგვატარეს, ახლა გაგვყიდეს და ყაჩაღები გამოგვადევნეს, გზებზე რომ დათარეშობდნენ დღენიადაგ, სოფლებსაც რომ იკლებდნენ და ქალაქსაც.

ქარავანმა ტყეს მიაშურა, მაგრამ სულ მალე დაგვეწივნენ ის სულძაღლები, ერთმანეთში აირია ცხენი და აქლემი, ატყდა გნიასი და ალიაქოთი, და შიშისაგან თავზარდაცემულმა გაუვალ ძეძვში ვდურთე თავი, გავეცალე იქაურობას, ღელისპირა კბოდეზე გავედი და კლდის ნაბზარებში ჩავიმალე. ვეღარ გავიგე რა ბედს ეწივნენ ჩემი მხსნელები. იმათი შველა მე არ შემეძლო და თუ თავს გადავირჩენდი, ესეც დიდი საქმე იყო.

თათრები ხმას არ გაგცემენ შენი საკუთარი ქვეყანა მთლად რომ ააოხრო და ამოწყვიტო, მაგრამ თუ მაგათ მიაყენე მცირე ზიანი, ან მაგათიანს შეეხე ოდნავ, — სულს ამოგხდიან. ის ჩაფარი თათარი არ იყო, მაგრამ როცა თათარს ემსახურები და თათრულ საქმეს აკეთებ, განა თათარი არა ხარ?

ვინ იცის, ვის ამოხადეს სული ჩემგან მოკლული ჩაფრის გამო?

... ასე გადავურჩი მტარვალებს და დავრჩი მარტო. სულ რომ დაღამდა, სამალავიდან გამოვედი და ისევ ტყის პირისკენ გავემართე, სადაც მდევრები ქარავანს დაესხნენ. იქ ვერ ვიპოვე კვალი კაცისა და უკან გამობრუნებული, აღმა გავუყევი გზას. გათენებამდე ვიარე. ოდნავ რომ ინათა, სოფელი შევამჩნიე. სოფლის ბოლოდან სიმღერა მომესმა და ოდნავ დაიმედებული, იქით გავემართე. ორღობეში რომ შევედი, მივხვდი, სახლები ცარიელი იყო. არც ძაღლი ყეფდა, არც მამალი ყიოდა და არავითარი სულიერის ნიშანი არ ჩანდა. სოფლის ბოლოში, გზის პირზე, დუქანი იდგა. დუქნის კარი ღია იყო, სანთლის შუქი მოჩანდა და ღრიანცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ისმოდა. შევედი დუქანში და დავინახე ტაბლასთან მჯდარი სამი მთვრალი კაცი. ერთს ცხვირი ისე ჰქონდა ჩაჭყლეტილი, რომ თითქმის აღარც აჩნდა.

გამარჯობათ-მეთქი, მივესალმე და იმათ გაკვირვებით შემომხედეს.

„სად არი ამ სოფლის ხალხი?"

„ზოგი ჭირმა ამოხოცა, ზოგნიც გაიქცნენ".

„თქვენ რაღა გაქეიფებთ?"

„მა რა ვქნათ? მოდი, ჩამოჯექი, ღვინო დაგვილიე!"

დავჯექი და იმათთან ერთად ვჭამე პური. კარგად რომ გაილეშნენ, ძველი ცოდვები მოიგონეს, ბოლოს ერთმანეთს დაერივნენ და ცხვირ-პირი დაუნაყეს. ცხვირჩაჭყლეტილს ცალი ყური მოახიეს. მივატოვე მოჩხუბრები და გზა განვაგრძე.

●

მას შემდეგ მოვდივარ. ხან მშია, ხან მწყურია, თუმცა შიმშილს შეჩვეული ვარ. რაც თავი მახსოვს, ან მშია, ან შიმშილის შიში მაქვს. მთელი ცხოვრება შიმშილზე ლაპარაკი მესმის, მაგრამ რას გიშველის ეს გამოცდილება, როცა შიმშილი კარს მოგადგება?

მეშვიდედ რომ შემოგვესივნენ თათრები, მთებში და გამოქვაბულებში გაიხიზნა მოსახლეობა, ვინც კი მოასწრო. მაშინ ბალღი ვიყავი. ისეთი მძვინვარე შიმშილი მერე აღარ მინახავს. ბალღები ტყეში დავწანწალებდით, გარეულ ნაყოფს ვეძებდით, ზოგჯერ ფრინველის ან ცხოველის ლეშს წავაწყდებოდით და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თვითონაც ნადირებს ვგავდით, მაგრამ ბალღობას ერთი დიდი უპირატესობა აქვს, მომავლის არ გეშინია, რადგან მომავალზე არ ფიქრობ. ვინ იცის, ცხოვრება იქნებ მუდმივიც კი გგონია. არაფერზე არ ფიქრობ, ცხოვრებას ისეთს იღებ, როგორიც არის, განსჯისა და კირკიტის გარეშე და ყველაფერი კანონიერი გეჩვენება: მაგრამ ბავშვობას სხვა ნაკლი აქვს. უმწეო და დაუცველი ხარ, თანაც გულწრფელი, და სწორედ ამ გულწრფელობის გამო ვერ ინიღბები და ხშირად იჩენ აშკარა სისასტიკესა და გულქვაობას. როგორ ვჩაგრავდი ჩემზე სუსტებს! არც მე მინდობდნენ ჩემზე ძლიერნი. „მახინჯო, მახინჯო!" დამცინოდნენ და მამწარებდნენ. იმათ კი არ ვძულდი, განსაკუთრებული ბოროტება კი არ ამოძრავებდათ, არამედ რასაც ხედავდნენ, იმას ამბობდნენ პირდაპირ, დაუფარავად. ჩემი დამცირება ართობდათ, აინტერესებდათ. ასეთია კაცის ბუნება, იზიდავს სხვისი ტანჯვისა და უბედურების მოწმედ ყოფნა.

მაგრამ მაინც იყო მაშინ ერთი ადამიანი, ვისაც ჩემი სიმახინჯე სილამაზედაც კი ეჩვენებოდა. ეს ადამიანი ცხონებული დიდედაჩემი გახლდათ. ეჰ, საწყალი! ჩვენი ძველი სახლის უკანა ოთახში მუხის დიდ ვარცლში ჩამსვამდა ხოლმე და მბანდა, ღია კარიდან კი მოჩანდა ტრიალ მინდვრებს მიღმა ჩამავალი ოქროსფერი მზე. დიდედა ზურგზე ხელს მისვამდა, მეფერებოდა მხრებზე, შორიდან კი ბაყაყების ყიყინი მესმოდა. იმიტომ მსიამოვნებს ახლა ეს ხმა, იმიტომ მამშვიდებს...

ახლა აღარც ის სახლია, აღარც დიდედა, აღარც არავინ. დავრჩი მარტო. გათენდა უკვე, ბინდი გადაიყარა.

●

ვდგები.

ფეხებდაკვანჭული, დაკოჭლებული, მუცელგამობერილი, თმაგაცვენილი კაცი ფლატეზე ვეშვები და ტყისკენ მივდივარ.

მუშაკაცის ხელისგულივით დამსკდარა მიწა. ჯერ კიდევ რუხია ცა და გარემო. ყველაზე უფრო ეს დრო მიყვარს, გაურკვეველი, ბუნდოვანი, მრავლისაღმთქმელი. იდუმალების ბურუსშია გახვეული არსებობა, თითქოს რაღაც უნდა იშვას და არ იცი საიდან, ან რატომ. რა მოხდება, რა შეგვემთხვევა, რა გველის? ეს კითხვები უნებურად გვაწუხებს ამ დროს, რადგან ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი ვიცით, ისიც კი არა, გათენდება თუ არა. იქნებ ასეთი დარჩეს სამყარო, რაღაც შემთხვევაზე დამყარებული, როგორც ჩვენი ყოფნა-არყოფნა.

ტყეს ვუახლოვდები ბნელს, ჩამუქებულს და ჩემთვის ნათელი ხდება თვით ამ ტყესთან როგორა ვარ დაკავშირებული ჩემი არსებობით, ჩემი გაჩენით, ფუნდაც იმიტომ, რომ დედაჩემის პირველი ქმარი, თათრებს რომ მოუკლავთ ბრძოლაში, სწორედ ტყიდან გამოსულა, თურმე, თავისი მცირე რაზმით, თათრების მეწინავე ლაშქარს რომ გადაჰყრია. ამ ბრძოლაში დაღუპულა იგი და ამის მერე შეურთავს მამაჩემს დედაჩემი...

მაშინ ჩემი უფროსი ძმა გიორგი, დედაჩემის ერთადერთი შვილი პირველი ქმრისაგან, თხუთმეტი წლისა ყოფილა. მამაჩემმა გამოაწრთო იგი, მამაჩემის ხელში დავაუკაცდა და კაცი გახდა, მაგრამ...

ჩემს მშობლებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი. ერთხელ, როცა მამაჩემი მორიგი ლაშქრობიდან დაბრუნებულა, გახარებულმა დედაჩემმა ძირს დამსვა თურმე და გაიქცა ციხის გალავანში შემოსული, ზორბა ულაყზე ამხედრებული ქმრის შესახვედრად. მამაჩემმა დედაჩემი უნაგირზე აიტაცა და ცხენი ეზოში შემოაჭენა. სანამ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ეხვეოდა, მეც წავბაჯბაჯებულვარ იქით, საითაც დედა მეგულებოდა. მამაჩემის ფიცხ ბედაურს უკანა ფეხებში ავბლანდებივარ. აღგზნებულმა ცხენმა წიხლი ჩამკრა, ფეხი დამიმტვრია და სახეც სამუდამოდ დამიმახინჯა.

ძლივს გამომტაცეს სიკვდილს ხელიდან. ცხონებულ მამაჩემს ცდა არ დაუკლია ჩემს გადასარჩენად.

რომ წამოვიზარდე, მაინც ვერ ვაპატიე მშობლებს ეს უბედური შემთხვევა.

ეტყობა, გულღრძო ვიყავი დაბადებიდან. თუმცა, მიყვარდა ნათესავები, დიდედა, პაპა, ბიძები და ძმა. ამათ შორის გაიარა ჩემმა ბავშვობამ. პაპაჩემის მიუდგომელი ციხე მთელ ჩვენს გვარს იფარავდა და აერთიანებდა. პაპა რომ მოკვდა, ჩემი ბიძები ბოცო და მემნა ერთმანეთს გადაეკიდნენ. პაპისეული მამული დააქუცმაცეს, ძველი ციხე დაანგრიეს, მოშალეს. რაც მტერმა ვერ მოახერხა, თვითონ დააწიეს თავის თავს. გაუთავებლად კინკლაობდნენ, მიწის გოჯს არ უთმობდნენ ერთმანეთს, თუნდაც ჭირს წაეღო იქაურობა, ოღონდ ერთი მეორე არ ესარგებლებინათ. ჩემი ძმა გიორგი ხან ერთს ემხრობოდა, ხან მეორეს, და იყო დაუსრულებელი ჭიდილი ათასგვარ წვრილმანზე და ზოგჯერ, არც არაფრის გამო. მაშინ მივხვდი პირველად, რომ ჩვენი მოდგმის თვისებაა შინაურის არ დანდობა, გამწარება, შური. რასაც უცხოს, თუნდაც მტერს ვერ გაუბედავენ, იმას შინაურს დამართებენ, ახლობელზე იყრიან გულს.

ასეთი ხალხი ვიყავით ჩვენ, მაგრამ მაინც მიყვარდა მე ეს ხალხი. იმათ ხელში ვიზრდებოდი, იმათ შორის მყოფს არასოდეს მიგრძვნია ჩემი სიმახინჯე, რადგან ისინი სრულყოფილ კაცად მთვლიდნენ. იმათ მასწავლეს ჯირითი, ფარიკაობა, ლოთობა. დღენიადაგ სვამდნენ და ყაჩაღობდნენ. ვინ არ ყაჩაღობდა? გამოილეშებოდნენ და თავს ესხმოდნენ დასაპალნებული აქლემების ქარავანს, ჩვენი ქვეყნის ქონება რომ გაჰქონდა სათათრეთში. არც თავისიანებს ინდობდნენ, ძარცვავდნენ ჩვენებურებსაც და ნადავლს იყოფდნენ. ერთხელ, უფროსი ბიძა მემნა, ერთ დროს მამაჩემის თანამებრძოლი, მერე მტერი, მერე ისევ თანამდგომი, თათრებმა დაიჭირეს და სწორედ სიკვდილით დასჯის წინა ღამეს გამოაპარა იგი მამაჩემმა მოსყიდული გუშაგების საშუალებით. მაშინ მამაჩემს ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა თათრებსა და იმათ მომხრეებს შორის. მემნა დიდხანს ემადლიერებოდა მამაჩემს ხსნისათვის და კარგა ხანს ერიდებოდა მასთან წაკინკლავებას, თუმცა მანამდე ხშირად მო-

ადიოდათ შფოთი და აყალმაყალი. თავკერძა კაცი იყო, ავყია, მემთვრალე, დაუდეგარი. კვირაში ცხრაჯერ იცვლიდა პარასკევს და რაც უცბად მოეხუშტურებოდა, იმას აკეთებდა. კაციშვილს ანგარიშს არ უწევდა. მამაჩემიც კაი გოროზი და თავქეიფა გახლდათ, დაუსრულებლად რომ ეკინკლავებოდა ნათესავებსა და მეზობლებს. იშვიათად თუ ვინმე მოეწონებოდა. თუმცა, ზოგჯერ დახმარებაც გვარიანი იცოდა. თუ ხასიათზე იყო, მოყვასისთვის თავს შეაკლავდა მტერს...

●

ტყე გატრუნულია და სველი, თითქოს ეწვიმოს. ბალახი მუხლამდე მწვდება. დიყისა და შალანის ხორკლიანი ღეროები მიკაწრავს შიშველ წვივებს. ფოთლებიდან მოწურწურებს ნამის წვეთები. აქ ჯერ კიდევ ბნელა. სიჩუმეა, მხოლოდ ტკაპატკუპი ისმის...

დედაჩემის პირველი ქმარი ხუთ წელიწადს იმალებოდა, თურმე, ტყეში. ნეტა, როგორ ძლებდა? ზამთრობით ძნელია ტყეში ცხოვრება. დიდი ვაჟკაცი იყოო, გამიგია. ძნელი დასაჯერებელია ნამდვილი ვაჟკაცი იშვას იქ, სადაც საყოველთაო სულმოკლეობაა გავრცელებული. უღირს ქვეყანაში ღირსეულ კაცს არსებობა არ უწერია. მოყვასის კილვა-ძაგება, ანგარება, წვრილმანობა, მოუთმენლობა, უნდობლობა, გაუტანლობა, უზრდელობა და ვინ იცის, კიდევ რა, რისთვისაც თავიდანვე გვეზიზღებოდა ჩვენი დამპყრობლები, თვით ჩვენში მყარად ფეხმოკიდებული ჩვევები გახდა, ან იქნებ იყო? ვინც სინამდვილეს თვალს არ უსწორებდა, იგი თავს იტყუებდა, ვითომ მაინც ვჯობდით ჩვენს დამაქცევარ თათრებს. ამგვარ თავის მოტყუებას იქამდე მიჰყავდა ზოგიერთი, რომ საკუთარი მანკიერებით ტრაბახობდნენ. ტყუილებით იყო სავსე ქვეყანა. მხოლოდ თავის ციხეში ჩაკეტილი პაპაჩემი არ ერეოდა მედროვეთა საქმეებში, ქვეყნის საჭე რომ ეპყრათ ხელთ და გამაოგებლობით და ფარისევლობით ყოველივეს თავიანთ სასარგებლოდ ატრიალებდნენ. თათრების განუკითხავი თარეში კი სისხლისაგან გვცლიდა. ხან ჯიბეს და აუბუდაის სახელი ქუხდა, ხან უგედეის, მანგუს და ჩაღატა ყაენის ხსენება შიშის ზარს სცემდა ათასგვარი სათათრო გადასახადით განადგურებულ ქვეყანას. ხარკი, ხარაჯა, ბეგარა, ულუფა, თაღარი, თარხი, ჯიზია და სხვა ათასგვარი ვალი სისხლს სწოვდა მიწას, სადაც ყოველი ბუჩქი, ყოველი ხე, ყოველი სულდგმული, პირუტყვი იქნებოდა ეს თუ ადამიანი, აღწერილი იყო და დამპყრობელს ეკუთვნოდა მთელ მიწასთან, წყალთან და ცასთან ერთად. გადასახადი ედო ყველას და ყველაფერს: გუთნისდედას, ხელოსანს, მეთევზეს, მონადირეს, ვაჭარს და მემამაროეს, მიწას და მიწის ნაყოფს, და ამიტომ ხალხს სძულდა შრომა, რადგან სხვისთვის შრომობდა და სძულდა მიწა, რადგან მიწაც სხვისი იყო, და ვინაიდან ყოველგვარი საკუთრება აიკრძალა, მხეცებივით დაძრწოდნენ კლდე-ღრეში და ძარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავს. ასეთი გახადა თათრობამ ჩვენი ცხოვრება და ჩვენც შევეგუეთ ამ ყოფას თანდათან. მაგრამ ძმა ძმას აღარ ინდობდა, შვილი მამაა, ცოლი ქმარს, ნათესავი ნათესავს, და სწორედ მაშინ გავრცელდა ჭირი. გარდა ამისა, ყველა მამაკაცი, ბალღი თუ მოხუცი, ლაშქრად მიჰყავდათ თათრებს და იღვრებოდა ჩვენი სისხლი სხვათა ომებში, ახვისი მიზნებისა და ზრახვების დასაცავად.

ბიძაჩემი ბოცო ალამუთთან მოჰკლეს. მამაჩემი დიარბექირის ბრძოლაში დაიჭრა. ბიძაჩემი მემნა და ჩემი ძმა გიორგი ტყეს შეეფარნენ და თავი აარიდეს თათართა ლაშქარს. ამის გამო გიორგი შეიპყრეს და სარზე დასმა არ აცდებოდა, ისევ დიარბექირიდან ახლად გამობრუნებულ მამაჩემს რომ არ ეხსნა.

მანამდე კი გიორგი გვპატრონობდა მე და დედაჩემს. ყაჩაღობით ირჩენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს და ჩვენც გვარჩენდა. რამდენჯერ მეც თან ვხლებივარ. ცხენის ფაფარს ჩაფრენილი, ხმალამოწვდილი, ჩემი ძმის მხარდამხარ მრავალგზის დავსხმივარ თავს მექარავნეებს. მერე, როცა ულრან ტყეში ნადავლს იყოფდნენ მძარცველები, — ვიდრე გრძელ სარზე წამოგებული გატყავებული ნადირი იწვებოდა ცეცხლზე, — მეც ვმჯდარვარ ჩემი ძმის გვერდით და მომისმენია ბილწი გინება ტყაპუჭში გახვეული გაბურძგნული კაცებისა. მეამაყებოდა ჩემი ძმის გვერდით ყოფნა, ჭირში თუ ლხინში. გოლიათი იყო, ყველასაგან გამორჩეული. ალალი გული ჰქონდა და თანატოლივით მექცეოდა სრულიად ბალღს. კაცი არ მეგულებოდა მისი მძლეველი. სულ ერთად ვიყავით. რამდენჯერ, ღრეობა რომ იმართებოდა ტყეში, ნადავლის გაყოფის მერმე, მეც მასმევდნენ ღვინოს და უგონოდ მთვრალს, იქვე, კოცონთან, მიწაზე დაგდებულს დამიძინია...

●

სერზე ამოვედი, ყვავილოვან მდელოზე ვდგავარ. გარემო იღვიძებს, სინათლე მატულობს. ჩიტების ჭიკჭიკი მესმის. მარტო ვარ, ირგვლივ დაბურული ტყეა. ამ უსაზღვრო ტყეების მიღმა მოჩანს შორეული ოქროსფერი ველი, რომელსაც აკრავს ცისფერი მთების გაწელილი ზოლი, მუდმივი თოვლის თეთრი მინანქრით მოქანდული. აჰა, მზეც ამოიწვერა, ახლა ნამიც მალე გაქრება. რაღაც უსიამო მყრალი სუნი მცემს. ყვავების ყრანტალი მესმის. იქეთ მივემართები. ვხედავ კორდის ბოლოში, ხის ძირას დაგდებულ ორ გვამს, — ბალღისა და ქალისა, რომელთაც ყვავების გუნდი მისევია და უკორტნის გახრწნილ სხეულს. ცხვირზე ხელს ვიჭერ და მახლობელი კლდისკენ მივძუნძულებ. კინაღამ სუნთქვა შემეკრა. ეტყობა, ჭირმა იმსხვერპლა ეს უბედურნი. იქნებ, დედა-შვილი იყვნენ, ან ერთი დედმამისშვილნი, ან ნათესავები, ან მეზობლები, ვინ-ვინ-ვინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქისკენ, იქნებ, მართლაც ეშველოთ რამე.

რა უნდა ეშველოთ ამ ღარიბ-ღატაკებს, უბირებს და უვიცებს?

●

... ცხონებული მამაჩემი რომ ომიდან დაბრუნდა, დიდძალი ქონება ჩამოიტანა. ერთი ხურჯინი ნაალაფარი თვალმარგალიტით იყო სავსე. ფარდაგები და ხორასნული ნოხები მიწაზე ეყარა და ათვალიერებდნენ ამ სიმდიდრეს მამაჩემის სანახავად მოსული სტუმრები: მეზობლები და ნათესავები. გულის სიღრმეში, ცხადია, შურდათ ამ აურწყავი ნადავლის ხილვა, მაგრამ რას იზამდნენ. მამაჩემს კი თავი მოსწონდა, ეზოში დიდი სუფრა გააშლევინა. ერთმანეთზე ეყარა ხორაგი, ღვინო ოხრად ისმეოდა. ზოგიერთები ისე გაილეშნენ, რომ იქვე, სუფრასთან არწყეევდნენ. ერთი მეზობელი გვყავდა, სადილად ერთ ზაქს ჭამდა და ერთ ჩაფს სვამდა. ისევ იმან აჯობა ყველას. ბევრი ცდილობდა მისთვის მიებაძა, მაგრამ არ გამოსდიოდათ.

მთასავით კაცი იყო ჩემი ძმა გიორგი, მაგრამ სასმელს ვერ იტანდა. მართალია, ზოგჯერ უზომოდ სვამდა, მაგრამ ნაკლებიც რომ დაელია გონება უბინდდებოდა, ჭინჭყლობდა, ჭირვეულობდა, ყველაზე სანუკვარ ფიქრებს ამჟღავნებდა, რაც ენაზე მოადგებოდა, უმალვე როშავდა, და ამ დროს შური და სიხარბე სძლევდა ხოლმე მის სიკეთეს.

საოცარი ზნე სჭირდა ჩვენ მოდგმას. რაც მართლა სამარცხვინოა, იმისი არ რცხვენიათ და რაც არც ისე სათაკილოა, იმას უკადრისობენ. ღალატი, სიტყვის გატეხვა, გაუტანლობა, სიზარმაცე, უმეცრება, უსინდისობა, — არაფრად მიაჩნიათ, მაგრამ ყოველივე ამაზე რომ მიუთითო, — თავს შეგაკლავენ, ვინ კითხავს ამ არამკითხესაო. ბევრჯერ შემიმჩნევია: დიად საქმეში სინდისს უყოყმანოდ ღალატობენ, წვრილმანში — მტკიცედ იცავენ ღირსებას. იმიტომაც წაუვიდათ ასე კარგად საქმე.

იმ დღეს, გამომთვრალი გიორგი მამაჩემს აუხირდა, თუმცა მამაჩემმა გამოიწვია.

„რომ დეეთრევი კლდე-ღრე ნადირივით და მგლისაებრ მტაცებლობით ირჩენ თავს, ცოტა ჭკუა იხმარე, ყოველთვის მე კი არ ვიქნები. ან ცოცხლად ტყავს გაგაძრობენ, ან სარზე დაგსვამენ“.

„შენ რომ აქ არ იყავი, შენს ცოლს და მახინჯ შვილს მაგ წანწალითა და ყაჩაღობით ვარჩენდი. ეგ ქონება რომ გიშოვნია, საცა სამართალია, ნახევარი მე მეკუთვნის. მამაჩემის ციხე რომ შემოიერთე იმით გახდი კაცი...“

„მამაშენის დაქცეული ციხეც შენა გქონდეს და აქედან წაეთრიე, ჩემმა თვალმა აღარ გნახოს...“

ასე აჰყვნენ ერთმანეთს. გალეშილი სტუმრები უკვე წასულიყვნენ, ისინი შემუსრულ სუფრასთან ისხდნენ და ერთმანეთს მკვდარსა და ცოცხალს აგინებდნენ, არავის ინდობდნენ. გამწარებული დედაჩემი, ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილი, ხან ერთს მივარდებოდა დასაშოშმინებლად, ხან მეორეს, მე კი იქაურობას გავეცალე და გული მეტკინა, ჩემმა ძმამ მახინჯი რომ მიწოდა. თავის ამაგს მამადლიდა, მე კი მეგონა უანგაროდ, ძმურად ვუყვარდი.

გიორგი ყველა ახლობელს მერჩივნა. მხიარული, მოხდენილი და მშვენიერი ახალგაზრდა იყო. გული მუდამ მისკენ მიმიწევდა. რას წარმოვიდგენდი ჩემზე გაწეულ ზრუნვაში გასამრჯელოს თუ მოითხოვდა. მეგონა, ამაზე მეტად ვუღირდი და როცა დავინახე, რომ ეს ასე არა ყოფილა, როცა მისი უკადრისი სიტყვები მოვისმინე, საოცარი გულაცრუება ვიგრძენი, რომ ცხოვრება ასეთი ულამაზო იყო, ადამიანები კი — ასე მდაბალნი.

კოშკში ასულს დიდხანს მესმოდა მათი კინკლაობა. რა არ უთხრეს ერთმანეთს, რამდენი ბოღმა გადმოანთხიეს. ნუთუ ამდენი ნაგავი ჰქონდათ სულში? ბოლოს მამაჩემმა მსახურებს უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძანა, გააგდეთ ეს დაბდური აქედანო. გიორგი წამოდგა და ხმალი დააძრო, აბა, ერთი მომეკარეთო! ცხადია, ვერავინ შეჰბედავდა. ისევ დედაჩემმა მიჰგვარა ცხენი და წყევლით გაისტუმრა, ის კი უნაგირზე შეხტა და ხმამაღლა დამიწყო ძახილი. გამომშვიდობება ისურვა ჩემთან. მაგრამ მე არ გამოვჩნდი, არ ვუპასუხე. ასე, ჩემი სახელის ძახილით გავიდა გალავნიდან და ეს კაცი, ვინც მამაჩემის ოჯახის ესოდენ ერთგული იყო, სულ უმიზეზოდ მისი დაუძინებელი მტერი გახდა.

რატომ მეძახდა, რად უნდოდა ჩემი ნახვა? ნუთუ ვუყვარდი? მაშ რატომ მიწოდა მახინჯი, რატომ მატკინა გული? მამაჩემისთვის უნდოდა გული გაეხეთქა, მაგრამ მე რა შუაში ვიყავი? ამაზე გიორგის არ უფიქრია.

იმ დღიდან თავის მამისეულ კოშკში გამოიკეტა, რომელიც ჩვენი ციხის მახლობლად იყო. აღადგინა დანგრეული ქონგურები, კარიბჭე გაამაგრა. მამაჩემს სწყინდა, ეს რომ ესმოდა. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ვერც იმისი ციხე, ვერც ჩვენი, ვერ უძლებდა მოძალებული მტრის თავდასხმას. თათრების მეცხრე შემოსევისას, ისე ამოწყვიტეს ჩვენი სახლეულნი, რომ წაჭრილი თავები, უთავო სხეულები, დაკუწული კიდურები, გადმოყრილი ნაწლავები, ცხენის ფლოქვებით გათელილი სისხლიანი ჩვილები ერთმანეთში აზელილიყო და როცა მტრის თარეშის მერე, ბნელი და სველი საიდუმლო სოროდან ამომიყვანეს, საცა მე და დედაჩემი ვიმალებოდით, სამზეოზე გამოსულს სისხლის და მძორის ისეთი აყროლებული სუნი მეძგერა საშინელი მხეცივით, რომ შემზიზღა ჩვენი პირქუში ციხე, გარემო, რომელსაც ვხედავდი, შემეშინდა დღის სინათლის, დაუნდობლად რომ ამზეურებდა ამ საშინელ სასაკლაოს და ისევ ჯურღმულის უკუნ წყვდიადში მომინდა ჩამარხვა, სადაც არაფერი ჩანდა, არც ბუნების სილამაზე და არც ცხოვრების სიმახინჯე.

მას შემდეგ ხორცის დანახვაზე დაზიდებდა და როცა წამოვიზარდე, ამის გამო ღვთისმოსავად მთვლიდნენ. მაგრამ რამდენჯერ დამიგმია ღმერთი, რამდენჯერ ვყოფილვარ ბედის უმადური...

●

ტყე გაიშალა, ტბასთან გამოვედი. ტბის ირგვლივ ლერწმები აზიდულან. ისმის ფრინველთა დაუცხრომელი ყივყივი.

ნელა ვეშვები ნაპირისაკენ.

წყლის ზედაპირი ცისფრად პრიალებს და პატარა ზვირთები ოდნავ ეხლებიან კბოდეს წკლაპუნით. ცაში ტოროლა დაკიდულა ერთ ადგილზე და ტკბილად გალობს. იხვების გუნდი აფრინდა ლელიანიდან, ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაინაცვლა.

სახეზე ცივი წყალი შევისხი. ახლა ნაპირის გასწვრივ მივაბიჯებ. ირგვლივ უსიერი ტყეა. იქაც იყო ტბა, ჩვენ სოფელში, ოღონდ უფრო პატარა. ჩვენი კოშკიდან მოჩანდა მისი ლივლივა ზედაპირი. ხშირად დავყავდი გიორგის იმ ტბაზე. მასწავლიდა ცურვას, თევზაობას. ზურგზე მომიკიდებდა და ისე მივიკვლევდით გზას ლაქაშებში...

მტკნარი წყლის გემო, წყალმცენარეების სუნი, ბაყაყების ყიყინი, კოღოების წუილი, ნაპირზე მოფართქალე თევზები და გიორგი ანკესით ხელში...

ყოველივე ეს გაქრა! როგორ ღარიბდება ცხოვრება.

უკან რომ ვბრუნდებოდით ტბიდან ნაბანავები და ნათევზავები, და მერცხლების გუნდი წივილით გადაგვიფრენდა თავზე...

ესეც გაქრა!

თუ დავიღლებოდი, კვლავ ზურგზე შემისვამდა. რა ჯანი ჰქონდა, რა აღნაგობა. ბავშვივით მიამიტი, მალემრწმენი, დამყოლი იყო, თუმცა, როცა დავაჟკაცდა და სმას მიეჩვია, ენამყრალი და მოუსვენარი შეიქნა. მაგრამ მაინც გულკეთილი იყო და ებრძოდა თავის გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლკეთილობას. მაშინ, მამაჩემთან ჩხუბი რომ მოუვიდა, ეტყობა, ინანა თავისი საქციელი და ერთ მშვენიერ დღეს, მცირე რაზმით მოადგა ჩვენი ციხის გალავანს მამაჩემთან შესარიგებლად. მაგრამ მამაჩემმა არ ინება შერიგება და შინ არ შემოუშვა. ისევ სასტიკად ლანძღეს ერთმანეთი და გიორგი მუქარით გაგვშორდა.

ბიძაჩემი მემნა იმ ხანებში ხშირად მოდიოდა ჩვენსა და მამაჩემი სადილს რომ უმართავდა, ოდნავ შემთვრალი უმალ გიორგის გინებას მოჰყვებოდა, თუმცა იმასაც ირწმუნებოდა, ეგ უბედური შვილივითა მყავს გაზრდილიო. ისინი მართლაც სულ ერთად იყვნენ და უყვარდათ ალბათ, ერთმანეთი, მაგრამ მემნა მამაჩემს მაინც აქეზებდა გიორგის წინააღმდეგ. თურმე, გიორგისაც ასევე აქეზებდა. იმისი ნათქვამი ჩვენთან მოჰქონდა, ჩვენიანებისა იქით გაჰქონდა. ეს რომ მამაჩემმა გაიგო, მემნა შინიდან დაითხოვა.

ამის მერე, კიდევ რამდენჯერმე მოგვიხტა გიორგი მემნას თანხლებით, მაგრამ ჩვენ ციხეს ვერაფერი მოუხერხა. ერთხელ მისი ხაფი ხმა შემომესმა გალავანს მიღმა. კარგა ხანია ჩემი ძმა არ მენახა და მიუხედავად იმისა, რომ ნაწყენი ვიყავი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩვენი ოჯახის მტრად იქცა და დღენიადაგ მისი ლანძღვა-გინება მესმოდა გარშემომყოფთაგან, უცებ ვიგრძენი, რომ სასტიკად მომნატრებოდა. ჩემდაუნებურად კოშკში ავვარდი, სარკმელს ავეკარი და თვალი მოვკარი დიდი ხნის უნახავ ძმას, რომელიც ცხენს დააჯირითებდა ტყის განაპირა მინდორზე და რაღაცას ყვიროდა.

„გიორგი, გიორგი!“ სიხარულით გავძახე.

იმავ წამს, რამდენიმე ისარი შეერჭო ვიწრო სარკმლის ლირსს. გაცოფებული მამაჩემი კოშკის ზედა სართულზე ამოვარდა, მათრახი გადამაწნა და ძირს ჩაეთრიე, შე. მახინჯოო, მიბრძანა. და მეც დავეშვი ძირს ულეველი ბოლმით სავსე.

ის ნამათრახალი სამუდამო ნაიად დამაჩნდა სახეზე, მაგრამ გულს ის უფრო მიკლავდა, რომ ჩემიანები ერთმანეთს არ ინდობდნენ. აღარ მინდოდა ამათ შორის ყოფნა, მინდოდა გავცლოდი ყველას...

ისედაც მიყვარდა ბნელი ჯურღმული. აქ დაცული ვიყავი სინამდვილისაგან. ჩავიპარებოდი ხოლმე ჩვენს საიდუმლო მიწისქვეშა თავშესაფარში, ნესტით გაჟღენთილ გასლიპულ კედლებზე ხელებს ვაფათურებდი და ფრთხილად მივიკვლევდი გზას ქვესკნელის სიღრმეში. და როცა დღის ნათელი ყოველი მხრიდან აიწურებოდა და გაქრებოდა, ვიჯექი ბნელში, სრული დუმილით გარემოცული. ზოგჯერ ჩემს შიშველ ფეხზე გველი გადაისრიალებდა, ან ვირთხა გამედებოდა წრიპინით და გაქრებოდა. რა უცნაური იყო იმის შეგნება, რომ მხოლოდ შეხებით აღვიქვამდი გარემოს. აქ არაფერი ჩანდა, არაფერი ისმოდა და არაფერი ხდებოდა. მაგრამ მე მაინც ვარსებობდი, თუმცა ყველა ჩვეული საგანი გამქრალიყო ჩემთვის. უცნაური იყო ეს არსებობა, მაგრამ მე მას ვეჩვეოდი. ყველაფერი მავიწყდებოდა, პირველყოფილი სიმშვიდის განცდა მეუფლებოდა. საოცრად მრავალმხრივი და გამოუცნობი იყო ყოველივე, მაგრამ უსაზღვრო შესაძლებლობები და იდუმალი გზები ერთ ვიწრო კალაპოტში ჰყავდა მომწყვდეული ადამიანურ არსს. ჩვენ თვითონ ვზღუდავდით ჩვენს უნარს და თვითონ ვიხშობდით გამოსავალს. მაგრამ არსებობდა გამოსავალი? რომელი იყო სწორი და აუცილებელი გზა?

სად იყო სიმართლე?

ეტყობა, მხოლოდ სიბრძნის ზედაპირი პრიალებს ჩვენთვის კაშკაშა ვარსკვლავივით, დანარჩენი ჭეშმარიტება, ვით თვალუწვდენელი, შეუცნობადი, სრული სამყარო უკუნ წყვდიადშია ჩაძირული...

სულ მარტო ვართ ჩვენ ამ წყვდიადში. მაგრამ ზოგჯერ, ჯურღმულში მჯდარს, მეჩვენებოდა, რომ ვხედავდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცას, თითქოს ვიღაც მახლდა უჩინარი, თითქოს რაღაც ხდებოდა ამ უძრავ სიცარიელეში. ასეთ დროს, სულ აღარ მინდოდა ზემოთ ამოსვლა, სადაც დაუსრულებელი ფუსფუსი, გაუგებრობა, სისასტიკე და ვერაგობა ბატონობდა. იყო სიკეთეც, იყო სიყვარულიც, იყო ცნობისწადილიც, მაგრამ შელანძღული და დამარცხებული. მიმნდობი და კეთილი კაცი მალავდა თავის სიკეთეს და ცდილობდა თავი თავხედად და ნემსის ყუნწში გამძვრენად მოეჩვენებინა. აქ, ჯურღმულში ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. აქ არ არსებობდა წვრილმანები, არ არსებობდა დიდი და პატარა, ყველაფერი მნიშვნელოვანი და აზრიანი იყო. მაგრამ ჯურღმულიდან ამოსულს მხოლოდ უბადრუკი უაზრობა მრჩებოდა ხელთ, სიზმრის ნარჩენივით უმნიშვნელო, გაუგებარი, გრძნობისა და განცდისაგან დაცლილი. და ისევ იქით მივისწრაფოდი, რათა ჩემს ხილვებს, ვარაუდებს ბოლომდე ჩავწვდომოდი, გამომეაშკარავებინა, რომ ყოველივეს ნათელი აზრი მისცემოდა...

ერთხელ, ჩემი სამალავისკენ მიმავალი, მოულოდნელად წავაწყდი კვარით მკრთალად განათებულ დილეგს, სადაც ჯაჭვით დაბმული ადამიანები ეყარნენ აყროლებულ ბნელ ხაროში. ისინი აქ ჭამდნენ, სვამდნენ, ეძინათ, გარეთ გადიოდნენ და ზოგჯერ ცხოველებივით ღმუოდნენ. მე ვიცოდი ამ ტყვეების არსებობა, ვიცოდი, რომ ისინი მამაჩემის და ჩემი ოჯახის დაუძინებელი მტრები იყვნენ, მამაჩემი კი მტრებს არასდროს ინდობდა. მე მძულდნენ ისინი. მაგრამ მაშინ, შემთხვევით რომ წავაწყდი დილეგში ჩაყრილ ადამიანებს, საზიზღარი სუნი რომ სდიოდათ, გაყინული თვალები იმზირებოდნენ და გულამაზრზენად გმინავდნენ ტანჯვისაგან სასომიხდილნი, ზიზღთან ერთად სირცხვილმა შემიპყრო, რომ მამაჩემმა ჩააყენა ისინი ამ დღეში. მე მაშინ მწამდა მამაჩემის სამართლიანობა, მჯეროდა, რომ შურისძიება აუცილებელი ქმედებაა, როცა მტერს ჯილათს, სისხლისმსმელს, მისგან ჩადენილ საქმის საზღაოს მიუზღავ და წამებით ამოხდი სულს; მაგრამ იმ დღეს ეჭვი შემეპარა: დაუნდობლობა შეიძლება იყოს სამართლიანი? სისასტიკით შეიძლება სიმართლის მიგნება? მე მივხვდი, რომ ყველა, ვინც სასტიკი და ულმობელია, — უღმერთოდ ტყუის!

მაგრამ ქვეყნის სამართალი რომ მუდამ ყველაზე ულმობელთა ხელშია? სწორედ ულმობელნი და გულგრილნი, რომელთაც არ ძალუძთ შეიგნონ სხვისი ტანჯვის ფასი, სწონიან სასწორს, როგორც სურთ ისე. ან რომელი კაცი ინდობს სხვა არსებებს, ვინ უფრთხილდება პირუტყვს და ნადირს? შვილივით მონდობილ ბატკანს ან ხბოს, კუდში რომ დაგდევს, როგორც მშობელს, ხელის აუცახცახებლად ყელს ჭრის კაცი, ეს ყველაზე ვერაგი ცხოველი, — და მერე ჭამს. ვითომ ზნემაღალი და ზნესრულია ასეთი არსება?

●

სხეული მტკივა, სიარული მიჭირს. თავიც გატეხილი მაქვს. გუშინ ფერდობზე მოვცურდი და ქვას დავარტყი. ჭრილობიდან გადმოსული სისხლი კისერში ჩამივიდა და შემახმა. ტყეში სიწყნარეა. ტბა აღარა ჩანს. ფრინველების ჟივჟივი სადღაც, ძალიან შორს ჩარჩა, როგორც წარსული. ახლა ჩაქუჩის კაკუნი მესმის. ჯერ ყრუ, უძლური, მერე თანდათან გამკვეთრებული. მივდივარ იქით ჩუმად, ფრთხილად, და ხეს ამოფარებული ვხედავ უცნობ კაცს, მიწაზე რომ ზის, ხელში ჩაქუჩი და საჭრეთელი უჭირავს და ქვას კოდავს. ვინ არის? აქ რა უნდა?

ნელ-ნელა ვუახლოვდები. ზურგითაა ჩემკენ. მერე თითქოს რაღაც იგრძნოო, მუშაობას თავს ანებებს. აქეთ-იქით იყურება. უცებ შემოტრიალდა, თვალს თვალში მიყრის.

მე ვჩერდები.

„გამარჯობა!“

„გაგიმარჯოს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაძაბულად მპასუხობს. ეტყობა, დაფრთხა, მაგრამ არ უნდა შეიმჩნიოს. არ იცის, ვინ ვარ. არც მე ვიცი ვინ არი.

„მხატვარი ბრძანდებით?“

„ჰო, მხატვარი ვარ“.

დგება. ხელსაწყოებს მიწაზე ყრის. მაღალია. მაღალი შუბლი აქვს. თმა შეჭაღარავებია, წვერიც. დიდი ცხვირი, ცხენივით ფართო ნესტოები. შავად შემოსილა მოჩვენებასავით, ჯვალოს ნაფლეთებში. ფეხშიშველაა. ძლიერი, დაძარღვული ხელები აქვს და დიდი ფეხები.

„ალბათ, იმათ ჩამორჩი!“ ვეუბნები და თავს ტყის სიღრმისაკენ ვაბრუნებ, საითაც ისინი მეგულებიან.

„კი არ ჩამოვრჩი, გამოვასწარი“, დაცინვით თუ ზიზღით ემანჭება სახე, „თვითონ ეგენი ჩამორჩნენ, არც კი იციან საით მიდიან“.

„თავად საით მიბრძანდები?“

„მე მხატვარი ვარ!“ ამაყად ამბობს და სახეში შემომცქერის. ალბათ, სჯერა, რომ ამ სიტყვას რაიმე ფასი აქვს. ამ საცოდავ მხატვრებს და მგოსნებს ჯერ კიდევ რაღაც ჰგონიათ თავი. ვის რაში სჭირდება ეს შტერები?“

„საით მიდის მხატვარი, საით უნდა მიდიოდეს?“ ამბობს ის.

„საითაც უნდა!“ მეცინება მე და მომწონს ეს კაცი. ეტყობა, ხუმარაა. „მე კი ჭირს გავურბივარ!“

„ჭირს ყველა გავურბივართ! თუ გავექეცით...“

ვუახლოვდები.

დავცქერი ვეება ქვას, რომელზედაც ის წეღან რაღაცას ჭრიდა. მშვენიერი ჩუქურთმა ამოუკვეთია, მაგრამ არ არის დამთავრებული. ყურძნის მტევანს მაგონებს, მაგრამ რაღაც სხვაა. თავს ვწევ და სახეში შევცქერი მხატვარს, იქნებ რამე მითხრას, ამიხსნას, მაგრამ ის ყურადღებას არ მაქცევს. არც მე და არც თავის ნამუშევარს. იხრება, მიწიდან ჩაქუჩს და საჭრეთელს იღებს და მხარზე გადაკიდებულ ჩანთაში ყრის. ჩანთა ტყავისაა, შიგ კიდევ ყრია რაღაცეები. მესმის რკინების ჩხარუნი.

მხატვარი ნელა მიდის, მე გვერდით მივყვები.

„ამ ქვას აქ ტოვებ?“

გახედა თავის ნამუშევარს, ცოტა ხანს უყურა თავლმოჭუტულმა.

„იყოს, აქ კარგად დევს“.

ნეტავ რისთვის იშრომა, რისთვის იწვალა? რა ჩემი საქმეა, მე რას დავეძებ. დასანანია, ეს ლამაზად ამოჩუქურთმებული ქვა ტყეში რომ ეგდება უსარგებლოდ, მაგრამ მე ვინ მეკითხება?..

●

... მონასტერი მთებში იყო შეხიზნული, დაბურულ ტყეებს შეფარებული. კლდეში გაჭრილი ერთი საიდუმლო ბილიკი მიდიოდა იქითკენ, რომელიც მხოლოდ ბერებმა იცოდნენ. მაგრამ იყო ერთი ადგილი, საცა მთები იხსნებოდა და ჩარღვეული კორდიდან კლდის ქიმზე გასული ხედავდი ოქროსფრად მბზვინვარე შორეულ ველს, სადაც პურის ყანები ჰყვაოდა და შიგადაშიგ, იმ ოქროსფერ სილაჟვარდეში, ჩამდგარიყვნენ მხარგაშლილი ვეება ხეები, ზღაპრული გოლიათებივით ერთმანეთს დაშორებულნი და მედიდურნი.

ქვეყნიერებას მოწყვეტილ ბალღებს გვიყვარდა ამ სურათის ცქერა და ხშირად გაგვივლია ეს მეტად საშიში ცაცაბო მხოლოდ იმისთვის, რომ პიტალო ტინზე ტანით აკრულთ შორს მოღაღანე ველი დაგვენახა. იქ გადიოდა ურდოსკენ მიმავალი გზა. ამ გზით შემოდიოდნენ მტრის ურდოები ჩვენში. იმ ველზე ერთ დროს გაფანტულიყო ურიცხვი ხვასტაგი, აწ მიტაცებული და განადგურებული. მოსახლეობაც გახიზნულიყო იმ მიდამოებიდან, ზოგი მთას შეფარებოდა, ზოგი ტყეს, და დარჩენილიყვნენ იმ ზურმუხტოვან ველზე მხოლოდ აოხრებული ნასახლარები და ნაფუძარები.

მაინც გვიწევდა გული იქითკენ, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგან ვიცოდით, რომ იქ რაღაც ხდებოდა. მონასტრული ცხოვრების ერთფეროვნება თრგუნავდა ჩვენს ბავშვურ სიხალისეს და მოძრაობა გვწყუროდა. სულ ოციოდე ბავშვი ვიყავით ამ მონასტერში განსასწავლად მიბარებულნი. გვიჭირდა აქ ყოფნა ოჯახებს მოწყვეტილებს. განსაკუთრებით ძნელი იყო ზამთარი, როცა სანოვაგე გველეოდა და შიმშილისა და სიცივისაგან აძაგძაგებულნი ცივ სენაკებში ვისხედით და ვისმენდით მოსაწყენ ლოცვებს. ჩარჩული სული მონასტრის კედლებშიც ფეხს იკიდებდა მაშინ, როგორც ყველგან, ყველაფერში, რადგან თავისუფლებას გადაჩვეული ერი ჩარჩულად აზროვნებდა, და ჩვენი სკოლაც თანდათან ირყვნებოდა. დილაადრიან უნდა ამდგარიყავ, გაყინულ ტყეში ფიჩხი შეგეგროვებინა და მოძღვრისთვის მიგერთმია, თუ გინდოდა შენი ცოდვა შესაფერისად შეეფასებინათ. თუმცა, რა ცოდნა უნდა გვქონოდა, როცა არაფერს არ გვასწავლიდნენ. ბერები თავად იყვნენ უვიცნი და ხარბნი. ზაფხულობით ტყის ნაყოფს ვეძებდით ბერებისთვის, თავად მშიერნი. ვკრეფდით ყოლოს, პანტას, მაყვალს, რაღაცნაირად გაგვქონდა თავი და გადიოდნენ დღეები უხალისოდ და უაზროდ, გალავანშემორტყმულ მონასტერში, სადაც ზოგჯერ სამრეკლოს ზარი რეკდა და ყორნები ჩხაოდნენ, სხვა დროს კი მკვდარი სიჩუმე იდგა.

ვის უხმობდა ეს ზარი? ირგვლივ ხომ არავინ იყო გარეულ ნადირთა გარდა?

მაინც რეკდნენ, ალბათ, ასე იყო საჭირო!

ბალღი მაინც ბალღია და ჩვენ მუდამ ვპოულობდით გამოსავალს მდორედ გაჭიანურებული ყოფისაგან თავდასაღწევად. გალავანს მიღმა, ფარიკაობით ვირთობდით თავს. მიუხედავად კოჭლობისა, ცხენბურთი და ხმალაობა ბალღობიდან მეხერხებოდა. და ამიტომაც დგებოდა ჩემთვის ნეტარი ჟამი, როცა სათამაშოდ ვიკრიბებოდით. ჩემი სიმახინჯე თითქოს ქრებოდა და მხოლოდ ჩემი სიმარჯვე ჩანდა. და როცა ვიმარჯვებდი, მე ვმაღლდებოდი თანატოლთა ზედა და იმათ თვალში ვკითხულობდი უნებლიე პატივისცემას. ამ მოწიწებამ მაგრძნობინა ნიჭის სიდიადე, შემასვა უნეტარესი ბანგი, განმაცდევინა თავბრუდამხვევი პირველობის განცდა, რომელიც მაღლა მიგაქროლებს, გამსუბუქებს და ზოგჯერ გავიწყებს მიწის სიმძიმეს, დაბლა რომ გექაჩება, გაფრენაში რომ ხელს გიშლის, გასაქანს რომ არ გაძლევს. პირველობის შეგრძნება იმდენად საამო იყო, რომ მსურდა უსასრულოდ გაწელილიყო ეს ბედნიერი წამი, და მე მას ხელმეორედ ვიგონებდი, ხელმეორედ ვაღვიძებდი მეხსიერებაში და ბოლოს იქამდე მივედი, რომ ვიწერდი ყველაფერს, რაც განვიცადე, რაც მოხდა, რაც მითხრეს, რაც ვთქვი და გავიფიქრე, და თანდათან ისე შევეჩვიე ამ საქმიანობას, თუ ამას საქმიანობა ჰქვია, რომ ყველაფერს აღვნუსხავდი, რაც ვიცოდი, ან რასაც გავიგებდი, კარგსა თუ ცუდს, და არა მარტო იმას, რაც მე შემემთხვა, არამედ იმასაც, რაც სხვებს ეხებოდა. ასე გავხდი მემატიანე. და მიუხედავად ათასი მანკისა, რომლითაც აღსავსე ვიყავ, მაინც გამიჩნდა გრძნობა განსაკუთრებულობისა და ამის გამო მუდამ იმაზე მეტი მინდოდა, რაც უფალმა მიბოძა. ეს კი დაუკმაყოფილებლობის გრძნობას მიმძაფრებდა. ამიტომ ვიყავ გაორებული ჩემს ბალღობაში.

თავიდანვე ვცდილობდი ამხანაგების კეთილი განწყობა გამომეწვია. ისინი მართლა ანგარიშს მიწევდნენ, მხედავდნენ, მამჩნევდნენ და არ ვითვლებოდი მე უკანასკნელთა შორის, თუმცა ჩემი გარეგნობის პატრონს, ზოგჯერ მაინც მიბედავდნენ დაცინვას ყველაზე ძლიერნი. მაგრამ სწორედ ამ ძლიერთა და გამორჩეულთა წრისკენ მივისწრაფოდი და ეს დაუცხრომელი ლტო-

---

გურამ გეგეშიძე
ჟამი

ლვა თითქოს მაძლიერებდა კიდეც. მე მავიწყდებოდა წყეული სიგონჯე და ჩემს ოცნებებში არავის ტოლს არ ვუდებდი. მეტადრე მაშინ, როცა შეჯიბრში გამარჯვებული გამოვდიოდი. მაგრამ გამარჯვებას დამარცხებაც მოსდევდა ზოგჯერ და მაშინ ვვიდოდი ჩაფიქრებული, სევდიანი, შეუგუებელი და მიუსაფარი...

ერთხელ ახალი ბიჭი მოიყვანეს მონასტერში. თოვლიანი საღამო იყო, ყინავდა. დროდადრო ისმოდა თოვლის ჭრაჭუნი, როცა ვინმე ჩაივლიდა მონასტრის ეზოში. გათოშილი ყმაწვილები ცივ სენაკებში შეყუჟულიყვნენ და ჩემს გარდა არავის შეუმჩნევია ახალი მოწაფის მოსვლა. მე გარეთ ვიყავი ამ დროს და თვალი მოვკარი გალავნის ჭიშკართან მდგარ ახალმოსულს, რომელიც ბერებს დაუტოვეს მისმა თანხლებმა კაცებმა, თვითონ კი ფეხმარდ ცხენებს შეასხდნენ და შავ ნაბდებში გახვეულნი, საიდანაც მოვიდნენ, იქით წავიდნენ.

ახლად მოყვანილი ყმაწვილები პირველ ხანებში დაბნეულად და გაუბედავად გამოიყურებოდნენ ხოლმე, ამას კი თავიდანვე ღირსეულად ეჭირა თავი. თამამად შემომხედა და ჩამიარა, მტკიცე ნაბიჯით მიჰყვა ბერს, რომელსაც მისთვის ღამის გასათევი ადგილი უნდა მიეჩინა გრძელი შენობის რომელიმე ცივ სენაკში.

ეს ბიჭი, სახელად შადიმან, იოლად გაუშინაურდა ყველას. გარდა იმისა, რომ ბუნებით მხიარული იყო, — კარგად ხატავდა, აქანდაკებდა და ძალაუნებურად ყმაწვილების ყურადღება მიიპყრო. პირველად ვიგრძენ გულისტკივილი შურის გამო. მეც მინდოდა სახელოვანი და გამორჩეული ვყოფილიყავ, მინდოდა პატივი ეცათ ჩემთვისაც რაიმე უნარის გამო, მაგრამ არავითარი უნარი არ გამაჩნდა და ეს გულს მტკენდა, ჩრდილში დარჩენილს, შადიმანის ხსენებაც კი მაღიზიანებდა, მის ნამუშევრებს კი ისეთი მიკერძოებით ვუყურებდი, როგორც ჭირვეული ბავშვები ერთმანეთის სილამაზეს.

ამას ისიც დაერთო, რომ შადიმანი გარგი მოფარიკავე გამოდგა. იმ ზამთარს არა ერთს და ორს აწვნია დამარცხება კეჭნაობაში. ვინაიდან მეც გამორჩეულ მოხმალავედ ვითვლებოდი, ერთ მშვენიერ დღეს ყმაწვილებმა ერთმანეთს შეგვაჯიბრეს, რათა დაედგინათ, ვინ იყო ჩვენს შორის უძლიერესი. ვლელავდი, რადგან ჩემი ყოფნა-არყოფნის ამბავი წყდებოდა. ის არაფერს კარგავდა, რადგან პირველობისაკენ მიისწრაფოდა, მე კი, უკვე აღიარებულს, არ მინდოდა სახელის დაკარგვა, და ალბათ, მეშინოდა, ოღონდ არა ბრძოლის, არამედ მისი შედეგის. თავად ასპარეზობა უზომოდ მიყვარდა, ბრძოლის ჟინი თავბრუს მახვევდა და მიტაცებდა ბრძოლის დინება, მუდამ თავდავიწყებით მივისწრაფოდი მიზნისკენ, მაგრამ ახლა სხვაგვარად იყო საქმე. უმრავლესობას ჩემი მხარე აღარ ეჭირა, იმასაც გამოუჩნდა ბევრი მომხრე, გუშინ რომ ჩემი ერთგულნი იყვნენ. მათ ახლა ახალი კერპის ხილვა სურდათ და ამის გამო მოღალატეებად მეჩვენებოდნენ, ვიღაც ახალმოსულში რომ გამცვალეს იოლად და ურცხვად.

თოვლი დნებოდა მთებში, გაზაფხული იღვიძებდა.

დღე დავთქვით ჩვენი შერკინებისა. ერთ საღამოს, როცა მზე მიილია, სწავლასა და ლოცვას მოვრჩით და ყმაწვილები მონასტრის ეზოდან ტყეში მიფარებულ წინასწარ დათქმულ ადგილისაკენ გავიპარენით, სადაც მუდამ ვიკრიბებოდით და საიდანაც ჩვენი ჟრიამული ვერ აღწევდა მონასტრის სამანს...

ხმალი მომცეს ხელთ, შადიმანსაც ეჭირა ხმალი და პირდაპირ თვალებში შემომცქეროდა. მის მზერაში შიშის ნატამალს ვერ ვხედავდი, ხოლო თუ მაინც ეშინოდა გულის სიღრმეში ან თუ ღელავდა, — არ ამჟღავნებდა, არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ გამომწვევი ღიმილი უთამაშებდა ტუჩებზე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვგრძნობდი, იგი მტერს კი არ ხედავდა ჩემში, არამედ მხოლოდ მეტოქეს. ალბათ, ასე იყო და ამაში იყო რაღაც იმედიანი. მე კი... თვალებში არც შევხედე. ერთმანეთისკენ წავედით და უეცრად ვეკვეთე. ამ ხერხით ვაღწევდი ხშირად სწრაფ გამარჯვებას, მაგრამ ამჯერად არ გამოდგა ჩემი ფანდი, მოახერხა შადიმანმა თავის დაცვა, ფარი იფარა და გაშმაგებით შემომიტია, და ყმაწვილების გამაყრუებელ ყიჟინში, ხმლებს ნაპერწკლები ვაყრევინეთ.

ბრბოის ყიჟინა არასოდეს მესმის ბრძოლის დროს. მე ვეთიშები გარე სამყაროს. ცხადია, მესმის ყრუ ზრიალი, თითქოს სადღაც, შორიდან მომდინარე, მაგრამ ეს ხმაური არ მოქმედებს ჩემზე, არც მამხნევებს, არც მაშინებს და არც აღმაგზნებს. იმიტომ მეჩვენება, რომ თითქოს სრულიად ვყრუვდები, რომ ცნობიერება ვერ ასწრებს მოვლენების აღქმას, რომ სული გამქრალია თითქოს, განფენილი პირველყოფილ უკუნში და თავად არ ვიცი რა მამოქმედებს, რა მისვრის წინ, რა მაქნევინებს ხმალს, ან როგორ ვიცდენ მოწინააღმდეგის შემოტევას. არაფერი მახსოვს ხოლმე, როცა ბრძოლა თავდება. თითქოს სინამდვილეს მოვწყდი, ამოვვარდი ჩვეული დინებიდან. ყველაფერი მოულოდნელია ჩემთვის ბრძოლაში, ყოველი წამი დამუხტულია ულევი მღელვარებით, და როცა ვიმარჯვებ, მიზანს მიღწეულმა თავად არ ვიცი, რა მოხდა, ვით მოვიპოვე წარმატება.

ამიტომ ვერ ვიგრძენ, როდის და როგორ გამაგდებინა შადიმანმა ხმალი, რამ დამაგდო ძირს, სისუსტისგან მომეკვეთა მუხლები თუ მეტოქემ მიხიმანჯა რამე. დამარცხების სიმწარეც ვიგემე და როცა შევხედე გახარებულ თანატოლებს, გამარჯვებულს რომ შემოხვეოდნენ და ულოცავდნენ, — ყელში ბოლმა მომებჯინა. ცრემლები მახრჩობდა, ერთბაშად მომაგონდა გონჯი რომ ვიყავი, არარაობა. მაშ რად ვიტყუებდი თავს, ან სხვებს რად ვატყუებდი, რას ვინიღბებოდი... ახლა ყველაფერი ნათელი გახდა, წარმოჩინდა ჩემი სინუსტე, გამომჟღავნდა ჩემი ნამდვილი სახე. მიწაზე ვეგდე ატირებული, ყველასაგან მიტოვებული, რაც დამარცხებულთა ჩვეული ხვედრია, ვის რაში სჭირდება დამარცხებული? ისევ შადიმანს მოვაგონდი. თავზე დამადგა და ხელი გამომიწოდა წამოსაყენებლად. ცხადია, ზედაც არ შევხედე. დაუხმარებლად წამოვჯექი და თავი ჩავღუნე.

„შენ ჩემზე ყოჩაღი ხარ, მაგრამ ფეხი დაგიცდა!“ მითხრა შადიმანმა და წავიდა და თან წაჰყვნენ სხვებიც. მარტო დავრჩი.

ტყე დუმდა. მიწა და თოვლი ერთმანეთში აზელილიყო. ვიჯექი ჭყაპში, ლაფით გასვრილი და ამოგვანგლული. აღარ მეტირებოდა, მაგრამ გულზე მთელი ქვეყნის სიმძიმე მედო. ეს იყო არსებობის სიმძიმე, რომელიც მხრებზე მაწვებოდა და მიწას მაკრავდა...

●

„ერთ მხატვარს ვიცნობდი, კარგი ჯეელი იყო“, ვეუბნები ჩემს თანამგზავრს.

„მერე რა ბედი ეწია?“

„არ ვიცი, ბალღობის მერე აღარ მინახავს“.

ის ერთხანს მიყურებს. მერე, დაწინაურებული, ტყის სიღრმეში შედის. უკან მივყვები. იქნებ, ჩემი გზაც აქეთაა. ხანდახან, რომელიმე გორაკის წვერზე ასული ძირს რომ გადმოიხედავ, ირგვლივ მხოლოდ სიმწვანეს აღიქვამ, რომელსაც არ უჩანს თავი და ბოლო. საით მიდიან ეს ბილიკები, ერთმანეთს რომ ჰკვეთენ ტყის უღრანებში? რომელია ჩემი ბილიკი?..

ვიღლები, მშია...

მაშინ კი...

●

... დიდხანს ვიჯექი ლაფში, სანამ ვიღაც არ წამომადგა თავზე. ავიხედე და

ბერი ონოფრე შევიცანი. მაღალი და მილეული მოხუცი იყო, თეთრწვერა. გაგებული მქონდა, თათრების მეხუთე შემოსევისას ერთადერთი მცირეწლოვანი ვაჟი მოუკლეს, ხოლო ორი ქალიშვილი ტყვედ წაიყვანესო. მას მერმე, თურმე, აღარ იცოდა თავისი ქალიშვილების ასავალ-დასავალი, სად იყვნენ, რომელ ქვეყანაში, ვის მონებად, მხევლებად თუ ხასებად. გაგებული მქონდა თითქოს მამაო ონოფრე მოსწრებოდა მამაო ილიას, ჩვენი მონასტრის დამფუძნებელს და აღმდგენელს, კარგა დიდი ხნის წინ რომ მოკლეს გზის პირას ჩასაფრებულმა მკვლელებმა, როცა საერო და საღვთო საქმით დამაშვრალი ქალაქიდან მონასტერში ბრუნდებოდა. მოკლეს და გაძარცვეს, თუმცა ბერს თან რა უნდა ჰქონოდა. მაგრამ იმასაც ამბობდნენ, იმიტომ მოკლეს, მონასტერი რად აღადგინეო. თავისავე ნათესავებმა მოკლეს, მაგ უტვინოებმა და უსინდისოებმა, ღმერთს, რჯულს და ერს პირი რომ უქციეს. მერე, ალბათ სირცხვილისა გამო, თათრებს აბრალებდნენ ამ ამბავს, იმათი ხელიც ურევიაო. ეგ, უბედურები, ეგ საცოდავები!..

მამაო ონოფრემ მხარზე ხელი დამადო, წამომაყენა და მონასტრისკენ წამიყვანა. არც უკითხავს აქ რატომ ვიჯექი. მას მოზარდები ებრალებოდა და ესმოდა მათი. თავის სენაკში შემიყვანა, მიმქრალ ბუხართან დამსვა და ცეცხლი გააჩაღა. როცა გავთბი და გავშრი, ხმელი ჩირით გამიმასპინძლდა და დიდხანს მიყურა სევდიანი სახით. ისეთი თვალები ჰქონდა, რომ წამით მომეჩვენა, თითქოს ჩემს მომავალს ჰვრეტდა, და გული ამიძგერდა მოუსვენრად, რაღაც ავბედითის მოლოდინი დამეუფლა. ბოლოს, მამაო ონოფრე ფიქრებიდან გამოერკვა და მკითხა, ვინ ვიყავი, სადაური, ვისი შვილი, როგორ ვსწავლობდი და რა უფრო მეხერხებოდა, ღვთისმეტყველება, ქვითხუროობა, ანგარიში თუ მწერლობა. მეორე დღისთვისაც დამიბარა და რომ ვეახელი, ეკვდერში შემიყვანა, სადაც შადიმანი ... საღებავებით მოსვრილ ძველ ანაფორაში. კედელთან იდგა და ხატავდა. თურმე მამაო ონოფრეს მისთვის ამ ეკვდერის კედლების მოხატვა დაევალებინა, მე კი მის დამხმარედ განმაწესა. სენაკშიც იმასთან გადამიყვანა საცხოვრებლად.

არ მეამა ეს ამბავი, მაგრამ რა ძალა მქონდა? იმ დღიდან ვეხმარებოდი შადიმანს, ხან საღებავებს ვუზავებდი, ხან ბათქაშს ვუმაგრებდი, ხან ხარაჩოს ვუგებდი და თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით. მონასტრის ახალ წინამძღვრებს ფეხებზე ეკიდათ საეკლესიოებისა და მცირე სამლოცველოების მოვლა-პატრონობა. არც მოსწავლეთა განსწავლის მოწადინენი იყვნენ ისინი. იმათ ოღონდ თავისთვის ეშოვათ გემრიელი ლუკმა, მეტი არაფერი ადარდებდათ. მაგრამ მამაო ონოფრე ძველი ყაიდის კაცი იყო, რომელსაც ჯერ კიდევ სწამდა, რომ არ შეიძლება გულგრილად და უმოქმედოდ უყურო ქვეყნის ბედს, თუნდაც უკუღმა ატრიალებდეს მას განგების ნება. ის არ ემორჩილებოდა და არ ეგუებოდა თათრობას, ასეთ ვითარებაშიც კი ერის გამოცოცხლებას და აღდგენას ცდილობდა, რადგან თათრების განუწყვეტელი შემოსევებისაგან დღითიდღე ირყვნებოდა ქვეყანა, თახსირდებოდა ახალგაზრდობა, ერის იმედი და მომავალი, რომელსაც არაფერს არ ასწავლიდნენ სასიკეთოს, რადგან არავინ იყო მასწავლებელი და არც არავის სწყუროდა ცოდნა, ხოლო ქურდობა, მტაცებლობა, ღალატი და კაცის კვლა ჩვეულებრივი ამბავი გამხდარიყო. ყოველივე ეს წმინდა მონასტერზეც ახდენდა გავლენას, აქაც შემოდიოდა საყოველთაო გამრყვნელი სული, ერთმანეთში არეულიყო მრუდი და მართალი, უმეცრება ზეიმობდა, ვერ გაიგებდი, ვის რა სურდა და სად რა ხდებოდა, ტყუილსა და მართალს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდი და მხოლოდ ერთი ჟინი ამოძრავებდა ერსა და

ბერს, — გადარჩენილიყვნენ და რაიმე გამოეგლიჯათ ამ ცხოვრებისათვის...

და კვლავ გაუგებარი იყო, ვის უხმობდა მონასტრის ზარი, მიმწუხრის ჟამს რომ იწყებდა კვნესანარევ რეკვას ამ მიყრუებულ ცარიელ ადგილას....

მამაო ონოფრეს ღვთის მოწყალების იმედი ჰქონდა, იქნებ შეგვეწიოს და გავძლოთო. მანამდე კი იმოქმედეთ, იმუშავეთ, შეჰქმენით რამე, ისწავლეთ, ნუ იდგებით გულხელდაკრეფილნი, ნუ მიეცემით მცონარობას, ნუ აჰყვებით მტრის ზრახვას, პირიქით, ძალა მოიკრიბეთ, მოემზადენით, დაიძაბენით, ვინ იცის რა მოხდება, გვეუბნებოდა იგი, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან, თათრების აღზევებას ბოლო მოეღებოდა.

და ჩვენც, მამაო ონოფრეს სიტყვებით წახალისებულნი, მუხლჩაუხრელად ვიდექით ცივ კედლებს შორის. და ვშრომობდით. მე თანდათან ვეგუებოდი შადიმანს, მიტაცებდა მისი საქმე, თავდაპირველი შური მიქრებოდა და სიხარული მეუფლებოდა, როცა მისი ნიჭის გამომზეურების მოწმე ვხდებოდი, რომელიც ღარიბი ეკვდერის უფერულ კედლებს ღვთიური ძალით გასხივოსნებული ნახატებით ფარავდა. მე შევიქენ მისი ერთგული თანაშემწე და თანამდგომი, და სწორედ მაშინ, როცა მუშაობის დამთავრებას აღარაფერი უკლდა, — ხმა გავარდა, ისევ შემოგვესივნენ თათრებიო.

ჩვენ შევწყვიტეთ შრომა.

როცა ქვეყნის არსებობა სათუოდ არის გადაქცეული და კაცმა არ იცის, გადარჩება თუ არა, ვიღასა ცხელა კედლების მოსახატავად? ხვალ თუ ზეგ, შეიძლება ეს კედლები ნანგრევებად იქცეს. სადაც შიში და უიმედობაა, იქ არ შეიძლება არსებობდეს გულწრფელი ცნობისწადილი.

თათრები თავის გზაზე ყველაფერს სპობდნენ, ანადგურებდნენ, ხალხს ხოცავდნენ, ხვასტაგს იტაცებდნენ, სამლოცველოებს და ძეგლებს ანგრევდნენ, რათა ერს დავიწყებოდა თავისი წარსული. უნდა კი წარსული [illegible] ლოდ დარჩენილს?

ერთ ღამეს, ისედაც ფხიზლად მძინარე, რაღაც ხმაურმა გამომაღვიძა. სარკმლიდან მოჩანდა ღრუბლებში მცურავი ნამგალა მთვარე. მკრთალი შუქი საკანშიც შემოდიოდა და ანათებდა ტახტზე წამომჯდარ შადიმანს, რომელიც ძველი სკივრიდან თავის ნივთებს იღებდა და ხურჯინში აწყობდა.

„რა ამბავია, შადიმან?“

„მივდივარ, ვერ დაველოდები თათრებს, რა ვიცი, რას მიზამენ. თუ გინდა, შენც წამოდი!“

„სად წამოვიდე?“ ვერ გავბედე მე.

შადიმანი კი იმ ღამეს გაიპარა. მას შემდეგ აღარ მინახავს და არც მისი ამბავი გამიგია. მესამე დღეს თათრები დაესხნენ მონასტერს. ბერები დახოცეს, მათ შორის მამაო ონოფრეც. ყმაწვილები სათათრეთში წაგვრეკეს...

●

საყდარი მოჩანს ტყის სიღრმეში. უფრო სწორად, ნასაყდრალი. ამ პატარა ბაზილიკის ირგვლივ მწვანე კორდი ბიბინებს. საქონლის ძვლებით და ცხვრის თავფეხით არის მიმობნეული მდელო. მიტოვებულ სასაკლაოს ჰგავს აქაურობა. ეტყობა, ამას წინათ ამ ადგილზე ღრეობა გაუმართავთ. ალაგ-ალაგ მიწა ამომწვარია ნაკოცონარით. ახლო-მახლო ალბათ, სოფელიც იყო, თუმცა ახლა მისი კვალიც აღარა ჩანს. მზის სხივების თეთრი ჩქერალები ისრებივით ეშვებიან ძირს, ფოთლების საფარში დარჩენილი ბზარებიდან.

მხატვარი ჭრიალით აღებს მძიმე კარს და საყდარში შედის. მეც მივყვები. სიჩუმე და სიგრილეა. ნაცრისა და ქვიტკირის სუნი მცემს. საკურთხეველში, ნაცეცხლარ ტოტებზე ძვლები ყრია. ჯამ-ჭურჭელისა და დოქების ნამტვრევები მიმოფანტულია ირგვლივ. ჩანს, აქაც ცეცხლი ენთოთ, კედლები გამურულია. უსვიათ, უჭამიათ, მერე ჭურჭელი დაუმტვრევიათ და წაუბილწიათ აქაურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი დგას და კედლებს ათვალიერებს, უფრო სწორად, კედლებზე გამოსახულ ნახატებს. ზოგი ნახატი წაშლილია, ზოგი ჯერ კიდევ ჩანს, ვიღაცის დაუდევარი ხელით გადახაზული და გადაფხეკილი. მაინც იმზირებიან ბუნდოვანი სახეები ფერდაკარგული სივრცის მიღმიდან. მხატვარი ყურადღებად ქცეულა. გვერდით ვუდგევარ და შევცქერი გაპარტახებულ მოხატულობას. ერთი გამოსახულება, ჩემი ბავშვობის ჟამს, შადიმანის მიერ მონასტრის ეკვდერში შესრულებულ სახეს მაგონებს.

„შადიმანი ერქვა იმ ჩემს ამხანაგს“, ვამბობ მე.

მხატვარს ჩემზე გადმოაქვს იჭვნეული მზერა, თითქოს რაღაცის გახსენებას ლამობსო.

„შადიმანი?“

„ჰო“.

„ვიცნობდი, როგორ არა!“ სიხარულს ვამჩნევ ჩემს თანამგზავრს.

„სად არი, რა ბედი ეწია?“

„დაიღუპა საწყალი. ეკლესიის გუმბათის მოხატვა მოინდომა ამ ჩვენს უბადრუკ დროში. ეს რთული საქმეა. ცოდნა უნდა. ხალხიც უნდა გვყავდეს ისეთი, ვისაც თავის ზემოთ აწევა არ ეზარება. როცა მრევლს მაღლა ახედვა არ უყვარს და აზრადაც არ მოსდის, იქ გუმბათის მოხატვა საჭირო არც არის. ამას განსაკუთრებული ხარაჩოებიც სჭირდება, გარდა ამისა...“

„განა იმის საშუალება არა გვაქვს, რომ წესიერი ხარაჩო ავაგოთ?“

„საიდან გვექნება ჩვენისთანა ნაცარტუტად ქცეულ ხალხს? ჰოდა, ჩამოვარდა შადიმანი მაღლა რომ მიძვრებოდა, კიბე ჩაუტყდა, რადგან არ იყო მყარად და რიგიანად შეკრული. იმაზე მეტი მოინდომა, რისი გაკეთებაც ამჟამად შეიძლებოდა, და საერთოდ...“

„გაბედული ვაჟი იყო, ნიჭიერი, წესიერი“.

„სწორედ ეგეთები ვერ ხარობენ ჩვენში... მაგრამ ეკლესიების მოხატვა, განსაკუთრებით გუმბათისა, ეტყობა, ჯერ ნაადრევია ჩვენთვის. თუმცა...“

მხატვარი ერთი კედლიდან მეორისკენ მიდის. ხელში იღებს ჭერიდან ჩამოცვენილ ბათქაშს და ყურადღებით ათვალიერებს.

„როცა ჭერი თავზე გვენგრევა, რაღად გვინდა მოხატული კედლები?“ მეუბნება უცებ და სახე ემანჭება რაღაც ღიმილის მაგვარით.

„იმიტომ დატოვე ის მოჩუქურთმებული ქვა ტყეში?“

ბათქაშის ნამტვრევს ძირს აგდებს. კარში გამოვდივართ. წყნარი და მშვიდი დღეა. მწერების ზუზუნი და ჭრიჭინი ისმის.

„ქვა დღეს იმისთვის არის საჭირო, რომ მტერს ჩასცხო“. ამბობს მხატვარი.

„მაშ რაღას აქანდაკებდი?“

„ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.“ დამნაშავესავით იღიმება და რატომღაც მებრალება. სახეში შევცქერი. თვალები ჩასწითლებია, ქუთუთოები თითქოს დასივებია. რაღაც შეუცნობელი დარდი მსჭვალავს მის იერსახეს.

მივდივართ ჩვენ გზაზე. თვითონაც არ ვიცი რად დავუთანამგზავრდი ამ კაცს. ნუთუ მარტოობამ შემაშინა? ნეტავ, საით მიდის? სჯობს დროზე დავემშვიდობო, ხელი არ შემიშალოს უნებურად. შიმშილისგან გული მეწურება.

„...თუმცა, გიყვარდეს, ტაძრების აგებაც შეგვეძლო და მოხატვაც, მაგრამ...“

„წავიდა ის დრო“, გაღიზიანებით ვაწყვეტინებ, რადგან დაუსრულებელ წუწუნს წარსულზე არაფერი სანუგეშო არ მოაქვს, ვიცი. კარგა ხანია მომბეზრდა წარსულით ტრაბახი აწმყოსა და მომავლის არამქონეს.

„ვერ ხედავ, დღითიდღე უკან რომ მივდივართ?“

„ვხედავ და არ მიკვირს“. ჩერდება იგი და უნებლიეთ აჩხარუნებს მხარზე ვადაკიდებულ ტყავის ჩანთაში უქმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაყრილ ხელსაწყოებს. „მონებისგან შენ რას მოითხოვ? მონის ცხოვრება — ეს არის ცოცხლად სიკვდილი. თავისუფლების გარეშე არ შეიძლება არსებობა და წინსვლა. ამიტომ ყველაფერი, რაც ჩვენში კეთდება, უაზრობად მეჩვენება, თუ თავისუფლების მოსაპოვებლად არ არის მიმართული აშკარად ან ფარულად".

„ჭურში ხომ არ ზიხარ, ძმაო ჩემო? მაგ სიტყვის აზრი კარგა ხანია დაავიწყდა ბრბოს. ახლა ჭამაა ერთადერთი გასაგები ცნება".

„იმიტომაც ჩამოვშორდი მაგათ, არ ვერევი მაგათ საქმეში".

„ჩაერიე თუ გინდა, ყურს ვინ დაგიგდებს?"

„ჰოდა, როცა სიმართლის თქმას გიკრძალავენ, არაა აუცილებელი ტყუილი ილაპარაკო. ვარ ჩემთვის, ჩუმად".

„სიჩუმეს რა ხეირი მოაქვს. ან როდემდე იქნები ჩუმად, პირუტყვივით?"

„სადამდიც შევძლებ!"

მებრალება ეს საცოდავი. ამოდენა კაცია და ასეთი უმწეო, უსუსური. რაღაც სისულელე აუკვიატებია და აზრზე არ არის, რა ხდება ირგვლივ.

„შენი ხელობის ხალხი გაკეთდა. ყველანი ყეენის სამსახურში ჩადგნენ. მეჩეთების მოპირკეთებას და მოხატვას შეუდგნენ. ყეენი ისევე წყალობს მაგათ, როგორც თავის კარის მგოსნებს, შენ კი..."

„ეგენი ხელოსნები არიან, მე მაგათ არ ვედრები. ხელოსანი ლუკმა პურისთვის შრომობს, მხატვარი სიმართლისთვის. მხატვრის ნამუშევარს მისი სული აცოცხლებს და აძლევს ფასს". კვლავ ამაყად შემომცქერის და მაღიზიანებს ეს ბრიყვი.

„რის სული, რა სული, სად არის სული? სული ჩაკვდა, მოკვდა, არ არსებობს, ვერ ხედავ?"

„სული უკვდავია!" თვალებს აბრიალებს ეს საბრალო ბრმად მორწმუნე.

„უკვდავი არაფერია ამქვეყნად!" მკვახედ ვეუბნები.

უცებ წინ მისწრებს და ეჭვით შემომცქერის, რომელშიც შიში და უხდობლობა ურევია. მჭახე ხმით მეკითხება:

„ღმერთი გწამს, ძმაო?"

ნაბიჯს ვანელებ.

„მწამს!"

„მერე, რატომ ლაპარაკობ ეგრე?"

„იმიტომ რომ, უკვდავება არა მწამს".

„მაშ, როგორი ღმერთი გწამს?"

„რომელიც თავისთვის არი. ჩვენ — ჩვენთვის. ჩვენი სურვილები, ფიქრები, ტკივილები იქამდე ვერ მიდის. ის თავის საქმეს ისე აკეთებს, რომ ჩვენს მისწრაფებებს არ ითვალისწინებს. მისგან ჩვენ ბედი გვეძლევა და ეგ არი. სულიც ისევე ქრება, როგორც ყველაფერი".

„თუ სული ქრება, მაშინ რაღად გვინდა ღმერთი? ვიცხოვროთ უღმერთოდ, ნურაფერს ნუ ვიწამებთ..."

„უღმერთოდ არა ვცხოვრობთ?"

„მერე ეგ სად მიგვიყვანს?"

„მე რა ვიცი? საიდან უნდა ვიცოდე? აბა, რა გითხრა, რაც არ ვიცი, განა რასაც გეუბნები, ის სიმართლეა? მე მგონია ასე, თორემ სიმართლე მე რა ვიცი. არც შენ იცი არაფერი. უმწეოები ვართ. ჩვენი არსებობა უხილავ ძაფზე ჰკიდია, რომელიც არ ვიცით როდის გაწყდება და გვინდა თავი დავირწმუნოთ, ვითომ რამე ვიცით, ვითომ არც მთლად ასე უნუგეშო და უიმედოა ჩვენი მომავალი..."

უცებ საშინელი შეკივლება გაისმა და იქვე ჩაკვდა.

ანაზდეულად ორივენი შევკრთით და ახლა ერთმანეთს შევცქერით დაძაბულნი, ყურდაცქვეტილნი. რას ნიშნავს ეს კივილი, ვინ კიოდა? ღმერთმა იცის, ეს კაცი მართლა მხატვარია? შემოჩენილი არ იყოს, რამეს არ მიპირებდეს?!

რატომ გადამიშალა გული წეღან, რატომ მენდო? რა იცის ვინა ვარ? იქნებ, ეგ თათრების კაცია და ლაპარაკში მიწვევს, რამე უნდა გამომტყუოს?

ეჭვით შევცქერი მხატვარს, ის კი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრუნდა და იქით მიემართება, საიდანაც კივილი გაისმა. სადღაც შეძვრა, გამოძვრა, ბუჩქებს მიაპობს, ნადირივით მიჯლიგინებს. ხომ არ გამირბის, რამე მახეს ხომ არ მიგებენ?

უკან მივყვები აუჩქარებლად. აჩქარება არ არის საჭირო. ტყე დუმს. ტოტების ლიწინი მიწყდა. ანაფორის ქვეშ დამალული მახვილის ტარი მოვსინჯე. აქეთ-იქით ვწევ შტოებს, ნელა ვიკაფავ გზას ტევრში. მხატვარი აღარსად ჩანს.

სულ მარტო დავრჩი ამ უსიერ ტყეში, და თუმცა ბოლომდე არავის ვენდობი, მაინც ვატყობ, ახლა ამ მხატვართან ყოფნა მირჩევნია, თუ ის მართლა მხატვარია, როგორც მე მგონია, და არა ვინმე უკეთური.

გზას ვაგრძელებ, ოფლი მასხამს, ანაფორა მემძიმება. თან მშია, ხემსი არ ჩამიდევს პირში. გადაჩქლეთილი ფეხებიც მაწუხებს. უცებ ვხედავ, შორეულ ხესთან ვიღაცის ლანდს. მხატვარი ყოფილა, უკან ბრუნდება. ქურდივით ჩუმად მოიპარება დაბურულ ჯაგებში. დაფეთებული სახე აქვს, ოფლად გახვითქულა, ქშენით სუნთქავს.

„რა მოხდა?“ შორიდანვე ვეკითხები.

„გოგონას აუპატიურებენ!“

„რაო?“

„ბევრნი არიან!“

ვგრძნობ, ძალა მეცლება და ისევ მიორკეცდება. ანაფორა გადავიხსენი, მახვილი დავაძრე და დავიძარი.

მხატვარი მხარზე ხელს მადებს და არ მიშვებს.

„ვერაფერს გახდები. ტყუილად თავს შეაკლავ. კბილებამდე არიან შეიარაღებულნი!“

ვატყობ, თვითონვე რცხვენია ამას რომ ამბობს. შეწუხებულია, დაბნეული, შეშინებული. არც იცის, რა ქნას.

არც მე ვიცი. განა არ მეშინია? მეშინია და მერე როგორ! ვინ იცის, იქნებ, მართლაც მომკლან. ნეტა, რა ძალას მივყევარ იქით? იქნებ მეტიჩრობას, — როგორც იმ ბერძენმა თქვა, — მხატვარს რომ გმირად მოვაჩვენო თავი. ნუთუ ეს უბადრუკი სურვილი მამოძრავებს? რა შუაშია ეს ყველაფერი, რამდენიც უნდათ, იმდენნი იყვნენ...

ზურგს უკან ფოთლების შრიალი მესმის. მხატვარი მომდევს. მადლიერი ვარ, რომ არ დამტოვა მარტო. მიყვარდება ეს კაცი. წინ გამისწრო და მიმიძღვის, გზა უკეთ იცის. მიწიდან ქვას იღებს, ნაბიჯს ანელებს. ბებერ წიფელს ამოფარებული, ჩერდება.

„აგე!“

ჩემს წინ პატარა მდელოა და ერთადერთი ხის ძირში ვხედავ ფოთლებით დაფარულ გათელილ სხეულს.

სიჩუმეა, ირგვლივ არავინ ჩანს.

წინ ვიყურები. სამალავიდან გამოვდივარ. მახვილმომარჯვებული ვუახლოვდები ფოთლებით დაფარულ გათელილ სხეულს. მხატვარი თან მომყვება, ნაბიჯით არ მშორდება, კისერი წაუგრძელებია, თვალებს აქეთ-იქით აცეცებს, მზერა ფრთხილი აქვს, დაძაბული, იჭვნეული.

„წასულან!“ ჩურჩულით ამბობს. „მოუთავებიათ თავიანთი ბინძური საქმე!“

არ მინდა დავხედო ამ იავარქმნილ სხეულს. მხოლოდ სახეს ვაკვირდები.

ჯერ კიდევ ბავშვია. თვალები დახუჭული აქვს, ცალი თვალი დალურჯებული. ნაცემია. ცრემლების კვალი ატყვია ლოყაზე. გონზე არ არი. ვისი შვილია ეს უბედური? ვიწრო შუბლი აქვს, შავი თმა, სახეზე ჩამოყრილი და აწეწილი. ალბათ, თვალებიც შავი ექნება.

მხატვარი იხრება და მკერდზე ყურს ადებს. კარგა ხანსაა ასე. ჩვენ თავზემოთ ჩხავილით გადაიფრინა ყორანმა. მხატვარი ნელა იმართება წელში და თვალებში შემომცქერის.

„ცოცხალია!“ მეუბნება იგი.

მით უარესი! მახვილი აღვმართე და მთელი ძალით ჩავარტყი უბედურ გოგონას. შემომესმა, როგორ შეენგრა გულის ფიცარი. ჭრილობიდან სისხლმა გადმოხეთქა, პირიდან წვრილ ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად გადმოეფონა სისხლის მძივებმა. ქუთუთოები შეენძრა, თითქოს თვალი გაახილა და ისევ დახუჭა.

ზურგი შევაქციე გვამს და გასისხლიანებული მახვილი გვიმრის ბუჩქებს შევაწმინდე.

„ეს რა ჰქენი?!“ თავზარდაცემული ყვირის მხატვარი.

ხმას არ ვცემ. განა თვითონ არ უნდა მიხვდეს, რომ სამუდამოდ შელანძღულ და შეურაცხყოფილ ცხოვრებას სიკვდილი სჯობს?

და უცებ, ტოტების ლაწალუწი მესმის. თავს უმალ ვაბრუნებ და ვხედავ, როგორ გარბის მხატვარი. თავქუდმოგლეჯილი მიარღვევს ეკლნარს, თვალს ეფარება.

კვლავ მარტო დავრჩი...

●

ვინ მოთვლის, რამდენი ცოდვა მაწევს კისერზე, რამდენი სიავე მაქვს ჩადენილი. ბევრს მოვუსწრაფე სიცოცხლე, ბევრისთვის გული მომიკლავს ნებსით თუ უნებლიეთ. რა დაუნდობელი, უმადური და გულგრილი ვყოფილვარ ახლობელთა მიმართ, რამდენი ავი მიფიქრია და მისურვებია სხვისთვის, რამდენი დამიმცირებია...

ვინ მოთვლის ჩემს ცოდვებს?!

თუკი ყოველივე ეს განგებისგან არ იყო განპირობებული, თუ ადამიანის ნება თავისუფალია და თვითონ ირჩევს გზას, თვითონ წყვეტს თავის ბედს და თვითონვე არის პასუხისმგებელი განგების წინაშე თავისი საქციელის გამო, მაშინ ალბათ, მომეკითხება ჩემი შეცოდებანი, როცა დადგება ჟამი განკითხვისა, თუკი ასეთი რამ არსებობს. მაგრამ არა მჯერა, რომ ადამიანი თავისუფალია. არ არის იგი თავისუფალი, იგი იარაღია მხოლოდ და ამიტომ უნდა მოგვეტევოს.

რამდენჯერ წამომცდენია ღვთის გმობა და რამდენჯერ უარმიყვია მისი სამართალი ცხოვრებისგან გამწარებულს?! მაგრამ განა შეიძლება განგება ადამიანივით წვრილმანი იყოს, რომ ჩვენი შეცოდებების გამო შური იძიოს და დაგვსაჯოს?

ვინ ჩაგვინერგა ჩვენ ეს ცოდვები? განა შეიძლება განგებამ ბოროტებისთვის ბოროტებით მოგვიზღოს და არ შეგვიწყნაროს?

ვინ გაგვაბოროტა ასე უსაშველოდ? ვინ შეგვქმნა ასეთებად?

ნუთუ მარტო მე ვარ უღირსი, თუ ასეთია ყველა? ჩვენ ხომ ყველა ერთი თესლიდან აღმოვცენდით, ამ თესლში ჩადებული გაღვივებული და გაუღვივებელი თვისებებით. ყველას ერთი არსი მოგვეცა, ერთი მუხტით ვართ დამუხტულნი და თუ ასეა, ცუდი და კარგი კაცი არ არსებობს, მხოლოდ ცუდი და კეთილი ვითარებანი არსებობენ, რომელნიც გარკვეულ თვისებებს აღვივებენ ჩვენს არსში და გარკვეული შემთხვევების წინაშე გვაყენებენ. მხოლოდ კეთილი და ბოროტი ბედისწერა მოქმედებს ალბათ, რომელიც ჰყოფს და ანსხვავებს ადამიანებს კეთილებად და ბოროტებად. საუკეთესო კაცს განგება ისეთ რამეს შეამთხვევს, თუ დასჭირდა, რომ ყველაზე უკეთურად გადააქცევს. გუშინდელი მონა თუ ბატონად იქცა, ისე დასტანჯავს თავის ქვეშევრდომთ, როგორც მას ტანჯავდნენ თვითონ...

ყველანი ერთნაირები ვართ, მე ეს კარგად ვიცი!

ამიტომ არ მიყვარს ჩემი თავი. არც არავისგან მოვითხოვ სიყვარულს. მე თვითონაც არავის ვცემ პატივს. ფეხებზე მკიდია ეს ბრიყვი ბრბო, თავი რომ მოაქვთ ათასგვარი სისულელით. თავში ქვა უხლიათ მაგ საცოდავ ფარისევლებს. მაგრამ მაინც ვბრაზდები, იმ გამოთაყვანებულმა მხატვარმა რა უფლებით შემაქცია ზურგი? სად გაიქცა, რად დამემალა, როგორც კეთროვანს? როგორ მოძუძგა მაგ საწყალმა, ვითომ კაი კაცია, გულჩვილი, მე კი უგულო მხეცი ვარ, არა?

შიმშილისგან დაოსებული, გზას მივიკვლევ ჯაგნარში. სისხლშემხმარი მახვილი ხელში მიჭირავს ისევ. ზოგჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტოებს ვკაფავ და რაღაცას ველი... აგე, იმ მუხასთან მივალ, ცოტას შევისვენებ, რამეს მოვიფიქრებ...

რა უნდა მოვიფიქრო? უკვე ეჭვი მიპყრობს ჩემი საქციელის გამო. რას ვერჩოდი იმ უბედურ გოგონას, რა უფლებით მოვუსწრაფე სიცოცხლე, ვინ მკითხავდა იმის ბედის განსჯას?

ხის ძირში ვჯდები, მახვილს გვერდით ვიდებ. ხელებში თავჩარგული, იდაყვებით მუხლებს დაყრდნობილი, დავცქერი მიწას. ჭიანჭველები დაცოცავენ ჩემს ფეხებთან. მუდმივი ცოცვა, ხოხვა, ფუსფუსი...

ოფლი მაშრება ტანზე. აქ გრილა, მაგრამ ვერ ვისვენებ. კოღოს წუილი მესმის. ვინ უწყის, რა არის მართალი და რა არის ტყუილი?! მართალია მხოლოდ ის, ვისაც ბოლომდე სწამს, რომ მართალია!

ეს რა ვქენი, ვინ მეკითხებოდა, რა ჩემი საქმე იყო? კიდევ ერთი ცოდვა დავიდე კისერზე. ჩემი მეტიჩრობის გამო. ვითომ თვალი სულ ამაღლებულისკენ მიჭირავს. ამაღლებულზე რომ იფიქრო, ამაღლებული ცხოვრებით უნდა ცხოვრობდე, მე კი, ამ ლაფში ჩაფლულს, რა უფლება მქონდა იმ უბედური არსების სიცოცხლის ხელყოფისა?! ისიც იარსებებდა ამ ლაფში, რომელსაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით, და რომელიც ყველას და ყველაფერს იტანდა. ისიც შეეგუებოდა თავის შეურაცხოფას, როგორც ყველანი ვეგუებით ყოველ ფეხის ნაბიჯზე. შეიძლება, ეს შეურაცხყოფად არც კი მოსჩვენებოდა, ან კიდევ სიცოცხლის სიტკბოებას მთლიანად წაეშალა ოდესღაც განცდილი სიმწარე, ასე არა ვართ ყველა? ასე არ ვეგუებით ყველაფერს? მაგრამ ღირს ეს დაუსრულებელი და მდაბალი შეგუება? ალბათ, ღირს, რატომაც არ ღირს, თუკი ასეთია ცხოვრება. მე ვინ მეკითხება ამის განსჯას?

ვცოფდები საკუთარ თავზე. რა უბადრუკი კაცი ვარ, მუდამ ვყოყმანობ, არასოდეს არ მჯერა ჩემი გაკეთებული საქმისა, და რადგან არ მჯერა, ალბათ, არასოდეს არ ვარ მართალი. იმიტომ ვიტანჯები მუდამ, ამ ეჭვებისაგან, ამ გაურკვევლობისგან...

ისევ ვდგები, მივდივარ. არ შემიძლია ერთ ადგილზე ჯდომა. ლამის გული შემიწუხდეს, ისე მშია. ცხოველები ვართ, აბა, რა ვართ? მახვილს კვლავ ანაფორის ქვეშ ვმალავ. ხმები მესმის. სადღაც, სულ ახლოს, ხშირ ბუჩქნარში, ხმამაღლა ლაპარაკობენ. ნეტა, ვის გადავეყარე? ჯანდაბას მაგათი თავი, ვინც უნდა იყვნენ. გვიმრებში შევძვერი, ისევ გამოვძვერი და ბებერი ნეკერჩხლის ჩრდილით დაფარულ მინდორზე გავდივარ.

ხის ძირას სხედან, მიწაზე სუფრა გაუშლიათ, პურს ჭამენ. ხუთნი არიან, სულ ახალგაზრდები. უკმაყოფილოდ, მტრულად შემომცქერიან. ვუახლოვდები და ვესალმები. ღვინით სავსე ჯამს მაწვდიან. ვცლი და ვჯდები. ხორცის ნაჭერს მიდებენ წინ. ვიღებ და ნელა ვიწყებ ჭამას, თუმცა საშინლად მშია. მაგრამ არ მინდა შიმშილი შემამჩნიონ, არ მინდა რამე შემატყონ.

„ვინ ბრძანდები?“ მეკითხება ერთი იმათგანი, ხუჭუჭთმიანი. თვალები ჩასწითლებია და რატომღაც არ მომწონს ეს ყმაწვილი. ყველანი კარგა გვარიანად გამომთვრალნი ჩანან. ფეხებზე არა მკიდია? რა უნდა მიქნან, რას წამართმევენ? შესმულმა ღვინომ ტანში დამიარა და მხნეობა შემმატა.

„ერთი უბრალო კაცი ვარ!“

„საით მიემგზავრები?“

„გაღმა მინდა გავიდე“.

სიცილი აუვარდათ, თან გაკვირვებით მათვალიერებენ.

„ვინ გაგიშვებს იქა?“

ჩემი ნათქვამი ხუმრობა ჰგონიათ.

„იქნებ, ხონთქრის სიძეობაც გინდა?“

მეორე ჯამ ღვინოს მთავაზობენ და სიამოვნებით ვსვამ, ეს ტვინნაკლულნი კი დაცინვით შემომცქერიან. ღვინო ხომ არ მომეკიდა, თუ ჩემი იერი ამხიარულებთ?

„რა გიდევს მაგ ჩანთაში?“ მეკითხება ერთი ცისფერთვალება, ქერათმიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმაოდ გრძელცხვირა ბიჭი და თავხედურად მიყურებს. რამე არ ეგონოს ამ უპატრონოს. ჩანთას ვხსნი.

„ხელნაწერია!“

„რა ხელნაწერი?“

„არაფერი ისეთი. ჩემი ნაწერია. რაც გამიგია, რაც მინახია, რაც ვიცი“...

„მემატიანე ყოფილხარ...“

„შეიძლება ასე ითქვას. სად არა ვარ ნამყოფი, სათათრეთი შემოვლილი მაქვს, ბევრ ხალხს შევხვედრივარ...“ წავიგრძელე ენა, ასე მიშვრება ღვინო, ბაქიაობის გუნებაზე მაყენებს. ესეც ჩემი მოდგმის ნიშანია. იხტიბარს არ ვიტეხ, ამ ლაწირაკებს თავი დიდკაცად მინდა მოვაჩვენო, მაშინ როცა, ეს სულაც არ არის საჭირო და არც მჭირდება. რა დიდი კაცი მე ვარ, ვინ ვარ, რა ვარ, მაგრამ ამათ ხომ უნდა შევუქმნა შთაბეჭდილება, რომ რაღაცა ვარ, ასე არ ვიცით ჩვენ?

„მოკლედ, ჩემი ნაჯღაბნებია, თავს ვირთობ ხოლმე ზოგჯერ...“ ვბრაზდები უეცრად საკუთარ თავზე და ისევ ჩანთაში ვაბრუნებ ხელნაწერს. ჯობდა, სულ არ გამომეჩინა, მაგრამ ეგეც არ გამოდიოდა.

„კიდევ დალევ?“

„რატომაც არა? თქვენ ვინა ბგონივართ?!“

„მაშ, მიირთვი, დაგვეწიე!“

„იქნება კიდეც გაგვასწროს!“

ისევ სიცილი აუვარდათ, მაგრამ ფეხებზე არა მკიდია მაგათი სიცილი? დამცინონ, სანამ არ მობეზრდებათ. ჯამს ვიღებ, მუხლებზე ვდგავარ, ღვინოს ვისხამ. დაილოცეო, მეუბნებიან და ვილოცები:

„თქვენ გაგიმარჯოთ, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, კარგი ბიჭები ხართ, პურ-მარილი გიყვართ, უფროს-უმცროსობაც გახსოვთ, აბა, თქვენ იცით, სამშობლოს გამოადექით!“

იმათ სახეზე ეტყობათ, რომ მაინც სიამოვნებთ ჩემი სიტყვები, თუმცა, ალბათ, ისიც კარგად იციან, რომ სხვას ვერას ვიტყვი. მე კი გულში ვფიქრობ: „განა არ ვიცი ვინა ხართ? კარგად გიცნობთ, თქვე სიტყვის გამტეხნო, უპირონო, ყბედნო, ტრაბახნო, სინამდვილედ რომ იმას ასაღებთ, რაც თქვენთვის სასურველია. შეიძლება, ამაშია თქვენი ძალა, ამით ინარჩუნებთ თავს, მაგრამ ამაში არ არის ღირსება. ცხადია, ყველა ვერ იქნება რჩეული, მაგრამ რაც უფრო მეტია ერში მაღალი პიროვნებანი, მით უფრო დიადი და ღირსეულია ერი. თქვენ კი, თქვენი ბუნაგების, თქვენი სოროების, თქვენი საკუთარი მუცლის გვრემის გარდა, რა გიზიდავთ კიდევ, რა გაღელვებთ, რა გაწუხებთ? იმიტომაც აქვს ასეთი დიდი გასავალი თქვენში უხეშ ძალას, თქვე მშიშრებო, ეშმაკობას და ცბიერებას, თქვე მუხანათებო, იმიტომ არ სცემთ პატივს გულწრფელობას, ნიჭს, სიკეთეს, მოკრძალებას, თქვე უნამუსოებო...“

„... მეც თქვენიანი ვარ, თქვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი“, ხმამაღლა ვამთავრებ სიტყვას.

„იცოცხლე, შეგერგოს!“ მლოცავენ ისინიც წესისამებრ.

ვცლი ფიალას. გონება მებინდება. მოვეშვი, მოვისვენე, ახლა კარგად ვარ. თვლემა მერევა. მაგრამ თავს ვაქანებ, ვფხიზლდები. კარგი ბიჭები არიან, ახალგაზრდები, კეთილები, ზრდილნი. კარგი ახალგაზრდობა მოდის...

„რა გინდა გაღმა, იქ რა უნდა გააკეთო?“ მეკითხება ხუჭუჭთმიანი.

„აქ რას ვაკეთებ რო...“

სიმღერას იწყებენ. აჰ, რა კარგად მღერიან ეს ვირიშვილები. ჩინებული მღერა სცოდნიათ. გენაცვალეთ სულში! რა ტკბილად მღერიან?! ტკბილია სიცოცხლე, მშვენიერია ქვეყანა, კეთილია ადამიანი! რაღაცა უნდა გჯეროდეს, უაზრობაა ყოველივე, როცა არავისი და არაფრის არა გჯერა.

თავჩაღუნულს მეთვლიმება, მაგრამ მესმის, რასაც ლაპარაკობენ. ტრაბახობენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები ლურსმნებივით მერჭობოდა ტვინში.

„ვითომ, უყვარდი მაგ გოგოს?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რომ არ ვყვარებოდი, ტყეში რად წამომყვებოდა?“

„პატრონის აღარ გეშინია?“

„სადა ჰყავ პატრონი? მე და ჩემმა დამ ვიპოვეთ და შევიფარეთ. მე ვარ მაგის პატრონი. მენდობოდა და იმიტომაც წამომყვა. საცა ვეტყოდი, იქ წამოვიდოდა...“

„კაცი შენ ყოფილხარ“.

„ჰოდა, ამათაც ვასიამოვნე, გავაგებინე ამ რეგვენებს ქორფა ქალის გემო...“

ყოჩაღ, შენი გულისა!“

სიცილ-ხარხარი, მოწონების შეძახილები. მე ძაღლადაც არ მაგდებენ, ვითომ აქ არც ვყოფილვარ. წვრილმანებსაც იხსენებენ, როგორ შემოიტყუეს ტყეში გოგო, როგორ წამოაქციეს ხის ძირში, შემოაგლიჯეს კაბა, ჩამოახიეს საწმერთული, როგორ გაიყვეს ძმურად მისი სხეული...

ესენი ვინ ყოფილან?

თავს ვწევ, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. სახეები აირია, რაღაც ბინძური ლაქები ციმციმებენ ჩემს თვალწინ. აღარც სიტყვები მესმის.

უცებ ერთმანეთს დაერივნენ. არ ვიცი რატომ. რაღაცას ვლუღლუღებ, შეგინება მინდა, მაგრამ მე ვინ მიყურებს. რაღაც მხვდება შუბლში და ნაპერწკლები ცვივა ირგვლივ, ყოველმხრივ, წამით ანათებენ ბნელ სივრცეს, ისევ რომ ჩამოემხო ყოველივეს...

●

თვალს ვახელ, ბნელა...

ცაზე დიდი ვარსკვლავი ანთია. მშვიდად ციმციმებს შორს, უსასრულობაში.

სადა ვარ, ნეტავ?

თავი მტკივა. შუბლზე ხელს ვისვამ. შუბლი გატეხილი მაქვს და წამოსიებული. ეს მაკლდა. რა მომხვდა თავში?

ჰოო, აქა ვარ, სადაც დავთვერი და გონება დავკარგე. მიწაზე ვგდივარ უსიერ ტყეში. ტვინი დამძიმებული მაქვს, გული მიფრიალებს, ცუდად ვარ. რაღაც ბანგიანი, დაბინდული, უსასოო სიფხიზლე მიპყრობს. გახძრეა მეზარება. მაინც ვჯდები და აქეთ-იქით ვიყურები. მიწაზე ჭურჭლის ნამსხვრევები ყრია. დოქები და ჯამები დაულეწიათ, მიუყრ-მოუყრიათ და ისე წასულან.

ბიჭოს! ამას რას ვხედავ? ხეზე თავდაყირა კიდია კაცი. ხომ არ მეჩვენება? ტოტი ქანაობს სხეულის სიმძიმისაგან და ძირს ჩამოშვებული ხელები ზოგჯერ მიწას ეხება.

წამოვხტი. მახვილი მოვისინჯე. აღარ მარტყია წელზე მახვილი, ანაფორის ქვეშ დამალული. სად არის ჩემი გუდა, რომელშიც ცოტა საგზალი და დაუმთავრებელი მატიანე მედო? აღარც ჩანთა მაქვს და აღარც ჩემი ხელნაწერი ჩანს. ვის რა ოხრად უნდოდა, რად მომპარეს? მაგრამ ახლა მახვილი უფრო მჭირდება. რაც არ არი, არ არი! ვუახლოვდები ხეზე ჩამოკიდებულს. ვინ არის, ვინ ჩამოჰკიდა. რას არ გადაეყრები კაცი ჩვენ დროში. ჯერ უნდა ჩამოვხსნა. ხეზე ავდივარ, ტოტზე მივძვრები და უეცრად ტოტი ტყდება და მიწაზე ვეცემით მეც და ისიც.

პირაღმა ვაბრუნებ დიდი წვალებით. სისხლითაა მოსვრილი, სახე თითქმის არ უჩანს, მაგრამ ხუჭუჭა თმა მეცნობა. რასაკვირველია, ის არის, ის ყმაწვილი, შეკითხვებს რომ მაყრიდა. ნეტა, რას ერჩოდნენ? მკვდარია, უკვე გაცივებულა.

ტანში ჟრუანტელი მივლის. თუ შიში მომერია, შეიძლება თავი ველარ შევიკავო და ვიყვირო. არა და, არ ივარგებს ამ შუაღამისას ბნელ ტყეში ღრიალი. ვინ იცის, იქნებ ავსულიც კი მივიზიდო ამით, თუმცა ამ წუთამდე არ მწამდა ავსულთა არსებობა. მაგრამ ახლა ყველაფერი დასაშვებად მიმაჩნია უცხო გვამთან მარტო დარჩენილს. სჯობს, დროზე გავეცალო აქაურობას. მეჩვენება თუ ვიღაცეები მითვალთვალებენ?

უკუნ წყვდიადში ჩაფლული გზას მივიკვლევ ტევრში. არც კი ვიცი, საით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მივდივარ. შავი ლანდებით გარემოცული ვერ ვცნობ ვერაფერს, ვერც ხეს, ვერც ბუჩქს, ვერც ქვებს, ვერც მიწას. თითქოს ცხოვრების მიღმა გადავბარგდი, ჩემთვის უცნობ საგნებში და მნიშვნელობებში მომწყვდეული. ხან რას ვეჯახები, ხან რას ვედები, მივბარბაცებ დაფეთებული და გზაარეული...

კიდეც რომ გაეცალო ამ უწესო ქვეყანას, ვის უნდა მიეკედლო, ვის უნდა მიეტმასნო უთვისტომო და უმომავლო?

განა ცოტა ხანს ვიცხოვრე სათათრეთში? თავდაპირველად მძულდა ეს ხალხი. მაგრამ თანდათანობით ბევრი ღირსეული ადამიანი შევიცანი მათ შორის და ბევრი სიბრძნე შევითვისე მათგან. მაინც უცხონი დარჩნენ ჩემთვის, უცხონი და საძულველნი, რადგან ჩემს ქვეყანას სპობდნენ და ანადგურებდნენ. მე ჩემი სამშობლოსკენ მოვისწრაფოდი, აქ მეგულებოდა ჩემი ჭეშმარიტი ადგილი, მეც მინდოდა ჩემს ხალხთან ერთად მებრძოლა და მისი მიზნებით მეცხოვრა. მაგრამ ტყვეობიდან შინ დაბრუნებულს რა დამხვდა? ჩემი ხალხი არც იბრძოდა და არც საერთო მიზნები გააჩნდა. ეს ხალხი უბრალოდ არსებობდა...

მონობამ წაგვახდინაო, მიხსნიდნენ ამ ამბავს ჭკვიანი კაცები, მაგრამ როცა წახდები, რაღა მნიშვნელობა აქვს წახდენის მიზეზს? ვის არ უკლავს გულს წახდენილი ხალხის შვილობა? ბრძოლა მარტო ხმლის ქნევა კი არაა, ისიც ბრძოლაა, როცა ცდილობ შენს მტერს არ დაემსგავსო, მისი წესები არ მიიღო, მისი ჩვევები არ შეითვისო.

თუ დამონებულ ერს არ აღმოაჩნდა შინაგანი ძალა, რომელიც არ დაემორჩილება და წინ აღუდგება თავსმოხვეულ დამღუპველ ზემოქმედებას, მაშინ ასეთი ერი გადაიქცევა ადამიანების ჯოგად, რომელიც ვერაფერს ფასეულს ვერ შეჰქმნის და საბოლოოდ, ალბათ, გადაშენდება კიდეც.

განა იმ ჯოგის წევრები არ იყვნენ უმანკო ქალის დამღუპველნი, ღვინო რომ მასვეს და გამქურდეს? განა იმ ჯოგის წევრი არ იყო ხეზე თავდაყირა დაკიდებული ხუჭუჭთმიანი ყმაწვილი? განა იმ ჯოგის ღვიძლი-ღვიძლთაგანი არა ვარ მე თვითონ?

მუხლები მეკვეთება, მიწაზე ვეცემი. ანაფორას მჭიდროდ ვიხვევ ტანზე. გრილია მიწა. ნეტა სადმე სოროში შემაძვრინა, ან თვალები დამახუჭინა და ღრმა ძილით დამაძინა, მაგრამ ხოჭოებივით წამოშლილი ფიქრები მეხვევიან და მტანჯავენ. სად გავექცე საკუთარ ფიქრებს, სად გავექცე იმ დღეს, მამისეულ მამულში რომ დავბრუნდი ტყვეობიდან თავდახსნილი?..

●

... ციხე-კოშკი ნანგრევებად იყო ქცეული. გალავანზე ხავსი ამოსულიყო. ხეები გადაჩეხილი და ფესვებიანად ამოგლეჯილი, მიდამო გატიტვლებული და გაპარტახებული.

თავჩაღუნული ყურს ვუგდებდი მამაჩემის მოხუც ბაზიერს, ჩვენს ნასახლართან, მიწურში რომ შეეფარებინა თავი. იგი დინჯად მიამბობდა ჩემს აქ არყოფნაში მომხდარ ამბებს. თუ როგორ დაესხა ჩემი ძმა გიორგი ამ ციხეს, მეციხოვნეები ამოწყვიტა, გალავანი დაანგრია, სახლი გადაწვა, საწყალი დედაჩემი თან წაიყვანა. ეს ამბავი ლაშქრად მყოფ მამაჩემს რომ გაუგია, უკან აღარ მობრუნებულა და მოხუცმა არ იცოდა მისი ასავალ-დასავალი.

ჩუმად ვუსმენდი ამ მწუხარე ამბავს იავარქმნილ და დაქცეულ მამულში მარტოდმარტო დარჩენილი. პაპის ფუძეც კარგა ხანია მოშლილი იყო. ახლა აღარსად აღარაფერი არ გამაჩნდა და რატომ იყო ჩემი ეს ქვეყანა, არ ვიცოდი. თავისუფალი ვიყავ -ვით ტყის ნადირი. გადაჭრილი იყო ყველა ფესვი, რომელიც აქაურობასთან მაკავშირებდა. თითქოს არც არასდროს არსებობდა ის ხანა, რომელიც ოდესღაც აქ მქონდა გატარებული. და მართლაც არ არსებობდა, ყველაფერი გამქრალი იყო. ჩემი მოგონებები, წარსულს რომ ინახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდნენ, მხოლოდ ჩემს მეხსიერებაში ცოცხლობდნენ, ჩემს წინ გადაშლილი ქვეყანა კი სულ არ ჰგავდა იმდროინდელს, მე რომ მიყვარდა და მახსოვდა. ყოველივე სადღაც ქვესკნელში მიექანებოდა: განცდები, ფიქრები, წარმოდგენები, რწმენა, ახლობლები და თვითონ მეც, როგორც მწყემსი ფარას, უკან მივყვებოდი ქვესკნელისკენ იმ მნიშვნელობებს და მცნებებს, რომლისგანაც თავად შევდგებოდი. მთელი ცხოვრება რაღაცას ვკარგავდი და აღარაფერი მიკვირდა მარად ღატაკს და უპოვარს.

ცხენს მოვახტი და ქალაქის გზას დავადექი ბედის საცდელად. ბილიკი ჩემი ძმის მამულზე გადიოდა, და თუმცა ძალიან არ მინდოდა იქით გახედვა, სხვა გზა არ მქონდა, იქ უნდა გამევლო. გამოფიტული მრეში კლდეების გასწვრივ გავუყევი დაკლაკნილ ბილიკს და ქვემო ჭალაში ვხედავდი ჩონჩხებივით გამომხმარ ალვის ხეებს, რომელთა წვერებს ყორნები დასტრიალებდნენ და დაჰყრანტალებდნენ, ხოლო ერთი ყორანი გუნდს გამოეყო და თავს დამჩხავლა, მაგრამ ამისთვის მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან მწამდა, რომ ფრინველის ხრინწიან ხმას არ შეუძლია რაიმე გავლენა იქონიოს ადამიანის ბედისწერაზე.

როცა ღორღიანი აღმართი ავათავე, გავაკებულ ფერდზე დავეშვი და დავინახე ქვემოდან ამომავალი ცხენოსნების რაზმი. შევკრთი, არ მესიამოვნა. ამ არეულ და უპატრონო ქვეყანაში, სადაც კაცი კაცს ვერ ენდობა, რა იცი, რას გადაეყრები? ღმერთმა უწყის, ვინ იყვნენ, თუ არ მომკლავდნენ, ცხენს ხომ წამართმევდნენ?! შიშმა შემიპყრო, მაგრამ უკან გაბრუნება არ მიფიქრია, არც სადმე მიმალვა. ცხენს სადავე დავუჭირე და ნელა დავეშვი მოსალოდნელი საფრთხისაკენ. როცა ცხენდაცხენ შევეჩეხე იმათ, ღონიერ ზერდაგზე ამხედრებული ჩვენი ძმა გიორგი ვიცანი იმ მცირე რაზმის თავში მდგომი. გულგრილად შევხედე, რადგან ეს ის კაცი აღარ იყო, ვინც მე ოდესღაც მიყვარდა, ახლა კი მისი კეთილი მოგონება მეხსიერების ჯურღმულში ჩამარხულიყო.

გიორგი მომიახლოვდა და მითხრა, გავიგე შენი დაბრუნება და შენს სანახავად მოვეშურებოდიო. პასუხი არ გამიცია. როცა პურ-მარილზე დამპატიჟა, უარი არ მითქვამს. რაღა აზრი ჰქონდა ანგარიშის გასწორებას? ტყის პირას გაშალეს სუფრა, ვჭამეთ და ვსვით. აქეთურ-იქეთურზე ვილაპარაკეთ, ვითომც არაფერი მომხდარიყო. საღამოვდებოდა, როცა სუფრიდან წამოვიშალეთ. გიორგიმ შინ მიმიპატიჟა ღამის გასათევად, მაგრამ უარი ვუთხარი.

„გზაზე დაგაღამდება!“

„არა უშავს. ბოლოს და ბოლოს, უკან მივბრუნდები, მამაჩემის ნასახლარზე ერთი ფარეშია დარჩენილი...“

შევატყვე, დაიბოღმა. შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რომ ღვიძლი ნათესავის ოჯახს ვიღაც ფარეშის მასპინძლობას ვამჯობინებდი. გამიკვირდა. რა უფლება ჰქონდა, თავისიანად ჩავეთვალე, როგორ ათავსებდა ასეთ უაზრო წინააღმდეგობებს ერთად? რანაირი ნათესავი იყო, როცა მტერზე უარესად მომექცა?

ცხენებზე შევსხედით და ნელა დავიძარით. მისი ამალა უკან მოგვყვებოდა. ერთხანს ხმას არ ვიღებდით. მაგრამ ეს სიჩუმე უფრო ავისმომასწავებელი გახდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა:

„რა ისმის იმ შენი გარეწარი მამისა?“

„რას ერჩი? გაგზარდა, ფეხზე დაგაყენა, მამული დაგიბრუნა, ციხე განგიმტკიცა, რამდენჯერ დაგეხმარა და გიხსნა გასაჭირისაგან...“

„სამაგიეროდ, რამდენს მამცირებდა, დამცინოდა, მიმორჩილებდა, მიმსახურებდა, კაცად არ მთვლიდა, ლუკმას მამადლიდა...“ აყვირდა გიორგი.

„დედას მაინც რას ემართლებოდი?“

„შენთვის იყო ის დედა, ჩემთვის არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოფილა. რატომ ბოლომდე არ მიერთგულა, რატომ გათხოვდა, რატომ ჩაუგდო ჩემი თავი მაგ მტარვალს ხელში? არასოდეს არ მიცავდა, არ მიფარავდა, როცა მამაშენი მჩაგრავდა სრულიად ყრმას, დედაშენი მამაშენს უჭერდა მხარს და ლამის მტრად მეკიდებოდა. სულ მარტო მიმატოვა ბედის ანაბარად, მაგრამ როცა ვჭირდებოდი, მაინც მიყენებდა. მეც ვშველოდი, ვპატრონობდი...“

„ბოლოს რა უქნენი?“

„თავის ქმარს დააბრალოს. ის იყო მისი ხატი. იმის მეტი არავინ სწამდა და არ უნდოდა. ჰოდა, მიეზღო. შენ თავს შეხედე! ვისი ბრალია ასეთი მახინჯი რომ ხარ?“

„განგების!“ ვიღრიალე ამ ხეპრის სიტყვებით გაცოფებულმა.

„განგების კი არა, ის არ გინდა? შენი მშობლების ბრალია. აჰა, რას დაგამსგავსეს, გონჯი, მახინჯი...“

„შენ ცოტა გონს მოდი, მართლა მახინჯო!“

„ჰაა, გველის წიწილო, მამაშენის ენაზე ამეტყველდი?“

„დამიდექ, შე ძაღლისშვილო!“ განწირულად ვიყვირე და ვერც ვიგრძენ როდის დავაძრე ხმალი.

ეტყობა, ისეთი შეშლილი სახე მქონდა, რომ გიორგი გონს მოეგო. დაბნეული მიმზერდა. მხოლოდ ახლა შევამჩნიე გაელვებასავით, რომ გაჭაღარავებულიყო, წვერ-ულვაში გათეთრებოდა. თხუთმეტი წლით უფროსი იყო ჩემზე. წელანდელი გაშმაგების მაგივრად, თითქოს სევდა აღბეჭდოდა სახეზე. ეს სევდა ჩემთვის მეტად ნაცნობი იყო, ამ სევდიანი იერის გამო მე აგი ხშირად მებრალებოდა ბავშვობისას და მიყვარდა. ხმალამოღებულს და გამხეცებულს რომ მხედავდა, ეტყობა, გულის სიღრმეში, მაინც არ სჯეროდა, რომ სასიკვდილოდ ვიმეტებდი, რადგან ბუნებით მიამიტი და დამთმობი პიროვნება იყო, მხოლოდ ავყია და დაუფიქრებელი. უხალისოდ ამოიღო ხმალი და როცა სულ ახლოს მისულმა მთელი ძალით, დაუნდობლად მოვუქნიე, — ფარი იფარა და გაკვირვებით შემომხედა, თითქოს ეს ყველაფერი თამაში ეგონა. წამით მეც ვიგრძენი, რომ კი არ მძულდა, პირიქით, ახლობლად მიმაჩნდა და იმიტომაც არ მეშინოდა მისი, იმიტომაც ვიმეტებდი ასე დაუნდობლად, რომ ცნობიერების სიღრმეში, რომელიღაც უჩინარ კუნჭულში გაუაზრებელი იმედი მქონდა, რომ იგი ვერ გამიმეტებდა ბოლომდე. ჩვენ ერთი ჯიშის ხალხი ვიყავით და საოცარი იყო, როგორ დაგვაპირისპირა და გადაგვამტერა ერთმანეთს ცხოვრების იმ წესებმა, რომელსაც ჩვენ მივდევდით, რომლის უგუნურება ცხადი იყო, მაგრამ დაგმობა არ ხერხდებოდა.

ისევ და ისევ ვეკვეთე და იგი დაუძაბავად, დუნედ იცავდა თავს, თითქოს უნდოდა დაველალე, დავეშოშმინებინე, აბეზარი ბავშვივით თავიდან მოვეშორებინე. მისი თანმხლებნი გარს შემოგვერტყნენ და ხმლებს ვადა მოუსინჯეს. რას შვრებით, ძმები ხართ, სირცხვილიაო, მოგვძახოდნენ, მაგრამ თვითონ გავსწორდებითო, ყვიროდა გიორგი, თითქოს სჯეროდა, რომ არაფერი სახიფათო არ მოხდებოდა. და ისინიც განზე გადგნენ, არ ჩაერევნენ ჩვენს საქმეში, არ გაგვაშველეს.

ამასობაში, მხარში გავკაწრე და უცებ აენთო, ისე შემომიტია, რომ ვიგრძენი მომკლავდა. ცხენი მაძგერა, ძირს გადმომაგდო და უცებ... შედგა, დაუშვა ჩემს თავზე აღმართული მახვილი. მაშინ წამოვხტი და გვერდში ვატაკე ხმლის წვერი. თავის დაცვა არც უცდია, როცა დაიჭრა, ოდნავ მოიხარა და ჭრილობაზე ხელი მიიდო. სისხლის დანახვით გახელებულმა ხელმეორედ მოვიქნიე იარაღი, მაგრამ შევატყვე, წინააღმდეგობას არ მიწევდა და ერთბაშად გამოვფხიზლდი, ხმალი ჰაერში გამიშეშდა, იქნებ, შემრცხვა კიდეც. სულს ძლივს ვითქვამდი.

ცხენი მოაბრუნა და გამშორდა. საოცრად უნიათო და საცოდავი მეჩვენა ეს ბუმბერაზი კაცი. ერთბაშად ვიგრძენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შემებრალა, და რაკი მებრალებოდა, ალბათ, მიყვარდა, თანავუგრძნობდი. თვალი გავაყოლე. მხოლოდ ერთხელ მოიხედა ჩემკენ და მყისვე მივაფურთხე. ხმა არ ამოუღია. წავიდა და მარტო დამტოვა. მხლებლებიც თან მიჰყვნენ. მხოლოდ ერთმა მომგვარა ცხენი და მერე ისიც დაეწია წინ წასულებს. ბარბაცით გადავჭერი მინდორი, ქვაზე შევდექი, ძალაგამოცლილი ძლივს ავბობღდი უნაგირზე და ნელა გავწიე ჩვენი ნასახლარისაკენ, სადაც მამაჩემის მოხუცი ბაზიერი მეგულებოდა.

ის ღამე იმის მიწურში გავათიე.

ნეტა, რით ირჩენდა ეს კაცი თავს? გაპარტახებული და მოტიტვლებული იყო ირგვლივ გარემო. არც ყანა ჩანდა ახლომახლო, არც ბოსტანი, არც ბაღჩა-ბაღი. ბნელ მიწურში ცხოვრობდა, ჩალის საგები ეფინა სოხანეზე. მეც დამიგო კედელთან ჩალა. ეს იყო მისი ავლა-დიდება. საწოლზე მივეგდე დაღლილი, მისავათებული და ჩამეძინა. მაგრამ მთელი ღამე ვშფოთავდი, მაწუხებდნენ უცნაური ჩვენებები, ვიღაცეები თავს მესხმოდნენ, სადღაც მაგდებდნენ, ხეზე მკიდებდნენ და ზოგჯერ მეგონა, რომ ეს ყველაფერი ცხადში ხდებოდა, მაგრამ თვალს რომ ვახელდი, ძილ-ღვიძილი ერთმანეთში ამრეოდა. გათენებისას აფთრის კივილი გავიგონე სადღაც, ყრუ მთებში. ამის შემდეგ მკვდარივით დამეძინა და დილით ხმამაღალმა ლაპარაკმა გამომაღვიძა. წამოვდექი და კარში გამოველ. მამაჩემის მსახური ვიღაც კაცს ელაპარაკებოდა, რომელსაც ცხენი სადავით ეჭირა და დოინჯშემოყრილი იდგა. ვიცანი ეს კაცი, გუშინ თან ახლდა გიორგის. მივხვდი, ჩემთან იყო გამოგზავნილი და სახეში შევხედე.

„გიორგი შენ ნახვას თხოულობს, მძიმედ არი დაჭრილი!“

„რომელი დასტაქარი მე ვარ?!“

„დასტაქარი არა ხარ, მაგრამ ძმა ხომ ხარ? კაცი კვდება!“

„მოკვდეს!“

ეს სიტყვები ღვარძლიანად ვთქვი, მაგრამ გული გამიკაწრა მოსალოდნელის შიშმა, ჩემს გულგრილობას რომ ამოფარებოდა იმ წამს.

შიკრიკმა ხმის ამოუღებლად გააბრუნა ცხენი და ნელა დაეშვა ბილიკისაკენ, რომელიც აქედან გიორგის მამულში მიდიოდა.

მეორე დღეს ისევ ამოვიდა და ამბავი ამოიტანა, გიორგი მოკვდაო.

„შენზე დაიბარა, ხელი არ ახლოთო. გირჩევნია, ეხლავე გაეცალო აქაურობას, სანამ გიორგის სიტყვა გვახსოვს“.

ზე აღსახედი დაიქცა თითქოს და შეტორტმანდა მყარ ბოძებზე შემდგარი მიწა. დამუნჯებულივით შევცქეროდი ამბის მომტანს. არავითარი ფიქრი თავში არ მომდიოდა და უაზრო გაოცების გარდა, არაფერს განვიცდიდი. მოხუცი ბაზიერი მიწაზე დამჯდარიყო და ცრემლებს იწმენდდა. „საწყალი გიორგი, საწყალი გიორგი“, მესმოდა მისი ბუტბუტი და მიკვირდა, რომ ამ კაცს ასე ენანებოდა თავისი პატრონის დამაქცევარი.

ხმა არ ამომღია. წამოვდექი, მიწურს გავეცალე, წყლისკენ გავწიე. ხევში სიჩუმე იყო, წყლის რაკრაკი ისმოდა და ჩანდა მისი მომწვანო ზედაპირი. ცაში როჭოები წიოდნენ, სადღაც კაკაბი კაკანებდა და უსასრულოდ გაჭიმულიყო გამოუცნობ შორეთისკენ შავი ხევებით დასერილი მდოგვისფერი მიწა. სიკვდილი გაუგებარს ხდიდა ამ მშვენიერ ქვეყნის არსებობას. მე ვიცოდი, რომ ვიყავი სულ მარტო, აქაურობის დროებითი სტუმარი, ფუჭი იმედებით ნასულდგმულევი. რად მარგუნა განგებამ ასეთი ბედი, რად მომაკვლევინა საკუთარი ძმა, რად დავიბადე ასეთი ცოდვილი და უკეთური? მიწაზე დავემხე და ნადირივით ამოვილმუვლე, და ჩემი გულქვაობა ისე დაინგრა, როგორც ძელნაკრავი კედელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფეხის ხმა მესმის.

ხომ არ მომდევენ, ხომ არ მეძებენ?

ვიღაც შტოებს მიაშრიალებს, გზას მიიკვლევს ტევრში.

ეტყობა, ამ ხმამ გამომაღვიძა. როდის ჩამეძინა, ნუთუ მეძინა? გათენებულა. გაბაცებულ ცაზე ყომრალი ღრუბლები იწეწებიან.

სადღაც, სულ ახლოს ჩამიარა ვიღაცამ. ვინ იყო, ნეტავ?

მეც ვდგები და მივიპარები, როდისღა მივალ იმ ოხერ მდინარესთან.

მიწა ცვრიანია, ცივი. მაძაგძაგებს. არც მახსოვს, როდის ჩამეძინა ფიქრებში გართულს. საკმაოდ გავთოშილვარ. დაგლეჯილი ანაფორა ვერ მიფარავს სიგრილისგან. ტყე ჯერ ბნელია და უხმაურო. ნისლის ქულები ზოგან ძეძვს და ჯაგს წამოსდებია.

დაღმართში ვეშვები, თანდათან ვხურდები. კვამლის სუნი მცემს. კვლავ ვერ ველევი ამ ჩემს წყეულ ცნობისწადილს და იმის მაგივრად, რომ აქაურობას გავეცალო, იქით მივდივარ ჩემდაუნებურად, საითაც კვამლს ვხედავ.

კოცონი გაუჩაღებია ვიღაც ორ კაცს. იარაღში ჩამჯდარნი, თავიდან ფეხებამდე გაწუწულნი, ცეცხლს მისხდომიან და შრებიან. იქვე, ხეზე ორი ჯორია მიბმული, ცეცხლის პირას სავსე ხურჯინები აწყვია.

„გამარჯობათ!“

გამომცდელად მიყურებენ.

„ვინა ხარ?“

„მგზავრი“.

„მარტო ხარ?“

„დიახ“.

„მაშინ დაჯექი. მაგრამ, ვაი შენი ბრალი, თუ ვინმე გახლავს და არ გვეუბნები. პირველად შენ მოგკლავთ!“

„არა, ბატონო, მარტო ვარ“.

„კარგი, მჯერა. ერთი აქაური ამბები გვითხარი. ჩვენ ანტიოქიიდან მოვდივართ და არაფერი ვიცით“.

„რა უნდა გითხრათ, აქ ჭირია მოდებული“.

„შავი ჭირი?“

„არა. სხვანაირი ჭირია. უზომო ჭამასმასა და ლაზღანდარობასაა გადაყოლილი ხალხი. ამისთვის ქურდობენ, ავაზაკობენ, არც მკვლელობას ერიდებიან. ბოლოს სივდებიან, წყალმანკი უჩნდებათ, ტვინი ულაყდებათ. ტკივილებს ვერ გრძნობენ და ამიტომ არც მკურნალობენ, თუმცა, არც არავინ იცის ამ ავადმყოფობის წამალი“.

„დაღუპულხართ!“

„კი, ვიღუპებით!“

სიჩუმე ჩამოვარდა. ცეცხლი ტკაცუნობს, ბრიალებს და თბილა აქ. ნეტა ერთი მომასვენა. სულ როგორ უნდა გარბოდე, სულ როგორ უნდა გეშინოდეს, სულ როგორ უნდა გიჭირდეს!

„მერე, რისი იმედი გაქვთ, რა გეშველებათ?“

„მე არაფრის იმედი არ მაქვს“.

ერთი მათგანი წამოდგა. ოხშივარი ასდის. ხურჯინს იღებს, ჯორთან მიაქვს და გადაჰკიდებს. მეორეც წამოდგა. ამ ხალხს თავისი საქმე აქვს. მეც ვდგები და ვემშვიდობები.

„კარგად იყავი“, მოკლედ მეუბნებიან, „ჩვენ რომ გვნახე, არავის არ უთხრა“.

მოვდივარ ისევ. ხეებს შორის სინათლეს ვხედავ. იმ სინათლისკენ მივეშურები.

სინათლე მატულობს. ხეები მეჩხერდება. ულრანის უკუნი იფლითება გარედან შემოჭრილი სივრცით და უცებ, ტყე თავდება. ქარაფიდან დავცქერი მღვრიე მდინარეს, დილის სოველი ნისლით დაბურულს. ფართო კალაპოტში მოქცეული წყალი დუდუნით მიდის უსაზღვრო ზღვისკენ. გაღმა ნაპირი ჩაბინდულია და იდუმალებით მოცული. ვგრძნობ საკუთარ გულისცემას, თითქოს აღთქმულ მიწას ვხედავდე.

როგორც იქნა, მოვაღწიე აქამდე!

მართალია, კარგად არ ვიცი, რა ხდება გაღმა, მაგრამ...

გურამ გეგეშიძე

ეამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარაფზე მდგარი, ქვემოთ ვიხედები. მდინარის პირას პატარა ქოხი მოჩანს, მოშორებით ნავია ნაპირზე მიბმული. თვალს ვავლებ მიდამოს. ცა იქუფრება, წამოუინჟლა.

არც კი მჯერა, რომ ასე ახლოს ვარ მიზანთან.

სასწრაფოდ ვეშვები. მივგორავ ფერდზე, მივსრიალებ ფლატზე, რიყეზე ვეცემი, ვდგები და მივრბივარ ნავისკენ.

მსხვილი ჯაჭვითაა მიბმული მიწაში ღრმად ჩასობილ მორზე. ვეჯაჯგურები, მაგრამ ვერ ვხსნი, ხოლო მდინარის ტალღები ტყლაშუნით ეხლებიან თიხიან ნაპირს. გუნება მეწამლება, ნუთუ ვერ უნდა ავხსნა. ვერ უნდა გავიდე გაღმა? ვეჯაჯგურები, ვეჯაჯგურები, ვინ მიაბა ასე უკულმართად, არაფერი გამომდის. ლამის შეეპყროს სასოწარკვეთამ. მაგრამ არ მინდა ავყვე გრძნობებს, რამე უნდა მოვიფიქრო. მიწაზე ვჯდები, აქეთ-იქით ვიცქირები, იქნებ სოლი ან ძალაყინი რამე ეგდოს სადმე.

დაუანგული ანჯამების ჭრაჭუნი მესმის, ქოხის კარი იღება და იქედან ვიღაც მაღალი კაცი გამოდის. შუბლზე ხელი აუფარებია და ჩემკენ იყურება.

ნელა მოემართება აქეთ. მეც ვდგები. ცივად ვესალმებით ერთმანეთს.

„ვინ ბრძანდები?“ მეკითხება ის.

„გაღმა მინდოდა გასვლა“.

„აა?“ გაკვირვებით შემომცქერის, იჭვნეულად, უნდოდ, თან თითქოს გაგებით.

„ვისია ეს ნავი?“ ვეკითხები მე.

„ჩემია!“

„მენავე ხარ?“

„კი, ბატონო!“

წარმოსადეგი კაცია, მშვენიერი სახე აქვს, სწორი ცხვირი, წაბლისფერი თმა მხრებამდე სწვდება, ლამაზი წვერულვაში უმშვენებს სახეს. ჩემსავით დაფლეთილ მოსასხამში გახვეულა, მაგრამ ზედ აწერია, რომ სანდო კაცია, ღირსეული ადამიანი, ღონიერი ჯიშის და მოდგმის. თუ მე რამე გამეგება, ასეთი კაცი არასოდეს გაივლებს გულში ღალატს.

„ვერ გამიყვან გაღმა?“

„რატომაც არა?! მაგრამ ჯერ ადრეა, ცოტა ხანს ქოხში მოისვენე, მე მანამდე კლიტის გასაღებს მოვიტან, სხვაგანა მაქვს დამალული, რომ უჩემოდ ნავი არ ახსნან. აქ ათასი ჯურის ხალხი დადის, ზოგს გაღმა უნდა გასვლა, ზოგს ნავით გასეირნ-გამოსეირნება სურს...“!

ქოხისკენ მივდივართ. კარს აღებს, გზას მითმობს, შევდივარ ქოხში. მორყეული ფიცრები ჭრაჭუნებენ ფეხქვეშ. ნესტის და ნაცრის სუნი მცემს. სარკმელს წვიმის წვეთები ეხლება. იქვე მცირე ტაბლა დგას და მის გასწვრივ გრძელი ჯორკო. ერთ კუთხეში სათევზაო ბადეები და ნავის ნიჩბები ყრია. მეორე კუთხეში ბუხარია, შიგ ჩამწვარ-ჩაფერფლილი კუნძი გდია. კედელთან თივაა შექუჩებული, რომელზეც გაცვეთილი ნაბადია დაგებული.

ჯორკოზე ვჯდები. ტაბლაზე ხმელი პური, ხახვი და მოხარშული თევზი დევს.

„მიირთვი!“ მეუბნება მენავე, „მოისვენე! მე მალე დავბრუნდები!“

მარტო დარჩენილი ჯერ უხერხულად ვარ უცხო ქოხის მდუმარებაში. მერე ვდგები და ფანჯრიდან გავცქერი ჩაუმურტულ სივრცეს. არავინ ჩანს ირგვლივ. მღვრიე მდინარე ისევ ხმაურით მიათრევს ტალღებს. იქითა ნაპირი, უცნობი და მკრთალი, ახლა შიშს მგვრის. ღმერთმა იცის რა ხდება გაღმა. იქნებ იქ ჩემთვის უარესიც იყოს?! ზოგჯერ ადამიანი სიგლახეს ისე ეჩვევა, რომ სწორედ ეს ჰგონია სიკეთე. საკუთარი უმეცრებაც უყვარდება და მოსწონს ხალხს. ვაითუ, ვერ გავძლო ჩემს უბედურ მხარეს მოშორებულმა? ვაითუ, იქაური სიკეთე ბოროტებად მექცეს? რაგინდ დაქცეული, გადაგვარებული და უგუნური არ უნდა იყოს ჩემი ქვეყანა, როგორი ჟამიც არ უნდა მძვინვარებდეს აქ, მე მაინც ყველაფერს მირჩევნია იგი, რადგან მხოლოდ აქ ვგრძნობ თავს მყარად, აქ არის ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი ასპარეზი, აქ ცხოვრობს ჩემი ნათესავი და რაც ყველაზე მთავარია, აქ ისმის ჩემი ენა. თუ მე აქედან ახლოს შევხედე ჯოჯოხეთს, ვინ იცის, იქნებ ეს იმისთვის გამომადგეს, რომ ოდესმე ზეცის სიმაღლეს უკეთ გავუსწორო თვალი.

აღარ მჭირდება მენავე და მისი ნავი. არსად არ წავალ. რა მინდა გაღმა? შეიძლება იქ მართლა უკეთესია, მაგრამ ადამიანს თავისი მსგავსი ურჩევნია თავისზე უმჯობესს. ამაშია ჩვენი უბედურება და მეც ვემორჩილები ამ ურყევ კანონს. იქ უნდა მოვკვდე, სადაც დავიბადე, ვიტანჯე და გული გამიტყდა. ისევ უნდა შევუერთდე ამ უსინდისოებს და უგუნურებს, უნდა ვუცქირო მაგათ სიბრიყვეს და სიხარბეს, უნდა ვლანძღო და ვაგინო, უნდა ვეძებო სიკეთე ამ სიბილწეში. თუ ერთი ღირსეული კაცი მაინც აღმოჩნდა, მაშინ ეს ქვეყანა გაამართლებს თავის არსებობის უფლებას, რაც უნდა გახრწნილი და უიმედო იყოს ამჟამად. ერთადერთი მაღალი კაციც კი საწინდარია იმისა, რომ მსგავსნი კვლავ იშვნენ. მაგრამ სად ნახავ ამ ჟამიანობაში ასეთ კაცს?

ფანჯარას ვშორდები და კარისკენ მივემართები, მაგრამ ვიდრე ქოხის შუაგულს მივაღწევდე, კარი ხათქუნით იღება, ვხედავ თვალებგაფართოებულ მენავეს და მასთან ერთად თოფ-მუზარადში ჩამჯდარ შუბმოღერებულ კაცებს...

„ეს არის!“ ყვირის იერშეცვლილი მენავე და ხელს ჩემკენ იშვერს.

წინამძღოლი სახეში მირტყამს.

სადღაც, უკან გადავარდნილი, თავს კედელს ვახეთქებ და იატაკზე ვგდივარ. მკერდზე შუბის წვერი მაქვს მობჯენილი, რომელიც მკაწრავს, კანს მიფხაჭნის, განძრევის საშუალებას მისპობს. დანარჩენები მათრახებს მიშენენ.

„სამი დღეა მოგდევთ, შე ძაღლისშვილო, გაები მახეში?“

კისერზე საბელი მომდეს, გარეთ მიმათრევენ, სუნთქვა მეკვრება, მგონი ვიხრჩვები.

აჰა, ქოხიდან გამომათრიეს, ბოლოზე მიმაჩოჩიალებენ კუნძივით, მთელი სხეული დამეჩქლითა, ანაფორა შემომეფლითა და გამძვრა, ტიტველი, დასისხლიანებული, წამოდგომას ვცდილობ, ვახერხებ, და კისერზე საბელმოდებული, დასაკლავი ცხოველივით მივსდევ ჩემს მწვალებლებს, რომლებიც ისევ უღრანი ტყისკენ მიემართებიან, საიდანაც, მეგონა, უკვე გამოვედი.

ნუთუ უნდა მომკლან?

●

ასე საბელმოდებული მიიყვანა თურმე ჩემმა ძმამ გიორგიმ დედაჩემი ტყვეთა ბაზარზე და ვიღაც ურჯულოს მიჰყიდა. დედას რად ჰყიდიო, რომ უკითხავთ, რის მაქნისია, დასუსტდა, დაუძლურდაო, მსახურად იქნებ კიდევ გამოადგეს ვინმეს ერთ-ორ წელიწადს და მაგაში აღებული ფულით მეც ჩემს ოჯახს ფეხზე დავაყენებო, უთქვამს.

●

ღამღამობით, თითქმის აღარ მძინავს. ათასი ფიქრი მაწუხებს. ზოგჯერ მაინც წამეთვლიმება, მაგრამ მოულოდნელად მეღვიძება და მერე თვალგახელილი შევცქერი წყვდიადს, ჩემს ირგვლივ რომ შეკუმშულა უმკვრივეს გარსად. უნუგეშო სევდით სავსეა სული. რა უაზროდ და უბრალოდ მთავრდება სიცოცხლე. როგორ დაკარგა მნიშვნელობა ყოველივემ, რისთვისაც ვეჭიდებოდი წუთისოფელს...

ძნელია ხაროში გდება. ადამიანი ვერ ეგუება დახშულ სივრცეს. კაცს გასაქანი სჭირდება, როგორც ჰაერი. დამწყვდეული კაცი მონაზე უარესია, ნახევრად ლეში.

ზოგჯერ რაღაც ხმები მაინც აღწევს ჩემამდე ზემოდან. ძაღლის ყეფაა თუ ცხენის ჭიხვინი, ჭოტის ჩხავილი თუ ვასაკას კრუალი. მაგრამ სულ არ მწყურია იმის გაგება, თუ რა ხდება ზემოთ. არ მინდა — ამაზე ვიფიქრო, მეშინია. სჯობს არ ვიცოდე იქ რა მზადდება,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რას მიპირებენ, თუმცა, უკვე შევეგუე იმ აზრს, რომ აქედან ვერასოდეს ამოვ-ძვრები.

უაზრო ერთფეროვნებისგან გათანგულს, სულისჩამკვლელ სიცარიელეში ჩავარდნილს, გრძნობები დამიჩლუნგდა და ვგრძნობ, როგორ ვმდაბლდები თანდათან. მუდმივი განსაცდელი, შიში, ტკივილი, უიმედობა, — სულს ვერ ლესავს, ვერ ამახვილებს, ვერ ამაღლებს. ზოგნი ამბობენ, გაჭირვებაში ადამიანი იბრძმედებაო, მაგრამ გაჭირვებასაც გააჩნია. მხოლოდ ის იწრთობა, ვისაც მომავალი ელის. უმომავლოდ დარჩენილს რას შველის წარსულის გამოცდილება?

ყველაზე უცნაური ის არის, რომ ორმოში ჩაგდებულ კაცსაც აქვს თავისი სიხარული. როგორც არ უნდა შეგზღუდონ, ფიქრს ხომ მაინც ვერ აგიკრძალავენ? ცხადია, თუ ფიქრის უნარი შეგრჩა. ფიქრს კი, ზოგჯერ უდიდესი სიამოვნება მოაქვს. რაა იმაზე მაღალი ბედნიერება, როცა დაფიქრებული ხარ კაცი?

... როგორ მიმათრევდნენ კისერზე საბელმოდებულს, როგორ მირტყამდნენ. უღრან ტყეში რომ შემომათრიეს ნახევრად გრძნობადაკარგული, უამრავი ხალხი შემომესია ჟრიამულით და ისე მგვემეს, რომ სასწაულით გადავურჩი სიკვდილს. სისხლი მარწყევინეს, ნეკნები ჩამიმტვრიეს. გონს რომ მოვედი, ურმის თვალთან ვეგდე. ჩირაღდნების შუქი ციმციმებდა აქა-იქ, ყოველი მხრიდან მოწოლილ წყვდიადში, და არაფერი ჩანდა ირგვლივ, არც მაღალი ცა, არც რაიმე განსხვავებული, ამ ერთიანი ბნელი უღრანის გარდა.

„საით მიეთრეოდი?“

ლაპარაკი არ შემეძლო. სახედახეთქილს, ენაგასივებულს, ყველაფერი ტკივილს მგვრიდა, ამათი ხმის გაგონებაც, იმდენად მეზიზღებოდნენ ეს პირუტყვები.

„ელინთა ქვეყანაში!“ ძლივს ამოვილუღლუღე.

„რა გინდოდა იქა?“

„ისა, რომ...“

●

... თეთრი კელაპტარივით იდგა მონასტერი ტყით გარშემორტყმულ მთის ფერდობზე, რომელიც ღრმა ხევში ჩადიოდა, საიდანაც მეორე მხარეს ასეთივე გრძელი ფერდობი მიიწევდა მაღალი მთის წვერამდე, რომლის იქით ჩანდა ზაფხულის ლურჯი და კრიალა ცა. თათრები იქ იშვიათად აგზავნიდნენ თავიანთ კაცს. ბეგარის ამკრეფი წელიწადში ერთხელ ამოდიოდა ხარკის ასაღებად. სხვა დროს აქ სიწყნარე იყო მუდამ. მონასტრის ეზოს მუხების ჩრდილი ფარავდა და ამ ჩრდილით ჩამუქებულ საფლავის ლოდებქვეშ განისვენებდნენ ამავე მონასტრის ოდინდელი ბერები. ეს საფლავები ბევრი არ იყო, მათ შორის იდგა სკები და ზაფხულის ცხელ დღეებში ფუტკრის ზუილი ისმოდა აქ. მონასტერს ირგვლივ ყვავილებით დაფარული მინდვრები და სათიბები ეკრა.

ამ მონასტერს შევაფარე თავი ტყვეობიდან გამოქცეულმა. წინამძღოლი მონასტრისა, მოხუცი მამა კირიონი კეთილი და ჭკვიანი კაცი იყო. ათი წელი ათონის ივერთა მონასტერში ჰქონდა გატარებული და ხშირად ყვებოდა ელინთა ქვეყნის ამბებს. ამ ქვეყანას ყველაზე გონიერ და კეთილშობილ ქვეყნად მიიჩნევდა. იყო მოტრფიალე იმათი ფილოსოფიის, ლიტერატურის და ხელოვნების. ბერძნული სულის სწრაფვა სილამაზისკენ, გამოხატული თავისუფლების და თანასწორობის სიყვარულში და ადამიანის უფლებების აღიარებაში, ყველასათვის სამაგალითოდ მიაჩნდა, და თუმცა ქრისტეს აკვანი აქ არ დარწეულა, მამა კირიონს სწამდა, რომ ქრისტეს აზრებმა სწორედ ამ მიწაზე ჰპოვეს ყველაზე ნოყიერი ნიადაგი.

ბნელი და ველური სათათრეთიდან თავდახსნილი, ხარბად ვუსმენდი მამაო კირიონს. ხანდახან არც კი მჯეროდა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ,,ექ ადამიანები თვითონ ირჩევდნენ თავიანთ მმართველს და თავიანთ მსაჯულს. ვერ წარმომედგინა, რომ ხალხს შეიძლებოდა ჰქონოდა ამის უფლება და რომ დემოსი წყვეტდა ქვეყნის ბედს. მამაო კირიონი მეუბნებოდა, რომ იმათაც ჰქონდათ თავიანთი გასაჭირი, მაგრამ ეს იყო წუხილი მაღლამხედი ადამიანებისა, რომლებიც ცდილობდნენ განგების ნება ამოეცნოთ.

გულდასმით ვიწერდი მამაო კირიონის შეგონებებს, სამრეკლოს ძირში მოთავსებული პატარა სენაკის ვიწრო სარკმელთან მჯდარი. ვიწერდი და ვოცნებობდი იმ ბედნიერი ქვეყნის ხილვაზე, სადაც არავის ეკრძალებოდა საკუთარი აზრის გამოთქმა და სადაც ცდილობდნენ ცხოვრება გონივრულ თარგზე მოეწყოთ. სხვა დროს შრომაში ვიყავი გართული. ვთიბავდი, ფუტკარს ვპატრონობდი, შეშას ვამზადებდი. მევე ვკალატოზობდი და ვხუროობდი. ხუთი ბერიღა შემორჩენილიყო აქ და ბერებთან ერთად ვლოცულობდი, თუმცა ლოცვაზე უფრო ზაფხულის სიმშვენიერით გაჟღენთილი ბუნება მიყვარდა. იმას რა შეედრებოდა, როცა მოთიბულ ბალახს დააზვინებდი და ზედ წამოწვებოდი იმედიან ფიქრებში გართული.

ერთხელ, სწორედ ამ ყოფაში ვიყავი, როცა ცხენების ჭიხვინი და ადამიანების ყვირილი მომესმა მონასტრის ეზოდან. ბერები დილის წირვას ასრულებდნენ ტაძარში. წამოვჯექი და დავინახე: ვიღაცეები შემოჯირითდნენ გალავანში. გამიკვირდა, რადგან აქ თათრების გარდა, არავინ მოდიოდა ასეთი ხმაურით, თათრებმა კი ორიოდ კვირის წინ აიღეს თავიანთი ხარკი და წავიდნენ. ფერდობზე დავეშვი, ხეზე ავედი და იქიდან გადავხედე მონასტრის ეზოს. ცხენოსნების ჯგრო შეჯგუფულიყო შუა ეზოში. მაგრამ ესენი თათრები არ იყვნენ, ჩვენ ენაზე ლაპარაკობდნენ. ჯერ ვერც მივხვდი ვინ იყვნენ და რა უნდოდათ. ჩამოქვეითდნენ, ხმალამოწვდილნი ტაძარში შეიჭრნენ, უმწეო ბერებს დაერივნენ, ყველანი კარში გამოათრიეს, ცემა-ტყეპით მიწაზე დაყარეს, რამდენიმე კაცი მიუჩინეს, დანარჩენები ისევ შეცვივდნენ ეკლესიაში და შეუდგნენ ძარცვას. რაც კი რამ ხატი და სამკაული გააჩნდა მონასტერს, კედლებიდან ჩამოგლიჯეს, გარეთ გამოიტანეს. ხატებს ამტვრევდნენ, ოქრო-ვერცხლს ხურჯინში ყრიდნენ, ხოლო სურათებს ფეხით თელავდნენ.

„კიდევ სად რა გაქვთ გადამალული, თქვე წუწურაქებო?!" მათრახები დასცხეს ბერებს და თან ეცინებოდათ ამ უმწეოთა წვალების ცქერით. მაშინ მამაო კირიონი წამოიმართა და შესძახა:

„სინდისი აღარა გაქვთ, თქვე ურჯულოებო, ქრისტიანები არა ხართ?"

„მერე რა, რომ ვართ?" გაეცინა ერთ-ერთს.

„ისა რომ, წაწყდებით, ღმერთმა დაგწყევლოთ და წაგახდინოთ!"

ვიღაცამ შეაგინა მამაო კირიონს და ხმალი ხეთქა შუბლში.

ხეზე მჯდარი შევცქეროდი ამ სურათს. ვხედავდი, როგორ გაუსწორდნენ ბერებს, როგორ აკუწეს და აჩეხეს ყველა. შიშისაგან ენა ჩამივარდა. იმას ვნატრობდი, შემთხვევით ვინმეს არ შევემჩნიე და ჩემთვისაც იგივე დღე არ დაეწიათ. მაგრამ არავის ამოუხედია ზემოთ. წავიდნენ და როცა სიჩუმე ჩამოვარდა, შაშვის გალობა გაისმა ჰაერში. მე მივხვდი, რომ აქ აღარ დამედგომებოდა. ქვეყანა, რომელსაც მისი მკვიდრი, შინაური და შორიდან მოთრეული გადამთიელი ერთნაირად აოხრებენ, უსაშველოდ განწირული იყო...

●

„... რა გინდოდა იქა?" თითქოს ლურსმანს მირჭობდნენ შუბლში.

„ამბობენ, მაღრიბში ლაშქარი იკრიბებაო, ქრისტეს საფლავის დახსნა უნდათ იერუსალიმშიო..."

ჩემს მწვალებელს ზიზღით გაეცინა.

„შენ ვინ გეკითხება ქრისტეს საფლავს, შენ რა იცი, რა ხდება იქა?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ასე ამბობენ“.

„ბევრ რამეს ამბობენ. ასე წელია ეგ ლაშქარი დაიშალა. ერთი ებრაელი ჩამოვიდა იქიდან და იმან ჩამოიტანა ამბავი“.

„თქვი სად მიეთრეოდი, შე მკვდარ-ძაღლო!“ კვლავ მაყრუებს ხაფი ხმა, თითქოს კეტი მხვდება თავში.

„ელინთა ქვეყანაში!“

„რა გინდოდა იქა?“

„იქ ერთი მეგობარი მყავს, იმის ნახვა მინდოდა“.

ისევ მირტყეს, ხანშიშესული ხისფეხა კაცი, ძლივს რომ ეტეოდა კანში, ყურებზე გადაწყობილი გრძელი შავი ულვაშებით, გადმოპირქვავებულ გოდორზე იჯდა, მიყურებდა და ამთქნარებდა. ბოლოს ბრძანება გასცა, ეყოფაო და ხვრინვა ამოუშვა.

მთელი დღე ვეგდე მიწაზე. მეორე დილით, ურემში ზანტი კამეჩები შეაბეს, ხისფეხა ურემზე დასვეს, ხელებშეკრული და კისერზე საბელმოდებული ურმის ბოლოზე გამომაბეს და ნელა დაიძრნენ. მე არ ვიცოდი, სად მიდიოდნენ, საით ჰქონდათ გეზი აღებული, მაგრამ ვატყობდი, რომ არც თავად იცოდნენ. მიდიოდნენ იქ, სადაც შემთხვევა მიიყვანდათ. ორი დღე უაზროდ იყიალეს უღრანში და მეც მივსდევდი ურემს, რომელზედაც იჯდა კაცი, ვის ხელშიც იყო ჩემი ბედი. ეს იყო ამათი მსაჯული. ამას მუდამ გარს ეხვია მთხოვნელები და მე ვხედავდი, რომ ზოგს ქრთამი მოჰქონდა, ზოგი ქრთამზე ევაჭრებოდა და მოსამართლეც ვაჭრობდა თავისი უფლებებით. ზოგს ემუქრებოდა, თუ ქრთამს არ მომცემ დაგღუპავო, ზოგს შველას პირდებოდა, როცა ქრთამი ჰქონდა აღებული. ურემი კი მიგორავდა და ცალფეხა მოსამართლე ასამართლებდა დამნაშავეებს, ზოგს სიკვდილს მიუსჯიდა, ზოგს თვალების დათხრას, ზოგს გაროზგვას, ზოგს ათავისუფლებდა. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ რამდენი მისცა. ბოლოს მეც მოვაგონდი და დილისთვის სასამართლო დამინიშნა.

„შენ ბრალი გედება უწლოვანის გაუპატიურებაში და მოკვლაში!“ ამ სიტყვებით მომმართა ხისფეხა მოსამართლემ, რომელიც ისევ გადმობრუნებულ გოდორზე იჯდა, ჩემგან შორიახლო.

„ტყუილია!“ დავიყვირე მე.

კამეჩებგამობმულ ურმის თვალთან მიწაზე ვეგდე, ხელები ზურგს უკან მქონდა შეკრული, ირგვლივ ხალხი შემოგვხვეოდა.

„მოიყვანეთ მოწმეები!“ ბრძანა მოსამართლემ.

ბრბო გაიყო და ის ყმაწვილები შემოვიდნენ წრეში, ღვინით რომ გამიმასპინძლდნენ და გამქურდეს. სუყველას ვცნობდი, ცისფერთვალებას, გრძელცხვირას, მხოლოდ ხუჭუჭთმიანი აკლდათ.

„ეს იყო?“ შეეკითხა მოსამართლე.

„ეს იყო!“ დაუდასტურეს. „მაგან გააუპატიურა და მოჰკლა“.

„ტყუიან! თვითონ ჩაიდინეს ეგ საქმე! საკუთარი ამხანაგი მოკლეს და ხეზე ჩამოჰკიდეს!“ ვიყვირე და ბრბო აჩოჩქოლდა, აზმუვლდა, მუქარით წამოიწია ჩემკენ, ძლივს შეაკავეს ჩაფრებმა.

„შენ პატიოსან ხალხს ცილს ნუ სწამებ, ორემა...“ დამემუქრა მოსამართლე, ის ყმაწვილები გაუშვა და ახალი მოწმე გამოიძახა.

ქეჩოში ხელი ჩაევლოთ და პანღურის ცემით მოჰყავდათ მხატვარი. წრეში შემოსულმა თვალი ამარიდა და ოდნავ წელში მოხრილი, შეშინებული, მოსამართლის წინ დადგა.

„ერთი ამ კაცს შეხედე, იცნობ თუ არა?“ ჰკითხა მოსამართლემ.

„ვიცნობ“. შემოუხედავად უპასუხა მხატვარმა.

„რა ჩაიდინა მაგანა?“

„გოგონა მოკლა, მაგრამ მაგას არ...“

„ხმა ჩაიგდე! შენ რასაც გეკითხებიან ის გვითხარი!“

„მაგას არ...“

„გააგდეთ აქედან ეს ტუტუცი!“ და მხატვარი კინწისკვრით გააგდეს წრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ესეც ტყუის!?“ დამიღრიალა მოსამართლემ. „თუ ესეც ტყუის, კიდევ მოვიხმოთ მოწმეები!“ და ახლა მან ვიღაც დედაკაცი გამოიძახა. ეს ის ქალი იყო, ქალაქში შვილი რომ მოუკლეს და მერე მე რომ ვიხსენი ჩაფრისაგან. დედაკაცი ცოცხლად ყვებოდა ჩემი და იმ ბედუკუღმართი ჩაფრის შეტაკების ამბავს...

„ამან მოჰკლა ჩაფარი?“ გავიგონე მოსამართლის ხმა.

„მაშა, კაცო, მაგან მოჰკლა, მაგანა!“ სიამოვნებით ადასტურებდა დედაკაცი და ჩემკენ იშვერდა ხელს. სახეზე შევხედე და ვიგრძენი, რომ ამ საწყალს სრულიად არ ახსოვდა, რომ სწორედ მისი გულისთვის შემომაკვდა ის კაცი. დედაკაცი კმაყოფილი იყო, რომ ამდენი ხალხის ყურადღება მიიპყრო, გაფაციცებით ყურს რომ უგდებდნენ, მე კი სულაც არ ვედარდებოდი. ნეტავ, თავისი შვილი თუ ახსოვდა, ზედ კარის ზღურბლზე რომ მოუკლეს? თავი ჩავქინდრე და როცა ჩემი ძმის გიორგის კაცმაც დაადასტურა ჩემს მიერ გიორგის მოკვლა, თავი აღარ ამიწევია, რადგან არც ძალა მქონდა და არც სურვილი.

„...ის არ იკმარე, რომ ჩვენგან გაცლა დააპირე. ისეთი რამე დაგიწერია, თავს გვჭრი, გვაგინებ, გვლანძღავ...“

მკვდარივით ვდუმდი. ძლივს მესმოდა მოსამართლის სიტყვები.

ხელი დამავლეს, სადღაც გამაქანეს და ამ ხაროში ჩამაგდეს.

●

და ვაგდივარ აქ ახლა, ამ ბნელ ორმოში, სადაც ვერც დროს ვგრძნობ, ვერც სივრცეს აღვიქვამ. სად არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი?

შეშინებული ველი მომავალს, არაფერი მიმსუბუქებს სატანჯველს, არც რწმენა, არც სიკეთე, არც სიყვარული. რატომ მომეცა ასეთი ბედი? გულცივ და უგულო შიშს შეუპყრია ჩემი არსება. რომ შემეძლოს სხვა კაცი გავხდე, სხვა რამ ვიწამო, სხვა რამ ვიცოდე! მაგრამ რაცა ვარ, ესა ვარ, და რაც ვიცი, ის ვიცი. ვერ ამოვძვრები ჩემი ნაჭუჭიდან და ვიტანჯები ამ ნაჭუჭში დაუკმაყოფილებელი და შეურიგებელი, რადგან ვგრძნობ ჩემი ნაჭუჭის უბადრუკობას და ჩემი შეცოდებების მიუტევლობას. რა მინდოდა მე? რაღაც უფრო მეტი მინდოდა!! მქონდა ამის უფლება? განა შეიძლება ყველასათვის თანაბარი სამართალი არსებობდეს? რა სასაცილო და რა უბადრუკი იყო ყოველივე, რისკენაც მე მივისწრაფოდი.

ალბათ, სიმშვიდე და უბრალოებაა ყველაზე გონივრული, მაგრამ არც ეს არის ჩვენ ხელთ. ვინ გაღირსებს მოსვენებას? ვერასოდეს ვერ ვმშვიდდებოდი, ვერასოდეს ვერ ვისვენებდი. მთელი ცხოვრება ამაო ფუსფუსში გავატარე. განსჯა და ფუსფუსი ერთმანეთს არ უთავსდება და როცა ურწმუნო მოფუსფუსეებითაა ქვეყანა სავსე, კაცმა არ იცის, საით მიდის იგი. რა არის უფრო საშინელი, ვიდრე გაურკვევლობა, როცა ყოველივეს, რასაც ეყრდნობოდი, ძირი ეთხრება?

გარკვევით მესმის ზემოდან ძაღლის ყეფა. ვიღაცეები უახლოვდებიან ხაროს. რაღაც ხმაური აღწევს ჩემამდე. აჰა, კიბე ჩამოუშვეს ორმოში.

„ამოდი!“ მიყვირიან.

კიბეზე ვდგები და ზემოთ ავდივარ. არ მეგონა, კვლავ თუ მეღირსებოდა ამ სამარიდან ამოძრომა. დამვიწყებია, რომ ზემოთ ქვეყანა იყო, როგორც ივიწყებს კაცი, რომ ოდესმე სიკვდილი ელის...

კიბე თავდება. ორი კაცი მელოდება ბნელ ხვრელში. აქ უკვე შემოჭრილა გარიჟრაჟის მკრთალი სინათლე, რომელიც თვალს მჭრის წყვდიადს შეჩვეულს. ეს კაცები არც ხელს მკრავენ, არც მირტყამენ, რაშია საქმე? შუაში ჩამიყენეს და გარეთ გამოვყავარ.

დილის სუსხი ძაგძაგს მაწყებინებს, ყომრალი ცა იმედს არ აღმიძრავს, მაგრამ მაინც ცოცხლდება ბლანტი წყვდიადიდან თავდაღწეული სული. ნუთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერს აქვს აზრი? თუ ყოველივეს აქვს სხვა აზრი, ჩვენ რომ არ ვიცით?!

ქვეყანას ძინავს. კაცის ჭაჭანება არ არის. ჩვენ ჩუმად მივაბიჯებთ ულრანში.

ტყის პირზე გავდივართ და მაღალი გორაკის წვერისკენ მივიწევთ. რამდენიმე კაცი მოჩანს მოტიტვლებულ ფერდზე. ვუახლოვდებით ამ ადამიანებს. ისინიც ძაგძაგებენ, ახლადგაღვიძებულებს ძილის უყმური თან გამოჰყოლიათ.

გორაკის წვერზე ავდივართ და ჩემი მცველები მარტო მტოვებენ. ჩემს ქვემოთ უთავბოლო ბნელი უფსკრულია. მეორე მხარეს, ზედ ხრამის პირას, დგას ღონიერი ახალგაზრდა მუხა. ნეს არწივები შემოხვევიან ველური კივილით. „მოდის“. ამბობს ვიღაც და ყველანი დაბლა იყურებიან. ვირზე შემჯდარ მოსამართლეს ვხედავ, აღმართზე მოაჩაქჩაქებს სახედარს, მაგრამ მერე ისევ მუხას შევცქერი, ტოტებგაშლილს, მაღალს, ლაღად მოშრიალეს. რა შორსაა იგი, რა ღრმა უფსკრულია იქამდე. ეჰ, ნეტა იქ მიმიყვანა, იმ ხის ძირში დამსვა. რა ბედნიერი ვიქნებოდი...

თითქოს პირველად ვხედავდე მუხას, თვალს ვერ ვწყვეტ ვერც მის განიერ ტოტებზე ჩამოსხდარ ფრინველებს, რომლებსაც ისევე დაუდგათ დილა, როგორც მთელ სამყაროს, თუმცა მზე ჯერ არ ამოწვერილა, არც მზის სხივები აფერადებულან, მხოლოდ თეთრი სინათლეა მაცნე ახალი დღის დადგომისა, რომელიც სულ მალე ამოქმედდება, ბევრ რამეს შეცვლის, შეარყევს და გათავდება, და ამ გზაზე, ვინ იცის, რამდენს ჩამოიშორებს, ვიდრე სამუდამოდ ჩაეშვება ბნელ და მარადიულ ღამეში.

ვირზე მჯდარი მოსამართლე დამხვდურებს ებაასება. არ მესმის, რაზე ლაპარაკობენ. ყველანი გამეცალნენ, მარტო ვდგავარ ხრამის პირას. ახლა მოსამართლე ჩემკენ იყურება და რაღაცას ამბობს, მაგრამ ყურს ვერ ვუგდებ, მუხას გავცქერი, მყარად რომ დგას თავის ადგილზე. ეჰ, იმ მუხის ფესვებზე რომ ჩამომაჯინა და მეორე მხარეს გადამახედა. ნეტა რა ჩანს იქით, რა არის...

„... და რადგან ელინთა ქვეყანაში აპირებდა გაპარვას, როგორც მკვლელსა და მოღალატეს ესჯება სიკვდილი!“

ბოლო სიტყვა მაფხიზლებს და გაკვირვება უფრო მიპყრობს, ვიდრე შიში. წამით მოსამართლეს მივაპყრობ მზერას. იგი ამთქნარებს, გამოუძინებელი, უხალისო. ორი კაცი, ორმოდან რომ ამომიყვანეს, მიახლოვდებიან და მე არ ვიცი, რას ვეცე, რა ვიღონო, რას მოვებღაუჭო. აქეთ-იქით ვიხედები გამალებით, ყველაფერი აირია: მოსამართლე, ვირი, ნაცრისფერი ცა, ხრიოკი მიწა, მწირი ბალახი, უაზროდ მიყრილ-მოყრილი ქვები, ის ორნი, აჰა, უკვე მომიახლოვდნენ, რათა ხელი მკრან და ხრამში გადამაგდონ, ვიცი, ასე სჯიან ამ უსამართლო ქვეყანაში მოღალატეებს, მუხა კი ისევ იქ დგას, მაგრამ უცებ თავდაყირა შეტრიალდა და გაფრინდა ცის-კე-ე-ე-ე....

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულიკო დვალი

●

მოდგა კარებთან დიდგულა მარტი
ყოჩივარდებით ლურჯად ნაფერი,
და სადაცაა იფეთქებს ფშატი,
მზე მოსწყურდება, სხვა არაფერი.
და სადაცაა წამოვა ღვარად,
მთებიდან თოვლის სევდა, უთქმელი.
ლორთქო ბალახი მიწას დაფარავს
შეესევიან მინდვრებს ფუტკრები...

გაიღვიძებენ თეთრი ნიმფები,
ახლა რომ ცისფერ სიზმრებს ხედავენ,
განუყოფელად ერთად ვიქნებით
გაზაფხულივით ვიგრძნობთ ერთმანეთს,
თუ გიყვარს, თურმე მზე აღარ ჩადის
და არც ზეცაა ღრუბლით ნაფერი,
აფეთქებული კვირტები ფშატის
მზეზე ლოცვაა, სხვა არაფერი...

●

არ მამშვენებს ამორძალის
მშვილდისარი ვერცხლის.
მე ვარ თიხა გამომწვარი
სიყვარულის ცეცხლით,
უბედობას ვუხდი ღალას
უთვალავი მარცხით
და ვამარცხებ ყველა ღალატს
საკუთარი ჯვარცმით.

მინდა სივრცე, მინდა სივრცე,
მინდა ცისკენ ხიდი,
ვხედავ ლამაზ ფერად სიზმრებს
და ცხოვრება მიდის...
მე ვარ თიხა, გამომწვარი
სიყვარულის ცეცხლით.
და ვერც ერთი ამორძალი
ქვეყნად მე ვერ შემცვლის...

მე ვარ შენი ლამარია

მე ვარ შენი ლამარია
ერთგულებაც მე ვარ შენი
მხოლოდ შენ ერთს გაბარია
სიხარულის დიდი ველი
მე ვარ შენი ლამარია
მოგგვრი ირმებს, შვლებს და არჩვებს,
რაც ყველაზე მთავარია
სხვასთან ყოფნას სიკვდილს ვარჩევ.
მე ვარ შენი ლამარია,
სვანურ კოშკში გიცდი ქალდე.

სალოცავი — ლამპარია
სალოცავად მიწყივ მყავდე.
მე ვარ შენი ლამარია
ო, რამდენი ცრემლი ვღვარე
ეს თმა ცრემლში ნაბანია
თუ გინდ ჰკითხე მზეს და მთვარეს.
მე ვარ შენი ლამარია
მოგგვრი ირმებს, შვლებს და არჩვებს,
რაც ყველაზე მთავარია,
სხვასთან ყოფნას სიკვდილს ვარჩევ.

●

ბევრი ვლოკე ქვამარილი
უკვდავების წამალივით,
ცრემლი შევსვი ყამარივით
ვდუმდი თოვლის ტრამალივით

და ვიპოვე სალოცავი
უდაბნოში წყაროსავით
შემოეხსნა გულს წუხილი
მოხვეული მარწუხივით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუმც არ ვიცი შენთვის რა ვარ,
თამარ ქალს თუ ნესტანს ვგავარ.
მოვარდნილი წყლების ღვარად
მოვდივარ და მომაქვს სხვა რამ,
სიცოცხლეზე უფრო მეტი,
სიყვარულის ლორთქო კლერტი.
და არ ვიცი შენთვის ვინ ვარ,
ვინც გიყვარს თუ ვინც არ გიყვარს.
მაგ გულში და სულში ვსახლობ
თუ მეზობლად, შორიახლოს.
მხოლოდ შენსკენ, შენსკენ ვილტვი,
როგორც მზისკენ ილტვის ჩიტი,
არც გიყვარვარ და არც გძულვარ,
გულში გყავარ, განა გულთან.
ვპოვე ჩემი სალოცავი,
უდაბნოში წყაროსავით,
მოგელოდი ყამარივით,
ვლოკე ცრემლის ქვამარილი.

ემენ დავითაძე

გათუმი

ვარ მებადური,
მარილის სუნით
და ნიჟარების ჩხრიალით სავსე.
ზღვა, ჩემი ტანჯვის მოწამე ჩუმი
ლომა ხარივით მიბია კარზე.
დამბედებია წვიმების თქეში,
მარაოებად მდგარი პალმები.
შინაურია სტუმარი ჩვენში,
მივეფერები და ვეწამლები.
შენი გემი ვარ, ზღვაზე გასული,
შეჭიდებული უდაბურ ტალღებს.
გამიცოცხლდება უმალ წარსული,
როცა სარფს გაღმა გავხედავ თალხებს.
ვარ ჭოროხისპირ შეკრული ტივი,
ძველი იბერი და ძველი კოლხი.
ყოველ ბინდისპირ და ყოველ დილით
მე შენი ერთი დანახვაც მყოფნის.
შენი ტაო ვარ,
ბეჭებგაშლილი,
მსურს ყველა მტერი ფეხქვეშ
გავთელო.
გწამდეს მარადის ერთგული შვილი
აქ, ზღვისპირეთშიც, გყავს
საქართველო...

წამო...

წამყე აჭარის მთებისკენ,
ჩემს სიყმაწვილეს განახებ.
ჩავუდგეთ აჭარისწყალში
წითლად დაწინწკლულ კალმახებს.

ვნახოთ გაშლილი დილმები,
ქარში შემკრთალი ბუერა.
ბაბუა ვნახოთ ასი წლის.
მოვაგონდებით თუ ვერა.

წყაროზე ციცას (გავხედოთ,
პირთამდე სავსე დოქითა.
უბეში ბროწეულებით,
თურაშაულის ლოყითა.

გლეხი ყანაში ჩამდგარი
მამაპაპური თოხითა.
ეზოში ჭინკას ცელქობა,
დედის მუქარა ჯოხითა.

წამო, კარს უკვდავებისას
მთები ჩვენს თვალწინ გააღებს.
ვერ მოგვერევა სიკვდილი
იმათთან ნაიალაღევს.

წამო აჭარის მთებისკენ,
წამლად დაგიკრეფ ბალახებს.
განახებ ჩემს სიყმაწვილეს
და ჩემს მომავალს განახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ კალანდია

ზვარაკი

რომანი

ალია. გაჩუმდი! გ ა ჩ უ მ დ ი-მ ე თ ქ ი! მე უკვე ვარ! ვ ა რ!.. — უნდოდა ეთქვა მკვლელიო, მაგრამ ვერ გადმოაცდინა ბაგეს, თითქოს განგებ სხვა სიტყვა ამოსდიოდა იმის მაგივრად, სიტყვა — მკვლელი — ყელში ჰქონდა გაჩხერილი. — გ ე ს მ ი ს, ვ ა რ! — და, ნახე თუ არა ვარო. პერანგი სწრაფად გაიღელა...

ბარონი. — თვალები მოჭუტა, თან წამით ჩაფიქრდა. — ნუ ყვირი, — თქვა გულგრილად. — შეიძლება, გაიგუდო. — გადაიზნიქა და ფეხსაცმლები ქვეშიდან გამოიძვრინა, დაფერთხა. — მიყვარს ტილოს ფეხსაცმლები, რბილიცაა და მსუბუქიც... არც ფეხსა გტკენს, არც უკანალს... — დაიხარა და ჩაცმას შეუდგა. — ბ ო ნ ძ ი ი ყ ო წ უ ხ ე ლ ჩ ე მ თ ა ნ. — ისე, სხვათა შორის თქვა, ორად მოკაკულმა, ფეხსაცმლის თასმას რომ იკრავდა, მაშინ.

ალია. მერე? — თითქოს სასულეში გადასცდა რაღაცა ან, ყელის კრუნჩხვებმა მოუარა და საშინელი ხველა აუტყდა. — მ ე რ ე?!

ბარონი. რა მერე? იყო-მეთქი.

ალია. რაღაცას მაიმუნობ, ბარონ!

ბარონი. ვა! — გაიკვირვა თავჩარგულმა. — რატომ, ჩ ე მ ო კ ა რ გ ო. ასე რატომ გაგიკვირდა? — ამოხედა და ზლაზვნით გასწორდა წელში. — შენ როგორ ფიქრობ, რა ენდომებოდა ჩემგან ბონძის?

ალია. რა ვიცი... უცებ იფეთქა. — შ ე ნ ს ა ს ვ ი ნ რ ა ს გ ა ი გ ე ბ ს!

ბარონი. სწორი ხარ. ზოგჯერ მეც არ ვიცი, როდის რას გავაკეთებ. ჰმ!.. — თვალთმაქცურად ჩაიცინა. — გადამწყვეტ წუთში ვარ ხოლმე ჭკუით დატენილი. კაცმა რომ თქვას, ისეთი არაფერი. ალღოს უნდა ენდო, შენს გულის ხმას უნდა მიაყურადო და ყველაფერი რიგზე იქნება. სულ ასე ვცხოვრობდი და ვცხოვრობ, დამეთანხმები, არც ისე ცუდად.

ალია. მითხარი, მიეცი თუ არა... — ჩუმად თქვა, შიშით კი არა, რაღაც გადაწყვეტილებითაც. — მ ი ე ც ი თ უ ა რ ა! — მარჯვენა მუხლი შეუტოკდა, თითქოს ხელიც ჰკრესო, მხარშიაც უბიძგა ვიღაცამ... თითქოს ბარონისკენ წაწევა მის გონებასა და გულს კი არა — მუხლსა და მხარს სურდა, ესენი ამოძრავებდნენ ახლა და ნაბიჯიც გადადგა წინ, ბარონისკენ.

ბარონი. იქით მიიწი. — თქვა უკმეხად, არც კი შეუხედავს, თან მხრები შეციებულივით მაღლა შეჰყარა და ცხვირიც უცნაურად ააქშუტუნა. — ბარონს შესცივდა... მზე მოუშვი...

უცებ საშინელი ზიზღი იგრძნო ალიამ ქვაზე ეშმაკივით წამოსკუპებული კაცუნასადმი... ყვრიმალები ამოექაჩა, შეეფაკლა, მერე ერთბაშად დაეტეტკა სახე, სისხლი ტვინში აუვარდა და დამუშტული მარჯვენა მოიქნია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აძგერა, ამოჰკრა ნიკაპქვეშ მწარედ...

გადაყირავდა ბარონი ქვიდან, თავით

დასასრული. დასაწ. იხ. „ცისკარი“ № 12, 1984 წ., № 1, 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაესო ქვიშაში, მჩატედ, ჩხერკივით, დაეცა, დაეძღერკა ისე, ცალი ფეხი ზევით, ქვაზე აფშეკილი დარჩა...

არ ელოდა ბარონი დარტყმას, თუმცა ისე მოულოდნელი და ქვასავით მტკიცე იყო ალიას მუშტი, მაინც ვერსად გაექცეოდა... არც ალია ფიქრობდა თითქოს დარტყმას, თავისდა უნებურად, რაღაც წამში მოხდა ყველაფერი, იფიქრებდით, თვით ეშმაკმა შეუკრაო მუშტი, ქვად უქცია და მის დაუკითხავად აძგერა კიდეც ნიკაპქვეშ... ალბათ, ამიტომაც გაჰქონდა ალიას გულს საშინელი ბაგაბუგი, არ ასვენებდა და, ხომ არ გავიქცეო, გაიფიქრა.

ტანით აღმა, თავი — განზე გადაგდებული და ყბით ქვიშაში ჩამხობილი, თვალები — უსიცოცხლო, გაშტერებული და, სუსტი ხროტინი რომ არა, ისეთნაირად ეგდო, სამი დღის გაცივებული გვამი გეგონებოდა კაცს. ჩანდა, არც აპირებდა კარგა ხანს განძრევასა და წამოდგომას.

წეღანდელი ელდა, ამჯერად ზიზღით შეეცვალა.

„ნუთუ ამისი მეშინოდა?! — კინაღამ ხმამაღლა იყვირა და რატომღაც თავის თავზე გაბრაზდა.

მიუახლოვდა...

ალია. ადექი! — ქვაზე აფშეკილ ბარონის ფეხს ფეხი ჰკრა, თავზემოთ დააჩერდა. — ადექი-მეთქი!

არც ახლა განძრეულა ბარონი.

პირი ღია ჰქონდა... ტუჩის კუთხეში სისხლს გამოეყონა... თითქოს სისხლი არც კი იყო; რაღაცნაირი, მოყვითალო და ნერწყვნარევი, დურდლივით სითხე ჩაჰყოლოდა ნიკაპს, ქვევით, ყელისკენ რომ ეძებდა გზას ჭიასავით დაკლაკნილი...

„სისხლიც სხვა ფერი აქვს ამ ჩათლახს... კი მასავით დამპალი...“

ყელში მოაწვა რაღაც, გულისრევასავით, და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, გადააფურთხა.

ბარონი შეირხა...

ჯერ ერთი ფეხი გააჩოჩა და მობღუკა, მერე — მეორე... თავიც წამოსწია... წამოწევა იმდენად გაუჭირდა. კისრის ძარღვები წურბელებივით დასკდომამდე დაებერა. ძლივს, სვენებ-სვენებით აითრია ხერხემალი, თითქოს სათითაოდ დაშლილი სხეული, ნაწილ-ნაწილ აიკრიფაო და წამოჯდა. თავი მაინც არ აუწევია, უშნოდ გაფარჩხულ ფეხებშუა ჩაშტერებოდა ქვიშას საცოდავად მობღუნკული... მორიელს ჰგავდა ახლა, ოღონდაც ბებერს, ისევ მორიელისგან დაგესლილსა და კუდწაწყვეტილს, მოძმისგან განწირულს სამუდამოდ...

ბარონი. არ გეშინია ჩემი? — თქვა გვიან და თავაუწევლად.

ალია. არა. არც ისე საშიში ხარ, ბარონ, უკვე, — თავისი სიმშვიდისა თვითონაც გაუკვირდა. საოცრად გულგრილიც კი ჩანდა იმისადმი, რაც ამ ამბავს, მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა. გრძნობდა, მართლაც არ ეშინოდა ახლა.

ბარონი. ჰმ!.. — გაღიმება სცადა და სახეც საშინლად დაეღმიჭა. — ხომ არ შეგახსენო ბ ა რ ო ნ ი ვარ-მეთქი? — გადმოაფურთხა, ძლივს, წვალებით გადმოატია ქვიშა და სისხლი...

ალია. არაა საჭირო! ვიცი რა დამპალიცა ხარ. ამიტომ აქვე, დროულად უნდა აგიგო წესი, შე დამპალსისხლიანო! კაცმა რომ თქვას, შენს გადაკიდებას, ისევ გასაღება მიჯობს შენი, — გუჯას ნათქვამი გაახსენდა, ბონძიზე რომ უთხრა ჯოჯის უბედურების წინა ღამეს, შევცდი, უნდა გამესაღებინაო, რამაც მხნეობა შემატა. — ჰო, ცოდვად არ ჩამეთვლება.

ბარონი. შენ ასე ფიქრობ? — შეირხა, თუმცა ხელი არ გაუტოკებია. — ახლა, აქვე რომ მოგიღო ბოლო... — ისე თქვა, თავისი თავის რომ არ სჯერა კაცს, უბრალოდ, ხავსს წაეპოტინა წყალწაღებულივით.

ალია. ტყუილად მაშინებ, ბარონ. არც ისე სულელი ვარ, რომ დავიჯერო, შენისთანა ნაძირალამ ჯიბით ატაროს ქალაქში „პუგაჩი“, მანამდე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ჩიტი ხარ... ვერსად ვერ წამიხვალ.

დუმილი ჩამოვარდა.

ალიას ზურგს უკან ზღვამ სუნთქვას მოუხშირა...

ტყეც უფრო მუქი და შეკრულ-შეკუმშული ჩანდა...

ჩუმად, ფეხაკრეფით ეპარებოდა გარემოს ბინდი...

ბარონი. სწორი ხარ, — უგულოდ დაემოწმა და თავი წამოსწია; ცხვირპირი მოთხვროდა, ნიკაპზეც ჩასდევდა სქელი, გასრესილ ჭიასავით შავად მიმხმარი ქვიშანარევი სისხლის ზოლი... ზღვას გაჰყურებდა იგი...

ცისკიდური მეწამული ფერისაკენ იყო, ზღვა — სპილენძისფერი და ლაჟვარდ ბილიკით გაყოფილი... შორს, ნისლში გემი მიცურავდა... შეიძლება, არც მიცურავდა, არამედ, იდგა... იქნებ არც იყო გემი: მოცისფრო, მსუბუქი, თხელი, გამჭვირვალე ჩანდა ნისლივით რაღაცა ჰორიზონტზე და გემად ეჩვენებოდა ბარონს ახლა, მეტი არაფერი...

ბარონი. — მოულოდნელად მოუტრიალდა. — ნუ გეშინია, არ მიმიცია ბონძისთვის იარაღი, — სახელო მოისვა პირზე და სისხლი სანახევროდ მოიწმინდა, მერე გადააფურთხა და ქვედა ტუჩი ენით მოილოკა. — არც მაშინ მიმიცია და არც გუშინ.

ალია. ვითომ? თუმცა, უკვე სულ ერთია! — თქვა მტკიცედ.

ბარონი. რატომ სულ ერთი?! ან შენი მოკვლა ვის რად უნდა? — გულღრჯოდ გაიცინა. — ვის რად უნდოდა... თუმცა, ჯერ კიდევ გაქვს დრო, შეცდომა რომ გამოასწორო...

ალია. უკვე შენი პირით მთხოვ სიკვდილს?! — გულწრფელად გაიკვირვა ალიამ. — ბარონ, ჩემთვის სულ ერთია დღეს, რა ერთი ნაძირალა მომიკლავს, რა — ორი...

ბარონი. ტყუილად იქადნები, — თქვა თავდაჯერებულმა, — როგორც მე ვერ მოგიღებ ამწუთას ბოლოს, ვერც შენ, ლაწირაკო! — ხალათის ჯიბიდან დასაკეცი დანა ელვის სწრაფით ამოიღო და ცალი ხელით სხარტად გახსნა, მერე ფეხებშუა ჩაასო ღრმად ქვიშაში. — ძალა არ გეყოფა... ბებერი კი ვარ, მაგრამ ბარონი ვარ! ერთს მაინც მოგაწვდენ...

ალია. ბარონ, გახსოვდეს რომ... — მიმოიხედა, იქაურობა მოჩხრიკა თვალით: ზურგს უკან შავი და ცეცხლში გამწვარივით, მკლავისიმსხო კეტი შენიშნა სველ ქვიშაში გვერდულად ჩასობილი და მანძილი თვალით გაზომა იქამდე. — დღეს შენზე უფრო თავზე ხელაღებული ვარ...

ბარონი. არ გინდა. — მშვიდად უთხრა და მის ფაციფუცს მზერა მიადევნა. — ჯერ კიდევ გაქვს დრო... გაცალი, სანამ შენს ამბავს არ მოილევ. კიდევ იმიტომ არ მოგკლავ ჯერ, ჩვენ ორნი რომ ვართ აქა, მესამე თვალის გარეშე... კიდევ რაღაცისა გამო! მაგრამ თუ ვერ შესძელი ის, რაც ვითომ შენი ჭკუით განგიზრახავს და დასახმარებლად ჩემთანაც კი მოსულხარ, მაშინ?..

ალია. — იფეთქა. — ფეხებსაც ვერ შომჭამ! — ისევ შეუტოკდა მარჯვენა მუხლი და მხარი და გაიწია...

ბარონი. მოგკლავ! — ავად ამოიხროტინა.

ალია. ბარონ...

შეყოვნდა. მერე უკან, ვითომც შეუჩნევლად მოინაცვლა ნაბიჯი.

ისე, ბარონისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

●

გუჯას უბედურება არ აკმარა განგებამ ბერიშვილების ოჯახს.

სათნო და უწყინარი მოხუცი, თადა ბერიშვილი, ასაკისდა მიუხედავად, უფროსი შვილიშვილის მოულოდნელმა ტრაგედიამ ლოგინად ჩააგდო და კვირის თავზეც გუჯას გვერდით ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

შავებდაძონძილი ავადმყოფი დედა და ალია დარჩნენ ოჯახში.

დრო, ასე თუ ისე, გადიოდა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გაუბედურებული ქალი ჭკუაზე მით უფრო აღარ იყო; არ უჩანდა მის გლოვას და ხმამაღალ მოთქმას დასასრული. ყოველწამ წყევლიდა, აჩვენებდა მათი ოჯახის დამაქცევარს და ამომგდებს... მზიან ამინდში, დილა-საღამოს, გარეთ გამოჰქონდა შავარშიან ჩარჩოში ჩასმული გუჯას გადიდებული სურათი და, თითქოს ხელახლა იცხადებსო, კიოდა, ტიროდა... მთელ უბანს ესმოდა მისი ხმა... გულს უკლავდა ალიას დედამისის დაუსრულებელი ვაი და ვიში, ტანჯვა-წამება, საყვედური ბედისწერისადმი, განგებისადმი, ყველა და ყველაფრისადმი, ღმერთო შეგცოდე და, თვით ალიასადმიც კი. ეს, რა თქმა უნდა, არც აშკარად და, არც გაცნობიერებულად. ისედაც რა ბრალი ჰქონდა ალიას? ცხადია, არაფერი! იქნებ თვითონ ალია ფიქრობდა ასე და ეს იყო მისი უბედურება, მაგრამ როცა დედა ხმამაღლა მოთქვამდა: ვაჟკაცი, საყვარელი, რჩეული შვილ-დაკარგული დედა ვარო, უნდოდა თუ არ უნდოდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, მხოლოდ მის გასაგონად ამბობდა ამას იგი და აეწვებოდა მაშინ სული და ხორცი... ვერ ჩერდებოდა მერე სახლში.

არც გარეთ ადგა კარგი დღე. არც ნაცნობ-უცნობის სალამი და თანაგრძნობა ჰგავდა სალამსა და თანაგრძნობას... ის უფრო იკითხებოდა მათ თავაზიანობაში, წუხილში — ალია რატომ იყო ცოცხალი და არა გუჯა, ან ძმას თუ მიუძღოდა ძმის მკვლელობაში რაიმე დანაშაული, ისე გამოაყოლებდნენ ხოლმე მზერას... ერთ სანუგეშო სიტყვას არ იმეტებდა მისთვის სულიერი.

ოცდაექვსი წელი იცხოვრა გუჯამ.

ახალგაზრდა კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან, ისიც უახლოესი მეგობრისგან ტყვიით განგმირული და ამაზე მეტი უბედურება რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც, ვის ედო ამაში ბრალი, თუ არა ბონძის? გუჯასაც!.. სხვა თუ არაფერი, მათ უბნელ ჩვიდმეტი წლის ბიჭს მაინც ვერ დაადანაშაულებდი, გუჯას მკვლელობიდან მესამე თვეს ზღვაში რომ დაიხრჩო წვიმიან ამინდში...

...შემოდგომის ცივი, თალხი დღე იდგა.

ჟინჟღლავდა...

უბნელი ბიჭის ცხედარს მათი ქუჩით მიასვენებდნენ სასაფლაოსკენ.

ორი, ძაძებმოსილი ქალი — მიცვალებულის დედა და ბებია — საშინელი წვიმ-კივილით მოსდევდა სასახლეს... ორივე ფეხშიშველა იყო და ახლოს არავისაც იკარებდნენ, შორიახლო უვლიდნენ გარს ცრემლებით თვალებდაღუდღუდებული, მოტირალი ქალები...

თავიანთ ჭიშკართან იდგნენ ალია და დედამისი.

ქუჩა ატალახიანებული იყო და ქალების კოჭებამდე მოთხვრილ, წვიმებამოწუნწუხებულ ფეხებს მოჰკრა თუ არა თვალი ალიამ, თითქოს ახლა მიხვდა, რა უბედურებაც სჭირდა მათ და სუნთქვაშეგუბებული რატომღაც დედას მიაჩერდა. უცებ არც ეცნო იგი და შეკრთა, გონზეც კარგა ხანს ვერ მოვიდა.

გუჯას სიკვდილის შემდეგ (იქნებ საერთოდაც!) პირველად ნახა დედა ასე გულცივი, მკაცრი, უკრთომელი. წელგამართულიც... თვალები კი? არა. თვალებს ვერ მოუძებნიდა ფერს, სახელს ვერ დაარქმევდა, შეეშინდა კი — რაიმე ისეთი არ დავწამოო... ვთქვათ, სხვისი მწუხარებით საკუთარი მწუხარება რომ ჰქონდა რაღაც წამით მაინც შემსუბუქებული, მასავით გაუბედურებული ქალების დანახვისას...

. . . .

იქნებ არც არავის ედო ბრალი გუჯას მკვლელობაში?

ბონძისაც კი...

შვილი მაშინ არის ყველაზე სანდო და საკუთარიც, სანამ დედა ხარ, შენშია იგი, ჭიპლარით გყავს გამობმუ-

ლი და გადაფსკვნილი... იქნებ არც მაშინაა? ვინ იცის, ვის და რას უპყრია კაცთა სადავე, უფრო სწორად, მანამდეც. საშოში ჩასახვამდე ცაშია თითოეული ჩვენთაგანის დღეები გამოთვლილი და ბედ-იღბალიც უჩვენოდ გადაწყვეტილი?.. დაიბადები და — ბეჭებზე გაწერია ყველაფერი, უხილავის ხელითა გაქვს ამოგვირისტებული ამდენი დღე, ღამე, წამებიც კი...

ვინ იცის?!

თუმცა, ასე შორს ვერ მიდიოდა ალია. ისე, ბედისწერისა სწამდა. სწამდა ბრმად, გაუაზრებლად.

იმ წელიწადს, როცა ძველი, დანჯღრეული მანქანა ჩამოუწერა გარაჟის უფროსმა და კარგა ხნით უმუშევარიც დარჩა, უფრო აუტანელი გახდა სახლში ყოფნა; დედამისის წამისწამ ამოოხვრა თუ გულგვამშემძვრელი მოთქმა-გოდება... ამიტომაც მოუხშირა გარე-გარე სიარულსა და სმას, გალოთდასავით. არ გაძნელებია სასმელთან დამოყვრება, თავიდან ერთი შვებაც იყო, დაცლა, დროებით მაინც გათავისუფლება ტკივილისგან, ყელსმობჯენილი ბოღმა-ბრაზისგან, მარტოობისგანაც. სიმთვრალეს მიჰქონდა დღეცა და ღამეც, თავქვე მიაგრიხინებდა თავის ძველ, ფერდებშელეწილ მანქანასავით იოლად, თამამადაც. ავიწყდებოდა სახლში მგლოვიარე დედა, ძმის და ბაბუას საფლავი, საკუთარი თავიც და, გამოფხიზლდებოდა თუ არა, ამ დავიწყებისკენ მიილტვოდა კვლავ ჩუმად, მალულად, სიხარულითაც.

მერე რაღაც-რაღაცები შეიცვალა თვითონაც მიხვდა, არც ასე ვარგოდა საბოლოოდ. ღვიძლიც ასტკივდა, კუჭმაც დროულად შეახსენა თავი და თანდათან უკლო სმას, ლოთობას, მალე მანქანაზეც დასვეს ჯოჯის დახმარებით. ამ ბოლო დროს კი ისევ, დაახლოებით ერთ წლამდე რომ ჰქონდა ბონძის პატიმრობა დარჩენილი, კვლავ მიეძალა სასმელს, თითქოს მონატრებოდა ძველებურად გათიშვა თუ უსიამო, ხელახლა გამოფხიზლილი და ერთობ გაორკეცებული ტკივილებისგან თავდაღწევა და მით მათი უკუგდება...

პირველად ოლგა მიუხვდა ამას. აქაურობა დავტოვოთ და ჩვენთან წავიდეთო, ეჩურჩულებოდა მთვრალ ლოგინში. მშვიდ, უზრუნველ ცხოვრებას ჰპირდებოდა უცხო მხრის ქალი. არ იყო ალია ამაზე თანახმა, თუმცა, არც „ჰოს“ ეუბნებოდა და არც „არას.“

კაცმა რომ თქვას, კი უნდოდა აქაურობას გასცლოდა, სადაც, გულისგულში სძულდა და აშინებდა ეს ქალაქი, თავისი მეგობრებ-ნაცნობებით, უცნობებითაც! უნდოდა სამუდამოდ დაევიწყებინა ყველა და ყველაფერი და, რაც მთავარია, დღე-დღეზე კარს მომდგარი უსიამოვნებისათვის როგორმე მხარი აექცია... მშვიდად, უხმაუროდ, დაუძაბავად გაელია, ასე აუტანელი, ცივი, ნავსი... და მაინც, გაურკვევლად ტკბილ-მწარე წუთისოფელი. მაგრამ ცალკე მარტოხელა, ავადმყოფი დედა აკავებდა, ცალკე — საყვარელი საფლავები და სინდისი, ყველაზე მეტად კი — საკუთარი უმწეობა თუ გულისამრევი შიში იმისა, ძმის მკვლელს თვითონ რომ ემალებოდა, გაურბოდა მთელი ქალაქის დასაცინად და სამარცხვინოდ.

კი, მაშინ გადაწყვიტა, მოვკლავო. როცა სასამართლო შენობას ცხაურფანჯრებიანი, შავი მანქანა მოადგა, წელან ჯოჯის მიერ ბალიშქვეშ შემოცურებული რევოლვერი ხომ ჰქონდა ქამარში საიმედოდ გარჭობილი და მუცლის მარჯვენა მხარეს მჭიდროდ მიტყეპილი... შიშველ ხორცს ცივად მიკრულ, მძიმე, უხეშ საგანს ხშირ-ხშირად მოისინჯავდა. ცერს მალულად მიაჭერდა ხოლმე, თან თვალებს აქეთ-იქით გააცეც-გამოაცეცებდა...

მანქანა რომ გაჩერდა, უცებ გაიქცა... რევოლვერის სიმძიმე მაშინ უფრო იგრძნო; აუცეკვდა, აუთახთახდა დაბლა და დაბლა, თითქმის მუცელ-

ქვეშ და დამფრთხალმა, არ ჩამივარ-
დეს ქვევით, შარვალშიო, ხელისგუ-
ლი გარედან ღონივრად შეაშველა...
ასე, მარჯვენა მხარეს გადაზნექილი,
გან-გან გარბოდა და... რაც უფრო
მოკლდებოდა მანძილი, გრძნობდა,
ვერ აისრულებდა საწადელს, ვერასო-
დეს მიაღწევდა ცხაურფანჯრებიან
მანქანამდე, ან, თუ მიაღწევდა, ჩახ-
მახს თითს ვეღარ გამოჰკრავდა... არ
იყო ჯერ ამისთვის მზად თუ კაცს ვერ
მოკლავდა, ძნელი იყო ამის თქმა. არ-
ადა, მისჯილი ჰქონდა თითქოს, ასე
სახალხოდ რომ ერბინა. და, ისიც
გარბოდა, ! ვითომც თავდაუზოგა-
ვად — სპექტაკლში მონაწილესავით.
სცენაზე დროულად და ქარივით შე-
მოვარდნილი, სასწაულმოქმედი მსა-
ხიობივით, რომელმაც უნდა იძიოს
შური მილეთი ხალხის წინაშე, გადა-
ჭედილი დარბაზის თვალწინ... მაგ-
რამ თვითონ ხომ იცის, რომ ეს დად-
გმაა, სახელდახელოდ შეთითხნილი
თეატრალური წარმოდგენა... თითქოს
ის კი არა, გონიერი მაყურებელიც
ხვდება, რაც ჰქვია ამას, ამიტომაც
გულგრილია და მშვიდი, გგონია, იმი-
სი იმედი აქვს, ჯერ არ უნდა მოკვ-
დეს მთავარი გმირი, ან მკვლელს ცა-
რიელი ვაზნები აქვს... და თუ ეშმა-
კის დატენილი ტყვია მაინც გავარ-
დება — ალალბედად, ადამიანს კი
არა, ჰაერსაც რომ არ გაკაწრავს... იქ-
ნებ არც ესაა საჭირო! მანამდე გადა-
ულობავენ უდროოდ გაწიწმატებულ
მკვლელს გზას, ან კულისებშია ვიღა-
ცა ჩასაფრებული, ტაშს ორჯერ შემ-
ოჰკრავს და რიგზე იქნება ყველაფერი.
დასრულდება პირველი აქტი.

ასეც მოხდა.

ორნი ამოუდგნენ უცებ გვერდით;
გააკავეს, ამოუტრიალეს მკლავები და
რომელიღაც სადარბაზოსკენ გაათ-
რიეს.

არ გაძალიანებულა... ტკივილების-
გან მოკრუნჩხული, უმწეო, ზმუილი-
ვით ხმას გამოსცემდა, თან იმას ცდი-
ლობდა, როგორმე უკან მოეხედა —
ამჩნევდნენ თუ არა მის გასაჭირს ჯო-
ჯი, ნათესავები, მეზობლები...

ნახევრად ჩაბნელებულ, საკანი-
ვით პატარა ოთახში რევოლვერი რომ
წაართვეს, საკუთარი უსუსურობის,
თუ იმ მოგონილი, უნიჭოდ შეთით-
ხნილი სპექტაკლისა შერცხვა და სას-
ამართლო დარბაზში შესვლაც არ ის-
ურვა. არც უთხოვიათ. პირიქით
მკვლელობის მცდელობისა გამო იმ-
დენად აღშფოთებული იყო დაცვის
უფროსი, თუ ის ორი ვიღაცა, მკლა-
ვები რომ გადაუგრიხა, ძლივს გადა-
ურჩა დაპატიმრებას. ისევ ჯოჯი და
გუჯას სხვა მეგობრები შემოვიდნენ
და გამოაშვებინეს.

სამ დღეს გაგრძელდა სასამართლო.

დედამ შინ, სახლის ჭიშკართან, ერ-
თი წივილ-კივილით ამცნო: შენი ვაჟ-
კაცი ძმის მკვლელი ცოცხალია. ალიაო
(ის ხან „ვაჟკაცს“, ხან — რა-
ინდს“, ხანაც — „რჩეულს“ გაჰ-
კიოდა შვილისა თუ ქვეყნის გასაგო-
ნად)!

თორმეტი წელიწადი მიუსაჯეს ბონძის.

ალიამ თავიდან იცოდა, არ დახვ-
რეტდნენ. ეს დედამისს ეგონა, მისი
შვილის მკვლელს არ დატოვებდა მთა-
ვრობა ცოცხალს.

მარტო დარჩა ალია.

კიდევ ერთი ძმა მაინც ჰყოლოდა,
თუნდაც სულ პატარა, ფეხაუდგამიც
ყოფილიყო, ლოგინს მიჯაჭვული ხეი-
ბარი. იმიტომ კი არ ნატრობდა, დარ-
დის გამზიარებელი ჰყოლოდა ვინმე
და ამით მარტოობა შეემსუბუქებინა.
ის ამბავი, შური რომ უნდა ეძია და
ამისი შეგნება მძიმე ტვირთად აწვა
მხრებზე, როგორმე მისთვისაც გაენა-
წილებინა. ხომ იქნებოდა გუჯა იმისი
სისხლი და ხორცი! ძმა — ხეიბარია
თუ გლახაკი — ძმაა, ტვირთს თუ
მთლიანად არ გაგინახევრებს, დრო-
დადრო მაინც შეგეხიდება.

მამა მაინც ჰყოლოდა ცოცხალი...
კაცი კაცს სხვანაირად გაუგებდა, ერ-
თადაც იღონებდნენ რაღაცას...

როგორც ბაბუა უყვებოდა, მამაც

„სულელურად“ ჰყავდა დაკარგული. ასეც დასძენდა ხოლმე თადა ბერიშვილი — თავი სულელურად დაიღუპაო, და ალბათ, ასეც იყო.

ოცდაათიან წლებში ძნელად თუ ძალად მკვიდრდებოდა კოლექტივი. ეს, რა თქმა უნდა, არახალია და, მაინც მეტ-ნაკლებ წინააღმდეგობას ყველგან აწყდებოდნენ ახალი ცხოვრების მესვეურნი, მით უმეტეს, ისეთ მიუვალ და მივარდნილ სოფელში, როგორიც ბერიშვილებისა იყო. ერთი სიტყვით, გლეხობას თავისი უჭირდა, მთავრობას — თავისი. ერთს იდეები აწუხებდა, მეორე — თავის კარ-მიდამოს იყო გადაფოფრილი. მოკლედ ორივეს გან-გან ეჭირა თვალი და მაინც ერთმანეთს ვერსაღ გაქცეოდნენ. მთავრობა, ცხადია, როგორც უსიტყვო მორჩილებას, ისე — თუ რაიმე მოეძევებოდა გლეხკაცს ხელწამოსაკრავი და ჭიშკარს გაღმა გასატანი — ჩვეულებრივ მოითხოვდა და მიჰქონდა კიდეც, საერთო ბეღელია ჩვენში მთავარიო, ირწმუნებოდა.

იმ წლებში, ისევე როგორც ყველგან, მათ სოფელშიც კრება კრებაზე იმართებოდა და სოფლის საბჭოს ახალი, ფართოაივნიანი შენობის საგანგებო დარბაზში, ვალდებული იყო თითოეული ოჯახის წევრი, სკოლის მოსწავლე კომკავშირელი, მოწინავე პიონერიც კი, უკლებლივ შეყრილიყო და დასწრებოდა. საღამოისას, კვირაში ორჯერ მაინც, როცა საკოლმეურნეო მინდვრებიდან დაღლილ-დაქანცული გლეხობა შინ ბრუნდებოდა, სოფლის მტვრიან, ოღროჩოღრო შარაზე მოხტუნავე „M-1“ გამოჩნდებოდა, დანიშნული კრების დასასწრებად რევკომის წარმომადგენელი რომ ამოჰყავდა.

შემოდგომის მიწურული იდგა.

დღისით საკოლმეურნეო მინდვრებში ფუსფუსებდა გლეხკაცი, საღამოს — საკუთარ კარ-მიდამოში.

ერთ-ერთ კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დასვა საკითხი. თითოეულმა კომლმა ამდენი სიმინდი, ლობიო, რძე, ყველი, კვერცხი უნდა ჩაგვაბაროს საკუთარი ოჯახიდანო...

მანუჩა ბერიშვილი ნასვამი მოსულიყო და, ალბათ, ამან თუ უბიძგა, რომ იკითხა — კვამლში გამოყვანილ, გამხმარ ყველს თუ მიიღებს მთავრობაო? რა თქმა უნდა, შეიძლებაო, რევკომის წარმომადგენელმა გასცა დადებითი პასუხი. კაი შეღავათიაბატონოო, თავაზიანი ღიმილით დაჯდა მანუჩა. კრების დასასრულს უფრო დააკონკრეტა სამოქმედო და კომლზე გაპიროვნებული გადასახადი თავმჯდომარემ; გვარების ამოკითხვაზე მიდგა, ვის და რომელ ოჯახს რამდენი გაეღო... ისევ წამოდგა მანუჩა ბერიშვილი და: ჩვენ არ გავყოფილვართ... ჩვენ ერთი ოჯახი ვართო, თქვა და მამამისს გადახედა. თადა, როგორც ყოველთვის, ახლაც თვლემდა, დარბაზის ერთსულოვანი აპლოდისმენტის დროსღა დაჭყეტდა თვალებს და თვითონაც შემოჰკრავდა ტაშს უკმაყოფილოდ კმაყოფილი... მაგრამ შვილის ხმა ჩაესმა ძილში თუ ტანმა უგრძნო რაღაცა — რა ბზიკმა უკბინა ამ ოხერსო, — მანუჩას განცვიფრებული მიაჩერდა.

კაცმა რომ თქვას, მართალი იყო მანუჩა ბერიშვილი. კი, ცოლი უკვე ეთხოვა, მეორე შვილიც ახლახან შესძენოდა და მამამისის გვერდით პატარა ფიცრული ჩაედგა, აქაოდა, ორი ოჯახი ვართ, მიწა არ ჩამოგვაჭრან. არ გაგვინახევრონ ყველივით, ვაჟიშვილები მეზრდებაო. ამის შიშით შემოეღობა კიდეც, მაგრამ მაინც ერთად იყვნენ მამა და შვილი, ან სად უნდა გაეშვა თადას, როცა ერთადერთი ძე ეგ ჰყავდა. ათასში ერთხელ, ცოლისძმები რომ მოაკითხავდნენ მანუჩას, მაშინ თუ დაანთებდა ცეცხლს ახალ და პაწია სამზადში, სტუმრებს ღამეს იქ გადაათევინებდა.

ზაურ კალანდია
ზვარაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარების ამოკითხვას თავი ანება თავმჯდომარემ და მკაცრად უთხრა: „მიწა ხომ მოგიზომეთ?! ბოლი ხომ ამოდის იქიდან, ბოლი, მანუჩა ბერსქუაო?!

„ბოლი...“ — გაეღიმა მანუჩას უცნაურად: „ბოლი ქათმის სკინტლსაც კი ასდის, პატივცემულოო...“ — უფრო ალალად გაეცინა ამჯერად და თვალებში მოჩერებულ მეზობლებს გადახედა.

თითქოს ანგელოზმა ჩამოიარაო, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა დარბაზში.

„რას?.. რას ასდის ბოლი, წამოდექი და კიდევ ერთხელ გაიმეორე, თუ ბიჭი ხარო?!“ — წამოხტა და იჭექა რევკომელმა.

მეორედ ვეღარ გაბედა მანუჩამ. უცებ მოვიდა გონს, გამოფხიზლდა, კრების შემდეგაც წელი დიდხანს ვეღარ აითრია.

„აი, ასეთი ხალხი უთხრის სოციალიზმს ძირს!“ — უკვე თავმჯდომარემ დაასწრო სტუმარს და საჩვენებელი თითი მანუჩას მიუშვირა...

ცუდად ენიშნა თადა ბერიშვილს, ერთადერთი შვილის უადგილო ხუმრობა, არ მიპატიებენო და იმავ საღამოს, უკვე ოთხმოცდაათს მიტანებული თაყა გეგია მიუგზავნა თავმჯდომარეს, სთხოვა მოხუცს: შენ კარგად იცი, ჩემი ორი ძმა რევოლუციამ შეიწირა, მე და ჩემი შვილიც პირველები შევედით კოლექტივში... შენი ნათლიაა მიხა უფროსი და ნუ დამისჯის, ჩემი გამოუცდელი და ბრიყვი შვილი მაჩუქოსო, ბრმა კაცს შეეხვეწა.

არ დაზარდა თაყა ბატონი ნათლულთან მისვლას. ჭრაქი გამოატანინა უმცროს შვილიშვილს, ერთ ხელში თავისი განუყრელი ჯოხი, მეორეში — ანთებული ჭრაქი დაიჭირა და, მარტოკა უნდა ვეახლოო, თქვა, ოჯახის გასაგონად, ოდის სამსაფეხურიან კიბეს ჩასცდა ფრთხილად, ღამით გადავიდა თავმჯდომარესთან თვალდაშრეტილი ბერიკაცი.

შუა გზაზე შემოეყარა მოხუცს მიხა თავმჯდომარის უფროსი ვაჟი, კომუჯრედის წევრი ბოჩია. ბოჩიამ გაოცება ვერ დამალა: ბრმა კაცს ჭრაქი რაში გჭირდებაო, პირდაფჩენილი და დინჯშემოყრილი მიაჩერდა.

„თქვენ რომ არ დამეჯახოთ, შვილებო!..“ — მიუგო თაყამ დინჯად და არც შეყოვნებულა, გზა თავდაჯერებულად განაგრძო.

გაცუდდა თაყა გეგია. ვერ შეასმინა ნათლულს ვერაფერი.

არ ეკუთვნის მანუჩას ამ სოფლის წყალი, ამხანაგო თაყა! შენც, როგორც გატყობ, იღლიიდან სუნთქავ, მგონიაო, მრავალმნიშვნოვლად უთხრა ბერიკაცს და სიტყვაც არ დაამთავრებინა, ისე გამოისტუმრა უკან.

...ჩვიდმეტი წლისა იყო ალია, ბაბუა ამ ამბავს ასე დაწვრილებით რომ მოუყვა.

ბაბუას ამსგავსებდნენ ალიას ნათესავ-მეზობლები. ისიც გრძნობდა, სხვაზე მეტი საერთო მასთან რომ ჰქონდა: წყლიანი, ნაღველჩამდგარი თვალებით თუ უთქმელობით, რბილი, დამთმობი ხასიათით თუ ჩაბრუნებული, გულჩახვეული ბუნებით, დუმილით — ორ სიტყვას ერთად რომ ვერ დააცდენინებდი. პატარაობისას, ვინმე ხმამაღლა რომ აღნიშნავდა ბაბუაშვილიშვილის ასეთ მსგავსებას, ალია მოხუცს მიაპყრობდა მზერას ხელად, ის კი რატომღაც დუმილს არჩევდა, ანდა, იშვიათად — თუ მე დამემსგავსა, ცოდვაო, ჩაილაპარაკებდა გვიან, სინანულით, თან თვალებში გაფაციცებით მოჩერებულ ბავშვს სახეს მოარიდებდა. უკვირდა ალიას, რატომ იქნებოდა ცოდვა და, საერთოდ, რატომ არ უხაროდა მოხუცს, საკუთარ შვილიშვილს რომ ამსგავსებდნენ.

დიდი ხნის მერე, როცა ბაბუა ცოცხალი აღარ იყო, მაშინღა მიხვდა ალია, ამით რისი თქმაც სურდა ბერიკაცს. უკანასკნელ ხანს ხშირად დაიჩივლებდა ხოლმე, დღეს ისეთი ცხოვრებაა, მგელი უნდა იყო, მგელიო! მართალი,

პატიოსანი კაცი ლაჩარი ჰგონიათო... ამას რომ ამბობდა, ჩანდა, უფროს შვილიშვილს უფრო თანაუგრძნობდა იგი. ამ დღის კაცს ეძახდა გუჯას, ალიას კი... ერთხელ, გუჯას მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე, თავის ოთახში შეიხმო ალია და უთხრა: როცა ასე და ამდენ ხანს ცხოვრობ, რომ არც მკვდარს არგიხარ და არც ცოცხალს, დიდი დანაშაულია, ბაბუ, ფუძეს, შეიძლება, ავი ანგელოზებიც დაეპატრონონო! მაგრამ, რომ არ ვკვდები? მაინც რატომ არ ვკვდები, ა?! — ალიას მიაჩერდა დაბნეული და განაწყენებული.

უკანასკნელ ხანს მოხუცს ერთი უცნაური ავადმყოფობა შეეყარა. ფეხის თითები დაუჩირქდა, მალე ქუსლსა და ტერფზე გადაუვიდა, კანიც გასძვრა, დაუსკდა და ერთიანად დაეჟუჟღლა... თავიდან არ მიუქცევია ყურადღება, გამივლისო, ფიქრობდა, მაგრამ სიარული რომ გაუჭირდა, ხან ექიმს მიმართა, ხან — პაჭკორიების წამალს... ვერაფერმა უშველა. პირიქით, უფრო გაუუარესდა. ტერფებდაჩირქებულ მოხუც კაცს დღითიდღე აყროლებდა წუთხი და ბალღამი... მზიან ამინდში, ორიოდ საათით თუ გამოვიდოდა გარეთ, ეზოში, მზეს რომ მიფიცხებოდა და ბებერი ძვლებიც გაეთბო, დანარჩენი დრო ოთახში იკეტებოდა და დღეში სამჯერ თბილი წყლით იბანდა ფეხებს, იშრობდა, გადაიხვევდა ხელახლა და სუფთა მარლით, მაგრამ ოთხ-ხუთ საათში ისევ სველი და აშმორებული ჰქონდა და, რატომ არ მოვკვდებიო, ნატრობდა. მართლაც, ისეთი შემაზრზენი სუნი დგებოდა ხოლმე ოთახში, სასწრაფოდ თუ არ გაანიავებდი, სულდგმულს ცხვირს ვერ შემოაყოფინებდა.

ასე რომ ვლპები, რა ცოდვა მაქვს ასეთიო, ფიქრობდა მოხუცი, ზოგჯერ ხმამაღლა, ალიას გასაგონადაც წამოიძახებდა, მაგრამ ალიამ რა იცოდა, ან — თვითონ, ვისი ან რის გამო ისჯებოდა იგი...

მართალია, უკვე თვითონაც ეეჭვიანებოდა, ალავდა, ასე უღიმღამოდ გავლილი, შიშში ნაცხოვრები წლების გამო გულისტკივილს. ადრე რომ ჩუმად იყო, დღეს ხშირად წამოსცდებოდა ხმამაღალი სამდურავი წარსულზე, აწმყოზე, მომავალზეც... არ ერიდებოდა არაფერს. იქნებ იმიტომ რომ, გრძნობდა, დღეები ჰქონდა დათვლილი, ანდა, ერთადერთი შვილის უცნაურ ბედზე რომ უყვებოდა უმცროს შვილიშვილს, ისიც ჩვიდმეტი წლის მერე, მაშინაც ეშინოდა საწყალს, თვალებს უნდობლად აცეცებდა აქეთ-იქით, თითქოს ქვას არ ამოედგა ენა, კედელს ყურები არ გამოესხა... ასე იყო, თუ ისე, იმ ტრაგიკულ დროს მის გულზე მძიმედ გადავლო და, ალბათ, თვალწინ წარამარაც ედგა. ცუდი დროება იდგა, მეგობარი მეგობარს, მეზობელი — მეზობელს აღარ ინდობდა, რაც დიდხანს, ძალიან დიდხანს წარმოუდგენლად მიაჩნდა და ეშინოდა თადა ბერიშვილს.

ამიტომაც არ გაიხედავდა ის წლები გარეთ, სახლშიც ისე იყო, თავისთვის; რა ჯამსაც დაუდგამდა წინ რძალი, მასში იხედებოდა დინჯად, თავაუღებლივ, არც წყენას გამოსთქვამდა და არც რაიმე სიხარულს.

კი, ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ბაბუასა და შვილიშვილს, მაგრამ მხდალი მაინც არ იყო ალია. ერთი ზედმეტად უბრალო, თავაზიანი, თბილი, კეთილი, რაღაცნაირად უმწეო ბიჭი უფრო ეთქმოდა, ვინემ მშიშარა, თვითონაც ხშირად რომ უფიქრდებოდა ყოველივე ამას და სულ სხვა გამართლებას და სახელს უძებნიდა ხოლმე.

ზუსტად ისა ვარ, რაც უნდა ვიყოო, დაასკვნიდა საბოლოოდ, ზოგჯერ კი — რა ვქნა, უიღბლო დავბადებულვარო, დაიჩივლებდა ისე გულსაკლავად, მართლა ასე იყო თუ, სიმშვიდე რომ მოეპოვებინა, მიტომ ჩქმალავდა თავის უმწეო ხასიათსა და მერყეობას, ველარ გაიგებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა რომ თქვას, ასეც რომ ყოფილიყო, ეს მაინც არ არის ის, რამაც სულის სიმშვიდე უნდა მოგაპოვებინოს. ესეც რომ არა: სხვა ყოველთვის შეგიძლია მოატყუო, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცევი, ის მოჩვენებითი მხნეობა და სიმშვიდე კი, სხვის მოსადორებლად დაჭერილი თადარიგია და მეტი არაფერი. იცოდა, განა არ იცოდა, რაღაცა რომ აკლდა მის ხასიათსა და ბუნებას, ხოლო ის „რაღაცა“ გუჯასთვის მიეცა უხვად ღმერთს. ამიტომაც ბევრჯერ მონატრებია გუჯას სითამამე, მისი ქვამუშტი, სიმშვიდეც. გვიან, ძილს რომ უნდა გაეტყუებინა, ხშირად ადუღებია სული იმისა გამო, ვთქვათ, რატომ იტანდა მისი ტოლი თუ მსგავსი ადამიანისგან წყენას, თუნდაც სულ უმნიშვნელოს, როცა იცოდა, არ დაუმსახურებია, ის კიდევ, ნერწყვივით უბრალოდ ჩაიცდენდა ხოლმე ყელში ყოველგვარ უსიამოვნებას და, თითქოს არაფერი, თვალსაც არ დააფახულებდა... თუკი ამდენად დამთმობი და მიმტევებელი იყო ადამიანებისადმი, მაშინ რატომ ახსენდებოდა ყოველივე ეს, როცა საკუთარ თავთან განმარტოვდებოდა?

„დილიდანო“... ჩაიდუდღუნებდა, ჩაიყოლებდა ამ სიტყვას ძილში იმედად, ქადილივით, მაგრამ კვლავ წინა და უთვალავი დღის მსგავსი დილა უთენდებოდა, არ იცვლებოდა ამით არაფერი.

მერე ის იყო... გუჯას ტრაგედია დატრიალდა.

ის თორმეტი წელიწადიც რომ გავიდა...

თორმეტი წელიწადი; ფიქრსა და მერყეობაში, საკუთარ თავთან დღემუდამ ჭიდილში, ლოთობასა და ტანჯვა-წამებაში გატარებული...

იქნებ მთელი სიცოცხლეც, მისი ოცდათორმეტივე წელიწადი ეგღა იყო და მეტი არაფერი! სხვა სახელს თითქოს ვერ მოუძებნიდა კაცი.

მართალაც, რომ გეკითხა, შენი ერთი ბედნიერი დღე დამისახელეო, დღეს კი არა, ნახევარ საათს ვერ შეგიკოწიწებდა ხეირიანად. უბრალო, ყოველდღიურ კითხვაზე: როგორა ხარ, ალიაო, რომ შემოუძახებდა რომელიმე ნაცნობი, არასოდეს არ ჰქონდა პასუხი მზად. არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა თითქოს, როდის იყო „კარგად“, როდის — „ცუდად“ (არადა შემკითხველიც ისე ინტერესით ჰყავდა ხოლმე სახეში მოჩერებული, ოღონდაც ალიას ეთქვა რაიმე მიჭირსო, საკმარისი იყო მის კეთილდღეობაზე მას ეზრუნა). ის „ბედნიერი დღე“, „განცხრომის წუთი“ თუ „კარგი ცხოვრება“, როგორც ხშირად ესმოდა მავანი და მავანისგან, მისთვის არ არსებობდა, ასე იყო თუ ისე, რა თამამად და გატაცებით საუბრობდნენ ამ საკითხზე ალიას გასაგონად ნაცნობ-მეგობრები! ისე ცოცხლად და მრავალფეროვნად უხატავდნენ სურათს, თითქოს აგერ, მის გვერდით თუ გასწვრივ მიედინებოდა ამქვეყნიური სიტკბო-განცხრომის ის უხვი მდინარე, თვითონ კი ვერაფერს ამჩნევდა, თვალები ჰქონდა ახვეული, ანდა — ნაპირზე გარჩენილი, ლეკსგამოდებული ნაფოტივით ერთ და იმავე ადგილზე ბზრიალებდა... იქნებ ჭორიც იყო მათი ნაამბობი? რაღაცას თხზავდა, იტყუებოდა ეს ხალხი? იქნებ ეს უფრო იყო ცხოვრება, რასაც მის ირგვლივ ხედავდა, აღიქვამდა, ღმერთს მისთვის რომ მიეცა, თვითონ კი ველარ გრძნობდა, რომ ცხოვრობდა და თვალებაუხელელი, ბრმა ლეკვივით ტყუილუბრალოდ წკმუტუნებდა? ვინ იცის?! საერთოდ, ვერ გაერკვია, რა იყო ბედნიერება, სითბო, სიყვარული, რომელ ერთს სად ჰქონდა დასაწყისი ან დასასრული... ის კი არა, უკვე ზრდადასრულებულს, ოჯახის მარჩენალ კაცს ჯერაც ბოლომდე ველარ დაეძლია ბავშვური სიმორცხვე თუ ის უცნაური გრძნობა, საკუთარ სახლშიც უცხო და ლუკმადაყვედრებული, ობოლი ნათესავივით რომ იქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცეოდა. პატარაობისას, სკოლაში რომ სწავლობდა, სახლში, სასადილო მაგიდასთან მართლაც უადგილო ადგილას, ყოველთვის ზედმეტივით იდგა მისი სკამი. ფანჯრიდან შემოსული მზის სხივი რომ არ აღწევდა, ბუხრიდან — ცეცხლის სითბო... ვინ რას ერჩოდა, და მაინც, როცა სუფრას უჯდა ყველა, მამინაცვლისგან დატუქსული მოზარდივით — თვალში კვლავ უშნოდ არ შევეჩხიროო — ხან მარჯვნივ გააჩოჩებდა სკამს მორიდებით, ხანაც — მარცხნივ... ეს სიმორცხვე და გაუბედაობა თავიდან დაჰყოლოდა და ნაწილობრივ დღესაც არ სტოვებდა, უფრო სწორად, ძმის სისხლიანი პერანგის ჩაცმამდე... დღეს კი... დღეს ის ალია აღარ ვარო! — თავს ძალად ირწმუნებდა ამაში თუ მართლაც ასე იყო, იოლად ვეღარ გაარკვევდი.

ქალაქს რომ მოუახლოვდა, ბნელოდა.

შედგა და ოთხსართულიანი სახლის ერთ იისფრად განათებულ ფანჯარას მიაჩერდა.

ღამით, ამ სახლს რომ მოუახლოკდებოდა, მთვრალი იყო თუ ფხიზელი, ფეხით ან მანქანით, ყოველთვის ახედავდა ხოლმე მესამე სართულის განაპირა ფანჯარას და, თუ შუქი ენთო, დაამუხრუჭებდა, შეანელებდა წამით სვლას, ან ნაბიჯი გაუშშდებოდა სახლისკენ კისერმიღრეცილს... რაღაც უცნაურსა და დღესაც გაურკვეველ, ერთობ იდუმალ შემთხვევასთან იყო მისი ეს წამიერი გარინდება და ფეხათრევა დაკავშირებული...

ამ ორიოდე წლის წინ, ღამის პირველ საათზე, ოდნავ ნასვამი, ჩაფიქრებული, დაღლილი მიუყვებოდა ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას.

ლამპიონებით განათებულ, გვირაბივით გრილ და ცარიელ სიჩუმეში მიაბიჯებდა იგი ოლგას ბინისაკენ თავდაღერილი და თავისუფალი ტაქსის გამოჩენას ნატრობდა.

თეატრის ჩაბნელებული შენობიდან ახალგაზრდა მაღალი ქალი გამოვიდა და ქუჩა სირბილით გადმოჭრა...

დაინახა თუ არა ალიამ, თითქოს ღამის ვეება სიცარიელეში ვერ გაეტეოდა იგი, სწრაფად უკუმიდგა და ვიღაცის ღობეს აეკრა მკლავებჩაწყურული.

ქალმა თავდახრილმა ჩაურბინა, მერე ხუთიოდე ნაბიჯის იქით შედგა მოულოდნელად, მოუტრიალდა დოინჯშემოყრილი, თავი განზე, ლამაზად გადაიგდო და კითხვადქცეული, ანცი ბავშვივით წამოიძახა: შენ ხომ ალია ხარ?!

ალია დაიბნა, აქამდე ვერც წარმოედგინა და გაუკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა ქალს მისი სახელი. იდგა მხრებაწყურული და გაქვავებული, ვიღაცის მესერს ატყეპილი, მერე, იფიქრებდით, თვითონაც ხომ არ გასცინაო, მანაც შემოიყარა დოინჯი და პასუხის ნიშნად გაუღიმა.

არა, ალია კი სცნობდა მას. მსგავსი ქალბატონების არცნობა არც ერთ ადგილობრივ მკვიდრს არ ეპატიება ასეთ პატარა ქალაქში. სხვათა შორის ეს ისე, მათდა უნებურადაც ხდება. ეტყობა, თვითონ ესენი ცდილობენ და საკმაო ნიჭიერადაც გამოსდით, მათ ცხოვრებასა და საქციელზე განუწყვეტლივ გალაპარაკონ, გაგიმახვილონ თვალი და სმენა... ისინი ხომ შენი მზერის არეში შეუმჩნევლად იკავებენ განკუთვნილ ადგილს, ყოველთვის მზად არიან ცირკის ჯამბაზებივით ოსტატურად დაგტყუონ თვალი და, გინდა თუ არ გინდა, ხან სიყვარულითა და ღიმილით, ხანაც — სუნთქვაშეგუბებული ირონიით, ზიზღითაც აკვირდები ხოლმე მათ თამამ მოქმედებას თუ შენთვის უცხო და ვერმისაწვდომ ცხოვრების წესსა და რიგს...

ქალბატონ ანოს ყველაფერი — სილამაზე, ჩაცმა, ლაღი, თავისუფალი საქციელი თუ მამიშვილობა და სოციალური წარმოშობაც უწყობდა ხელს, ალიას რომ სცნობოდა. ქალაქში გავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენიანი, წელმაგარი ვაჭრის ერთადერთი ქალიშვილი გახლდათ იგი და უკვე „გამოსული“, კაი ბიჭის მეუღლეც. მართალია, ქმარი ამჯერად ციხეში ჰყავდა, თან კარგი ხნითაც და, თუ ვინმეს უჯდებოდა დღეს მანქანაში, ისევ ქმრის ახლო მეგობრებს.. ერთი შეხედვით, ამაში არაფერია საეჭვო და ქალის გასაკილი, მაგრამ ჩასაფრებულ თვალსა და ყურს რას შეასმენ, მათ ხომ ყველაფერი უკვირთ, ეუცხოებათ და, როგორც ალიას გაეგონა, ქირქილებდნენ კიდეც ჩუმ-ჩუმად რაღაცას. ვთქვათ, დღე — ვის მანქანაში იჯდა ანო, საღამოსთვის; — ვის, ან დღეში სამჯერ რატომ იცვლიდა კაბას და სამკაულებს... არც ის იყო ქალაქისთვის დამალული, ქმარმა იქ, პაემანზე რომ არ მიიღო სამი ათასი კილომეტრს იქით ჩასული მეუღლე და უკან თვალცრემლიანი გამოისტუმრა...

სხვათა შორის, არც ანო იყო მამამისზე ან ქმრის „კაი ყმობაზე“ დამოკიდებული. ის ქალაქის ერთადერთი საიუველირო მაღაზიაში გამყიდველად მუშაობდა და ეჭვი არაა თვითონაც კარგ ფულს შოულობდა.

ასე ახლოს არც ენახა იგი ალიას, მასაც სხვა ჭორსაყოლილებივით, ვინმეს მანქანაში თუ მოეკრა თვალი ანოსთვის, ან სადმე გასვენებაში... არადა, თურმე სახელიც კი სცოდნოდა ქალს მისი და სანამ აზრზე მოვიდოდა, მოიფიქრებდა რაიმეს, თვითონ ანო მოუახლოვდა, ხელი მკლავში ახლობელივით გაუყარა და: ხომ არ გამაცილებდიო, უთხრა მომხიბვლელად, თამამად, სიცილ-სიცილით, თან — უარი არ მითხრასო და — ეჭაჩებოდა ვაჟს მკლავზე მსუბუქად, წინ ეწეოდა.

— შორს არ წაგიყვან. აგერ, ქუჩის გადაკვეთაზე ვცხოვრობ...

უკვე ორივე ხელით ჩამოკონწიალებოდა ანო ალიას, მეტი სითამამითაც ეტმასნებოდა და რაღაც გაუგებარს ეჩურჩულებოდა ერთიორად გაშტერებულ კაცს აღსტკინებული და ვნებამოძალებული ქალი...

ოროთახიანი, ზღაპრულად მორთულ-მოჩუქურთმებული ბინა ჰქონდა ანოს ქალაქის ცენტრში.

საწოლ ოთახში რომ შეიხედა ალიამ, იმაშიც ვერ გაერკვა, სად ან რაზე უნდა ჩამომჯდარიყო და კარში გაიყინა; ძველი, მკვრივი, ოქროსფრად მოზარნიშებული შავი ფერის ავეჯით გაევსოთ ოთახი, რომლებიც დადიანებს (დღეს უკვე სამუზეიმო ექსპონატები) თუ არა, მეცხრამეტე საუკუნის რომელიღაც დიდებულს მაინც განეკუთვნებოდა... ფარდები — იისფერი, დანაოჭებული, თეატრალური — იატაკს ოდნავ რომ დასთრევდა და მსუბუქად ირხეოდა... კედლის ერთ კუთხეში ლომისთავებიანი ფართო ტახტი იდგა: მკვრივი, ამობურცულ-დაბურცული, დაკუნთული ფეხებითა და გაბარჯღული, მრისხანე ჭანგებით იატაკს მყარად დაყრდნობილი, გვერდით — ყანჩასფეხება და სოკოსქუდიანი ტორშერი... პირდაპირ, მთელი კედლის გაყოლებაზე, ერთობ უცნაური ფარდაგი ეკიდა, ანუ — ნეკნებამოსხეპილი, აყაყული, ტორშემართული და აღრენილი ლომი უშველებელი თავით, ბასრ ჭანგებზე სისხლის კოწოლები რომ ეკიდა... მსხვერპლი კი არ ჩანდა...

...როცა ამოპირქვავდა და გულაღმა გაწვა ვნებადამცხრალი, შემთბარი სანთელივით სხეულმოღვენთილი, ერთობ გათამამებული ალია, თავზე გადმოყუდებული ლომის შემოფეთებაზე თვალები კვლავ აუელამდა, აქეთ-იქით გამოაცეცა... თითქოს ახლა პირველად შენიშნა და ამიტომაც თუ შეეშინდაო — ტყის მეფის გალიაში შეგდებული უსუსური ცხოველივით თავი მხრებში ჩარგო და კუთხეში სასაცილოდ მიიწმაწნა, თან, სიზმარში ხომ არა ვარო, გაიფიქრა. არაფერიც! ისევ მას — აღრენილ და ჭანგებსისხლიან, დიდთავა ლომს გამოჰყავდა ბურანიდან, ცხადში აბრუნებდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო ღრმად მიძვრებოდა ჭრელი და გრძელნისკარტა ჩიტებამოქარგულ აბრეშუმის ფუმფულა საბანში...

ანოც ხომ გვერდით ეწვა; მასავით პირაღმა და გატრუნული, დამცხრალი... სიგარეტს უხმოდ, ნეტარებით რომ ეწეოდა, მაგრამ ქალის სიახლოვე არ კმაროდა თუ თავის თავს ვეღარ ერეოდა — გრძელ, სუსტ მკლავებს, მხრებსა და მკერდს იფარავდა, იფიქრებდით, თავისი სიშიშვლისა რცხვენია ან ზედმეტად განაწყენებული და ღრენილი ლომისა თუ ეხათრებაო...

— იცი, რა...

ვერ დაასრულა სათქმელი, უფრო სწორად, თავისი სულელური ნაფიქრისა შერცხვა და საბნის წკვეტი ნიკაპამდე აიწია.

— რა იყო? — გულგრილად იკითხა ანომ.

შიშველ მკერდზე სიგარეტი დაეფერფლა და სწრაფად წამოხტა, მკერდი დაფეთებულმა მოისრისა, დაიფერთხა და ასე, ლოგინზე წამომჯდარი დარჩა.

— არაფერი, — გაეცინა ალიას.

— თქვი! — ბრძანა.

კაცის სიცილმა, ეტყობა, უფრო დააინტერესა ქალი.

უცებ საბანს ორივე ხელით დაექაჩა იგი, წაართვა, ტანზე გადააძრო კაცს და ფეხების სხმარტალით კუთხეში მიკუჭა, მერე, ახლა, პირველად თუ ნახაო — რა გაჩხინკული ხარ? — გაოცებულმა წამოიძახა და მოულოდნელად ზევიდან გადაემხო, სავსე ძუძუები მკერდზე დააჟღლიმა, რაღაც გაურკვევლად აჩურჩულდა, აკოცა... ალიამაც მოხვია მკლავები, მაგრად მოუჭირა, გაწურა... ქალი უმალ გაინაბა... მხოლოდ მის თბილ, ბუსუსებამშლელ სუნთქვას გრძნობდა ყურის ძირას ალია და, ისევ დენმა დაჭკრაო, კვლავ სასიამოვნო ძიგძიგით ჩაეღვარა სითბო სხეულში, თხემიდან ტერფამდე დაუარა და უფრო მტკიცედ შემოაჭდო ტანზე მკლავები, ყელი, ყვრიმალები, მხრები ხარბად დაუკოცნა... ქალი მთლად დადნა... ამოდ, ფუფუცლად კრუსუნებდა და კაცმაც წამოიწია, გადაიგორა მკერდიდან ფრთხილად, წამოაწვინა... კვლავ რომ ჩაკარგულიყო, ისევ გაეტაცა შორს და გონწამრთმევ უსასრულობას და ამ უსასრულობაშიც კიდევ ერთხელ გამლღვალიყო...

უცებ ზურგზე საშინლად დაბურძგლა კაცს, ხერხემალზეც შეაშრა ოფლი, ბეჭები საშინლად აეწვა, თითქოს ლომმა ჩამოუსვა ტორი, ხორცი ნაკუწ-ნაკუწ ჩამოუფლითაო და შეშფოთებულმა უკან მოიხედა. მართლაც, ეს-ეს არის, ლომი ერთს დაიღრიალებს და ბეჭებზე დააცხრება კიდეცო — ათმაგად განრისხებული და აყაყული ეჩვენა ახლა იგი, ჭანგებზეც, სისხლის კოწოლები უარესად წაზრდოდა... მერე ისევ მოხედა ლომს და, იგრძნო, რა უცებ გაუნელდა ცეცხლი, მკლავები მოუდუნდა, მოეღვენთა და მოულოდნელად ამოტრიალდა, კვლავ პირაღმა გაწვა...

ანოს თავი ბალიშიდან ჩაცურებოდა და თვალები მიელულა...

— რა იყო? — გვიან, ჩურჩულით იკითხა მან.

— რა და...

ისევ ყელში გაუწყდა სათქმელი, მერე ფარდაგს მზერა აარიდა და ნაძალადევად ჩაახველა.

—ხომ არ გიჭირს, ალია? — ქალს ხმაში დამცინავი კილო აშკარად შეჰპარვოდა.

— რა თქვი? — უცებ გაბრაზდა იგი, მერე თვითონაც სცადა ხუმრობა თუ რაიმე გამოსავალი იპოვა, დაფაცურდა. — აი, ის... რა ჰქვია?.. — მაინც უხერხულად შეიშმუშნა და ჩაახველა. — მაცალე, შუქს ჩავაქრობ და... — სწრაფად წამოჯდა.

— რატომ? — გაიკვირვა ანომ და თვალები აახილა.

— რატომ და... — კვლავ ფარდაგს შეხედა. — ისე გვყავს თავზემოთ გადმოყუდებული, რომ... რა გინდა, აღარ მსიამოვნებს. — თქვა ერთობ უხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეშად, თუმცა, თავისი სიშიშვლისა შერცხვა თუ ნათქვამისა, ფეხებისკენ მოიფათურა ხელი და საბანს მისწვდა.

— ხა, ხა, ხა,... — ისე გულიანად გადაიხარხარა ანომ, — ტახტიც კი აჰყვა — ზამბარების მძიმე, ჟანგიანი ჭრაჭუნი შემაძრწუნებლად ჩაესმა კაცს. — სულელი! — უცებ მოისხიპა სიცილი. — ახლა მე მკითხე! — წამოიწია, მერე მკერდზე იდაყვებით დაებჯინა და სხაპასხუპით ალაპარაკდა. — იცი, მე როგორ მსიამოვნებს? ასე მგონია, ის... ის გადმოდის მაშინ, მის მძინვარების ქვეშ ვარ მოქცეული, თან კუთხიდან კუთხეში დამათრევს და სასტიკად, მაგრამ უსაშველო ამოდ და საყვარლად მჯიჯგნის...

პირი სასაცილოდ დაფჩენოდა ალიას... მერე ყელშიაც მოაწვა რაღაც, გულისრევასავით და სუნთქვა შეიგუბა, კბილი კბილს ტკივილამდე დააჭირა, ისეთი რამე არ წამოსცდენოდა მოულოდნელად, რაც არამარტო ანოს, საერთოდ ქალს რომ შეურაცხყოფდა... არადა, ვერ იკავებდა შინაგან ბიძგს იმ უცნაური და გულისამრევი გრძნობისა გამო, რამაც ასე უცებ და საშინლად შეაძულა მკერდსგადმომხობილი ქალი, აქაურობაც... და მაინც, თითქოს ბოლომდე ვერ გაეგო მისი ნათქვამი, ნააზრევს სრულად ვეღარ ჩასწვდენოდა, თვალებს ეჭვიანი და გაბრაზებული, შეცბუნებული და დამორცხვებული აცეცებდა.

— რა მოგივიდა?

ტუჩები სასაცილოდ გამობუსხა განაწყენებულმა ქალმა და ხელისგულები მკერდზე აუტყაპუნა, თან ცხვირი გაუხახუნა კაცის ცხვირს... თმა სახეზე ჩამოშლოდა... ისიც კი შენიშნა ალიამ, რა უცებ შეეცვალა ქალს თვალების ფერი, რაღაცნაირი, გაყინული თევზის ქერცლივით ცივი და უმეტყველი გაუხდა... რომელიღაც მტაცებელ ფრინველს ჰგავდა ახლა ის, რომელიღაცას კი არა — მხრებში კისერჩამძვრალ, განაწყენებულ ხარბ სვავს...

ქალი ცალ ფერდზე გაწვა, მერე ხელისგულით დაეყრდნო ლოგინს, აიწია, ფეხები ერთმანეთს მჭიდროდ მიატყეპა, გაშხვართა, თავისუფალი ხელი ქვევით, თეძომდე ჩაისხიპა, მზერა ჩაიყოლა თან და: შემომხედე... ნუთუ არ მოგწონვარ? — იკითხა ინტერესით, სიამაყითაც. ამჯერად თვალთმაქცცხოველს უფრო ჰგავდა იგი, გამოცდილ, პირზე ნერწყვმომდგარ ბებერ მელიას, რომელმაც უკვე იაზრა, რა ხერხითაც უნდა ჩამოიტყუოს ასჯერ ვერმიწვდენილი და სიზმრადქცეული, ახალშებუმბლული ჩიტის ბარტყი ბუდიდან...

სუნთქვაშეგუბებულ ალიას სახე წამოენთო და ჰაერი მძიმედ, ხიხინ-ხიხინით ამოუშვა. ხმა მაინც არ ამოუღია, უბრალოდ თვალი მოარიდა ქალს და მზერა ჭერს გაუშტერა.

ანო აიმრიზა და ისევ გულაღმა გაწვა განაწყენებული, ხელი გააცოცა ტორშერისკენ, სადაც მუჭისტოლა ნიჟარა და სიგარეტები ედო, საფერფლე აიღო, ძუძუებშუა მოხერხებულად ჩაიდგა, შეიკავა — არ გადამიყირავდესო და ახლა სიგარეტის ღერსა და ასანთს მისწვდა.

— მომიკიდე, — ასანთი უხეშად გამოუწოდა.

ალია ბრძანებას სწრაფად დამორჩილდა; გამოართვა, მერე ოდნავ წამოიწია და ასანთი უხერხულად გააჩხაკუნა, მოუკიდა.

— ის თუ იცი, აქ რატომ მოხვდი? — ნესტოებიდან კვამლი სქლად გამოაბოლა. ჩანდა, კაცზე აშკარად გაბრაზებული იყო.

— არა, — გულწრფელად თქვა ალიამ.

— ვერც ვერასოდეს გაიგებ! — ამოიძახა ზიზღით, შხამნარევად და მარჯვენა მკლავი თავქვეშ ამოიდო, დადუმდა. ეტყობა, წარსულში გადავარდა ქალი, ფიქრს მიეცა...

მართლაც, საიდან უნდა სცოდნოდა ალიას, რატომ ან რისთვის მოხვდა აქ!

თუმცა... ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი! ბოლოს და ბოლოს, ანო ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულებრივი გამყიდველი ქალი იყო (მართალია, შეძლებული მამის შვილი და ქალაქელი, გამოსული ბიჭის მეუღლე, თვითონაც არანაკლებ რომ შოულობდა ფულს და, გინდოდა თუ არ გინდოდა, ყოვლისშემძლედ ჩანდა ამ პატარა და ერთობ უცნაურ, გასაიდუმლოებულივით ზღვისპირა ქალაქში), მაგრამ მაინც ერთი ჩვეულებრივი გამყიდველი... ესეც რომ არა, ქმარი კარგა ხანია ციხეში ჰყავდა და, თუკი მამაკაცს მოინატრებდა, არც ეგ უნდა გაჰკვირვებოდა ვინმეს, მით უმეტეს, როგორც ალიამ დაინახა, უფრო სწორად, სულ მოკლე ხანში დარწმუნდა იმაში, არც ისეთი ლამაზი, მიმზიდველი, მიუწვდომელი ანგელოზი ყოფილა იგი, შორიდან რომ ეჩვენებოდა... ეტყობა, ალიას ანუ — მისდაგვართ, ქალის სითამამე, გამომწვევი ქცევა და ჩაცმულობა, ოქრო-ბრილიანტების ბრწყინვა ყურებზე, ყელსა და თითებზე უხვევს ბევრს თვალს, მათი ფიქრისა და ნატვრის საგანს ეგა ხდის, თორემ... ანდა, შეიძლება სულაც (იქნებ, მართლაც)! ფული სწყვეტდეს ყველაფერს, რა თქმა უნდა, იმ ხალხში, ვისაც ეგ აკლდა და აკლია დღესაც, მდიდრული ცხოვრება ოცნებად გახდომია... კაცმა რომ თქვას, გამდიდრების სურვილი არც ისე საშიში ჩანს, უფრო მეტიც, გაიფიქრებ, თითოეული ჩვენთაგანი უკლებლივ აქეთკენ მიისწრაფვისო, ანუ — კეთილდღეობას ჩვეულებრივ მიელტვის ადამიანი, ოღონდ ეგაა, სხვადასხვა გზები აურჩევია ამისთვის უბრალო მოკვდავს, უწმინდურს თუ წმინდანს... გამოდის, სულაც არ არის თურმე ფული ხელის ჭუჭყი, გააჩნია, როგორ ან რა სინდის-ნამუსით გაქვს იგი მოპოვებული და დაგროვილი... კი, თითო-ოროლა ყველგანაა, თვით ამ პატარა ქალაქშიც, ანოსთანები რომ ეზიზღებათ და არც ქედს იხრიან მათი უძლეველობის თუ ოქროს ზოდების წინაშე, მაგრამ იგივე კარგი, უზრუნველი ცხოვრების მიმართ, ამას ასე თამამად ვერ გავიმეორებთ. ამ შემთხვევაში, ისინი ბედისწერისგან ვითომც უმიზეზოდ ჩაწიხლულებს, ხან — გაღიზიანებულებს და დაბოღმილებს უფრო მოგაგონებენ, ვიდრე თავისი ნებითა და სუფთა სინდისით მცხოვრებთ... კაცმა რომ თქვას, ისედაც რა მოსატანია ეს ხალხი, როცა ანოს და ანოსთანებს, საერთოდ, არ ახსოვთ მათი არსებობა, თვითონ კი, გეგონებათ, სხვა საქმე არცა აქვთო, ანდა — მათზე ჭორაობითა და გაფაციცებული თვალმიდევნებით თავიანთ დუხჭირ, უღიმღამო ცხოვრებას გამართლებას უძებნიან და სუნთქვას მით იიოლებენო... მით უმეტეს, ადრეც ვთქვით, ამ ქალაქს სხვა ქალაქებთან შედარებით სიკეთეც თავისებური და განსხვავებული ჰქონდა და სილამაზეც. ქალაქს, სულ ერთია, ზღვით მოადგებოდი, მატარებლით, მანქანით თუ ფეხით შემოხვიდოდი — ამწვანებული მთაგორები, რიკულებიანი, მოჩუქურთმებული სახლები, კოინდრით გადამწვანებული, გაკრიალებული ეზოები, დახუნძლული ბაღჩა-ბაღები თვალს გტაცებდა. ზღვის სუნსა და ჰაერს, წიწვოვანი ხეების, ციტრუსის, ბალახის სურნელს გრძნობდი, გელამუნებოდა და, თუ სტუმრად გიგულებდნენ, მასპინძლის გულგაშლილობა და მოწიწება, თავაზი და ღიმილი არ გცილდებოდა, დაგყვებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ... მაგრამ კიდევ ერთი და მხოლოდ ამ ქალაქისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი უცხო სუნიც გცემდა უცნობ კაცს შენდა გაურკვევლად და გასაკვირად. დიდხანს ვერ ხვდებოდი, რა და რისი იყო ეგ სუნი, დილიდან საღამომდე მაინც უნდა გეხეტიალა მის ქუჩებში, ყოველ კუთხე-კუნჭულში შეგეხედა და დაგეყნოსა, რომ საბოლოოდ ამოგეცნო, რაც ასე გამაღიზიანებლად გიღიტინებდა ხოლმე ნესტოებში... გვიან მოდიოდი გონს, თავში მოულოდნელად დაჰკრავდა ის აზრი, რომ ეს იყო ფულის სუნი! გრძნობდი — ყველგან და ყველაფერში ფულს ედო აქ ლომის წილი, უდაბნოს ცხელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტვერივით ჰაერში მისი სუნი ტრიალებდა... მართლაც, ამ ქალაქში, გინდოდა თუ არ გინდოდა, ვის რამდენი ფული ჰქონდა, კაციც მით ფასობდა. ყველგან — ქორწილსა თუ ქელეხში ფული უნდა მიგეტანა, ფული ციხიდან გათავისუფლებდა და ციხეში გსვამდა კიდეც, აკვნის ჩვილს ფულს უჩურთავდა სტუმარი ბალიშქვეშ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მიცვალებულსაც ტკიცინა ასმანეთიანი უნდა სჭეროდა გაციებულ თითებში ლამაზად ჩაკეცილი... შაბათ დღეს, თითისტოლა ყაჩაღანებიც კი საშოვარზე გადიოდნენ. ებრაელების უბანში ტრიალებდნენ დილაუთენია: იქნებ ჭიდან წყლის ამოღება ან ბუხარში ცეცხლის დანთება დასჭირდეს ოჯახის დიასახლისს და დაგვასაჩუქროსო! კი, უფულობა აქაც სტანჯავდა. ვიღაც-ვიღაცეებს, უფრო სწორად, ვინც ხელფასს იყო მიჩერებული, პატიოსან ლუკმას ჭამდა, ცხოვრობდა, უხაროდა, წვალობდა, მაგრამ სტუმართან ისიც ხელგაშლილი და უდარდელი ჩანდა, არც ქელეხს გამოაკლდებოდა და არც ქორწილს. მთელი თვე ცოლ-შვილი რომც ეშიმშილებინა და, რაც მთავარია, თავს ფულიან კაცზე არანაკლებ გამოიდებდა... სტუმრის პატივისცემა და ურთიერთდახმარება დაუწერელ კანონად ჰქონდათ მათ, რასაც არ ეღალატებოდა არასოდეს და სახელმწიფო ბეჭდით განმტკიცებულ კანონზეც მაღლა იდგა.

მაინც ვინ იყო ალია?

სატვირთო მანქანის მძღოლი. ანოსთანებისთვის კი, ცხადია, არავინ. იმ საზოგადოებაში, სადაც ანო ყოველდღიურად ტრიალებდა, ალია ხუთ წელიწადში ერთხელ, ისიც რაღაც შემთხვევით მოხვედრილი, აღმოჩენილა და თავბედიც უწყევლია. რა ექნა, თუ ზედმეტად გრძნობდა თავს მათ გვერდით. უფრო მეტიც: მაზუთჩალეკილი, ჭუჭყიანი ფრჩხილები მაშინღა ახსენდებოდა და სკამის კიდეზე უხერხულად ჩამომჯდარი, ხელებს ლაჯებშუა მალავდა, მერე, უკვე თვალი ამაღესო — ფრჩხილებს მალულად იკვნეტდა, ისუფთავებდა და ისე ჯდებოდა სუფრასთან...

— არა, გეტყვი... — მოულოდნელად ალაპარაკდა ანო. — გუჯა მიყვარდა, შენი ძმა... იმ წელიწადს მუსიკალურ ათწლედს ვამთავრებდი. მე კი არა, რამდენიმე გოგონას მოგვწონდა ერთდროულად. ოთხი-ხუთი გოგო საგანგებოდ ჩაუვლიდით ხოლმე „ბირჟას“, თვალი შორიდან მაინც რომ მოგვეკრა და, ნატვრა თუ აგვისრულდებოდა, დათქმული გვქონდა, თითოეულს რაღაცა ჩაგვეთქვა, მერე ის ნაოცნებარი ამოგვეცნო და ერთმანეთი ხმამაღლა, ზოგჯერ — მალულად და ღვარძლითაც გაგვეჭორა... რომ ვნახავდი, სხვები არ ვიცი და, მე კი ის ღამე არ მეძინა. გუჯა?.. გუჯა არც გვესალმებოდა. პატარები ვიყავით და იმიტომ არ გვამჩნევდა თუ?.. ერთ-ერთი ჩვენთაგანი კარგად ცნობდა, მამამისის მეგობარი იყო და ყველას მის გვერდით გვინდოდა ვმდგარიყავით „ბირჟისკენ“ ხელახალი გასეირნებისას, ან მკლავი რიგრიგობით უნდა გაგვეყარა... თუ შეგვინიშნავდა მეგობარს, თავაზიანად მიესალმებოდა, ზოგჯერ გააჩერებდა კიდეც, მას და მის მშობლებს მოიკითხავდა, ჩვენ კი, ისიც თითქოს შემთხვევით, განშორებისას თუ გადმოგვხედავდა. ახლა უფრო ვგრძნობ, თუ როგორ მშურდა მაშინ ჩემი მეგობრისა, მე მარტო კი არა, ყველას... ვერ წარმოიდგენ, რა სიამოვნებით გავწეწავდი, ვათრევდი თმით, როცა გუჯა მხოლოდ მას შეჰყურებდა თვალებში და უღიმოდა... გუჯა მოკლესო, რომ გავიგე, მუხლები მომეკვეთა, ძლივს მივლასლასდი შინ, ჩემს ოთახში ჩავიკეტე და მოულოდნელად ისეთი ღრიალი ამივარდა, მშობლები კინაღამ გამიგიჟდნენ. სამი დღე გარეთ არ გამოვსულვარ. — გაჩუმდა. ეტყობა, კვამლი გადასცდა სასულეში, საშინელი ხველა აუტყდა და სახეზე წამოჭარხლდა. ერთი ხელით იკავებდა მკერდზე საფერფლეს. მეორე კი — პირზე აეფარებინა, ბოლოს, საფერფლე პეშვში ჩაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დო და წამოჯდა. მალე დაწყნარდა, ფერიც მოუვიდა. — ახლაც არა ვარ გარკვეული, მართლა მიყვარდა თუ ბავშვური გატაცება იყო. იქნებ მისი სახელი ხშირად რომ გვესმოდა ქალაქში, ეგ გვხიბლავდა, სახელი — გუჯა — შიშით, მოწიწებით წარმოთქმული და რაღაც იდუმალებით გარემოცული...

ჩემს კლასში ბონძის დისშვილი სწავლობდა. უკვე იმდენად მძულდა ის ბიჭიც, თითქმის არაფრისათვის, გაკვეთილზე ნაწნავზე რომ დამეჭიჭა, წამოვვარდი და სამელნე შუბლზე მივაფშვენი, სული გავაფრთხობინე კინაღამ საწყალს, მთელი თვე თავგადახვეული და შეშინებული დადიოდა. სასამართლოზეც ვიყავი. ისიც მახსოვს: ბონძი მოიყვანესო და... შენც მანქანისკენ გაიქეცი, ვიღაცებმა გზა მოგიჭრეს და მკლავებგადაგრეხილი სადღაც შეგათრიეს.. დედაშენის წივილ-კივილიც.... გიჟს ვგავდი. დედაშენის, შენი... არა, გუჯას გამო მე მინდოდა მეძია შური, თვალები ცოცხლისთვის ამომეკორტნა... დარბაზში რომ შეჰყავდათ ბონძი, გავძვრები და ამ მილეთ ხალხში თვალებში შევაფურთხებ-მეთქი, მაგრამ ნაბიჯი ვერ დავძარი და უძლურობისგან ტირილი ამივარდა. ან კი ახლოს ვინ მიგიშვებდა. — უცებ მაჯაში ჩაასო ალიას ფრჩხილები და მწვავედ მოფხოჭნა. — კი, არ დავუტოვებდი ადგილს დაუკაწრავს — საფერფლე იატაკზე დადო და ისევ წამოწვა. — შენ რომ დაგინახე, ეს ყველაფერი წამში თვალწინ დამიტრიალდა, უკვე ათასჯერ დავიწყებული და მიმქრალი, მაგრამ მაინც თბილი, ნათელი, სევდიანი, გულმომწველი მოგონება... რამდენი წელი გავიდა მის მერე?

— ცხრა... არა, ათი.

— რა უცებ გადის დრო... თითქოს გუშინ იყო! — ოდნავ გაეხსნა ბაგე, სევდნარევად გაეღიმა. — გაგიკვირდა, არა? მართალი გითხრა, მეც არ ვიცი, რა ჰქვია ჩემს ამნაირ საქციელს... იქნებ არც არაფერი ჰქვია? სახელი, საერთოდ, არა აქვს! არადა, როგორც კი დაგინახე, საოცარი გრძნობა დამეუფლა, — ხმამაღლა გაიცინა. — თან ისე სასაცილოდ, კარში გაგდებული, უთავშესაფრო ლოთივით მილაყუნობდი შენთვის, რომ ვიფიქრე... ვიფიქრე კი არა, რატომღაც მეგონა, თუკი ლოგინში ჩაგიწვებოდი, ის ბავშვობის ხანა დამიბრუნდებოდა, მთელი ათი წლით გავახალგაზრდავდებოდი... რა სისულელეა, არა?! — გაჩუმდა. — უკვე დროა. — ხმაში სიმკაცრე შეეპარა. — ჩქარა ჩაიცვი და წადი! წადი სამუდამოდ და არც გაიხსენო აქაურობა! არ მოიხედო უკან არასოდეს, გესმის?!

ორი წელიწადი არც ისე დიდი დროა და, ცხადია, ალიამაც ის უჩვეულო ღამე ვერაფრით დაივიწყა. ანოს სახლს თუ მის საიუველირო მაღაზიას ზოგჯერ განგებადაც ჩაუვლიდა, შეყოვნდებოდა ჩვეულებისამებრ, კისერსაც იქითკენ მიიღრეცდა, ენთო თუ არა შუქი ოთახში, ან დახლში მდგომს მაინც მოვკრა თვალიო... არა, მას მერე ქუჩაშიც შეხვედრია ანო ალიას, მაგრამ არაფერიც! გულგრილად, როგორც უცნობისთვის აუქცევია ქალს გვერდი, სალამიც არ უღირსებია და მაშინ ისეთ გრძნობასაც გაუკრავს გულში, ის უცნაური ღამე ხომ არ დამესიზმრაო....

სატვირთო მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა და გაჩერდა.

მძღოლმა თავი გამოყო ფანჯრიდან და — ალიაო — დაუძახა.

მოხედა: ფარნების შუქი მოხვდა თვალებში და მკლავი აიფარა, მძღოლი კი ხმით ვერ იცნო.

— რა იყო?! — უკმეხად გაეპასუხა და ანოს გაჩირაღდნებულ ფანჯარას კიდევ ერთხელ ახედა (იმ ამბავს, რაც ამ ორიოდე წლის წინ გადახდომოდა ალიას, მოეყვანა იგი აქ თუ — ბ ო ნ ძ ი ა ნ ო ს ჰ ყ ვ ა რ ო ბ ს ო, უკვე გაეგონა ვიღაც-ვიღაცებისგან და ქალისადმი ზიზღს, შურისძიებას მოეგდო ახლა, თვითონაც არ იცოდა!..)

— არაფერი... — მძღოლი დაიბნა. —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ მოდიხარ? — უკვე გულგარეთ შეეხმიანა.

— არა. — ზურგი შეაქცია და ტროტუარზე აალაჯა.

— კარგი, აბა! — აშკარად გაბრაზდა იგი. — შენი საქმისა შენ იცი, ჯიმა!* — ეგ ლაყე ეგა! — მოგვიანებით ჩაიდუდღუნა მან და მანქანა ღრიალით მოწყვიტა ადგილს, იფიქრებდით, კვამლის ბუღიც განგებ შემოაფუტაო.

მანქანის ნომერს მოჰკრა თვალი და ახლა მიხვდა, ვინც იყო. მათ გარაჟში მუშაობდა მორიგე მძღოლად. გური ერქვა.

ამ რამდენიმე წლის წინ გური დაქორწინდა და ალიაც დაპატიჟა ქორწილში. იმ ღამეს ვერ მივიდა ალია მეგობართან, გულით კი უნდოდა, მაგრამ მანამდე გადაეყარა ქუჩაში სხვებს, სახინკლეში გამოთვრა ძველ დოსტებში და დილით თავის ლოგინში გამოეღვიძა. მეორე დღეს მიაკითხა გურის სახლში. მეორე დღეს მოვიდა მათი დირექტორიც, როგორც ბიჭები ეძახდნენ — ლეო ხაზეინი. ხაზეინისთვის ცალკე, მეორე სართულის მისაღებ ოთახში გაიშალა სუფრა, ალიასა და სხვებს — ვისაც მასავით გუშინღამ მოსვლა ვერ მოეხერხებინათ, მეზობლებისთვისაც, ცალკე — ბნელსა და წინადღით ფანჯრებაჭედილ, უიატაკო ოთახში, დასვრილი ჯამ-ჭურჭელი თუ, ხორცით, პურით, მწვანილით სანახევროდ ამოვსებული და გაზეთგადაფარებული დაწნული კალათები, ყუთები, ღვინის, ლიმონათის ცარიელი ბოთლები რომ იყო კუთხეებში მიყრილი და ამოვსებული, რის გამოისობით, უსუფთაობა და არც ისე სასიამოვნო სუნი ტრიალებდა შიგ.

ალია მალე შეთვრა და ახლა გაახსენდა, ხაზეინზე რომ იყო განაწყენებული.

წინა თვეს ახალი სატვირთო მანქანა მიეღოთ გარაჟში, რომელიც, წესით, ალიას ეკუთვნოდა. ელოდა კიდეც, მაგრამ, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება ხოლმე, უფრო კარგ და მარიფათიან ბიჭს შეხვდა ურიგოდ. ალიას არაფერი უთქვამს, თუმცა უსამართლობაზე გული დაწყდა, დაიბოღმა თავის დირექტორზე და რატომღაც ახლა გადაწყვიტა მისთვის პასუხი რომ მოეთხოვა. სწორიც იყო! ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა დავიჩაგრო ყოველთვის მე და არა სხვაო, ფიქრობდა ის. ეგეც რომ არაფერი, ერთხელ მაინც ხომ უნდა ეთქვა სიმართლე ვიღაცასთვის, ცხვირპირში მოურიდებლად მიეხალებია... კი, ეს ჰქონდა ფიქრად, თუმცა ისეთი მთვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, ენას ვერ იბრუნებდა პირში.

გარეთ გავიდა.

ვიღაც ქალმა ორთქლადენილ ლანგრით ხელში ჩაურბინა და სადღაც მიიმალა...

რაღაცა ჩაიბურდღუნა უმისამართოდ და ბანცალით აუყვა მეორე სართულის მოაჯირიან კიბეს, საფეხურები აათავა და კარის გულს ხელები მიაბჯინა, უბიძგა...

ისე კარგად შეხვდნენ ზემოურები, შეცბა, წამით გაუკვირდა კიდეც.

მართლაც, ხაზეინიც კი წამოუდგა ფეხზე და, აქამდე სადა ხარო, ღიმილით შემოუძახა.

სკამიც მოართვეს ხელად.

სუფრას სულ ხუთნი უსხდნენ.

თითოეულმა მათგანმა ისე თავაზიანად მოიკითხა, რომ უკვე დავიწყნოდა, რაზედაც იყო ამოსული, პირიქით, ასე ვყვარებივართო, გაიბადრა, გული აუჩუყდა ბავშვივით და შემოთავაზებულ სკამზე, ჩვეულებრივ, უხერხულად ჩამოჯდა.

სუფრას ხაზეინი თამადობდა. უფრო სწორად, თავიდან სხვა — ნეფის ახლობელი, ჭაღარა პედაგოგი კაცი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ქეიფის ეშხში შესულ უფროსს რატომღაც თამადობა გადმოელოცა...

რამდენიმე ჭიქა კიდევ დალია ალიამ და ისევ აეწვა სულ-ხორცი... მერე იჩ-

* ძმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჩა, იჩოჩა და ხაზეინს მიუჩოჩდა საბოლოოდ.

ის ფეხზე იდგა, ახალი სადღეგრძელოსთვის განსხვავებულ სასმურს თხოულობდა და მისთვის ნამდვილად არ ეცალა.

უცებ პიჯაკის სახელოზე ჩაავლო ხელი ალიამ, ქვევით ღონივრად დაქაჩა და... ვისაც მთელი ცხოვრება „ბატონო, ბატონოთი“ მიმართავდა, ღორი ხარო, უთხრა.

ხაზეინი შეცბა, თან ყურები სცქვიტა, სხვებმა გაიგონეს თუ არაო და, როცა დამშვიდდა, შეჰღიმა კიდეც მთვრალს...

თითქოს ღვინო შეესხათ სახეში, ცხვირ-პირში მწარე სილა გაეწნათ, ისე მოულოდნელად გამოაღვიძა უფროსის თავაზიანმა ღიმილმა და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვეღარ შეძლო, თან წამით იმაშიც კი დაეჭვდა, მართლა ვუთხარი თუ არა — ღორი ხარო.

მიუხვდა ხაზეინი „იჯექი, იჯექი“... — ისევ შეჰღიმა, დაუყვავა.

„მაპატიეთ...“ — ჩაიდუდღუნა ალიამ და, თითქოს ამისთვის გადმოჩოჩებულიყო, ვიღაცის გაქონილ, ძვლებსავსე თეფშს დააშტერდა დამუნჯებული და ნირწამხდარი.

„რა უჭირს... მეტს ნუ დალევ, იცოდე!“ — ისევ მოესიყვარულა უფროსი და მხარზე მეგობრულად გადახვია ხელი, იღლიის ქვეშ მოიქცია ორად მოკაკული ალია, მისი შიშით აბურძგნული პატარა თავი რბილ, ქონადქცეულ მუცელზე მიიკრა ნელინელ, მტკიცედ, მოიმწყვდიასავით...

„ნამდვილად გამგუდავს... — ენაზე იკბინა ალიამ — არ მხვდება?“ — დასკვნა მოგვიანებით და მაინც გაისუსა, ქვად იქცა ბედს შერიგებული.

ისეთი არაფვრი! პირიქით, იმღამინდელმა ქეიფმა ახლო და მეგობრულ ურთიერთობებში ჩაიარა. მერეც პატივი სცა ხაზეინმა. მესამე დღეს თავის კაბინეტში დაიბარა შეცბუნებული ალია და მანქანა ჩამოუწერა, როგორც ძველი და უვარგისი. მართალია, დროზე ვერ შეუსრულა უფროსმა დანაბარები და მთელი წელიწადი უმუშევრად დარჩა... მერეც ისე მიუდიოდა საქმე, ხვდებოდა, არც ახალი მანქანა გამოჩნდებოდა მისთვის ჰორიზონტზე და არც ვინმეს გამონაცვალი, ძველი... მოკლედ, იმდენად გაუჭირდა, თავის დანჯღრეულ მანქანაზეც არ იტყოდა უკვე უარს.

ადგა და გუჯას ბავშვობის მეგობარს, ჯოჯის მიაკითხა სახლში, თხოვა, იქნებ დამეხმაროო, ის კი დაუმალა, რაზეც ჰყავდა ხაზეინი განაწყენებული. ვინ არ ცნობდა და არ აფასებდა ჯოჯის ქალაქში, ყველა ზნის, რჯულის და მდგომარეობის ხალხში თავისი სიტყვა და წონა ჰქონდა და არც ჩემი ხაზეინი გააწბილებსო, ალბათ, ფიქრობდა. ასეც მოხდა. მართალია, ახალი მანქანა „ვერ მოუხერხა“ უფროსმა, მაგრამ მისთვის უკვე სულ ერთი იყო, არცნაირს არ წუნობდა.

. . . . . .

გვიანი და უმთვარო ღამე იყო.

ალია გარეუბნის ბნელ, ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ შუკას მიუყვებოდა.

მიდიოდა თავჩაქინდრული, მხრებმომჩვარული, გონებააბნეული, ფეხებს დუნედ და გან-გან მიაჩლახურებდა — ინსტინქტით რომ აგნებს მშიერი, დაბეჩავებული, თვალებდავსებული ბეხრეკი პირუტყვი ნაცნობ ორღობეს, პატრონის ჭიშკარს — ბაგაც რომ იცის და არაფრით არ გასცდება საკუთარ ეზო-კარს, არ დარჩება მეთვალყურის გარეშე და უპატრონოდ...

გრძელი, ერთსართულიანი ბარაკული სახის საცხოვრებელ სახლთან შეჩერდა და მიმოიხედა.

თითქოს ახლა მიხვდა, სად იყო ან, ამდენ ხანს ვისთან და რატომ მოდიოდა.

ამ სახლში იდგა ოლგა მდგმურად, ორი პატარა ოთახი ეჭირა; ერთში საძინებელი, მეორეში — სამზარეულო ჰქონდა მოწყობილი, რომლის ქირას ხან ალია იხდიდა, ხანაც — თვითონ.

მას მერე, რაც შვილი შესძენოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლგას, კვირაში ორ-სამჯერ მოდიოდა. მოდიოდა გვიან, შუაღამითაც, გადაითევდა სითბოში, ალერსში, აყალმაყალში და, უკვე გამოფხიზლებულს, თითქოს ვიღაცის ან რაღაცის რცხვენიაო, ადრე, ჯერ კიდევ რომ არ გაეცრიცა და არ გაეხრწნა მნათს ღამის ბნელი, ჟამურა ფარდა, ჩუმად, ფეხაკრეფით გაილალებოდა ჭიშკარში... მეტწილად მთვრალს, ფეხზე ძლივს რომ იდგა, რატომღაც მაშინ ახსენდებოდა ოლგა, ღვინით აგულიანებული მაინც უნდა ყოფილიყო, ფხიზელი თითქმის არასოდეს მოსულა, მაგრამ, ხომ მოდიოდა და ქალიც იმდენად იყო მის სიმთვრალეს მიჩვეული, ერთ ღამეს ფხიზელი რომ გამოცხადებოდა მოულოდნელად, ალბათ, ის უფრო გაუკვირდებოდა.

დალევდა თუ არა ორ ჭიქას, აქეთ ეჭირა თვალი; ოღროჩოღრო და მიხვეულ-მოხვეული შუკისკენ, გარეუბნისკენ... დილით კი ისევ ფაციფუცობდა, მიიძურწებოდა მხრებმოხრილი, თითქოს ამ სახლსა და უბანში ფეხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიკვეთოსო.

რამდენჯერმე უთხრა დედამ ალიას: რახან არ ეშვები მაგ ქალს, იქნებ სულაც სახლში მოიყვანო, ბოლოს და ბოლოს, მეც დავიტანჯეო. მაგრამ ამაზე თვითონ ალია იყო უარს, გაგონებაც არ უნდოდა. მარტო ოლგას საეჭვო წარსულის გამო კი არა, სხვა და ენით გამოუთქმელი რამ აკავებდა, საკუთარი თავისთვისაც რომ ვერ გაემხილა... უფრო სწორად, ვერ აესხნა მისი თავი და ბოლო, თუნდაც ეგ — ასე რა აკავებდა სიფხიზლეში, ანდა, ვთქვათ, დღისით, როცა მუშაობდა, რატომ არ ახსენდებოდა ქალის არსებობა... რატომღაც, ნასვამს, კარგა გვარიანად შეზარხოშებულს (და არა მთვრალს. მთვრალი პირიქით, საშინლად აუტანელი და ბოღმიანი იყო!) მოსწონდა აქაურობა, ოლგას თბილი, ანუ — ზამთარ-ზაფხულ თითქმის ერთნაირად გახურებული, თავ'დან ერთობ მიუჩვეველი უცხო სუნი ღ ა სიმხურვალე რომ იდგა ოთახში, თითქოს დღენიადაგ ვეება ქვაბით ცეცხლზე შედგმული გამოსახარში თეთრეულის მძიმე და სხვისთვის გაუსაძლისი ბუღი დგასო... მართლაც, ამ უჰაერობას თხოვდა მისი ბუნება, თუ ქალის სხეული ასე მაჯადოებლად იზიდავდა, აქეთკენ მოჰქონდა ხოლმე თავი, მის რბილ და ჭრელაჭრელა ქვეშაგებში სიამოვნებდა მთვრალს, დაღლილს, უმიზეზოდ გაღიზიანებულს ძილი, მიყუჩება, რომელიც ზოგჯერ უსაზღვრო სიმშვიდის არანაკლები ფასიც იყო... მაშინ არ ბრაზობდა და არც თაკილობდა, საბელშებმულივით რომ ჰყავდა ქალის თუ ბავშვის გამუდმებულ ჭყლოპინს...

შვილი რომ შეეძინა ოლგას, სამი თვე არ გამოჩენილა. თვითონ ქალმა მოაკითხა დილაუთენია გარაჟში და, შენი შვილის ნახვა აღარ გაინტერესებსო, თვალცრემლიანმა უთხრა.

ალია კი გაცოფდა: მამამისის მისამართი თუ დაგავიწყდა, მე მიგასწავლიო, მიახალა, მანქანაში ჩახტა და გიჟივით გავარდა.

ამის საბაბი თითქოს ჰქონდა ალიას, ქალის პატიოსნების, როგორც ადრე, არც ახლა სჯეროდა მაინცდამაინც და არც დაუმალავს იგი. თვითონ ოლგამ უთხრა ერთხელ: ყოველთვის მთვრალი ხარ... მე ნორმალური ბავშვი მინდა გავაჩინო და არა დებილი, შენთან კი დედობაც სანატრელი მაქვსო, უსაყვედურა.

წამით გაშრა... იმასაც მიხვდა, ოლგა სადღაც მართალი იყო, მაგრამ მაინც იმდენად ემწარა მისი ნათქვამი, წამოხტა და — აბა, თუ სანატრელი გაქვსო! — მოულოდნელად ისეთი სილა გაუშალა სახეში, ქალი კედელს მიეხეთქა, მერე მოცელილივით ჩაიკეცა იატაკზე. იმ ღამეს ამითაც არ დამცხრალა. როგორც კი გონს მოეგო ქალი და წამოჯდა, ისევ მივარდა და დაუზოგავად სცემა.

ოლგამ რომ მოაკითხა გარაჟში, მთელი დღე გულაღრენილი და დაბოღმილი დააგელვებდა მანქანას უმისამართოდ. თუმცა მოჩვენებითი აღმოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ასეთი გახელება. ეტყობა, ქალის გამოჩენა იყო საჭირო, მეორე დღეს ღვინით გამტყვრალიყო ალია და ბინაში თავისი ფეხით მიეკითხა.

მას მერე არ ჰქონიათ იმაზე საუბარი, იყო თუ არა ალია ბავშვის მამა. როგორც ადრე და ჩვეულებრივ, კვლავ მთვრალი, მხრებზე თავს ძლივს რომ იჩერებდა, ხან კიდევ — კარგა ნასვამი და გაყიყინებული გამოჩნდებოდა ხოლმე კმაყოფილი სახით ოლგას „გაღუღუნებულ" ოთახში. დავიწყებით, რა დაავიწყებდა ბავშვის არსებობას, მაგრამ ისე იქცეოდა, თითქოს თეთრებში გამოკრული პატარა თოჯინა იდო საწოლზე. იქით იშვიათად თუ გაიხედავდა... იყო დრო, გულზე მოულოდნელადაც უბრწყენდა რაღაცა და — პირველად ხომ არ ნახაო — ბავშვისკენ გააპარებდა მზერას, უთვალთვალებდა პაწიას მალულად (ქალს ალია დაერქმია პირმშოსთვის; სუსტი და ქათამივით თეთრი, ცხვირპაჭუა იყო — ბერიშვილების გვარის და ფერისგან განსხვავებული, თუმცა, რომ უკვირდებოდა, არც იმას ჰგავდა, ვიზედაც ასე ეჭვიანობდა და ეგ უფრო აბნევდა, ვერ გაეგო. არმგვანობა გახარებოდა თუ სწყენოდა... ბრმა მათხოვარს ჰგავდა მაშინ, რომელმაც იგრძნო და გაიგონა კიდეც ქუდში რაღაცა რომ ჩაუგდეს, მაგრამ სანამ გამვლელის ფეხის ხმა არ მიწყდება, ვეღარ მოიქცევს ცერსა და საჩვენებელ თითშუა მონეტას გასასინჯად, ხმით კი, ქუდში რომ გაიწკრიალა, დაეჭვებულია, ბრტყელი ქვა ხომ არ ჩამიგდესო...) ...ასე გაურკვევლად იყო, და მაინც უკვე მიჩვეოდა ამ ყოფას თუ მერყეობას — ოლგას ზედმეტად გადახურებული ოთახივით, — ყოველთვის აქეთ მოჰყავდა ნამთვრალევ გზას, აქ მოაგდებდა საბოლოოდ, როგორც ზღვა მდინარეს, ციხე — ქურდს...

მაშინ, თუკი საკმაოდ მთვრალიც იყო, ერთიორად შემოენთებოდა გულზე და ოლგასთვის უმიზეზოდ და გაუგებრად, ვიღაცაზე თუ რაღაცაზე აღრენილი და დაბოღმილი, მასზე იყრიდა ხოლმე ჯავრს... ოლგა ფიქრობდა ასე, ცხადია, თვითონ კი არც ქალის წარსული ავიწყდებოდა მაშინ, ალბათ, და არც მისი გვარი და ჯილაგი, ზნე-ხასიათი თუ საკუთარი უბედობა და მერყეობა, ვიღაცებისადმი გამუდმებული ზიზღი თუ ზიზღნარევი შიში... ეს ყველაფერი ერთ მკვრივ ბოღმად მოაწვებოდა და უგროვდებოდა ყელში ბურთივით... მოაწვებოდა და იფეთქებდა, მერე სცემდა ქალს დაუზოგავად, თან რაღაც გაუგებარს ბურტყუნებდა და აკივლებულ ქალს მოსახელთებლად დასდევდა. ქალს კი იმისთვის სად ეცალა, რაზეც უბათქუნებდნენ გაერკვია, პირიქით, თავს იცავდა, არ ეთმობოდა უკვე იოლად, ერთხელ თეფშიც მიაფშვნა შუბლზე და წარბი გადაუდღლიზა, მაგრამ ის მაინც კაცი იყო და ხშირად გამოდიოდა გამარჯვებულიც. უფრო კი, ბავშვის წივილსა და სხარსხალს მოჰყავდა ხოლმე გონს, პატარა და ქათამივით თეთრი ალიას ხმა აჩუმებდა კაცსაც და ქალსაც. ისე, მეორე საღამოს რომ გეკითხა ორივესათვის, რა იყო წუხელ მათი ჩხუბის და დავიდარაბის მიზეზი, ვერც ერთი ვერ აგვიხსნიდა წესიერად, პირიქით, ისე თავისუფლად და მშვიდად იქცეოდნენ, თითქოს ის აყალმაყალი და გაწევ-გამოწევა არც ახსოვთო.

მაინც რატომ სცემდა ოლგას ალია? თუ ქალი მობეზრებოდა და არ უნდოდა, ყოველ წუთს შეეძლო ამდგარიყო და წასულიყო, ახალი მისამართი და თავშესაფარი მოეძებნა, ამის დამშლელი და პასუხის მომთხოვნი არავინ ჰყავდა... არ გამოეკიდებოდა ოლგა, არ ჩაებღაუჭებოდა მის შარვლის ტოტს მუხლებდაჩოქილი და ყელგადაგდებული, ახალგაზრდა ქალი იყო და ერთ მამაკაცს კიდევ იპოვნიდა. ესეც რომ არა, ისეთს რას უვლიდა და პატივს სცემდა ალია, გული მასზე რომ დაწყდომოდა? არავითარი. მით უმეტეს, რომ ქალაქის მთავარ საპარიკმახეროში მუშაობდა და პურის ფული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ უჭირდა, შვილსაც მოუვლიდა და საკუთარ თავსაც... ასე იყო თუ ისე, როგორც ალია დღითი დღე უფრო ეჩვეოდა აქაურობას, ისე ოლგაც. ეტყობა, არ აწუხებდა ქალს დიდად თვეში ერთხელ კაცის სიგიჟე და ასე უჟმური ხასიათი...

იქნებ უყვარდა ქალს?

ალიაც ხომ დიდხანს ვერ ძლებდა უომისოდ — სულ ერთია, მთვრალი მოდიოდა თუ ფხიზელი — და, იქნებ, ესეც ერთდაგვარ სიყვარულად ჩაითვლება ზოგიერთთათვის? სხვა თუ არაფერი, ის აყალმაყალის ღამეც ხომ შემაძრწუნებლად საკვირველი და უცნაური ჩანდა უცხო თვალისთვის, თვითონ ალიასთვინაც კი, სხვა ანუ — მშვიდ ღამეებთან შედარებით!

ცემა-ტყეპის შემდეგ, უკვე დაღლილ-დაქანცული, დამცხრალი და გამოფხიზლებული ალია მიეგდებოდა ლოგინზე. ოლგა კი, მის ჯინაზე თუ გასაკვირად, არ გაჩერდებოდა წამით — ოთახს, ორიოდე საათის წინ დაგვილს და მილაგებულს, ხელახლა დააწკრიალებდა, გაურეცხავს არ დატოვებდა არაფერს; არც ბავშვისას, არც საკუთარს, არც ალიასას... მერე თითქოს იმ დავიდარაბის და დაუნდობლობის გამო და ფასად, ჩაუგორდებოდა ლოგინში — ადრინდელზე უფრო ნაზი, ალერსიანი, გადამდებად ვნებიანი და ისიც პირველად თუ ხედავსო ქალს — ჩაეშვებოდა ტკბობის მორევში... გვიან, არაქათგაცლილს და გაშოტილს, შიშველს და სითბოს წიაღში ჩაყურსულ ალიას უკვირდა ქალის ამდაგვარი ვნება და გახელება... ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობდა, ძალად ხომ არ აცემინებდა თავს ოლგა, ან თვითონაც იმიტომ ხომ არ უსილაქებდა ხოლმე, მერე მეტი სითბო და ალერსი რომ მიეღო... ასე იყო თუ ისე, მეხუთე წელიწადი სრულდებოდა, რაც ერთად იყვნენ და ერთმანეთსაც მისჩვეოდნენ.

. . . . . .

შუქი არ ენთო ოლგას.

კარზეც ბოქლომი დაუხვდა.

ეს ორი კვირა არ მოსულა ალია აქ და, ეტყობა, დღესაც არ მელოდაო, გაიფიქრა. გვერდით, მეზობელ სახლში მცხოვრები ოლგას მეგობარი ქალი გაახსენდა. ისინი ერთ საპარიკმახეროში მუშაობდნენ და საღამოობითაც ხან აქ, ხან — იქ იკრიბებოდნენ ქალები. იყო ყავაზე მკითხაობა, ვიღაც-ვიღაცეების გაჭორვა, ლოთობაც. ალია უშლიდა სმას ოლგას, მთვრალი ქალი ეზარებოდა. არც ოლგა სვამდა ამ ბოლო დროს, უმცროსი თუ უფროსი ალიას ხათრით გადაჩვეოდა.

მეზობლის ეზოში გადავიდა.

შორიდანვე შენიშნა ოთახში შუქი და ფეხს აუჩქარა; ჯერ ფანჯარას ჩაუვლიდა, მერე სახლს უკან, ლაფარითი გავიდოდა და პატარა, ოთხსაფეხურიან ხის კიბეს მიადგებოდა.

ფანჯარასთან შეყოვნდა და ზევით აიხედა; მაღლა იყო, ოთახში თავისუფლად ვერ შეიხედავდი. დაბლაც რომ ყოფილიყო, სულ ერთია, მაინც ვერ გაატანდა მზერას, ისეთი სქელი ფარდა იყო ჩამოფარებული, საეჭვოდ დაგმანულივით.

საუბარი შემოესმა... უფრო სწორად, რაღაც არეული ხმები და მუსიკის დაბალი ხმა გამოდიოდა იქიდან... ეტყობა, ქალები მარტო არ იყვნენ, ქეიფის სუნიც აშკარად ტრიალებდა...

გაბრაზდა. მთელი სხეულით დაიძაგრა, გულმაც საშინელი ბაგაბუგი აუყენა...

კარისკენ წავიდა სწრაფად. უნდოდა კარი მოულოდნელად შეედღლიზა, ჩაკეტილიც რომ დახვედროდა, შეემტვრია, ცემა-ტყეპით გაეგდო ოლგა წინ, არავინ დაენდო და, თუ საჭირო იქნებოდა, მიელეწ-მოელეწა კიდეც იქაურობა...

კიბის მეორე თუ მესამე საფეხურზე შეხტა და, თითქოს ვიღაცამ საყელოზე დაქაჩაო, წამით შეყოვნდა, შეიკავა როგორღაც თავი, თან მხრები შეიბერ-

ტყა თავსხმა წვიმაში მოხვედრილივით, მერე ფეხის წვერებზე აიწია და შუბლით შეეხო კარის გულს, გაფაციცებულმა მიაყურადა...

უცებ სიცილმა იფეთქა ოთახში...

ისეთი თამამი, მკვეთრი, ჭახჭახა, თან ნაცნობიც იყო ეს კარკაცი, თითქოს მის გამოსაჯავრებლად ზედ ყურთან ნაღმი გასკდა, ჰაერის ტალღა მწერების გუნდივით სახეში ბრმად მიაწყდაო, შეკრთა, თავიც სასწაულად აუგუგუნდა და კარს წიხლი ჰკრა მოულოდნელად...

კარი ხმაურით მიასკდა კედელს, სახლი ერთიანად შეზანზარდა, თან რაღაცის მსხვრევის ხმაც გაისმა...

ორნი, ორმოც-ორმოცდახუთი წლის ვიღაც საეჭვო კაცები, ცქაფად წამოხტნენ და კარში ავად ჩამდგარ ალიას შეშფოთებულები მიაჩერდნენ, მერე ქალებისკენ გააპარეს ფარული, იჭვნეული მზერა... ქალებიც უმალ აკვროდნენ კედელს, თუმცა, მათ მზერაში შიშზე მეტად გაოცება ამოიკითხებოდა, თითქოს უკვირთო, ასე რას უნდა გაეგიჟებინა ეს კაცი.

ერთ-ერთი სტუმართაგანი, ლურჯბერეტიანი და ჭროღათვალება, უწამწამო და მწითური, ტურის სახიანი მამაკაცი, ეტყობა, არ დაიბნა, მეგობრულად გაუღიმა მოულოდნელ სტუმარს და, თვალი რომ არ მოუცილებია ისე, ცარიელ ბოთლს წაუპოტინა ხელი მაგიდაზე, კარგად ჩაბღუჯა, ჩამოეყრდნოსავით და ასე, კბილებდაკრეჭილი დარჩა.

— ჩვენ ისე... ძველი მეგობრები შევხვდით, ჯიმა... — დაასწრო ხმელ-ხმელმა, თმაშეევერცხლილმა ტიპმა და მანაც მრავალმნიშვნელოვნად ჩაიყო ჯიბეში ხელი.

— კაცები ვართ... — უფრო გაიბადრა ტურისსახიანი. — არაა კაი საქმე, ამათი გულისათვის რომ გავფუჭდეთ. — ქალებს აგდებულად გადახედა და რას იტყვისო, ალიას დაჟინებული მიაჩერდა. — შენ ხომ გუჯას ძმა ხარ, ალია?! — იყვირა მოულოდნელად და რატომღაც ხმამაღლა, უკვე გულმოცემულმა გაიცინა.

ალიას არაფერი უთქვამს. ეცნო კი; ორი თუ სამი კვირის წინ გამოსული იყო ციხიდან. თავის სახლშიაც უნახავს, გუჯასთან რაღაც საქმეზე მოსული. ჯერ კიდევ მაშინ ამბობდნენ, „წამალზე ზის," გაუბედურებული კაციაო...

— ხო არ დაჯდები ჩვენთან?.. ჩვენთან კარგია! — სკამზე ანიშნა თმაშეევერცხლილმა.

უცებ ოლგამ სახეზე ხელები აიფარა და კედლისკენ შეტრიალდა. ალია მიხვდა, ქალი რომ ტიროდა და, ამას რა ატირებსო, აშკარად გაუკვირდა.

მართლაც, სწრაფად მოვიდა გონს... ერთხანს იმანაც დააბნია, რას უნდა შეეშფოთებინა ასე, ეს, ვითომც უშიშარი, ყველაფრის ამტანი, ცხრა თოკში გამძვრალი ხალხი? იმას ხომ არა, კარი წიხლით რომ შემოდღლიზა? ნუთუ მართლა ასე შლეგს და გადარეულს ჰგავდა, რომ სიკვდილის სუნიც კი ეცათ? ეტყობა, იარაღი აქვს ჯიბეშიო და... რა უცებ გაქრა, რომელიღაც თვალით უხილავ ჭუჭრუტანაში შეიჩურთა მათი ამპარტავნობა და სიმამაცე?!..

კაცმა რომ თქვას, მაინც რას ერჩოდა მათ ალია? საერთოდ, ვის რას ერჩოდა, თვით ოლგასაც კი?! რატომ და რისთვის უნდა გაეგდო ოლგა წინ, როგორც მანამდე დააპირა? სხვა თუ არაფერი, ის ხომ ამ ღამეს პირველად მოვიდა მასთან ფხიზელი! მხოლოდ მთვრალს ახსოვდა იგი, რაღაც გაურკვევლად იზიდავდა აქაურობა, ერთად ჩაყურსვასა და ჩაკარგვას სთხოვდა ხოლმე ალკოჰოლით აღგზნებული სხეული მის ჭრელ-ჭელა ქვეშაგებში და მეტი არაფერი! სხვაფრივ, თითქოს ვერც წარმოედგინა მის გვერდით ყოფნა და ძილი. ზოგჯერ ისეთი გრძნობაც ჰქონდა: კაცადაც ვერ ვივარგებ ოლგასთან ფხიზელიო...

ზაურ კალანდია
ზვარაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ცხვირპაჭუა და ქათამივით თეთრმა ალიამ მოიყვანა იგი აქ, რომელიც იმდენად ჰგავდა ბერიშვილების გვარსა და ჯილაგს, რამდენადაც ქართული ანბანი ჩინურ იეროგლიფს, ღვინო კი — არაყს...

სწრაფად შეტრიალდა და კიბის საფეხურებს სირბილით ჩასცდა, გაუჩინარდა ბნელში და უმისამართოდ...

შაბათი დღის მზიანი დილა იყო; ქალაქის ცენტრი — მშვიდი და ცარიელი, ჩუმი და უსიცოცხლო — ალიონზე ძილგამტკბარი გარეუბანივით. თუმცა, უკვე მოერწყათ ქუჩები და, სუფთად გადარეცხილი, ჯერაც აქა-იქ შეუმშრალ ასფალტზე ღაფრქვეული მზის სხივები ყოცცლისფრად ბრკიალებდნენ.

ზღვიდან გრილი, ნესტიანი ნიავი საგრძნობლად უბერავდა და საამოდაც იწიწკნებოდა. ზღვა კი არ ჩანდა. მაგრამ აქედან ახლოს იყო, პირველ მოსახვევშივე შემოგეფეთებოდა მისი გადანისლული, უკიდეგანო სილურჯე და ამ უღიმღამო თუ გაიდუმალებულივით დილის სიჩუმეში, იგრძნობოდა, ისევ ზღვა რომ ფხიზლობდა...

ალიაც ზღვისკენ მიდიოდა...

მიდიოდა თავჩაქინდრული, უგერგილოდ... ჩანდა, სულ ერთი იყო მისთვის, ახლახან მორწყული ქუჩაც და უძალო მზეც, ასე საგრძნობი სიჩუმე თუ სადღაც ახლოს ზღვის გამძაფრებული სუნთქვა და მისი სუსხნარევი ჰავაც... უდაბნოში ბრმად მავალ კაცს ჰგავდა, რომელიც უკვე შეეგუა — არც ამ გზას უწერია მისი სამშვიდობოს გაყვანა, არ დამთავრდება იგი ნაცნობი სანაპიროთი, ზღვით — პირველსავე მოსახვევში, არამედ, უდასასრულოცაა და არსაითაც, ის კიდევ — არავის და არაფერს დანდობილი, მაგრამ მაინც ბედითად მავალი ყარიბი...

შედგა.

ქუჩის საათი მოხვდა თვალში; ათი სრულდებოდა.

ქუჩაში მილიციის სამთვალიანი მოტოციკლი გამოჩნდა. მილიციელიც ეცნო. მანაც, როგორც კი გაუსწორდა ალიას, ნელ-ნელა დაამუხრუჭა და ცოტა მოშორებითაც გაჩერდა.

წუხელ, ღამის სამ საათზე, ქალაქის პარკის შესასვლელთან ნახა მან ალია მერხზე „უდარდელად" წამოწოლილი, რაც, ცხადია, კმაროდა იმის მიზეზად, გამოსაფხიზლებელში წაეყვანა და ღამეული რეიდიც კიდევ ერთი „ნადავლით" დაემთავრებინა, მაგრამ ეცნო და... ის კი არა, გუჯას გახმაურებული მკვლელობა და ახლახან ციხიდან გამოსული ბონძიც გაიხსენა და შეიცოდა, მით უმეტეს, ფეხზე რომ წამოაყენა, არც ისეთ მთვრალს ჰგავდა ალია, მისი აზრით, უკვე მოესწრო გამოფხიზლება და: „გიჯობს, სახლში წახვიდე, ბაბაია, აქ რომ ფაშასავით წამოწოლილხარო!" — უთხრა ჩვეული სიმკაცრით, გაღიზიანებულმაც — ნაცნობი რომ აღმოჩნდა; საკმაოდ განცვიფრებულმაც: რა საქეიფოდ და ქუჩაში საწანწალოდ ჰქონდა საქმე ამ უბედურს, როცა ძმა... „ეხო!" — ამოიოხრა, ერთიც ჩაახველა, მერე, ალბათ თავის გულკეთილობაზე აბუზღუნებულმა, სწრაფად მოსწყვიტა ადგილს მოტოციკლი.

„რაღაც ცუდად დაბლაყუნობს ეს უბედური!" — ამჯერად რაღაცაში დაეჭვდა და უკვე კარგა მანძილზე გამცდარ ალიას თვალი თავის კანტურით გააყოლა. — „ხომ არ... იქნებ სახლში წამეყვანა სულაც?!" — როგორც წუხელ, ახლაც გულგარეთ გაიფიქრა და — ნაფიქრის თუ შეეშინდაო — საშინელი ღმუილით გაახტუნა წინ მოტოციკლი.

ალიამ ფეხს აუჩქარა...

„რა ჭირად მინდოდა ის გუელაძუა, არ სჯობდა, თავიდანვე ჯოჯისთან მივსულიყავ, ჯოჯი იარაღს დამიკავებდა თუ რა?" — გაიფიქრა. — „განა მან არ მომიტანა, როცა... ეხ! მაშინ უნდა მომეკლა..." — სასამართლოზე რომ თქვა, მოვკლავო და ვერ შეასრულა დანაპირები, გაახსენდა და მთლად მოეშხამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუნება, თან, ხომ არ მობრუნებულა მოტოციკლიო, უკან მიიხედა.

ოლგადან წამოსულმა, სანამ ის მილიციელი ნახავდა პარკის შესასვლელთან მერხზე წამოწოლილს, მანამდე სახლში შეიარა. შინ არ შესულა, ღობეს ქურდულად ამოფარებული იხედებოდა ეზოში და ენახა თუ არა დედა, ამაზე ფიქრობდა, მერყეობდა, თითქოს ჭიშკრის შეღება, ან ავადმყოფი დედის დახედვა, განზრახვაზე ხელს ააღებინებდა, ღამის გადათევა კი — გუჯას სისხლიან პერანგს გახდიდა სამუდამოდ!

დედის ოთახში ჭრაქი ბჟუტავდა...

„არ სძინავს... მე მელოდება, ალბათ," — გაიფიქრა და სხეულში საოცრად თბილი, ადამიანური შუქი ჩაეღვარა, შეაჟრჟოლა...

ფეხის ხმა მოესმა...

არ უნდოდა, ვინმე ნაცნობს შეენიშნა და უფრო აეკრა მესერს, მიქვავდა...

ნაბიჯის ხმა მინელდა, მერე, საერთოდ, მიწყდა.

მგზავრს, ეტყობა, არ ეჩქარებოდა და ალიამაც რომ არ მოხედა, ორჯერ მსუბუქად ჩაახველა.

ეცნო:

„ახლა გამიბამს ლაილაის..." — გაბრაზდა ალია, მაგრამ არც მოუხედავს, პირიქით, უფრო მოეჭიდა და მთვრალივით მოეხვია მესერს...

მგზავრი კარის მეზობელი იყო, ალიას კბილა და სკოლის ამხანაგი, ერთ დროს კარგი მეგობრობაც ჰქონდათ. გვაჯი ერქვა. ქალაქის პურის საცხობში მუშაობდა და შინ ყოველთვის ასე გვიან ბრუნდებოდა, ყოველღამ ცხელი, კარგა დაბრაწული, სურნელოვანი პური ჰქონდა აქეთ-იქით ამოღლიავებული და ჩვეულებისამებრ, თავის წვრილშვილში მიეჩქარებოდა.

„ჰმ, ისევ მთვრალია, მამაძაღლი — გაიკვირვა გვაჯიმ, — რა უჭირს, ძმის მკვლელი კი დაუდის ა რ ხ ე ი ნ ა დ, მისი შიშით, მგონი, თვითონ აპირებს აქედან გადაკარგავს ეს საცოდავი!" — აშკარად დაიბოღმა იგი და პურები ცალ ხელში გადაიტანა, შეიკავა, თავისუფალი მკლავი კი გააქან-გამოაქანა, დაასვენა და ბუზღუნით გაშორდა.

მოგვიანებით, გვაჯის ფეხის ხმა რომ მიწყდა და თითქოს ერთიორად გამძაფრდა სიჩუმეც, ახლახან ბნელსშერწყმულ ბავშვობის მეგობარს მოხედა ალიამ და ორივეზე — საკუთარ თავზეც და გვაჯის საქციელზეც გული საშინლად დასწყდა...

. . . . . .

ყავახანას მოახლოებოდა.

„აქ რამ მომიყვანაო," გაიფიქრა და მიიხედ-მოიხედა.

ყავახანა დაკეტილი იყო; არც ნაცნობი ლოთები და არც ყავახანის მკვიდრი პენსიონერები ჩანდნენ სადმე და, რა ადრე ყოფილაო, გაუკვირდა.

ზღვას გახედა; დილის მზით გალაჟლაჟებული სილურჯე და ჰაერის სინოტივე საოცრად ეამა.

...მის წინ ჭადრების ხეივანი იყო, რომელიც სანაპიროს ფართო, მოედანივით ქუჩას ორად ჰყოფდა და, ცოტა ხნით შევალო, გადაწყვიტა.

მერხზე ჩამოჯდა.

გაღმა, ჭადრებს შორის, ანოს საიუველირო მაღაზია მოჩანდა.

მაღაზია, ეტყობა, ღია იყო. იქვე შესასვლელთან, ვიღაცას მარცხენა კარმოღებული თეთრი „ფიატი" დაეყენებინა.

„ფიატი" ეცნაურა და წამოდგა, სწრაფად გავიდა ქუჩაში.

ოცი-ოცდახუთი ნაბიჯიც არ გაევლო, რომ მიხვდა, ვისიც იყო ავტომობილი და შეჩერდა. მოულოდნელმა ელდამ გააშეშა, მერე გულიც ძალუმად დაუჭაჩა ქვევით რაღაცამ და — ხელებით თუ მისდიაო — გულ-მკერდზე მოიფათურა სასწრაფოდ თითები, ფერდებზე ჩაიყოლა და ჩაისრიალა... კი, ძმის სისხლიანი პერანგი უკვე ეცვა, რასაც უფრო და უფრო გრძნობდა, უჭერდა, ხორკლებს აყრიდა ტანზე და სუნთქვას უკავებდა, მაგრამ...

არადა, აგერ ჰყავდა ბონძი, რამდენიმე ნაბიჯს იქით, ანოს მაღაზიაში და, თუ რაიმეს ჩამდენი და გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკეთებელი იყო, უკეთეს შემთხვევას ვერსად იპოვნიდა. აქ უკან დახევა და თავჩაქინდრული ჩავლა ნიშნავდა იმას, განზრახვაზე საერთოდ უნდა აეღო ხელი, შეჰგუებოდა ყველაფერს მშვიდად. უფრო მეტი: ხვალ, ზეგ, მთელი სიცოცხლეც, თვითონ უნდა აევლო ბონძისთვის გვერდი, იმაზეც უნდა ეზრუნა, არიქა, სადმე არ შემეჩეხოსო!.. ამიტომ ყველაფერი უნდა ეღონა, რომ როგორმე... თუმცა, ეგეც ხომ იცოდა: რას გახდებოდა ალია ბონძისთან უიარაღოდ! უბრალო ჯაყვაც რომ არ ედო ჯიბეში!

„ბონძი იყო წუხელ ჩემთან...“ — ბარონის ნათქვამი გაახსენდა და უფრო შეკრთა, მერე იქაურობა მოჩხრიკა თვალით... ქუჩაც ისე საგულდაგულოდ იყო დაგვილი და გადარეცხილი, რომ კენჭსაც ვერსად იპოვნიდი.

— „შენი დედა, ბარონ!..“ — კბილებში გამოსცრა, როგორც კი ისევ უკან, ხეივანში გამობრუნება დააპირა. მაგრამ სანამ ნაბიჯს გადადგამდა, ერთიც მიმოიხედა — ვინმე ხომ არ მხედავსო. ქუჩაში არავინ ჩანდა და, თითქოს ახალი სასუნთქი მილი გაეხსნაო, შვებით ამოისუნთქა... უცებ იპოვა გულიც, გათავისუფლდა. მაინც ვერ დასძრა ნაბიჯი, ნაადრევი აღმოჩნდა ის უცაბედი შვება, საიდანღაც მკაცრად უბერავდა, არ ინდობდა ეშმას თვალივით ფხიზელი, მკაცრი და უკვე ბეჭებშუა გაწოწილი და სხეულდამრღვევი მზერა...

ხეივანს გახედა...

მართლაც, სადაც თვითონ იჯდა მარხზე ოთხი-ხუთიოდე წუთის წინ, იქ ვიღაცები იდგნენ და აქეთ იმზირებოდნენ.

ისინი სამნი იყვნენ; სამივე ფეხზე იდგა, თან, რატომღაც, ალიასკენ იყურებოდნენ დაჟინებით და: ჩემთან რა უნდათ ან, ასე უცებ საიდან გაჩნდნენ აქ, საერთოდ, ხომ არ მეჩვენებაო, გაუელვა და შეშფოთებულმა სახეზე მოისვა ხელი, თვალები მუჭით ამოიჟღლიმა...

არ ეჩვენებოდა არაფერი. არც რაიმე ცნობა უნდოდა ხმელ, ჭაღარა, ასთენიური აღნაგობის კაცს...

ეს ხომ ბ ა რ ო ნ ი იყო!

ბარონის დანახვა არ გაჰკვირვებია იმდენად, რამდენადაც ჯოჯი რომ ედგა გვერდით, ამან გააოცა. კი, ჯოჯი იყო ნამდვილად! ის მესამეც ეცნო, ოღონდ მისი სახელი ვეღარ გაიხსენა.

მაინც, რატომ და რისთვის უმზერდნენ ასე დაჟინებით, ბოლოს და ბოლოს ასეთს რას მოითხოვდა მისგან ეს ხალხი?

კი, ამ რამდენიმე დღის წინ, ბიჭებმა უთხრეს გარაჟში ალიას, ჯოჯიმ და ბონძიმ იჩხუბეს ერთმანეთში და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენო! მერე რა? მისი აზრით, ეს ასეც უნდა მომხდარიყო! წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი ჯოჯის გუჯასადმი ძმობასა და უსაზღვრო ერთგულებაში... მართალია, ასეთი ხმაც დაირხა ქალაქში, თითქოს ციხიდან ახალგამოსული ბონძი ბიჭებისგან ითხოვდა რაღაც „წილს“, სხვათა შორის, არც ისე უმნიშვნელო თანხას, რაზედაც ჯერ კიდევ მაშინ, ამ თორმეტი წლის წინ ეთქვა უარი. უარისთვის სცემა თურმე გუჯამ ის, მან კიდევ ორი ტყვიით უპასუხა... ასე რომ, ბონძი დღეს გუჯას მეგობრებს ემართლებოდა იმ ფულს, ზოგზოგებს კიდევ — სახელსა და „ძველ ბიჭობაში“ ეცილებოდა... ეს ყველაფერი გაეგო, თავისი ყურით მოესმინა, მაგრამ მაინც რატომ იყო ჯოჯი ამწუთას აქ, ბარონის გვერდით, ან — თუნდაც მაშინ, რაღაც „წილთან“ დაკავშირებით, მას რა საქმე ჰქონდა, ვეღარ გაერკვია. საერთოდ, რა იყო ჭორი ან მართალი, რომელი ერთი გააგებინებდა ალიას.

„ჭორს ნუ აჰყვები, ბაბაია, — უთხრა ერთხელ თადა ბაბუამ. — ჭორს თუ მისდიე, გაგაგიჟებს, ან — ყურის ბიბილოებს გაგიცვეთსო...“

მერე რა, რომ ბონძის სასამართლოს წინა ღამით მოვიდა ჯოჯი ალიასთან და ბალიშქვეშ რევოლვერი შეუცურა (თითქოს ის სხვა იყო, ხოლო ამწუთას, ბარონის გვერდით დგომა — სხვა!)?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მან არ უნდა იცოცხლოს, მან არ...“ — თითქოს ამ აბეზარი ფიქრის მოცილება უნდაო, მათკენ ზურგით შეტრიალდა.

ის მესამე მაინც რომ ვერ გაიხსენა!

ანოს საიუველირო მაღაზიას გალანტერეა ემეზობლებოდა, მათ — კავშირგაბმულობის ორსართულიანი შენობა, რომლის კიბის ქვეშ მეწაღე ხელოსნობდა.

მთელი სხეული დაძაბვოდა და დასჭიმვოდა, მკლავებიც საყრდენგამოცლილი კაკივით გან-გან გაქცეოდა და გაფარჩხული თითების მუშტად შეკვრა კარგა ხანს გაუჭირდა... უცებ — ბეჭებშუა გაწოწილი ხანჯლის მოცილება თუ უნდაო — მხრები მაღლა აიქნია, მერე, თითქოს ვიღაცამ მხარზეც უბიძგა და წინ გააგდო, წავიდა სწრაფად, მიუხედავად, მტკიცე, ურყევი ნაბიჯებით გადაჭრა ქუჩა და კავშირგაბმულობის სადარბაზოში შევარდა...

კარში ჯიქურ შემოსულ ალიას ჭალარა, ბიღაულვაშებიანმა აისორმა ამოხედა. არც შეუხედავს მისთვის; დაბალი და ფართო მაგიდის ერთ კუთხეში სიგრძის მიხედვით ჩამწკრივებულ დანებს ჰკიდა თვალი და, ერთს, გრძელპირიანს და ყველაზე პრიალას სტაცა ხელი, მაგრადაც ჩაბღუჯა...

მეწაღე შეცბა... შავი და ლანჩაარღვეული ფეხსაცმელი მკერდზე უნებურად მიიხუტა და უკან წელგადავარდნილმა — დიდი, კრიალა, გაოცებული, შიშჩამდგარი თვალები მიაპყრო მოულოდნელ სტუმარს, პირიც დააფჩინა, მაგრამ, სანამ რაიმეს მოისაზრებდა, ალიაც კარში გასხლტა...

მაღაზიას რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, მერე დანიანი ხელი ზეაწია და ისე უცნაურად გააქნია, ვერ გაიგებდით — ხეივანში მდგომთ დაანახვა დანა თუ ჰაერს ჯვარი გადასახაო, და ღია კარშიც სხარტად ჩადგა.

მისგან ზურგშექცევით იდგა ბონძი, ცალი იდაყვით ვიტრინის მინას მსუბუქად დაყრდნობოდა და ანოს ესაუბრებოდა...

დანა ზურგს უკან ჰქონდა დამალული, მაგრამ დაინახა თუ არა ანომ იგი, საოცრად დაფრთხა, თვალებში გაოცება და შიში ჩაუდგა, გაუფართოვდა, დაუმრგვალდა... ალიამ (თავის მოკავშირედ თვლიდა მას ჯერ კიდევ, თუ — ორიოდე წამის მოგებას ლამობდა, მოხედვა რომ არ ეცლია ბონძისთვის... ანდა, სამტროდ არა ვარ მოსულიო, ეს უნდა ეგრძნობებინა ქალისთვის) გაუღიმა, უფრო სწორად, ცხენივით უშნოდ გადმოუყარა კბილები, დაეკრიჭა, მერე მარჯვენა შემართა, მეორე ხელიც შეაშველა დანას და იღრიალა... ისკუპა ისე თავგანწირვით, უფსკრულში თუ ეშვებაო (გადარჩენის შანსი რომ არა აქვს, არც უკან დასახევი, მხოლოდ ერთადერთი რამ დარჩენია: რაც შეიძლება ზუსტი გამოუვიდეს ნახტომი, გმირივით უნდა დაიმსხვრეს და დაილეწოს ათასი თვალის სასეიროდ, გასაოცებლად, საამებლადაც!) და, საშინელი ძალით დააცხრა ბონძის, თან ორივე ხელით ჩასცა დანა კისერში... მსხვერპლმა მოხედვაც ვერ მოასწრო. თითქოს არც უცდია, უბრალოდ, მის დაცხრომამდე რაღაც წამით მარცხენა მხარი ოდნავ შეატოკა, ქალის უცაბედი შეშფოთებისათვის გულგრილი მზერა რომ გაეყოლებინა...

იფეთქა სისხლმა და კისერი წამშიც შემორკალა, ასე უცებ გაუვარდისფერდა ფართოდ ბეჭებშუა თეთრი მიტკლის პერანგიც...

მაინც არ დაცემულა ბონძი, მუხლი ჩაეღუნა მხოლოდ, ჩაეკეცა და ისევ უცბად გაიმართა. მხრებმოხრილი და ვიტრინას ხელებგაბარჯღულად დაყრდნობილი, თავჩაკიდული და მკერდს ნიკაპმიბჯენილი იდგა იგი. უცებ ცალი ხელი გაითავისუფლა, ნიკაპქვეშ ამოიდო, თავი აიმართა, თითქოს ყელი ქალს სავედრებლად უნდა გადაუწიოსო და თვალებში მიაშტერდა...

ანომ შეჰკივლა და უკან, სარკიან კედელს მიასკდა, მერე პირზე აიფარა ორივე ხელი, იფიქრებდით, შეკივლებაზე უხდის ბოდიშს ერთს ან მეორესო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამჯერად ბეჭებშუა მოუნაცვლა ალიამ დანა...

მერე მესამედაც ჩასცა...

როგორც დანა იყო მჩატე, ისე ბონძის ვეება, ბეჭგანიერი სხეული — წარმოუდგენლად თონთლო და რბილი აღმოჩნდა; ილეოდა დანა, ილეოდა ბოლომდე, უფრო სწორად, იქამდე, სანამ ერთმანეთს მჭიდროდ გადაწნული მუჭი უშვებდა... საერთოდ, რა იოლი და მსუბუქი აღმოჩნდა ყოველივე ეს! არაფერი უკვირდა, არც აშინებდა და ამან — ასე რა მაკანკალებდაო — უფრო გააცოფა.

მალე გატყდა ბონძი, წაუჩოქა... ვიტრინას მაინც აღარ ეშვებოდა, ძგიდეს უღონოდ ჩაბღაუჭებოდა, უკან მოხედვა კი, საერთოდ, აკრძალული აქვსო, არც ცდილობდა. ერთხელ არ გაუტოკებია (იატომღაც თავი, თითქოს არ უნდა დაენახა ის, ვინც მხრებზე ასე გააფთრებით დასცხრომოდა... იქნებ იმისი შიში ჰქონდა, მკვლელის ხატი მოკლულის თვალებში რჩებაო, ბავშვობაში რომ გაეგონა, ანდა, ცოდვილი იყო და, თუ არა ასე თვინიერად და ამტანობით, სხვანაირად ვერ გამოისყიდდა იმ უსაჭილლეს დანაშაულს... ესეც რომ არა, რას მოუტანდა აწი უკან მოხედვა? კი, კიდევ ერთხელ, დაჩოქილმაც ამოიბრუნა მზერა: განწირული, ეჭვიანი, მაგრამ მაინც უტეხი და მტკიცე: ისევ ანოსთვის შეეხედა, ის ჩარჩენოდა თვალებში, ალბათ, სამუდამოდ, და არა მის წარმოდგენაში ერთი საწყალი და უსუსური ალია...

ჯერ ერთი ხელი ჩამოუცურდა და იატაკი მოფხოჭა უღონოდ, მერე — მეორე და ჩაშვავდა: საბოლოოდ გამტყდარი, გაფითრებული, სულთმობრძავი, მაგრამ ჯიუტად პირმოკუმული, თითქოს პირზე ბუშტ-ბუშტად მომდგარ სისხლს არ ეფეთქა, ხორხშივე ჩაეწყვიტა ყრუ ხრიალიც, სული ჯერ კიდევ შეეკავებინა...

ბონძი უგონოდ გაიშხლართა.

. . . . .

ალია ქუჩაში გამოვარდა...

სისხლით იყო ერთიანად მოთხვრილი...

მზიანი დარი იდგა.

ქუჩა კი ჯერაც ცარიელი იყო.

მზე მაინც მზეობდა, ისე მომაჯადოებლად ასხივოსნებდა გარემოს, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო.

ქუჩის საათზე კვლავ ა თ ი სრულდებოდა...

ალია შედგა, ისევ ორივე ხელით ჩაბღუჯა დანა და ჭადრების ხეივნისკენ გაიწვდინა, მერე იყვირა, იღრიალა რაღაც საშინელი ხმით, რომ გაეგონებინა და მათთვის დაენახვებინა — მზეზე ათასფრად მოლაპლაპე სისხლიანი დანა...

ხეივანი ცარიელი იყო...

მიიხედ-მოიხედა უაზროდ, მერე, თვალები ხომ არ მატყუებსო, კვლავ იმ ადგილს პირდაფჩენილი წინ გადაზნექილი მიაჩერდა. მართლაც ვერაფერი გაიგო; ხან მარჯვნივ გადაიხარა და ხან — მარცხნივ, ნაბიჯითაც უკან დაიხია, უფრო გულდასმით რომ მოეჩხრიკა ხეივანი...

მაინც სად იყვნენ?!

იქნებ, არც კი ყოფილან ისინი? უბრალოდ, რაღაც მოეჩვენა, ვიღაცები იდგნენ და დაჟინებით უყურებდნენ? მოტყუვდა?..

საერთოდ, სიზმარში ხომ არ იყო?

ხელები თვალებთან მიიტანა...

სისხლიანი რომ ჰქონდა?!

დანაზეც რომ ეცხო სისხლი?

მისი სუნიც რომ სცემდა?!

არა... ხომ ეცნო ბარონი, ჯოჯიც (ის მესამე უკვე არც ახსოვდა)... აგერ ოცდაათიოდე ნაბიჯს იქით, რამდენიმე წუთის წინ თვითონ რომ იჯდა ხეივანში, ამ ადგილას სამნი ხომ იდგნენ და დაჟინებით უყურებდნენ...

იდგა განცვიფრებული და გამშრალი, დაბნეული და სასაცილოდ მხრებაყრილი, სატირლად გამზადებული, გაწბილებული ბალღივით...

მერე გვიან, მძიმედ და წამებით მოვიდა გონს, თითქოს ღალატის სუნიც ეცა, ზამბარასავით შეკუმშა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლად გამწარდა... უცებ ისეთი გრძნობაც დაეუფლა, ბარონს (იქნებ, სამივეს, ან უფრო მეტს!) მოეთრიოს იგი აქ თვალებახვეული და ხელებგაკოჭილი, ეს სისხლიანი დანა — შენი თავისუფლება ამაში თუ არისო — შემოეჩეჩებინოს ხელში და სადღაც გამქრალიყოს...

მაინც, სად?!

ასე უცებ სად უნდა გამქრალიყო?! ეს ხომ?!.

ჯოჯიმაც რომ არ დაინდო?!

ჯოჯის ერთგულების თითქოს ახლაც სწამდა, და მაინც: ამ დილით რომ ვერ შენიშნა ჯოჯიმ?! არა, ზურგი რატომ შემოაქცია?!

უეცრად მოსწყდა ადგილს...

გიჟს ჰგავდა.... დანიან ხელს ღრიალით მიიქნევდა ჰაერში...

ქუჩა გადაირბინა და ხეივნის გასწვრივ, ტროტუარზე გაიქცა...

თითქოს ხე გამოუხტაო საიდანღაც, სასწაულად ასცდა ხეს გვერდზე გადაქანებული და მკლავაფარებული. წამით შედგა და გამოუხედა, მერე დანა უაზროდ მოიქნია და ისევ გავარდა...

არა, უკვე იმისთვის არ გარბოდა, სისხლიანი დანა რომ ეჩვენებინა ვინმესთვის. სხვა და, უფრო დიდი რამ აწუხებდა, გულგვამს უფორიაქებდა ის რაღაცა, უფლეთდა შიგანს და ამიტომაც გარბოდა ასე გახელებით.

ბარონი უნდა ეპოვნა. ეპოვნა, რაც შეიძლება ჩქარა და დაუყოვნებლივ. მზად იყო, ჯოჯოხეთშიაც ჩაჰყოლოდა, ოღონდაც სადმე მოეხელთა. თუმცა, უკვე ისედაც იდგა ჯოჯოხეთში, ეშმაკის ფარეში იყო და მისი კერძიც, კაენის ტყუპისცალიც და, სანამ არ გალღვებოდა სხეულში შხამი, სული — აწეწილი და აბობოქრებული არ დაუწყნარდებოდა, მანამდე უნდა ეძია შ ურ ი...

„ის... ის უნდა მოვკლა!“

ბონძიზე არანაკლებ სძულდა ახლა ის (იქნებ უფრო მეტადაც!), სისხლიანი დანა ხელახლა, უფრო დამპალი და ჩირქიანი სისხლით უნდა გადაეღება! არ აშინებდა არაფერი! უფრო მეტიც: არც არასოდეს შინებია! არ ეშინოდა იმიტომ რომ, ასე აშკარად გრძნობდა იმ ერთს და მთავარს: რა მოვალეობაც ჰქონდა ბარონს ნაკისრი! და არა მარტო გუშინ, გუშინწინ, დღეს — დაბარებულივით რომ გამოეცხადა ჭადრების ხეივანში, — არამედ, საერთოდ, დ ა ს ა ბ ა მ ი დ ა ნ!

სირენის ხმა გაისმა...

შეკრთა და ხეივანში შევარდა...

ჭადრებს შორის, ხვინჭანარევ ქვიშაში გაიქცა...

ხეივნის სიცარიელემ თუ შეაკრთოო, უცებ მოტრიალდა და ისევ უკან გამოიქცა...

მის შესახვედრად მწვანეფორმიანი, ზონზროხა კაცი გამორბოდა და — ამას რა უნდაო — განზე სწრაფად გახტა, გაუსხლტა... ასე მსუბუქად რომ დაუძვრა მილიციელს, გაუხარდა, მერე, რაღაც არაადამიანურად გადაიხარხარა და კვლავ გავარდა...

არა! არ დანებდებოდა არავის, სანამ არ იპოვნიდა ბარონს და არ (ამდენს ვერ ხვდებოდა, რომ არც ისე იოლი იყო ბარონის პოვნა)...

უცებ ყავახანა გაახსენდა...

„მ ო ვ კ ლ ა ვ!“ — იღრიალა და ყავახანის მიმართულებით გაიქცა...

— ალია!

გარკვევით ჩაესმა.

წამით შეყოვნდა და გამოხედა.

ის ნაცნობი მილიციელი იყო, წუხელ და ამ დილით მოტოციკლით რომ შეხვდა.

ერთი შენ მაკლდიო! დანიანი ხელი უდიერად აუქნია და მოკლეზე რომ მოეჭრა, როგორმე შეესწრო ყავახანაში, ხეივნის გასწვრივ, ევკალიპტის დაბალ ბუჩქების სტეზე მსუბუქად ისკუპა, გადაევლო და... წაფორხილდა, გადაუბრუნდა მარჯვენა ფეხი, ცალი მუხლით შეეხო ტროტუარის ასფალტს და, რომ არ დაცემულიყო, მარჯვენა ხელი შეაშველა.

ვერ შეიკავა თავი და წაიქცა...

მწვავე ჩხვლეტა იგრძნო მუცლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არეში, ისე მწვავე და მოულოდნელი — დედაო, — აღმოხდა...

. . . . . .

თავი წამოსწია და ყავახანისკენ გაიხედა...

ისე საწყალი, გაკვირვებული, დაბნეული მზერა ჰქონდა, იფიქრებდით, ყავახანაში რომ ველარ შეასწრო, იმას თუ ნაღვლობსო.

მუხლი სიმწრით გაშალა, მერე უფრო მოხერხებულად მოიკეცა და ზურგიც გაიმართა.

დანის შავტყავგადაკრული ტარი გამოუჩნდა...

მარჯვენა ხელი გაშალა და დახედა, თითებიც გაფარჩხა და დაატრიალა...

არა, არ შეშინებია, რომ დაჭრილი იყო, შეიძლება, სასიკვდილოდაც, მაგრამ ამის ფიქრისა და განსჯის თავი სად ჰქონდა... უბრალოდ, გაუკვირდა, ეს რა მომივიდაო.

სისხლს გამოეყონა პერანგიდან და ორ წვრილ ზოლად ჩაჰყოლოდა...

მერე ყელში მოაწვა რაღაცა, ყანყრატო ამოუშრო, ამოუხაფა...

ხელი ხელს ამოაფარა და პეშვი დანის ტარქვემოთ ფრთხილად შეიცურა, იფიქრებდით, სისხლი თუ ენანება ასფალტზე დასაღვრელადო.

საიდანღაც ზმუილისმაგვარი ხმა ჩაესმა და თვალები შიშით მიმოაცეცა...

მოტყუვდა.

კვლავ ჩაესმა და, მიხვდა, საკუთარ ხმას ისმენდა, პირმოკუმული კაცისას, ზრინვა შიგნით, სხეულში რომ ატყდომოდა...

მალე ისინიც მოვიდნენ...

ყველაზე ახლოს ის ნაცნობი მილიციელი (წუთი-წუთნახევრის წინ — ალიაო — რომ დაუძახა) და ბიღაულვაშებიანი ჭაღარა მეწაღე იდგა.

ბაგე ოდნავ გახსნა და ჯერ ერთს, მერე — მეორეს მკრთალად გაუღიმა...

„ძალით მოაკვლევინა თავი ი მ...“

თქვა ვიღაცამ და ბილწად შეიგინა.

„მ ო ა კ ვ ლ ე ვ ი ნ ე ს!..“

უცებ მოსჭრა მეორემ.

ამ უკანასკნელს გამოხედა.

არ ეცნო.

მალე თეთრხალათიანებიც გამოჩდნენ.

უკვე აფთარივით ჩაძვრომოდა რაღაცა მუცელში, ნაწლავები დასაფლეთად რომ გადაუხლართა ერთმანეთს და მოიზღარბა, მერე სახეებიც აერია; უკუიქცნენ, გაუჩინარდნენ თანდათან ისინი... არც ბარონი ახსოვდა ახლა და არც ბონძი, არც ძმის პერანგი აწუხებდა, არ უსუსხავდა ტანს, ჩვეულებრივ, და არც ავადმყოფი, მოხუცი დედის ხატება ედგა თვალწინ... არც იმ უცნობი კაცის დაჩივლებას გაევლო ღრმად გულში — მოაკვლევინესო, რომ თქვა და — ნათქვამმა თვალი თუ აუხილაო — ერთიორად შესძრა და შეაკრეჭოლა...

მარჯვენა ფეხი გაატოკა, უღონოდ გაუსვა ასფალტს, დაჭიმა...

წამით გონს მოეგო, მოიხედა საწყალად და გაოცებულმა, მკერდიც წინ წაიგდო როგორღაც, იდაყვებსდაყრდნობილმა...

შავი და ქამრამდე ჩახსნილი, მხრებამდე გადაფლაშული პერანგის შიგნით, რაღაც უფერული და დაძენძილი, ბონძის თუ საკუთარი სისხლით ხელახლა გადაღებილი, სახელოჩაკეცილი გუჯას პერანგი გამოუჩნდა...

საკაცეზე რომ დააწვინეს ფერი ისევ ეცვალა; სახე გაულურჯდა, შუბლზეც ცერისსიმსხო ოფლის წვეთები დაასხდნენ...

და, კვლავ საოცრად გაზრდილი, ჭრელი და გაკვირვებული, მახინჯი სახეების წყებაც შემოეფეთა, უფრო და უფრო რომ მჭიდროვდებოდნენ და მისკენ მოიწევდნენ...

საკაცე წამოსწიეს...

ისევ მოეშვა; მუცელში აფთარივით შემძვრალი და ჩახვეული ტკივილი გაუქრა, გალღვა სხეულში, ანდა ფეხის ფრჩხილებიდან გაიპარა, წამით გათავისუფლდა და ცას მოწყალებით ახედა.

ღრუბლის ორი ფთილაღა იყო ცაზე და, როგორც მწყურვალმა, წყლით სავსე ს ა თ ლ ი რომ დაინახა, გამშრალი, დახეთქილი ტუჩები მოილოკა...

მერე ის ღრუბლის ფთილებიც გამკრთალდნენ, გაიცრიცნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია ჭავჭავაძე

სალბუნი

მე მომაქვს შენთვის ჩემი ნაზი
/ საგალობელი,
ვით სხივი მზისა
ან დედოსპური
და სიმშვიდე მინდვრის შრიალის,
მომაქვს სალბუნი შენი მძაფრი
ტკივილებისთვის,
ადამიანო...

●

ვინ არის, ვინაც ბნელ ღამეში მე არ
მაძინებს,
მეძახის, მარად მეჩურჩულება,
არცა კაცია,
არც მხმობელი ვერაგი ვინმე,
არც თრიმლის ბუჩქი, არცა შველი და
არც შენა ხარ,
ვინ არის იგი, ნეტავ, ნეტავ, ვინ არის
იგი?

— კვლავ იგალობე,
მეჩურჩულება,
ხანაც მიბრძანებს,
ხან მევედრება,
— კვლავ იგალობე,
მეჩურჩულება,
ვინა არის ნეტავ,
ნეტავ, ვინ არის?
— გახსენ ეგ სული,
გახსენ ეგ სული,
გახსენ ეგ სული,
გახსენი-მეთქი,
ნეტავ, ვინ არის,
ნეტავ ვინ არის
ასე შმაგად რომ
მეჩურჩულება,
ასე ნაზად რომ
მეჩურჩულება,
ვინ არის ნეტავ,
ნეტავ, ვინ არის
მარადიულად,
მზისკენ რომ მიხმობს...

გაბრიელ ბაჩულაშვილის გახსენება

ჩამოიარა მან ჩვენს სულებში,
მოჰყვა ნათელი და გაგვაბრწყინა...
...ახლა კი ბეჩო აფარია მის ჩუმ სამარეს,
ზემო ალვანის მთათა ბეჩო,
გახსოვს შენ, ნიკო, გახსოვთ დალი, აჩიკო, თაზო,
როგორ დავტოვეთ ძვირფასი კაცი,
ივნისის მეწამულ დაისში,
ოდეს თურსაის დაწყვეტილ მძივებს,
დაეცა შენი წვიმები, მზია.
... შორეთისაკენ ვიმზირებით, შორეთისაკენ,
რაა იქ ნეტავ? ფოთლოვანი? ღრუბელი თუ სიცისფრე ნაზი?
იქ, სადაც სული მშვენიერი გაფრინდა ერთხელ,
დაისის დამლევს, მიმწუხრის ჟამს სხივად რომ იქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... ჩამოიარა მან ჩვენს სულებში,
ცრემლივით წმიდამ და გაგვაბრწყინა.
მოკვდა გაბრიელ ბაჩულაშვილი,
კაცთაგანი დედამიწაზე,
დალაი.

აპრილის დილა მცხეთაში

გაზაფხულია და აპრილი — ბულბულთა მეკვლე,
ატმის ყვავილებს ეფერება და იბნევს გულზე,
გაზაფხულია, სვეტიცხოვლის ზარები რეკენ,
გაზაფხულია — საქართველოს ფეხმძიმეს ვუმზერ.

შვილი ეკლიან გზაზე

მიტოვებული ბნელში სანთური მოვიხილე ერთ შუაღამეს, შემომევედრა — არ დამტოვოო. გამოფრთხიალდა სანთურიდან უეცრად ლექსი. გულს მივიხუტე მე დიდი ხნის უნახავი შვილივით იგი:

ვერ შეგელიე, ვერა
კეთილი ხარ და ნათელი,
გაოცებული თვალებით
ისევ ალერსით მიმზერ,

შენ, მაცდურო და ტკბილო,
ისევ მაცოცხლებ, მკლავ,
ლექსო, შენ, ჩემო შვილო
კვლავ იგალობე, კვლავ.

ო, რომ იცოდე, რა ეკლიან გზებზე გაივლი, ვიდრე შეხვდები სულს, რომელიც შენ გელოდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსო ბერიძე

●

შენ — შენი გზით.
მე — ჩემი გზით,
როგორც დღეიდან,
წალმა მევლოს:
შრომით,
ბრძოლით,
ოფლით,
სისხლით,
საქართველოს სასახელოდ.
ეს გზა გამიფიანდაზეთ,
მხარზე მტრედი დამაფრინდა.
აქ მოვკვდები,
ამ მიწაზე,
აბა, მეტი რალა მინდა!..

შენ — შენი გზით.
მე — ჩემი გზით...

●

ლურჯ-
თეთრ-
ყვითელ-
წითელ მინდორს
წვიმამ გადაუარაო,
ყვავილებში ვდგავარ,
ვფიქრობ, —
სიზმარია თუ არაო..
— კნაჭა გოგო, ფეხშიშველა,
კაბა აიკაპიწეო!...
— მომარიდე, ბიჭო, მზერა,
ეგ თვალები, სამიწეო...
მიაკრულა,
მიაწყევლა, —
ისე, გულით კი არაო.
ხევ-ხევ,
სერ-სერ,
ჭალა-მინდორ
წვიმამ გადაიარაო...

ჩარგლის გზა

არაგვის კლდეღარებს მივყვები
ბორძიკით,
არწივმა ცისპირას კამარა მოზომა,
ეშხშია შესული ჩხიკვების ქორწილი,
ტყე გადამთვრალია თაფლით და
ოზონით.
გზად კიდევ მოცვია, სოკო და ასკილი,
სიმაღლე მაბრუებს და მალაპარაკებს,
მოლურჯო ჰაერით და მწვანე
მანძილით
ძლეული მივყვები არაგვის წარაფებს...

●

გესმის ძახილი ცასავით შორი,
ერთი ფერმკრთალი გულია ბიჭის.
აცახცახდები ფოთოლი წნორის,
ჩასცქერი ჩქერს და ნაწნავებს იჭრი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიკა ალექსიძე

ოტლე

„ჰაბუკი ერთ აღგილზე იდგა და გარბოდა".
ოტია პაჭკორია

ქალაქი სადღაც მიიპარებოდა, ნაწვიმარი, სადა, უხმაურო.... ძველი ქალაქი, რომელსაც, ღმერთმა უწყის, როდისღა დასჭირდებოდა კიდევ გიო.

ანადა წვიმდა... ყველაფერი ისე იყო, როგორც წინათ... იგივე სახეები, იგივე ლუდხანა და ლუდი, იგივე მტკვარი.

წვიმაში ყოველთვის დაფერდებული ჩანდა ქალაქი, ცერად დაქანებული, ამიტომ, როცა შემოდგომობით აბოლდებოდა ნისლი, ფაიფურივით მყიფე ხდებოდა სივრცე და სადღაც მეტეხის ძირში მქრქალ კონტურებად იყუყებოდა. ასე იქმნებოდა გიორგობისთვობას მინიატურული ქალაქი, რომელიც თითქოს მუყაოსაგან რუდუნებით გამოეჭრათ ზუსტად იმხელა, ხელისგულზე რომ დატეულიყო.

გიოს კი დიდი, თბილი და ღონიერი ხელები ჰქონდა...

ავდრობისას ლუდხანა პატარა წყალქვეშა სამყაროს ჰგავდა, უცნაურად გულგრილი იყო ყოველივე იმის მიმართ, რაც შემინულ ფანჯრებს მიღმა ხდებოდა, არაფერი ეხებოდა მას, თავისთვის ჩაჩუმქრულიყო ქუჩებში ატბორილ ნიაღვრებსა, მანქანების ხმაურსა და ფეხების თქარათქურს ქვემოთ. სამაგიეროდ თბილოდა იქ, გამუდმებით ირწეოდა თაღთან თამბაქოს კვამლისგან აბოლქვილი ღრუბელი, ისხმებოდა ხის მაღალ კათხებში ცივი, ქაფმოდებული ლუდი... და ამ წყალქვეშა, ბაცად განათებულ ბურუსში მორიალე სილუეტები რაღაცით მაინც ერთმანეთს ჰგავდნენ... ეს იდუმალი თვისებაც შერჩენოდა ლუდხანას — ორი კაცი, რომელთაც არავითარი მსგავსება არ გააჩნდათ ქუჩაში, ახლა ქვევით სულ რაღაც ექვსი საფეხურის ჩავლის შემდეგ თითქმის აღარაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, უფრო მეტიც, ნახევარ საათში უმტკივნეულოდ შეეძლოთ თავიანთი იერი და გამომეტყველებაც გაეცვალათ.

გიომ კარგად იცოდა, რომ აქ არავინ იყო უცხო, ყველანი დიდი ხანია იცნობდნენ ერთმანეთს.

ფანჯრებს იქით კი მანქანებისაგან აშხეფებული ქუჩის ხმაური ისმოდა განუწყვეტლად. ხანდახან ვიღაც ჩაივლიდა ახლოს და მღვრიე, მოქუფრულ ცის ფონზე ვიღაცის ფეხებს მოჰკრავდა გიო თვალს, ხშირად მშვენიერ ფეხებს... იმ ვიღაცას, რა თქმა უნდა, წარმოდგენა არ გააჩნდა, რომ თავისი თუნდაც მშვენიერი ფეხებით ერთი სულ უცნობი კაცისთვის ფარავდა ცას, ან უბრალოდ დაურიდებლად აბიჯებდა ფეხს ზეცის იმ პატარა ნაგლეჯს, რომელიც ქვევიდან მოჩანდა, აბიჯებდა და წვიმის ცხაურში მოქცეული, ლეგა სივრცეს გამოკიდული, მიუყვებოდა თავის გზას.

ასე ხდებოდა მუდამ, როცა ძალიან წვიმდა...

ქალაქი თავისი ქუჩებით, სახლებით, ელექტრონის ბოძებით, ლამპიონებით, თავისი მეტეხითა და მტკვრით ამობრუნებული ჩანდა, მაღლიდან ჩამოპირქვავებული, მით უმეტეს, ცაზე თავდაყირა დაკიდული ლამპიონების შუქზე,

საკმაოდ შორს ირეკლებოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა გიოს, რომ ქალაქსაც, გაუხედნავი კვიცივით ურჩს, მოსწყინდებოდა ხოლმე ასე ერთ მდგომარეობაში ყოფნა, გაჭენდებოდა თქორში და აყირავდებოდა...

ახლა გიო ვეღარ ხედავდა ყოველივე ამას, თითქოს მართლაც არ იყო არაფერი ამ შუშებს იქით, მხოლოდ მღვრიე ცა, ვიღაცის მოუზომავი ნაბიჯები, ამ ცის ნაგლეჯზე რომ გადადიოდა და მეტი არაფერი... თუ არ ჩათვლიდა წვიმას...

არადა, არ მეგონაო, ისევ დაჟინებით იმეორებდა ვიღაც, არა, ძმობილო, არ მეგონაო.

უკვე მთელი საათია ესმოდა ერთი და იგივე გიოს, ვერადა ვერ მიხვდა, რა უკვირდა ასე შემაძრწუნებლად ამ კაცს. იგრძნო, რომ აღარ უნდა ესმინა... ადრეც მუდამ ასე ემართებოდა, როცა იძულებული იყო, ხანგრძლივი შეგონებებისათვის ესმინა, ანდა, როცა რაიმეს აიძულებდნენ... შეგონებები ვერასოდეს ვერაფერს ცვლიდა... დრო იხარჯებოდა მხოლოდ, დრო, რომელიც შეიძლებოდა რაიმეს ნებაყოფლობითს მოხმარებოდა... ენანებოდა დრო გიოს, გულუბრყვილოდ, ბალღურად ენანებოდა და მაინც, რაც უფრო იზრდებოდა, მით უფრო ვერაფერს უხერხებდა ამ სინანულს... ეტყობა, სინანული მარადიული ჰქონდა... ჰო, გიოს აღარ უნდა ესმინა ახლა, აღარ სჭირდებოდა, მოყირჭებოდა ამდენი ერთი და იგივე... მაინც არაფერი სწყინდა ამ ხალხისაგან, რომელთა სიახლოვესაც მთელი ცხოვრება გაატარა და პატიოსან ხალხადაც სთვლიდა, უბრალოდ იღლებოდა, რადგანაც აზრებს ვერ უყრიდა თავს... თავისი გაჭირვება ჰქონდა, თავისი, ორ კაცს რომ ერთდროულად არ ექნება, სწორედ ისეთი.

კუთხეში ოტლე იჯდა, ბებერი, გაძვალტყავებული, კაფანდარა კაცი. რაღაცით ცხენს აგონებდა ოტლეს იერი, ცხენივით ჩამოგრძელებული სახე ჰქონდა, დიდი, ნაფოტა კბილები, ოდნავ შეწეული, მუდამ ნერწყვიანი ქვედა ტუჩი და, რაც მთავარია, ზურგი — წახრილი, ოღროჩოღრო, ქანცგაცლილი...

ახლაც იჯდა ნაცრისფერ მოსასხამში ჩამძვრალი, გალუმპული, მაგიდაზე იდაყვებით დაყრდნობილი, ჭიქა არაყი ედგა წინ. მისი სახსრებამოყრილი ბეჭები უცნაურად მორკალულიყო, იმ ცხენის კისერივით, ზურგიდან რომ ჩამოიცურებს უხეირო მხედარს.

იჯდა ოტლე — ეს ბებერი კენტავრი, ხუხავდა თავის წილ არაყს და აღარაფერი გაეგებოდა, რა ხდებოდა ირგვლივ. ასე ემართებოდა მუდამ ორი ჭიქის მერე. სახე მიწისფერი უხდებოდა, უფრო უგრძელდებოდა კიდეც, ეძაბებოდა ყბები, და მისი თვალები, გირეკლავდნენ, როგორც ორი გასარკული შუშა.

გიომ იცოდა, რომ ასეთ დროს ოტლე ვეღარც გისმენდა და ვეღარც გხედავდა. მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. არადა გიოს ახლა ძალიან სჭირდებოდა ოტლე, ფხიზელი, ისეთივე გამჭვირვალე, როგორც კარგ დღეებში ახსოვდა... ოტლე კი სდუმდა დაჟინებით, ურჩად, ასე იქნებოდა ალბათ დილამდე, ამასაც ვეღარაფრით შეცვლიდა გიო.

ირგვლივ ყველანი სახეამღვრეულნი ისხდნენ, ყველას უნდოდა რაღაცა ეთქვა, ისე დატყვევებულიყვნენ სურვილისა თუ სიმთვრალისაგან, რომ მხოლოდ ტუჩების წკლაპუნი ისმოდა აქეთ-იქიდან და მათ უაზროდ დაძაბულ სახეებს მხოლოდ გაფანტული ყურადღების კვალიღა შერჩენოდა. ის ერთი ჩასუქებული მელოტი კაცი, რომელიც გიოს პირდაპირ იჯდა, იმედგაცრუებულივით განაგრძობდა კვლავ... არ მეგონაო, იტყოდა და გაქონილ თითებს მაგიდაზე აათამაშებდა.

— შეელიო იმას, რაც გიყვარს, იგივეა, რომ მთელი სიცოცხლე ტყუილში იცხოვრო, — ამოთქვა ბოლოს, — ადრე უფრო მეტი სითამამე მოგდგამდა ალბათ, ადრე, როცა კედელთან მიგაყენეს და გაიძულებდნენ, დაგეთმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრბოლა, როცა იმ სამს თავისუფლად შეიძლებოდა მოეკალი, ჰო, რატომ გიკვირს? შეიძლებოდა, რადგან იმდენი ფული ჰქონდათ სხვა ცხენზე დადებული, არც შენ და არც მე არ ვუღირდით იმ ფასად.

მელოტმა არაყი ჩამოისხა, მერე დახლიდარს ანიშნა, ხელახლა მოეტანა ლუდი, ისევ ნერვულად ააწრიალა თითები მაგიდაზე, — მაშინ შენ მოიგე, მაინც მოიგე, ხომ გახსოვს, როგორ მოიგე, ხომ კარგად გახსოვს.

— მერე? — სადღაც სხეულის სიღრმეში ჩაგუბებული, ჩახლეჩილი ხმა ამოუშვა გიომ.

— მერე? — გაეღიმა მელოტს და იმხელა სევდა იდგა მის ფართოდ გახელილ თაფლისფერ თვალებში, რომ წამით შეშფოთდა გიო. მიხვდა, არაფერი არ უნდა ეთქვა.

ვიღაცის ფეხებმა ისევ ჩაიარა ჩაბურუსებულ ფანჯრებში, ვიღაცამ კიდევ რამდენიმე წამით წაართვა ცის ნაგლეჯი. ოტლე კი იჯდა თავჩაქინდრული და გახელილი თვალებით თვლემდა... სახეზე ოფლგადამსკდარ დახლიდარს მოჰქონდა ლუდი. შორს, გრძლად გაწელილი, თავდაყირა დაკიდულ ლამპიონების შუქზე უფრო და უფრო ამოპირქვავებულიყო ქალაქი, თავისთვის კოტაობდა...

გიოს ვეება ხელები, მომუშტულნი, სუფთა, განიერ მაგიდაზე ისვენებდა, ან უფრო სწორად, მის გაჭიანურებულ მზერას აგრძელებდა. მისი მზერა კი არც იმდენად მოკლე იყო, რომ ცხვირს იქით არა დაენახა რა.

— მით უმეტეს... შენ ხომ მეტი არაფერი შეგიძლია, შენ ერთი საქმისთვის გაჩნდი მხოლოდ, ერთადერთი საქმისთვის... დალიე ლუდი!

გიომ ინსტინქტურად მოიყუდა კათხა, ერიდებოდა მელოტის თვალებიდან დაძრულ სევდიან ზღვაურს. ერიდებოდა და მაინც რაღაცას არ ეთანხმებოდა თითქოს.

არადა, ერთი თვალის შევლებითაც ყველა უმალ შენიშნავდა, რომ გიოს ნაღდად დიდი, თბილი და ღონიერი ხელები ჰქონდა, რომელთაც უცილოდ საქმე უნდა ეკეთებინა, თავისი საქმე.

— მახსოვს, იპოდრომის ჭიშკართან იდგა სახეგაბრწყინებული ოტლე, გაზეთის დიდი პარკიდან მზესუმზირას მიირთმევდა, რომ დამინახა, გამხიარულდა, მგონი აცეკვდა კიდეც. ნეტა რა უხარია-მეთქი, გავიფიქრე, მთვრალი არ ჩანდა, ისე, უსაქმოდ იდგა, როგორც იცოდა ხოლმე, იდგა მთელი დღე ერთ ადგილას სადმე ქალაქში და დაღამებამდე არ იცვლიდა ფეხს. ღმერთმა უწყის, რას ელოდებოდა, ჰოდა რომ გავუსწორდი, უცებ გადმოიხარა და ქირქილით ჩამილაპარაკა: მაინც მოიგო! ეს რომ დაგენახა, გაგიუდებოდი, ფეხებით ისეთ უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა... არავინ არ ველოდით ამას, ვვარაუდობდით მხოლოდ, ამიტომაც არ გამოგექომაგეთ, შენ თვითონ უნდა გადაგეწყვიტა ის დღე, ან იქნებოდი ის კაცი, ვისი ნდობაც შეიძლებოდა, ან იქნებოდი ვირთხა, რომელიც მთელ ცხოვრებას შიშში გაატარებდა... ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვეტილიყო, ამიტომაც დაგტოვეთ შენს ბედთან მარტო, ასეთი რამ ერთხელ წყდება ცხოვრებაში... ჰოდა, შენ მოიგე...

ოტლე იმ ღამით მაგიდაზე ცეკვავდა, მთელი ღამე აგებდა ბილიარდში უგონოდ მთვრალი, თავისი ნებით აგებდა, იმიტომ, რომ არავისთვის არ გაეფუჭებინა ის ღამე. ოტლესთან მოგება ზეიმი იყო მაშინ, ხომ გახსოვს? ისიც უყოყმანოდ აგებდა და სათამაშოდ იწვევდა ყველას... მერე როცა ყველაფერი წააგო, შუა ოთახში აისვეტა, ერთი ხმამაღლა გადაიხარხარა, თავისი ცხენის კბილები გამოაჩინა და უდიდესი აღტაცებით შემოგვყვირა ოდნავ გაპრანჭულმა: „ბატონებო, დღეს ერთი კაცი კიდევ იშვა! ჩემს თვალწინ იშვა!“ მეტი არაფერი; მოსასხამი აიღო და ბარბაცით წავიდა...

ვერავინ გაიგო მისი ნათქვამი, სიმთვრალეში ჩამოართვეს... მე კი ვუყურებდი მის მოხრილ ზურგს და მსიამოვ-

ნებდა, რომ ოტლე, რომელიც მთელი ცხოვრება იგებს და აგებს, ბედნიერი იყო. ახლაც ყურებში მიდგას მისი ხმა: „დღეს კაცი იშვა!“ არც ადრე და არც მერე, ამისმაგვარი არასოდეს გამიგონია მისგან, და მე მივხვდი, რომ ამიერიდან სიკვდილამდე ეყვარებოდი... მარტო იმას კი არა, თითოეულ ჩვენგანს...

არადა, ხომ შეიძლებოდა მოეკალით, მაგრამ მაინც არ დაიხიე უკან, იმიტომ, რომ მაშინ შენ...

„მაშინ შენ კაცი იყავი“... ალბათ ეს უნდოდა ეთქვა, მაგრამ თითების ნერვული ათამაშების მეტი ვერა მოახერხა და ისევ დადუმდა.

„ნამდვილი კაცი?! — გაიფიქრა გიომ. — ვითომ რა შეიცვალა მას შემდეგ? ალბათ არაფერი, ამას ეჩვენება მხოლოდ, რომ რაღაც შეიცვალა, ან თუ შეიცვალა, რაღა აზრი აქვს ამ მიეთ-მოეთს, შეიცვალა და შეიცვალა, ლაპარაკით ვეღარაფერს გადაარჩენ მაინც, თუ შეიცვალა, ფურთხის ფასი ჰქონია ყველაფერს და მორჩა... ეს არის მთავარი, სხვა დანარჩენი ლაყბობაა, უმაქნისი ლაყბობა... რომ გადათვრები და რაღაცის გამოსწორებას ლამობ...“

ფეხზე წამოდგა გიო, სინანულით შეავლო მზერა იქ მსხდომთა მთვრალ, გაოცებულ სახეებს და ფულის გადასახდელად წავიდა. ახსოვდა, ცოტაოდენი ფული კიდევ ჩარჩენოდა ჯიბეში და კიდევ იმდენი, სახლამდეც რომ ჰყოფნოდა. „ოტლეს ვინმე გააცილებს ალბათ“, — გაიფიქრა თავისთვის და გული დაწყდა, რომ ამდენი ხნის ნაცნობობის შემდეგ ასე ცოტა ჰქონდა ამ ხალხთან საერთო. ახლა თითქმის აღარც ესმოდათ ერთმანეთის, უფრო და უფრო მეტი სიტყვები სჭირდებოდათ იმისთვის, რაც ოდესღაც ერთი შეხედვითაც ცხადი ხდებოდა ხოლმე.

ოტლეს დავიწყება არ შეიძლებოდა, არც სადმე დატოვება... ასეთი იყო ბუნებით, ლაღი, შეუმჩნეველი, თავისუფალი, არასოდეს რომ არ შეგაწუხებდა, იყო და იყო ქალაქში, ქალაქთან ერთად ძველდებოდა, ხალხთან ერთად კი არა, გამოხუნებულ შენობებთან, პარკებთან, დუქნებთან, ეზოებთან ერთად, ძველდებოდა შეუმჩნევლად, უხმაუროდ, აყალმაყალის და განგაშის გარეშე. ოტლეს არ ეშინოდა სიძველის (ეტყობა, არაფრისაც არ ეშინოდა), მიდიოდა თავისი გზით, ერთხელ არჩეული გზით, მრავალთაგან განსხვავებით, კარგად იცოდა, რომ ის გზა მისი სავალი იყო, და თუ არა ის, სხვა ვერავინ გაივლიდა... იყო ამაში რაღაც დამცინავი, უთუოდ იყო, მაგრამ გულწრფელიც იყო რაღაც... ამას ვერავინ უარყოფდა, რადგან ერთიცა და მეორეც ოტლეს სისხლხორცეული იყო, ორთავ მშვენივრად ეხამებოდა მის არსებობას, ორთავეს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა (ეგებ ქვეცნობიერად, ისევე შეუმჩნევლად, როგორც თავის სიძველეს, მაგრამ მაინც ისევე თანწყობილად, როგორც გაცრეცილი ფერებია ძველ, შეჩვეულ გობელენზე).

გიომ თავიდანვე შენიშნა ეს, შენიშნა, როგორ იდგა ხოლმე შორიახლოს ეს ცხენის სახიანი, ნაცრისფერ საწვიმარში ჩამძვრალი კაფანდარა კაცი, როგორ მალიმალ ისწორებდა აქა-იქ დალაქავებულ ნაცრისფერ ცილინდრს, როგორ უშვებდა გაღიმებისას ნაფოტა ორ კბილს შორის პაპიროსის კვამლს, როგორ ცერად გითვალთვალებდა თავისი ყოვლისმხილველი მოცისფრომონაცრისფრო თვალებით (ცალი თვალით ელამი იყო და ეგებ ღიმილით მოხერხებულად მალავდა სიელმეს). იდგა საათობით, გაკვირდებოდა და დაგცინოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა გიოს, არაფერს არ აჭარბებდა, მაგრამ არასოდეს გაურბოდა, პირიქით, გაუცნობიერებელი სიჯიუტით მიიწევდა მისკენ, ენატრებოდა, სჭირდებოდა კიდეც, მიუხედავად ყველაფრისა, ბალღობიდან განუზომლად ხიბლავდა ოტლე, მთელი თავისი იერით, ქილიკითა და ჩაცმულობითაც კი.

— შენ ისევ მოხვედი? — აი პირველი, რაც უთხრა ოტლემ სულ პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭს, რომელიც არასოდეს ენახა, რომელსაც პირველად შეეჩეხა იპოდროომის შესასვლელში. ახლაც ვერაფრით ახსნიდა გიო, რატომ დაუქნია თანხმობის ნიშნად თავი.

ოტლე კი იდგა თავის განუმეორებელი მზესუმზირის პარკით ხელში და თავს აკანტურებდა. მერე ფეხებზე დახედა, უფრო სწორედ, წვივებზე (მაშინ, როგორც ახსოვდა, ვიღაცის ძველი ბათინკები ეცვა გიოს), ძალიან კარგია, რომ მოხვედიო, ჩაილაპარაკა თავისთვის. მომუშტული, ჭუჭყიანი ხელი გაამლევინა და მზესუმზირა ჩაუყარა.

— გიყვარს ცხენები? — ოდნავ დაიხარა და ჩიფჩიფით ჰკითხა.

—არ ვიცი, — ჩუმად, მაგრამ მტკიცედ თქვა გიომ. და ზუსტად ასე ჩაილაპარაკა ოტლემაც — „ჩუმად მაგრამ მტკიცედ...“

გიომ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს, ალბათ არც იყო საჭირო, ვერც შეკითხვა გაუბედა ამ უცნაურად გვერდულად მოღიმარ კაცს, რომელიც ყველაფერს ერთდროულად აკეთებდა — თან ლაპარაკობდა, თან მზესუმზირას შორიდან, დახელოვნებულად იყრიდა პირში, თან მიტრიალებას და გადაფურთხებას ასწრებდა, თან ღიმილსაც... ეს უკვე საოცრება იყო მაშინ გიოსთვის. ღმერთმა უწყის, საიდან ჰქონდა პატარა ბიჭს ამდენი მიხვედრა, მაგრამ უცებ გაუელვა თავში: ისეთი კაცი გაიცნო, რომელსაც ყველაფერი შეეძლო...

— ესე იგი, გიყვარს! — ღიმილსა და ღიმილს შორის წაჩიფჩიფა ოტლემ. — შენ ამისთვის ხარ გაჩენილი.

გიომ მაშინ უყოყმანოდ, ეჭვმიუტანლად ირწმუნა, რომ მართალს ამბობდა ოტლე, სხვა არაფრისთვის არ ივარგებდა იგი. თუმცა მოგვიანებით კიდევ გაიგონა რაღაც ამისმაგვარი — „ღმერთო, რა ჯოჯოხეთია, ადამიანი ერთი საქმისთვის იბადება მხოლოდ“. ეს მაშინ უთხრეს, როცა ამის დაჯერებას მთელი სიცოცხლე სჭირდებოდა უკვე. ესეც ოტლემ უთხრა, როცა პირველი დოღი მოიგო გიომ... ჭიქა არაყზე ნახევრად ხუმრობით წაჩიფჩიფა...

იმ პირველ დღეს ვახშმის ფული არ ჰქონდა ოტლეს (სამაგიეროდ, ყოველთვის მოეპოვებოდა მზესუმზირას ფული).

— გშია? მოულოდნელად შეეკითხა გიოს და იმანაც დაუყოვნებლივ დაუქნია თავი.

— მეც მშია, — ჩაილაპარაკა ჩუმად, მზესუმზირას პარკს გულმოდგინედ ჩაუკეცა თავი, იქვე გაზონებში გადამალა, მერე ერთხანს ცილინდრი იდაყვით წმინდა, ფარფლები აუზნიქა ოდნავ, მტვრიან დაბალ ფანჯარასთან დაიხარა, თავზე მოირგო კვლავ, აქეთ-იქით შეატრიალ-შემოატრიალა თავი და ესეც ასეო, კმაყოფილებით ჩაიდუდუნა, ესეც ასე ძმობილოო, მერე რა არის ამაში ცუდი, თუ გშიაო?! არაფერი, ესე იგი, ჯანმრთელი ხალხი ვართ, სრულიად ჯანმრთელი, სრულიად ჯანმრთელ ხალხს კი ყოველთვის შია, არ მეთანხმებიო?

გიო სდუმდა.

— კარგი, მაშინ სხვანაირად ვთქვათ... ხშირად იქ შივდებათ, სადაც საჭმელი არ არის (არც ის იყო ურიგო ნათქვამი)... ოდესმე დამეთანხმები, ძმობილო... ოდესმე კი არადა, ახლავე დამეთანხმები, ვივახშმებთ თუ არა, იმწუთას...

ასე იყო თუ ისე, იმ საღამოს ოტლეს გროშიც არ ედო ჯიბეში. მიდიოდა, გიოსთვის მხარზე გადაედო ხელი, ჩუმად, გაბმულად უსტვენდა თავისთვის.

მაშინ არ იცოდა გიომ ფასი იმ უდიდესი ძალისხმევისა და ნებისყოფის, რასაც წვრთნა ჰქვია, ნედლი იყო, ოსტატის ხელისთვის დამყოლი, მაგრამ შინაგანად საღი, დამუხტული, შეუვალი, ისეთი, ვერავის ვერც ხელსა და ვერც აზრს რომ ვერ მოესწრო დამახინჯება მისი. წინ კი მთელი ცხოვრება იწვართებოდა... და ისიც ხელს უწყობდა გიოს, რომ არა გაეგებოდა ჯერ ამის — ცხოვრების...

ოტლე არასოდეს მსჯელობდა, ოტლე ან სდუმდა, ან მიდიოდა. მიდიოდა გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუდმებით სადღაც შორს, სხვა რომ ვერაფერს შეიტყობდა მისი წასვლისას, ისე, ერთ ადგილას იდგა და მაინც მიდიოდა. საოცარი კი ის იყო, რომ ყოველთვის რჩებოდა რაღაც მთავარი, რომელსაც, მიუხედავად გასხვისებისა, გულუხვად გაცემისა, მაინც იტოვებდა საგზლად. ამიტომ, როცა მიდიოდა, თავის გარსში იჩუმჭრებოდა, თავის საიდუმლოსთან რჩებოდა მარტო, ოდნავ დამცინავი, თითქოს უჩინარი და გოროზი, ყველას გულდაწყვეტილ მზერას იყოლებდა თან, სინანულით სავსე მზერას, თითქოს უბირიც კი უნდა მიმხვდარიყო, რომ რაღაც დარჩა ამ კაცს გასაცემი. ალბათ ისეთი ილუზიაც იქმნებოდა, რომ ის „რაღაც" ყველას ეკუთვნოდა, თითოეულს უნდა რგებოდა. რას იზამდა, ასეთი ანდამატი ჰქონდა ოტლეს — ოსტატის, ცინიკოსის და ბრძენის... თითქოს თავისი ცხენისიერა გამოსახულებით გამუდმებით ცრიდა ნაფოტა კბილებში, რომ ყველა თავის სიმარტოვეს უნდა მოერიოს, ის ალბათ დასცინოდა თავის სიმარტოვეს, შესაძლოა, თავსაც იცავდა და იზღვევდა ამით, როგორც ხანდახან შეშლილებს ემართებათ, თავისი გახლეჩილი სულიერი შემოტევებით რომ ერთობიან, უფრო სწორედ, გართობას რომ ეჩვევიან... ანუ სიგიჟე — მარადიული მშვენიერი სათამაშო...

იმ დღეს ოტლეს იქვე, იპოდრომის გასწვრივ, მაღალი ნაძვებით შემოწყობილი მრგვალი თეთრი სახლისკენ მიჰყავდა გიო, მოხრეშილ ბილიკზე მსუბუქად მიჰქონდა ტანი.

— აი, ამ თეთრ ყუთში ვივახშმებთ, — თქვა ბოლოს, — ჯადოსნურ ყუთში, სულ ორი საათით დავეკარგებით ქვეყანას...

გიოს გაეცინა, რადგანაც ერთადერთი ჯადოსნური ყუთი მისთვის ცირკი იყო იმხანად. იქ კი, როგორც ახსოვდა, არ აჭმევდნენ.

დარბაზი ნახევრად ცარიელი დახვდათ. გიო ფანჯარასთან დასვა ოტლემ, თვითონ სულ რამდენიმე წუთით გაქრა და უცნაურად კმაყოფილი დაბრუნდა. უკან სუფთად გაპარსული, ჩასუქებული „ოფიციანტი" მოჰყვებოდა სინით ხელში.

— ესეც სიცოცხლე, — ჩაილაპარაკა ხმამაღლა, — დიდი სიცოცხლე ერთ ციცქნა ყუთში...

გავიდა ორი საათიც, სამიც, დანაყრდა გიო, ახლა იქიდან წასვლა უნდოდა, მაგრამ რცხვენოდა, რადგან ოტლე გაფაციცებით შესცქეროდა, როგორ ივსებოდა დარბაზი. ცოტ-ცოტას სვამდა თავისი ბოთლიდან, ძალზედ მოკრძალებულად ჭამდა, უფრო სწორად, იციცქნებოდა, თითქოს იპარავდა რაღაცას.

მერე ვიღაცამ საათზე მიანიშნა, დროაო, უჩვენებდა თვალებით. ოტლემ თავი დაუქნია.

ბოდიში, ძმობილო, სულ ნახევარი საათით დაგტოვებ, თუ არ გეწყინება...

გიო მიხვდა, რომ მოთმინება ელეოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გავიდოდა გარეთ, აღარ მოსწონდა ეს თეთრი ჯადოსნური ყუთი, სადაც გემრიელ საჭმელს აკეთებდნენ.

ოტლემ ცილინდრი უხერხულად გადაიწია კეფაზე, ნაცრისფერი საწვიმარის საყელო შეისწორა და დარბაზის ამაღლებული ადგილისაკენ გაემართა. არავის არ შეუმჩნევია იგი, ერთხანს რაღაცას ასწორებდა... მერე აიღო ოქროსფერი პატარა საყვირი და ჩუმად, ძალიან ჩუმად ააჟღერა. სწორედ ამ ხმადაბალმა ბგერებმა დაზაფრა გიო, რადგანაც ეგონა, რაღაცას ყურისმომჭრელი ყვირილისმაგვარს გაიგონებდა. აი ეს იყო ნამდვილი სიმარტოვე, ვერავინ ოტლეს გარდა რომ ვერ შეიტყობდა, ისეთი ნაზი, შორეული, გაფაქიზებული სიმარტოვე, თანდათან რომ ძლიერდებოდა, სადღაც ამ თეთრი ყუთის მიღმა მიიწელებოდა, ტოვებდა ყველაფერს, და ასე, ოტლეს ოფლით დაცვარულ შუბლსა და დაბერილ ლო-

---

მიკა ალექსიძე
ოტლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებს ასხლეტილი, სულში გაცხრილული ჟღერა-ჟღერით მიბაკუნობდა სივრცეში.

მაშინ რა იცოდა გიოს მარშებისგან გადაღლილმა, სმენაწამხდარმა ყურებმა, თუ ამდენი შეეძლო ამ პატარა ოქროსფერ რკინას...

ოტლე კი იდგა გასუსული დარბაზის წინ, ძარღვები დაბერვოდა საფეთქლებთან და ხელებზე, ლოყები იდუმალი თანწყობით ევსებოდა ჯადოქმნილი ჰაერით, დროდადრო უცახცახებდა, ეს ცახცახი საამო ერუანტელად გადაეცემოდა მთელ სხეულს და ოქროსფერი ლითონიც დაუყოვნებლივ ისეთივე სიზუსტით იმეორებდა ლოყების ცახცახს, ოტლეს სიჩუმეს იმეორებდა...

იდგა ოტლე, ეს უსაშველო სევდა, ალეწილი, ირიბი თოვლითა თოვდა და ცხელოდა... ეს დრო ივსებოდა ღვთაებრივი ჟღერით და არა ოტლეს მოცახცახე ლოყები ჰაერით, დრო ცახცახებდა... მერე გამომშრალი ტუჩები გაილოკა ოტლემ, თეთრი ქათქათა ხელსახოცი მიიფარა ორივე ხელით სახეზე, ერთ წუთს გახევდა... და უცებ იელვა გიოს თვალწინ ნაცნობმა ნაფოტა კბილებმა. გიოს ულიმოდა ოტლე და უხმაუროდ, ფეხაკრებით ბრუნდებოდა... ბრუნდებოდა ზუსტად ისეთივე, იპოდრომის შესასვლელში გაზეთის პარკიდან მზესუმზირას რომ აკნატუნებდა.

— ხვალამდე ეს გვეყოფა, — თქვა ჩუმად.

იმხანად ბილიარდს უკვე იშვიათად, ხამუშ-ხამუშ თუ ეთამაშებოდნენ ოტლეს... თანაც რატომღაც საოცარი სისწრაფით უქმდებოდა საბილიარდოები, ქალაქში აქა-იქ თითო-ოროლა თუ დარჩენილიყო, იმ ადგილებში კი კარგად იცნობდნენ ოტლეს და სულ უფრო ხშირად რჩებოდა ხოლმე ბებერი უფულოდ... ახლა ერთადერთი დოღის სეზონს ელოდა ხოლმე. უყვარდა ცხენები, ზედმიწევნით სცნობდა კიდეც, თითქოს ცხენებიც გრძნობდნენ ამ სიყვარულს, უყოყმანოდ ემორჩილებოდნენ. იცოდა ოტლემ, როგორ მოქცეოდა, მოპყრობოდა ცხენებს — ამ მშვენიერ ჯიშს.

ერთი საუბარი სულ ახსოვდა გიოს. ქალაქის განაპირას საუბრობდნენ და ჭიქა ღვინოზე მოგებული ფულით კმაყოფილი ოტლე ჩვეულებრივზე მეტს ლაპარაკობდა, ერთი შეხედვით, უფრო სერიოზულადაც...

— ქალებთან რა დამოკიდებულება გაქვს, ძმობილო? — მოულოდნელად შეეკითხა ოტლე (ასეთი შეკითხვა არ იყო მისი სტილი).

გიოს ჯერ გაუკვირდა, მერე ინსტინქტურად თავის ტანსაცმელზე გადაიტანა მზერა, ხელახლა იგრძნო, მართლაც მოხდენილი იყო.

— ჩვეულებრივი, — უპასუხა მშვიდად.

— არა, ძმობილო, ქალებთან და ცხენებთან ჩვეულებრივი ურთიერთობები არ არსებობს, განსაკუთრებული, მხოლოდ განსაკუთრებული...

და აქ მიხვდა გიო, რომ ისევ თავს იცავდა ოტლე, ახედა, ისევ დამცინავი იერი ჰქონდა მას.

— შენ მშვენიერად გესმის, რომ ცხენს არასოდეს არ უნდა გაეკარო მოუვლელი, უსუფთაო და შიშიანი, ბალღობიდან იცი, მაგრამ ქალი? ქალი ხომ არ იცი ბალღობიდან. ბოლოს და ბოლოს ისე მოეწყო ჩვენი ცხოვრება, რომ მგონი ცხენს უფრო ადრე შევხვდით, ძმობილო, არა? დავიწყეთ ცხენებით, მივაღწიეთ ქალამდე, ან თუ ვერ მივაღწიეთ, ჩვენდაუნებურად გავემართეთ მათკენ.

გიო ვერ ხვდებოდა, რატომ ელაპარაკებოდა ოტლე გადაკრულად, რას გულისხმობდა... არადა იცოდა, რომ ტყუილად არასოდეს გაირჯებოდა ოტლე. ის ამბობდა ზუსტად იმას და იმდენს, რასაც აუცილებლად სთვლიდა, დიდი ხნის წინ აწონ-დაწონვის შემდეგ და არა ისე, საინტერესო მობაასედ რომ დარჩენილიყო. როცა სალაპარაკო არ ჰქონდა ხოლმე, მაშინ უხმოდ თვრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მე ძალიან ადრე გავემართე...
— შეაწყვეტინა გიომ, — შენ სანამ გაგიცნობდი, იქამდე.

— ეგ უკვე საინტერესოა, — გაეღიმა ოტლეს, — ესე იგი, სანამ ცხენზე შეჯდებოდი, შენ უკვე მოგიწია, არა? საინტერესოა, მე რად ვერ მივხვდი ამას, არადა, როგორც მახსოვს, არაფერი გეტყობოდა... კრავივით უცოდველი ჩანდი. ერიჰაა, ძნელია, ძნელი, რას გაიგებ ამქვეყნად კრავისას...

ახლა ოტლე უკვე მთვრალი იყო, ექსტაზში პათეტიურად შლიდა ხელებს, ეტყობოდა, რაღაც მოსწონდა და არც მოსწონდა კიდეც ან ვერ იჯერებდა.

— აბა რა გეგონა შენ, კრავებმა გადაძოვეს ქვეყანა!

— ჰო, ეტყობა, რაღაც გამომეპარა, ახლა კრავები სანსლავენ მგლებს, მაგრამ... შენ, შენ ხომ არ გადევს, ბიჭო, მგლის ცოდვა!..

— არა, გაეღიმა გიოს, — ეტყობა მე სხვა საძოვრისა ვარ.

— მადლობა ღმერთს, შენ ერთი მაინც... — ხმამაღლა გადაიხარხარა, — მადლობა ღმერთს! რას ერჩიან, ბიჭო, ამ მგლებს?

მერეც დიდხანს ხარხარებდა ოტლე და გამახსენდა, გამახსენდაო, იმეორებდა.

ღმერთმა იცის, რა გაახსენდა!

და ერთხელ მაინც გაბრიყვდა გიო, უფრო სწორედ, ოტლემ გააბრიყვა და მოაყოლა... მას შემდეგ ყოველ ცისმარე, გამარჯვების მაგიერ, მიეპარებოდა ოტლე და ჩუმად, რომ არავის გაეგო, ისე ჩაუჩურჩულებდა ხოლმე: „კიბეები ცაში მიდიოდნენ არა, გიო“?

პატარა მოგრძო ოთახში იჯდა გიო, მტვრიანი ჩექმები და თეთრი გალიფე ეცვა, დაქანცული იყო, განზე გადგმულ ფეხებს შორის ცხენის გაქექილი აღკაზმულობა ეყარა. იჯდა და უაზრო, სისხლშემოწოლილი თვალებით მიშტერებოდა დაბალ, სამკუთხა, მომწვანო სარკმელს, საიდანაც ცხენსადგომთან მიმავალი ვიწრო ბილიკი მოჩანდა და დაგვალული მეჯინიბეები წინ და უკან დაატარებდნენ გახვითქულ ცხენებს, აგრილებდნენ. ამ შუშიდან საშინლად მახინჯები ეჩვენენ ისინი გიოს, აღვირზე დაკიდული მაჯლაჯუნებივით, უხეირო მასალისაგან პატარა ფიგურებად გამოჩორკნილი. არ შვენოდნენ ცხენებს, ტანადებს, გრძელ, მოქნილ ფეხებზე ასხმული ძალოვანი კუნთების ჰარმონიულ შერწყმას... და როგორი ქანცგაცლილნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ცხენები, მაინც თავდაჯერებულნი სჩანდნენ, ამაყნი, თავისი უზადოების ყველაზე უკეთესი შემფასებლებიც. იმ წუთს ცხენებმა უკეთ იცოდნენ თავისი ღირსებების გაფრთხილება, ოდნავ ამპარტავნულადაც ეჭირათ თავი და თითქოს მათ ცხვირწინ ჩამოკონწიალებულ უგვან ფიგურებს მთელი თავისი იერით დასცინოდნენ კიდეც... „ზუსტად ისე, როგორც ოტლე“, — გაიფიქრა გიომ. იმ დღეს ზედიზედ მეშვიდედ მოიგო მან, თითქოს მიეჩვია კიდეც გამარჯვებას, მთელი კორპუსით გაასწრო, მაგრამ აღარავითარი განცდა აღარ ჰქონდა, პირიქით, ყველა გრძნობისაგან დაცლილი, გამოცარიელებული, ადგილიდან ველარ იძვროდა, ყველაფერი ეზარებოდა, ამდენი მოგებაც კი.

და უცებ ვიღაც ჩაცუცქდა მის წინ, გადათეთრებული სახე ჰქონდა იმ კაცს, წვრილი მრგვალი ჭროღა უწამწამო თვალები, შეტრუსულივით ღია, მეჩხერი წარბები და რაქიტიანივით ვეება ხელის მტევნები... მტვრის მოშავო ზოლები დასდევდა ოფლიან სახეზე. ახალგაზრდა ბებრები რომ ენახა, სწორედ ისეთი იყო, არადა ცხრამეტი-ოცი წლისა იქნებოდა მხოლოდ.

— მომაგებინე, — ჩუმად ჩაილაპარაკა ბიჭმა, — ერთხელ მომაგებინე.

გიო! გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა... ჩამესმაო, გაიფიქრა.

— მომაგებინე, — გაიმეორა ბიჭმა.

გიო არ ინძრეოდა, მწვანე სამკუთხედ სარკმელს შესცქეროდა კვლავ.

— ერთხელ მაინც...

გიო ახლა ნაცრისფერ ცხენს მიჩერებოდა ფანჯარაში, თუ როგორ ბანდა

მას მეჯინიბე გაუწურავი ღრუბლით.

— ერთხელ მაინც, — ფეხის წვერებზე წამოიწია ბიჭმა, ხვეწნა გაერია ხმაში. ნელა ირწეოდა მისი განიერი ტანი ფეხის წვერებზე. გიო გაქვავებულივით იჯდა, იგრძნო, რომ არაფერი არ ჩაესმა, ნამდვილად იმას ეუბნებოდნენ, რაც გაიგონა. მშვიდად წაიღო მარჯვენა ხელი მარცხენა ბეჭისკენ, კისერთან რაღაც წამის მეათედით შეაყოვნა, ისე, თითქოს ახლა მოიფხანდა კეფას და თვალისდახამხამებაში მკვეთრად, მოკლე მოძრაობით ხელუკულმა ღაწვისთავთან გაუტლაშუნა ბიჭს... მერე მძიმედ აითრია ტანი, გასასვლელისაკენ გაემართა, კარებთან შედგა, ზიზღით გამოხედა იატაკზე გაშხლართულ ბიჭს, რომელიც უკვე წამომჯდარიყო. ფეხები გაეჩაჩხა და ენაჩავარდნილი, უწამწამო ქუთუთოებს გაოგნებული აფახურებდა.

— ცუდად იწყებ! — ჩაეგუდა ხმა გიოს, სიძულვილისაგან დაემანჭა სახე, მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და ხმაურიანი ნაბიჯით გავიდა გარეთ.

მიდიოდა თავჩაქინდრული იმავე ბილიკით, სადაც ცხენებს ასეირნებდნენ, ბოლმა ეძალებოდა. ვიღაცები გამარჯვებას ულოცავდნენ აქეთ-იქიდან... „მაინც რატომ იწყებენ ადამიანები ასე ცუდად, — ფიქრობდა თავისთვის, — იტირებს!.. ფუჰ, ზის ალბათ ახლა, აფახურებს თვალებს და ცრემლები ჩამოსდის, უყურებს მწვანე ფანჯარას გაწბილებული, ვერაფერს ხვდება... ვეღარც მიხვდება ვეღარასოდეს... ცუდად დაიწყო და იმიტომ.

ჰმ, მომაგებინე... ერთხელ მაინც მოაგებინეთ ამ ახვარს, ცხრამეტი-ოცი წლისას მოაგებინე, რომ მერე მთელი სიცოცხლე სისხლი გაუშროს ყველას. მაინც რისთვის სჭირდება ამ ხალხს ასეთი მოგება... არ უნდა დამერტყა, მაგრამ როგორ არ დაარტყამ, როცა დაბადებიდან ჯიგარს გიფუჭებენ ასეთები — მომგებიანები...“

პაპიროსს მოუკიდა გიომ, გაზონებისკენ გადაუხვია. „შენ აქ ბავშვობიდან მთელი ცხოვრება ნეხვის სუნში იხრჩობი, — გააგრძელა ფიქრი, — გეტყვევა, ამათ კი ერთი ხელის მოსმით მიართვი ყველაფერი, რაც სისხლით მოგიპოვებია...

ოტლეს ხმა ჩაესმა ზურგიდან გიოს, გამოიცვალეო, უძახდა, რაღას უცდიო.

ახლა მომიახლოვდება და ღიმილით მეტყვის: „კიბეები ცაში მოდიოდა არა გიო? ცაში თამაშობდით სახლობანას და ავადმყოფად მოგნათლეს არა?“

ის „სახლობანა“ ყველაფერზე მეტად ართობდა ოტლეს, იქნებ დოღზე და მოგებულ ფულზე მეტად...

ათი წლის გიოს კი ის „სახლობანა“ თანდათან დაუოკებელ, ბავშვურად გაზვიადებულ მოლოდინად ექცა. თავიდან თამაშით დაიწყო ის მოლოდინიც, თამაში იყო ქალიც, თამაში, გიოსთვის საოცრად თბილი, ნათელი და სუფთა, მაგრამ მაინც თამაში, რომელიც ისევე ანაზდად გასრულდა, როგორც დაიწყო (ეს თვისებაც ხომ ყოველთვის აქვს თამაშს, თამაშიც ხომ ზღაპარივით არასოდეს არ მიდის ლოგიკურ დასასრულამდე). თუმცა კარგა ხანი დასჭირდა იმის აღიარებას, რომ თვითონ ამ თამაშის მონაწილე კი არ იყო, არამედ სათამაშო, სათამაშო, რომელიც თავის აუცილებელ დანიშნულებას ასრულებს, და მერე, როგორც ხდება ხოლმე ცხოვრებაში, როგორც ემართება ყველა სათამაშოს, განუმეორებელსაც კი, მასაც ვიღაც დასტოვებდა უყურადღებოდ, მოურიდებლად წაჰკრავდა ფეხს, ნამსხვრევებად აქცევდა ან ნახევრად ხეიბარს გადაუგდებდნენ იმ სხვა მოწყენილ ბავშვებს, რომლებისთვისაც ნამსხვრევებიც რაღაცას ნიშნავს, ხეიბარი სათამაშოც სათამაშოა და თავის მოვალეობას კისრულობს.

ათი წლისა იყო გიო, როცა პირველად გაიგო, სახლობანასაც თავისი წესები რომ ჰქონია თურმე. ალბათ ქვეცნობიერად ისიც უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა, რომ თანდათანობით მასაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თამაშით გატაცებულ ფართხუნა მოკლე „გოლფის“ შარვალში გამოწყობილ პატარა ბიჭს, ასაკი უნდა დაეკარგა, თავადაც დიდად უნდა წარმოედგინა თავი, თავადაც ჭკვიანი და მოქნილი უნდა ყოფილიყო და ეს მასში უდიდეს სიამაყესთან წილნაყარი განცდა იყო. პირველადმომჩენის ცნობისწადილითა და თავდაჯერებით გაჟღენთილი.

ღმერთმა უწყის, სად იმალებოდა ის მძვინვარება მაშინ, მერე კაცობასთან ერთად რომ მოვიდა, როცა მეზობლის თოთხმეტი წლის გოგომ პირველად თითის დაქნევითა და სიცილით მოუხმო და მოდი რამე ვითამაშოთო, უთხრა.

— რა ვითამაშოთ? ჰკითხა.

— სახლობანა. — გაეცინა გოგოს, რომელსაც მკლავებში მოემწყვდია უკვე და მაღლა-მაღლა მიუყვებოდა ხის ჭრაჭუნა კიბეს... და მერე ყოველ შუადღეს გიო ერთი და იგივე სიზუსტით იმეორებდა ამას — ჭრაჭუნით მიდიოდა მაღლა-მაღლა, ოღონდაც იმ ჭრაჭუნსაც მოუთმენლად აჩვევდა სმენასა და ნაბიჯს, ყოველთვის ისეთი დაკვირვებული, ფიქრიანი თვალები უხდებოდა, თითქოს შინებოდა, რაიმე არ გამორჩენოდა, ზუსტად ისეთივე თვალები ჰქონდა, როცა ოტლე უკვე კარგა მოზრდილ ჭაბუკს საყვირზე დაკვრას ასწავლიდა, ან თავიდან საყვირის ხელში დაჭერას და ტუჩის მიდებას, ან მოგვიანებით ცხენის შეკაზმვას და დოღისას ფულის გადანაწილებას, რომელიმე ცხენზე ზუსტად იმდენი ფულის ჩასვლას, რამდენიც საჭირო იყო, რამდენსაც აიტანდა ის ცხენი.

მივდიოდი მაღლა-მაღლა და ხანდახან მეჩვენებოდა, რომ კიბეები აღარ თავდებოდა, მე კი არ მივდიოდი, კიბეებს მივყავდი თავისკენ და სადამდეც ისურვებდა, იქამდე მატარებდნენო...

ცა როგორი იყოო, ცა, — წარამარა ჩაურთავდა ხოლმე მომღიმარი ოტლე, — ცა ხომ იყო, ძმობილო, კიბეებივით ჭრაჭუნა?

გიო ყურადღებას არ აქცევდა ოტლეს, რადგანაც კარგად ესმოდა, რომ ოტლე სულაც არ თვლიდა ამ ყველაფერს სასაცილოდ, თავს იკატუნებდა ყასიდად, ისე, ვერაფერს რომ ვერ იგებს კაცი, ათასჯერ რომ მოუყვე, მაინც. მერე, მერეო? კითხულობდა.

ზაფხული იყო და საშინლად ცხელოდა, ოტლე საბილიარდოს წინ ტალავერში პატარა აუზთან ფეხშიშველა იდგა გიოსთან ზურგშექცევით, თევზებს ნება-ნება უყრიდა საკვებს (ესეც ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი გართობა იყო მისი, ეძებდა ქალაქში აუზებსა და მშიერ თევზებს).

გიო ქვის თბილ მოაჯირზე იჯდა საბილიარდოს კარებთან. მთელი დღეები ოტლეს დაჰყვებოდა ქალაქში. ოტლე ყოველ ნახევარ საათში სადღაც შედიოდა და სვამდა. გიო კი უცდიდა, რადგანაც არც აჭმევდა და არც ასმევდა ოტლე, წონა გემატებაო, წონა გემატებაო, გაიძახოდა. „მგონი მეც ცხენივით მიყურებსო, — თავისთვის ფიქრობდა გიო, — მგონი ეჩვენება, რომ ყველანი გავცხენდითო“.

— მერე? — შეეკითხა ოტლე.

— რა მერე?

— სახლობანა.

— მერე დამთავრდა.

— არა, ძმობილო, ცრუობ, ასე არ მთავრდება, ასე არასოდეს არ მთავრდება, ეს თამაში განსაკუთრებით.

ოტლე აუზის კამკამა წყალს ჩაშტერებოდა, ხანდახან ხელს ჩაჰყოფდა შიგ და სახეს იგრილებდა.

მართლაც უცნაურად დამთავრდა „სახლობანა“.

იმ საღამოს მოდიოდნენ და მოდიოდნენ სტუმრები გოგოსთან, ჭრაჭუნით მიუყვებოდნენ მაღლა-მაღლა კიბეებს, მაგრამ ეს უკვე სხვა ჭრაჭუნი იყო, გამაღიზიანებელი, გამთანგველი, მოკლე-მოკლე, უეცარი, თვალისდახამხამებაში შეწყვეტილი... დაბადების დღე იყო მაღლა, ახლა იქიდან გამოსული ხმაურიც უცხო, მოგანგაშე ეჩვენებოდა გიოს და უცებ საშინლად მოუნდა „სახლობანას“ თამაში შუა ეზოში დარჩენილ ბიჭს. გოგომ კი მომღიმარმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად ჩაუარა სტუმრებთან ერთად, სულ წამით შეავლო მზერა და მერე დიდხანს, გვიანობამდე მისი კისკისი ესმოდა გიოს განათებული, მოზეიმე ფანჯრებიდან. ამოდიო, გიოსთვის არავის უთქვამს, თითქოს დაავიწყდათ, ასეც ფიქრობდა ჯერ, დავავიწყდიო. მერე მიხვდა, რომ არავის აღარ ეცალა თამაშისათვის, თითქოს ყველამ ერთხმად შეკრა პირი, ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ მას უნდა სძინებოდა ამ დროს. მაშინ პირველად იგრძნო გიომ ის მრისხანება, რომელიც სადღაც ფეხებიდან დაიძრა, მთელ სხეულს მოედო, დაიარა და დუჟმორეულ ტუჩებთან აცეკვდა, რაღაცის დაუსრულებელის შეურაცხმყოფელი ფორმა მიიღო და ჩაწყვდიადებულ ქუჩაში ისროლა გიო... „ქ, სადაც საოცარი სიწყნარე სუფევდა“, წვიმდა და გიოს ზურგსუკან რჩებოდა“ წვიმაცა და ხეთა შრიალიც. მიჰქროდა და საპყრობილესავით მიჰქონდა საკუთარი სხეული, რომელიც სველდებოდა და არ მშვიდდებოდა. კვამლისფერი ზეცა ახსოვდა, პატარა, ხელისგულისოდენა ზეცა... თითქოს პირველად იხილა წვიმაც ასეთი მარტივი, ოდესღაც ბალღისთვის სანეტარო და ლბილი, მაგრამ ახლად გაჩენილი მგლისათვის ცივი, გაუვალი, სასტიკი... თავბრუ დაეხვა გიოს, და როცა ვიღაც უცნობმა ქუჩისპირა ფანჯრიდან გამოჰყო თავი, მხიარულად თუ თანაგრძნობით გაიცინა და რატომ სველდებიო, ჰკითხა, გიო თავისდაუნებურად მიეჭრა, დუჟმორეული სახე შეაფეთა, მუშტები დაუშინა ფანჯრებს. სიბნელეში ვერ ხედავდა, ვის ემუქრებოდა, ალბათ გალუმპულ მოჩვენებას ჰგავდა თვითონაც, არარსებული სისხლის საზღაურისათვის რომ დახეტიალობს, შურისგების აღსრულებას ითხოვს, გაიგივებულა ყველა და ყველაფერი თითქოს ამქვეყნად ერთი მილიარდში და მილიარდი ერთში... და პატარა გიომაც მიაფურთხა წყვდიადს...

მერე ხელებდასერილი, ნაწვიმარ ქუჩაში ეგდო, მერე სადღაც მიჰყავდათ და სისხლისაგან იცლებოდა, ის კი მხოლოდ მის წინ მოფარღალავებულ, ჩაბნელებულ ფანჯრებს ხედავდა... ვიღაცის თავის სილუეტს და რატომ სველდებიო, ესმოდა. ტირილი უნდოდა გიოს, ბალღს ცრემლი აწვებოდა და მგელი ტუქსავდა. თურმე რა მცირე მანძილი ყოფილა ბავშვობის უცოდველობიდან სისასტიკემდე, რომელიც დროთა მდინარებაში საკუთარი თავისადმი, საკუთარი მრისხანების მორიგ შემოტევის შიშში ამყოფებს გიოს. და ღმერთმა უწყის, წონასწორობადაკარგული, ამ სულიერი გათიშვის ჟამს რას მოიმოქმედებს იგი.

ჭაღივით ჩაქრა გონება, თითქოს თვლემდა კიდეც საავადმყოფოს მოცისფრო კედლებში გამომწყვდეული. გიოს დასერილი ხელები აღარ სტკიოდა. იყო ჩუმად, სულ უფრო ქვევით და ქვევით ეშვებოდა, როგორც ფაფუკ თივის ზვინში. ძილბურანში ავადმყოფიაო, ჩაესმა თეჯირს იქიდან, ეს ბავშვი ავადმყოფიაო, მერამდენედ გახმიანდა ეს სიტყვები და ვიღაცებიც იმწამსვე იგივეს იმეორებდნენ. ეს იყო აზრი სულ უცხო, უცნობი ადამიანებისა მისადმი, რაც კი პირველად მოისმინა, და ძილბურანში იგრძნო გიომ, როგორ უსაზღვროდ გაოცდა...

ოტლე კი იდგა კვლავ აუზთან, ოღონდაც უკვე ნახევრად მობრუნებული მისკენ და საშინლად ფერმკრთალი. თვალებში მდუმარება ედგა, სხვა არაფერი, მხოლოდ ცივი, ამოსარკული ფსკერი... სიფრიფანა, გაცრეცილი ტუჩები უღიმოდნენ მაინც...

არავინ არ იცოდა, რომ ოტლე იმ პატარა ნავივით იყო, რომელიც ვერასდროს იქცევა ხომალდად და რომელმაც მშვენივრად შეიმეცნა თავისი სიპატარავის უპირატესობა. ოტლეს არ იზიდავდა ოკეანეები და ზღვები, ოტლეს თავისი შენაკადები ჰქონდა, ვიწრო, მეჩხერი, ზუსტად ერთი პატარა ნავისთვის განკუთვნილი, ის შენაკადები ვერასდროს იგუებდნენ ვეებერთელა ხომ-

ალდებს, ამიტომაც შესაძლოა რაც იცოდა ოტლემ — ამ პატარა ნავმა ზღვებისა და ოკეანეების შესახებ, საერთოდ არ სცოდნოდა ვეებერთელა ხომალდებს — დღენიადაგ ზღვებისა თუ ოკეანეების სიღრმეში ჩამდგართ...

სამაგიეროდ, ოტლე არასოდეს იდგა დრეიფზე, ოტლე გამუდმებით მიდიოდა თავისი ენერგიის, თავისი მოთმინების წყალობით და ხშირად ჩუმად, უხმაუროდ, თავისი პატარ-პატარა აღტაცებების თუ გაწბილებების რკალში მოქცეული, დასცინოდა კიდეც ვეებერთელა ხომალდებს, რომელთაც, თავის მხრივ, აღარ გაეგებოდათ პატარა ნავების არსებობისა და მომხიბვლელობის.

პატარა ნავებმა ყოველთვის იციან, რისგან შედგებიან ზღვები და ოკეანეები, ერთხელ და სამუდამოდ აღუქვიათ და ამითაც არიან მათ მიმართ გულგრილნი.... არ მოტყუებულა მაშინ გიო, როცა პირველად გაუელვა, რომ იმ დღეს ეპოდრომის შესასვლელთან სწორედ ისეთი კაცი გაიცნო, რომელსაც ყველაფერი შეეძლო... ამაში მერეც ყოველდღიურად რწმუნდებოდა, მაგრამ როცა პირველად ამ ყველაფრის შემძლე კაცმა შეაკრთო, უცებ მიხვდა გიო, რომ საოცარი სისწრაფით იკვეცებოდა ის ველი, რომელიც ამ პატარა ნავისთვის განეკუთვნებია ცხოვრებას და რომელსაც ასე სჯერდებოდა, ასე სამყოფად თვლიდა წინათ.

ოტლე იდგა იმ ღამეს ელექტრონის ბოძს მიყრდნობილი, თვალები დაეჭყიტა, მზესუმზირას ცარიელ პარკში ინსტინქტურად ჩაეყო ხელი, იდგა ცხენივით და ზეზეურად თვლემდა თითქოს. არადა წვიმდა, თქრიალით გადასდიოდა წვიმა, გალუმპულიყო და ვერა გრძნობდა ვერაფერს, ვერც წვიმას, ვერც თავს ზემოთ დაკიდულ ჩახჩახა ნათურას, რომელიც იქვე, შორიახლოს იმეორებდა მის ჩრდილსა და დაგრძელებულ აღნაგობას. ოტლე ცხენივით იცოხნიდა ღამეს... და აქ პირველად აღმოაჩინა გიომ, რომ რაღაც შეიცვალა, დაზაფრულმა გადასჭრა ქუჩა, მიუახლოვდა ოტლეს, ხელი შეავლო მხარზე, შეანჯღრია. მკერდზე ჩამოუვარდა თავი ოტლეს, ნიკაპით მიეგჯინა თავისავე გაძვალტყავებულ მკერდს და ახლა თითქოს ეს ნიკაპი თავს კი არ იმაგრებდა მხოლოდ, არამედ მთელ ცხოვრებას, ოტლეს მიერ გავლილს თუ გასავლელს. მართლაც ბევრი შესძლებია პატარა ნიკაპს, რომელზეც წურწურით ჩამოსდიოდა წყალი, სწორედ ნიკაპთან იყოფოდა და ორ ნაკადად მიედინებოდა ყელზე.

მიხვდა გიო, ახლაც მარტო სტოვებდა ოტლე, როგორც არაერთხელ გაუკეთებია. თითქოს ნელ-ნელა აჩვევდა მარტო დარჩენას და იმ აზრს, რომ ყოველი კაცი ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს მარტო უნდა აკეთებდეს, ან ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებთან შეხლისას მარტო რჩება მაინც, ისევე, როგორც დაბადებასთან და სიკვდილთან... აი ასეთი დიდი ხნიდან ცნობილი მარტივი ჭეშმარიტებანი ულევად გააჩნდა ოტლეს და ნავისა და ხომალდისა არ იყოს, არასოდეს ცდილობდა, გაერთულებია, გაეზვიადებია რაღაც. მან იცოდა მთავარი, იცოდა თუნდაც მარტივად და მაინც იცოდა (თუნდაც ეს მთავარი ერთგანზომილებიან სიმართლედ დარჩენილიყო მხოლოდ. ის არ ელტვოდა მრავალუცნობიან აღმოჩენებს, რომელიც სამუდამო ეჭვში დაფლავდა. მას პატარ-პატარა, კოხტა, სუფთად მოვლილი სამარხები ხიბლავდა მუდამ, ვიდრე პირამიდები ან მემორიალები).

ჰო, იმ დღიდან რაღაც შეიცვალა უთუოდო, ფიქრობდა გიო. დიდმა სინამდვილემ დაქუცმაცება იწყო... და დაქუცმაცებულს ნეხვის სუნი აუვიდა სინამდვილესაც.

ახლა მართლაც მარტო რჩებოდა გიო, სულ უფრო ხშირად სტოვებდნენ მარტო... ისევ გაუცნობიერებლად, როგორც ადრე... მაგრამ ვინ იცის, იქნებ გაუცნობიერებელ სინამდვილეს ჰქვია მარტოობა, თორემ გასიგრძეგანებულს, გაცნობიერებულ და გათვლილს ეგებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სახელი უფრო ესადაგებოდეს, ვიდრე სახელმოუძებნელ ჩაბრუნებას საკუთარ არსში, ანდა ღამეების ზეზეურად მთვლემარე ცხენივით ცოხნას... (ნუ შეგეშინდებათ ღამეების, ისინი ყველანი მაინც ერთმანეთს ჰგვანან, თუმცა თითოეულს სხვადასხვანაირად უჭირს, რადგანაც ღამეები ის მარადიული მშობიარენი არიან, რომლებმაც ერთი და იგივე სხვადასხვანაირად, სხვადასხვა ტანჯვით უნდა შვას).

გიომ არასდროს იცოდა ეს, ოტლემ კი არა მარტო იცოდა, არამედ სწამდა, ოტლესთვის რელიგია იყოს ეს.

პირველი წაგებული დღე წარამარა მოეახლებოდა ხოლმე გიოს, ახსენდებოდა, როგორ დაუნდობლად სცემდა თავის ცხენს და მერე მთელი სიცოცხლე წუხილით ინანიებდა ამ შეცოდებას, რამდენჯერაც გაიმარჯვებდა, საჭმელს მიუტანდა თუ დაბანდა, ყოველთვის აგონდებოდა, რომ მან, თუნდაც ყმაწვილმა, ოდესღაც ამხელა სიყვარული მოიძულა, მტარვალივით შეახო ხელი და მაშინ ფიქრობდა, აღარასოდეს შეაჯდებოდა მტკივან ზურგზე, აღარასოდეს მიუტანდა საჭმელს და სამუდამოდ დაივიწყებდა იმ სუნს, რომელსაც ასე საამოდ გრძნობდა ბავშვობიდან, როცა აღგზნებული ულაყის ოფლიან, აპრიალებულ მოქნილ ტანს თუნდაც შორიდან შეავლებდა მზერას.

თავლის კართან იჯდა იმ დღეს გიო და დიდხანს ფიქრობდა, რომ არ არსებობს ალბათ იმედი დიდი სინანულის გარეშე. ოფლიან სახეზე ჭუჭყის მოშავო ზოლები დასდევდა, გაჩეხილი ხელიდან სისხლი სდიოდა, აცრემლებოდა უნებლიეთ თვალები, მის მღელვარებისაგან დაფოთლილ სახეზე გულუბრყვილო, ჯერ უმანკო კაცის მრისხანება დათარეშობდა. მდუმარედ ჩაუარა ყველამ. თვალი გააყოლა გიომ უკვე ხანგადასულ ცხენოსნებს, რომლებსაც კარგა ხნის წინათ მწარედ განეცადათ, როგორ ნელ-ნელა, თანდათანობით აჩვევს ცხოვრება რაღაცის დათმობას და წაგებას, და ადამიანებიც თავისდაუნებურად ეგუებიან ამას, მხოლოდ დრო ყოფილა საამისოდ საჭირო, ასე დაუწესებია, ასე გადაუწყვეტია მათთვის განგება. ამათ ალბათ ეღიმებოდათ გიოს გულუბრიყვილობაზე, რა უნდა ეთქვათ, ადრე თუ გვიან, გიოსაც ხომ უნდა წაეგო... ოტლე კი გაუჩინარდა სადღაც, თვალიც ვეღარ მოჰკრა გიომ. არადა ყოველთვის გრძნობდა დღის დროს სადაც იჯდა ოტლე, მაღლა, ყველაზე შეუმჩნეველ ადგილას, განცალკევებით, ხელისგული მიედო შუბლზე ისე, რომ სანახევროდ მალავდა თვალებს, თითქოს ვერც ხედავდა ვერაფერს. გიო კი ყოველი წრის შემოვლისას გრძნობდა მის გაელმებულ მზერას. ისიც მშვენივრად იცოდა, რომ ამდენ აღტყინებულ ხალხში არავის გაეგებოდა, თუ აი, ამ თავისთვის მჯდომ კაფანდარა კაცს ეპყრა სრბოლის სადაოები, მან უწყოდა მხოლოდ, ზუსტად რომელ ცხენზე რამდენი უნდა დაედო, ან რამდენ მოგებას მოუტანდა ის ნაცრისფერი, თავიდან რომ ყველას ჩამორჩა, ან ის მორუხო, ახლა წამიერ პაუზას რომ აკეთებდა და წინ უშვებდა სხვას, რომელზეც უხეირო, მომრგვალებული, წითელი სახიანი მხედარი იჯდა. არადა, ერთი შეხედვით, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა ოტლე, ის იღლიაში გაჩრილი გაზეთითა და პროგრამით ჩუმად შემოიძურწებოდა ხოლმე იპოდრომზე, ბოლომდე ერთ პოზაში გაშეშებული იჯდა, ჩასძინებიაო, იფიქრებდნენ, შესაძლოა, გამოსაფხიზლებლად ხელიც წაეკრათ.

გიო კი საკუთარ სხეულზე აღიქვამდა მის მზერას, ყველა შეცდომას, დაკარგულ წამებსაც. იცოდა გიომ, რომ აუცილებლად იგრძნობდა ოტლე, სად მოხაზა ცხენის გავამ არასწორი რკალი, რამდენი მეათედი დაჰკარგა ამით, რამდენ სანტიმეტრზე დასცილდა უზანგი ცხენის ფერდს, ანდა სად დაერღვა გიოს სხეულის წონასწორობა და რა დრო დასჭირდა ამ ხარვეზის შესავსებად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ვერ გათვალა რომელიღაც მოსახვევი და რამდენი მოძრაობით გამორჩა მადევარი თუ წინ წასული მეტოქე... ეს ყველაფერი და კიდევ უამრავი სხვა რამ უეჭველად აღნუსხული ექნებოდა ოტლეს, ისევე, როგორც ტრიბუნაზე მოკალათებული ხალხის ყველა არასწორი სვლა, არასწორად ჩასული თანხა, გაწბილების ჟესტი ან წინასწარი, ნაჩქარევი აღტაცების კვალი.

ეს ხალხი არ იცნობდა ოტლეს, სამაგიეროდ, ოტლე იცნობდა ყველას, წაგებულსაც და მოგებულსაც, ნაღდ მოთამაშესაც და „შულერსაც", იცოდა, ვინ იყო პირველად იპოდრომზე და ვინ რამდენი წააგო წინა დოღზე. თითქოს ცხენებივით ახარისხებდა მათაც, უთვალთვალებდა, ახარებდა და აწბილებდა, ამავე დროს თავის თავთან უზომოდ მართლად დარჩენასაც ახერხებდა... ეს უდიდესი ხელოვნება იყო, რომელსაც თვალებზე ხელაფარებული ოტლე მთელი ცხოვრება ეუფლებოდა.

სრბოლის მერე ოტლე მუდამ დათქმულ ადგილას ელოდა ხოლმე გიოს, რომელიმე სამწვადეში ფანჯარასთან იჯდა და ელოდა. მოგებულ ფულს უყოფდა, ნახევრად ხუმრობით შენიშვნებს აძლევდა და ხშირად მცირეოდენს უქვითავდა კიდეც.

იმ დღეს, როცა პირველად წააგო გიომ, სადღაც გაქრა ოტლე, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, არადა ახსოვდა გიოს, როგორ იჯდა იგი ჩვეულ ადგილას, როგორ აყოლებდა თვალს, თავსაც აკანტურებდა, ბოლომდე ფეხმოუცვლელად იჯდა...

იმ საღამოს საშინლად დათვრა გიო, არც არავის უთქვამს, ნუ სვამო. იმ საღამოს ვიღაც მეძავთან გაათია ღამე და არ უგრძვნია, ქალი საშინლად მახინჯი რომ იყო, უსუფთაო სხეული ჰქონდა.

დილით აღარაფერი ახსოვდა გიოს, დილით უკვე იცოდა, რა იყო მარცხი, როგორია, როცა ძალიან, ძალიან მაგრად გცემენ, თუნდაც დამნაშავეს.

ქალს კი ეძინა კედლისკენ მიბრუნებულს, ვნებადაშრეტილს და ერთი ღამისათვის საოცრად ერთგულს. ის ადრეც იცნობდა ამ ქალს, დღენიადაგ იპოდრომთან წრიალებდა და მთვრალი ცხენოსნების აღგზნებულ სხეულებს და ჯიბეებს ვნებიანი ღიმილით და ერთი ღამით დაუფლებული სიჩუმით ატრიალებდა.

ვიოს ხელი გადაუსვა გაშიშვლებულ ზურგზე და იგრძნო, რომ ეს ქალი არც ისეთი უგვანი იყო წუხელ, სწორედ ძალზედ სჭირდებოდა მის გაორებულ, გათანგულ სულს, მაგრამ ახლა საშინლად შეზარდა, რატომღაც მოერიდა, სახეზე შეეხედა მისთვის. ადექი, პირი დაიბანეო, ხმამაღლა უთხრა. თვითონ ფეხშიშველი, თავისი პატარა ოთახის აივანზე გავიდა. ქალი მორჩილად წალასლასდა, ვერ გაეგო, რა მოხდა, ყოველთვის რად ექცეოდნენ ასე, რად ხდებოდა გამთენიისას ასე ერთნაირად აუტანელი ყველასათვის. და თითქოს ამან უფრო შეაყვარა ასე ნატრულივით, ასე მიმნდობად ღამეები. გიოსგან ყველაზე სასიამოვნო ჩურჩული ესმა, ყველაზე სანუკვარი სიტყვები ებოძა წუხელ და ქალს გული დაწყდა, რომ თავი ვერ შეიკავა და ჩაეძინა. დაენანა, რომ უსასრულოდ არ გაგრძელდა ის ღამე. ჩუმად, უხალისოდ შეისხა სახეზე წყალი, ოთახში შებრუნდა. გიო ისევ აივანზე იდგა, მეათასედ წყევლიდა თავის თავს, არაფერი არ სურდა, ოღონდაც ასეთი უმწეო არ მოსჩვენებოდა საკუთარი თავი.

„ნუთუ ღირდა ერთი მარცხისთვის!" — ფიქრებში იმეორებდა და სახე საცოდავად უღიმოდა.

შეუმჩნევლად მიუახლოვდა ქალი, უნდოდა ხელით შეხებოდა მის განიერ ბეჭებს, ძალიან უნდოდა, მაგრამ მოერიდა თუ შეეშინდა და მე წავალო, ძღვნად გასაგონად ჩაილაპარაკა.

გიოს ხმა არ ამოუღია, ფანჯარა გამოაღო და აფუსფუსებულ ქუჩას გახედა. მისთვის ისევ გრძელდებოდა წინა დღის მარცხი. ქალის ღიმილი დაუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ, როდესაც უსუფთაო დუქნიდან გამოვიდნენ მთვრალები. ლამპიონების ქვეშ იდგნენ, კოცნიდა ქალს და ხომ ძალიან გიყვარვარო, განუწყვეტლივ ეკითხებოდა. ქალიც სიცილით, უამრავჯერ უმეორებდა ერთი და იგივეს, ეცინებოდა გაოცებულ ქალს, ვის რაში უნდა დასჭირვებოდა მისი სიყვარული. გიოს გახელებულ ტანს ეკვროდა, მისი დაღლილი ხელის სიმძიმეს გრძნობდა მხარზე. განუზომლად სიამოვნებდა ამ უცნობი კაცის სიახლოვე, რომელიც საერთოდ თითქმის არ ლაპარაკობდა ხოლმე და ახლა გამუდმებით სთხოვდა სიყვარულს, სთხოვდა იმას, რაც შეეძლო ძალიან უბრალოდ, ყველაფრის უთქმელადაც მიეღო.

ქალს სულ რაღაცის თქმა უნდოდა და ერიდებოდა. გიო დაიხარა და შუბლზე აკოცა, გრძელ, უშნოდ ჩამოწეწილ თმაზე გადაუსვა ხელი, ისე ფაქიზად, როგორც პატარა ჩვილ კვიცებს ეფერებოდა ხოლმე, და მოეჩვენა, თითქოს ქალსაც გამოჰყოლოდა თავლის სითბო და სუნი.

ოტლე კი არ ჩანდა არც მეორე დილით, თუმცა ადრეც თითქმის არასოდეს აკითხავდა შინ, ისიც ძალზე გაუკვირდა გიოს, როცა მოგვიანებით, სადარბაზოდან გამოსულს იქვე, ახლად ამწვანებულ სკვერში განცალკევებულ მერხზე წამოსკუპული ოტლე დაუხვდა. ის იჯდა, თავი ნახევრად მიებრუნებია იმ მხარეს, საიდანაც იცოდა, რომ გიო გამოჩნდებოდა. იღიმებოდა, ცხენივით ფრუტუნებდა თითქოს და თითს უქნევდა. უცნაური კმაყოფილებით ფრუტუნებდა მართლაც, თითქოს ამით ეუბნებოდა მოახლოებულ გიოს: აი, როგორი მოულოდნელობებიც ხდება ხოლმე, შენ კი არა გწამს შემთხვევის, გულუბრყვილო ხარ, ძმობილო, და იმიტომ.

გიო მოწყვეტით დაეშვა მის გვერდით, პაპიროსს მოუკიდა და მუხლებზე გადაიგორა კვამლი.

— გშია? — შეეკითხა ოტლე.

გიომ ისევ უნებლიედ დაუქნია თავი, როგორც ბავშვობაში. ჯიბეში გროშიც არ ეგდო გიოს, არც შიოდა, მაგრამ ჭამა ახლა სწორედ ის საქმე იყო, რომელიც გულის გადასაყოლებლად გამოდგებოდა. ფიქრი არ უნდოდა გიოს...

მოვა ზამთარი, ძმობილო, და კიდევ ერთხელ ჩაგვმალავს, — ჩუმად, ფრუტუნით ლაპარაკობდა ოტლე, — და მერე ყოველ დილით გამოვლენ პატარა, მთვრალი ბიჭები, ისეთები, ჩვენ რომ მოგვწონდა და მოგვწონს, ან, შესაძლოა, ჩვენც რომ ვიყავით, ან არც ვიყავით, მაგრამ რაღაცით მსგავსები... ფეხების ბაკუნით შეუყვებიან ქუჩებს ზუსტად ისე, საყვირის ხმა რომ მოიპარება ხოლმე ჩემიდან შენამდე და უკან. ხომ გახსოვს, ნელა, გაჭიანურებულად... თითქოს ფეხს ითრევს ჩემიდან შენამდე და მაინც როგორ მოიპარება ხოლმე, არა? უბრალოდ, სადად და მსუბუქად... გამოვლენ ბიჭები ერთ ზამთარსაც, კბილებით ააბრაშუნებენ თოვლს, ფეხებით კი არა, როგორც სხვები, კბილებით... ჯიშიანი ცხენების რემასავით მოედებიან სითეთრეში დაფლულ ქალაქს, წამოესევიან ქუჩებს და ასე ყველა ჩუმ-ჩუმად, თავისთვის მოიპარავს თოვლს... ჰო, თოვლის მობარვაზე ჯერ არ სჯიან მგონი... ასეა, ჩემო გიო, ყოველ ზამთარს ვიღაც ახალი პირველად გამოდის თოვლის მოსაპარად ქალაქში. ჩაყურსულ ქალაქში პატარა მთვრალი, ქუჩებში მობაკუნე ბიჭები ალალად იპარავენ თოვლს... რა არის ამაში ცუდი?! ასეა იმთავიდან — საყვირის ხმასავით ჩუმად, უბრალოდ და ლაღად ჩემიდან შენამდე, ძმობილო, ჩემიდან შენამდე და უკან...

ოტლე იცინოდა, ოტლე ფრუტუნებდა, ნათოტა კბილებს აჩენდა, იფერებდა ცხენის იერს და ამას ერქვა ოტლეს სიცილი, განუმეორებელი, ერთადერთი სიცილი, ამქვეყნად რომელსაც ვერავინ წაბაძავდა, ვერ გაიმეორებდა. თითქოს ეს იცოდა ოტლემ და ხშირად იცინოდა, - გამძლე ულაყივით მიმოიქცეოდა ამ ზამთრიდან იმ ზამთარში, გუშინდელი ბიჭიდან ხვალინდელ ბიჭამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკან... თოვლი კი მოდიოდა თავისთვის ირიბად, მშვიდად მოდიოდა და შესცქეროდა თუ ეგებებოდა მას ქალაქში ჩარჩენილი ოტლე ყოველთვის განსხვავებულად, ოღონდ მუდამ განუზომელი პირველქმნილი აღტაცებით და ფიქრობდა გიო: ისე შესციცინებდა ოტლე ყოველ ახალ ზამთარს, ყოველ მოცახცახე ფიფქს, როგორც ახალ, სახელდახელოდ მოგებულ დოღს, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდა, საუკუნის დოღს, რომელზეც მთელი ცხოვრების დადება და გამეტება შეიძლებოდა, ჰო, ზუსტად ასე, საუკუნის დოღს... თოვლი კი მოდიოდა, მოდიოდა ნელა და ერთბაშად, სითეთრითა და სიმყუდროვით ავსებდა ქალაქს.

— გინდა სიბერისათვის კარგი გართობა გასწავლო? — სწორედ იმ დღეს გაუმხილა ოტლემ თავისი უკანასკნელი ან თითქმის უკანასკნელი აღმოჩენა, — სადმე აბანოსთან ახლოს უნდა დასახლდეს კაცი... თუმცა სისულელეს ვროშავ, შენ ახლა მაინც ვერ გაიგებ ამას, სიბერისთვის ყველამ თავისთვის და თავისებურად უნდა აღმოაჩინოს რაღაც, ერთნაირად არ გამოვა, არაფრით არ გამოვა, ძალიანაც რომ ეცადო, მაინც არ გამოვა... ჰოდა თუ არ გამოვა, არც უნდა ეცადო, ერთნაირად არაფერი არ გამოდის, მით უმეტეს, სიბერე... რას მომშტერებიხარ გაკვირვებით... ჰო, ჰო, ძალიანაც...

ოტლეს იმ დღეს მიწისფერი ედო სახეზე, ესეც პირველად მაშინ შენიშნა გიომ — თვალები ეყინებოდა, ისინი თითქოს თანდათან იკრებდნენ უამრავ უხილავ საგანს, ასეთივე უხილავი ძაფებით დაკავშირებულს ერთმანეთთან, ისრუტავდნენ გარემოს და მოსარკულ ზედაპირზე თავისებურად, ურჩად, დაყინებით, რაღაც შინაგანი ძახილის მიხედვით განალაგებდნენ. ღმერთმა უწყის, რა წესებს, რა კანონებს ემორჩილებოდა იმწუთას ოტლეს ორი მოსარკული ღრმული, რომელსაც წინანდებურად ჯერ კიდევ თვალები ერქვა. გიოს რაღაცით უკმაყოფილო, ნაწყენი თუ შეწუხებული ეგონა ოტლე, არადა მთვრალი იყო, საშინლად მთვრალი, ორი ჭიქისაგან მხოლოდ... ეს გიოს პირველად წაგებული დოღიდან კარგა ხნის მერე მოხდა და გიო მიხვდა, საქმე ძალზე ცუდად იყო, მიხვდა, მის თვალწინ მზადდებოდა იქნებ ყველაზე დიდი მარცხი მის ცხოვრებაში. შესაძლოა, ოტლე ძველებურად აღარ დახვედროდა სადარბაზოდან გამოსულს იქვე, სკვერში ჩამომჯდარი, მისკენ მიყურადებული და მომღიმარი. ეს სხვა მარცხი იქნებოდა, ოტლესაც რომ აღემატებოდა, იმხელა.

და აქ მიხვდა გიო, რომ ოტლე ყველაფერს საოცარი სიზუსტით აკეთებდა, შემთხვევითობაც კი, სანამ ოტლეს შეეხებოდა, ზაფრავდა, აბნევდა და ნთქავდა სხვათა გამძლეობას, საკმარისი იყო, გაკარებოდა ოტლეს, რომ რაღაცნაირად მოულოდნელ სიზუსტეს და თანწყობას იძენდა... სწორედ მოულოდნელს (ეს ახსნა საერთოდაც ზედგამოჭრილი იყო ოტლესთვის, ერთადერთი და ზუსტი — მოულოდნელი)...

იმ დღესაც აბანოში ისხდნენ, ზეწრებში გახვეულები, დაორთქლილები, ისხდნენ და ცივ ლუდს შეექცეოდნენ. თოვდა გარეთ, თოვდა კი არადა, ყინავდა. ვიღაცები მიდი-მოდიოდნენ მათ გარშემო, ლუდს ასხმევინებდნენ, იწონებოდნენ, შრებოდნენ. ისინი კი ისხდნენ და ისხდნენ მთელი საღამო, ყველაზე ცოტას ლაპარაკობდნენ, ყველაზე ცოტა ყურადღებას უთმობდნენ სხვებსაც და საკუთარ თავსაც, არავითარი საზრუნავი არ ჰქონდათ თითქოს. ისხდნენ გვერდიგვერდ გრძელ, ვიწრო ხის სკამზე, ნელ-ნელა, დიდი გემრიელი ყლუპებით სვამდნენ ცივ ლუდს, რომელიც აქ ისევე გემრიელად და სასიამოვნოდ ისმებოდა, როგორც პაპანაქება ზაფხულში. ოტლე სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, ოფლით დაცვარულ სახეზე ჟამიჟამ საზარელი სიმშვიდე გადაუვლიდა ხოლმე, სხვათათვის შეუმჩნეველი სიმშვიდე, საშიში და გაუვალი, არც დასაბამი რომ არა აქვს, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული, უფრო სწორად, უწარსულო და უმომავლო სიმშვიდე, საიეზე რომ ვერ დაიმაგრებ წამიერ გაელვებაზე მეტხანს, შემაძრწუნებლად საკუთარი და მოუხელთებელი... გიოც ვერ აღიქვამდა, რომ ქვეცნობიერად სწორედ ამის ანაბეჭდს დაეძებდა ასე გაფაციცებით ოტლეს სახეზე. იჯდა მის პირდაპირ, დაჟინებით შეჰყურებდა, ცნობისმოყვარედ, ოდნავ დაბნეული, გაოცებულიც კი. ეს ორი, ზეწარში გამოხვეული კაცი რაღაცით არაამქვეყნიურს ჰგავდა, სადღაც შხაპის ხმებსა და ორთქლის ოხშივარში ყველაფრისაგან გამიჯნულნი, თავის საიდუმლოს საბოლოოდ დაპატრონებულნი, ფონს გასულნი. ისინი სულ სხვა კალაპოტში მიტოპავდნენ, სულ სხვა მიმართულებით, ასე გარინდულნი ამიტომაც ასცდნენ აქ ყველას და ყველაფერს, სამაგიეროდ, საკუთარი თავი იუფლეს, ისინი არ ჰგავდნენ აბანოში მოსულთ, რომელთაც ცხელი წყალი სჭირდებოდათ ან ლუდი, ან კიდევ რაიმე სხვა, ისინი თეატრში მოსულთ ჰგავდნენ რაღაცით, თავით ფეხამდე მორთულთ, ფარდის გახსნას დაყურადებულთ... მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის საცქერლად მოსულთ... აი, გაიხსნებოდა ფარდა და გამოჩნდებოდნენ, კიდევ ერთი საღამოთი გაუმყღავნდებოდნენ საკუთარ თავს...

და აქ გადაუკრა კიდევ ერთხელ ოტლემ, დახლიდარისაკენ გაიშვირა ლუდით სავსე კათხა, უცნაური წრე მოავლო მის წინ. — ამათ და ქალებმა არასოდეს არ უნდა შეიტყონ, რომ ყველაფერი წააგე, რომ არაფერი აღარ დაგრჩა წასაგები... ხომ ხედავ, როგორი თვალები აქვს ამას, ხარის თვალები, ცოტა დაბინდული, ცოტა ჩლუნგი, ქვემოდან შემპარავად ამომზირალი. აი, ასეთი თვალებისა გეშინოდეს, ძმობილო, მათ არაფერი გამოეპარება, ყველაფერი გათვლილი აქვს, ახლა შენ და მე ამათთვის წამგებიანი ცხენებიც ვიყოთ შეიძლება ან ცოტა ხანში გავხდეთ... ამათ კი ყოველთვის იციან, თითქმის ზუსტად იციან. რა იქნება ცოტა ხანში (ინტუიცია აქვთ ერთნაირად გამახვილებული ამათ და ქალებს, ინტუიცია, უზომო ცნობისწადილი და ცოტაც სიბილწე...) შენ გესმის, რას ნიშნავს ეს ყველაფერი ერთმანეთში არეული? არა, ისე ვერა ვთქვი, შეკმაზული... ასეთი თვალები მაშინებდა მთელი ცხოვრება, რომ შემოგხედავს ერთს და უკვე იცის, რამდენს იწონი, ან სად რომელი ღილი აგწყდა, როდის, რომელ წელში გაკოტრდა ან გამდიდრდა ბაბუაშენი ან ბებიაშენმა რამდენის ქონება მოუტანა მზითევში. თუმცა მეც ხომ დაახლოებით იგივეს ვაკეთებ ცხენებთან, მაგრამ მე ერთი გამართლება მაქვს: მიყვარს ისინი და არასოდეს ვყიდი და ვღალატობ მათ. ასეა თუ ისე, ცხენი მთელი ჩემი ცხოვრებაა. მე და შენ კი ამათთვის ავტომატები ვართ, რომლებშიც თავის ლუდს კი არ აგუბებენ მხოლოდ, არამედ თავის ინტუიციას, ცნობისწადილს, სიბილწესა და ზიზღს. ასე არ არის, მაესტრო? — უცებ ხმამაღლა გასძახა ოტლემ შორიახლოს ლანგრით ხელში მოფუსფუსე გათქვირულ, წითელლოყება დახლიდარს... (ერთადერთი ოტლე მიმართავდა მას ასე) და იმანაც ინსტინქტურად, ოტლეს ხმაზე მოტრიალებულმა, ძველი გალიფე შარვალივით გადმოკიდა განიერი, ტევადი ლოყები, და აბა როგორ, როგორც თქვენ იტყვით, ისე იქნებაო, გამოსძახა.

— ასეა, ძმობილო, თავის კანტურითა და ღიმილით ჩაილაპარაკა ოტლემ, — ასეა.

ადრე, პირველად წაგებული დოღის მეორე დღეს რაღაც ამისმაგვარი უთხრა, სულ ხვა ვარიაციით, მაგრამ რაღაცით მსგავსი: ცხენები და ქალები რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს, არც ერთმა და არც მეორემ არ უნდა შეგატყოს, რომ გიჭირს, ბევრი მოფერების ძალა აღარ შეგწევს (მოფერების კი არა, ბევრი მოფერების), რომ რაღაც მოგბეზრდა და მოწყენილი ხარ. ორივე დაახლოებით ერთი და იგივეს ეძებს კაცში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუნდაც მხოლოდ იმდენ ძალას, რომ ამ ყველაფრის დაფარვა შეძლოს, ესე იგი, თავის თავს ერთი მუხლით რომ გადააბიჯებინოს, იმდენს. ამის შემდეგ ზოგი ნელ-ნელა, ზოგიც ერთბაშად, ეჭვით, ფარულად თუ სიფრთხილით, მაინც გაღიარებს ბოლოს და ბოლოს. რამდენად მოირგებ ცხენსა და ქალს და როგორ, ეს უკვე შენზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ ის აღიარება არ შედგა, თუ შენი ბუნება არ გააღეჭვინე (თავდაპირველად ამას ელტვიან უმთავრესად), ფუჭი იქნება ყველაფერი, სხვანაირად არც ცხენს სჭირდები, არც ქალს... თუმცა გამონაკლისი ცხენებშიც არსებობს და ქალებშიც, მაგრამ...

ამ გაუგებარი ჩამოლაპარაკებების მერე გიოს ყოველთვის ეგონა, რომ ოტლეს რამდენადაც უყვარდა ცხენები, იმდენად სძულდა ქალები, რატომღაც სძულდა, არადა არავითარი მიზეზი არ უნდა ჰქონოდა ამის, პირიქით, როგორც ახსოვდა, ოტლეს მუდამ გადაჭარბებით ანებივრებდნენ ქალები, ასაკოვანსაც კი...

მერე და მერე იგეშა გიომ, რომ ამ ნახევრად ხუმრობებს შორის ჩართულ გადაკრულად ნათქვამებს და ოტლეს გამომეტყველებასაც სულ სხვა რამ ეწადა, ოღონდაც არ უნდოდა ოტლეს, რომ 'მეგონების სახე მიეღო ამას... ის ხუმრობა-ხუმრობით, მიეთ-მოეთითა და დაცინვით ნამდვილი ქალისკენ ექაჩებოდა გიოს, როგორც ყოველთვის შეუმჩნევლად, საკუთარ ჩრდილში გაუჩინარებული... დროა, ახსენებდა ამით, ნამდვილი სიყვარულის დრომ მოაწიაო, ნამდვილი ქალის დრომ. გიოს არ ესმოდა (ეტყობა, ოტლე სულში მარადი საყვარელი იყო, მარადი ბიჭი, ისევე, როგორც მარადი ნოსტალგია, ასეთად წავიდოდა კიდეც. სადღაც დასტოვებდა, ვერაზე თუ ორთაჭალაში თავის ცხენისიერა პროფილს, საყვირის დაგუდული ეღერასავით გაიწელებოდა და წაბაკუნდებოდა მაღლა-მაღლა, მარადი სევდასავით, გუშინდელი ბიჭიდან ხვალინდელ ბიჭამდე და უკან... ეგებ ყველა მიმართულების საწინააღმდეგოდაც. გამოაჩენდა ნაფოტა-კბილებს და მორჩა... ვინ იცის?!)

გიოსთან კი მაინც სხვანაირად მოვიდა ნამდვილი სიყვარული, გამოეპარა დაქანცულს, რაღაც გამორჩა... იქნებ ეგონა, ასე არ ხდებაო, ან არ იცოდა, რომ მოვიდოდა, ერთხელ მაინც მოვიდოდა, თავისით მოვიდოდა და მზად რომ უნდა ყოფილიყო ამისთვის. ოტლემ აქაც გაასწრო, აქაც მარტო დასტოვა ჩვეულებისამებრ, და თითქოს ვიღაც ჩასჩიჩინებდა დამარტოსულებულ გიოს, განუწყვეტლად ჩასჩიჩინებდა: „კარგად ყოფნის გეშინოდეს, შვილო, ერთადერთი კარგად ყოფნის გეშინოდეს...“ გარეწარის ხმას ჰგავდა, მაგრამ რას იზამდა (გარეწრებსაც ხომ აქვთ ხმა თუ ხმის უფლება).

სიყვარული კი თავისით გაჩნდა, თოვლივით უცებ, თოვლივით ალალად, უცაბედად მოვიდა ქალიც. გიოს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ასე თოვლივით უხმაუროდ მოდიოდნენ ქალებიც... მოდიოდნენ ჩუმად, ისე ჩუმად, როგორც ყველაფერს ნამდვილს სჩვევია, დასარჩენად მოდიოდნენ...

ერთ შემოდგომის დილას იპოდრომის ჭიშკართან შენიშნა ის გოგონა, არადა ხშირად ხედავდა ადრეც. ხედავდა, როგორც ბავშვს, რომელსაც ცხენებისათვის თუ ცხენოსნებისათვის თვალის დევნება უყვარს, რომელიც არც ერთ დოღს არ აცდენდა, რა იყო ამაში გასაკვირი... სახეზე თითქმის ყველას სცნობდა გიო, სცნობდა გოგონასაც, პატარას, ფერმკრთალს, არაფრით გამორჩეულს, დიდი, მუდამ გაოცებული, ნაცრისფერი თვალებით რომ მიშტერებოდა. მუნჯივით მონუსხული მიჰყვებოდა და მოჰყვებოდა იგი თავის ტოლებს... მალიმალ გამოხედავდა ხოლმე, შეაშტერებდა თვალებს. პატარა, კარგად მოვლილ ფაფუკ კატას ჰგავდა. თუმცა გიოსთვის ისინი ყველა ერთმანეთს ჰგავდნენ. ვერ ამჩნევდა გიო პატარა, მშვენიერი კატის გაოცებულ თუ აღტაცებულ მზერას, იქნებ კარგიც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო, (კატები საერთოდ ეჯავრებოდა გიოს). თავზე ხელს გადაუსვამდა გოგოს ხანდახან, როცა კარგ გუნებაზე იყო და უხმოდ ჩაუვლიდა. ამაშიც რა იყო გასაკვირი, ასე ექცეოდა თითოეულს. და უცებ, სულ ერთი ზაფხული გავიდა მხოლოდ. ერთი გაელვება გიოსთვის, ჩვეულებრივი სამი თვე, და თურმე იგი მთელ ცხოვრებას უდრიდა გოგოსთვის. იქნებ ერთი ზაფხული გოგოსთვისაც ერთ ზაფხულად დარჩა და მასაც ეგონა, არაფერი შეიცვალა...

არადა იმ შემოდგომის დღეს იპოდრომზე სხვა ვიღაც მოვიდა, სხვა, რომელმაც უკვე იცოდა, რისთვის მოდიოდა. და ნაცრისფერთვალებიანი კატის გაოცება ახლა უფრო ღრმა გამხდარიყო, უფრო დაფარული, ახლა მის მზერას თავის თავით აღტაცება უფრო მიესადაგებოდა... ის მოქნილად, დახვეწილად თავაღერილი მიაბიჯებდა მოხრეშილ ბილიკზე, მოკლე კაბა ეცვა და მუხლები დარჩენოდა მხოლოდღა ბავშვური.

— შემსვი ცხენზე, — ხმადაბლა უთხრა გიოს, მაგრამ გიო შეაცბუნა ამ ხმამ, რადგანაც თხოვნა კი არ ისმოდა მასში, არამედ მოთხოვნა, რაღაცის კუთვნილის, დიდი ხნის ნალოდინარის და ნაოცნებარის მიღების ჟინი... ნაცრისფერთვალებიანმა მშვენიერმა კატამ უკვე თითქმის იმის გასიგრძეგანებაც მოასწრო, რა იყო მისი, რას ითხოვდა და აღარ უნდოდა დაეთმო არასოდეს...

გიო მოსართავს უჭიმავდა ცხენს, წამით შეყოვნდა, ზემოდან გადმოხედა გოგონას.

— ჯერ ადრეა შენთვის, — ჩაილაპარაკა მერე, — ჯერ გავნებს.

ამით დაიწყო, უფრო სწორად, თვალებით, და თვითონაც არ გაეგებოდა გიოს, რომ იქნებ ეს თვალები გააძლებინებდა საბოლოოდ, ჯერ კი ფიქრობდა, რომ ამ ნაცრისფერთვალება გაოცებას კიდევ ბევრი აკლდა ქალობამდე. იქნებ გიო გაურბოდა კიდეც, შეგნებულად თუ შეუგნებლად სადღაც ემალებოდა. დიდი ტკივილები ჰქონდა გიოს, წინ უფრო მეტი ელოდა, ტკივილებისათვის კი ებრალებოდა მშვენიერი ფაფუკი კატა, ენანებოდა ის გაოცება, რომელიც თვითონ აღარა ჰქონდა... (გოგოს ტკივილით არ უნდა დაეწყო).

და მერე გიო მიხვდა, რომ აღარ გაეძლებოდა, რომ ეს ნაცრისფერი თვალები აგრძელებდა მის გზებს, ერთი წამითაც არ სტოვებდა. იჯდა გიო საღამოობით და სვამდა, გარეთ კი მოფარებულში ელოდა ეს თვალები, მომთმენად ელოდა, როდის გამოჩნდებოდა გიო... და ასე ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო... სრბოლისას სულ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ საცაა ცხენს გაუჩერებდა გოგო თვალებით, ანდა ქუჩაში გამოსულს, სადმე დაებმებოდა ფეხი, მანქანების ნიაღვარს ჩაუვარდებოდა, ან ტუჩთან მიტანილი ჭიქა გაუშეშდებოდა ხელში. ეს იყო მუნჯური ცნობისწადილი თუ ადევნება, რომელიც დროებითი ეგონა გიოს. არადა ნედავდა, აღარ ტოვებდა ეს თვალები მარტოს, ვერსად ემალებოდა... და შეშინდა ოდნავ, შეშინდა, რადგან ნაცრისფერთვალება მოვლილმა პატარა კატამ ამოკაწრა ტკივილი, გაითავისა, და როცა ისევ პატარად თვლიდნენ, როცა ჯერ კიდევ არ სვამდნენ ცხენზე, გავნებსო, ეუბნებოდნენ, თურმე ის უკვე ქალი იყო, უეცრად თავისივე მზერიდან დაძრული, ყველაფრის ამტანი, თვალსა და ხელს შუა გიოს ცხოვრებაში გადმოხიზნული... გიოს კი თითქოს მართლაც ეშინოდა ნამდვილი სიყვარულის, ანდა დაღლილი იყო, თავმობეზრებული, რაღაცას ღირებულს ამცდარი, ან ეგებ არც ეჯერებოდა ბოლომდე... ერთს კი სულ ფიქრობდა გიო, დაჟინებით ფიქრობდა და ალბათ ეს იყო ყველაზე ვაუკაცური, ეგებ კეთილშობილური გამართლება ამ თვალებისაგან გამუდმებული გაქცევისა და გაუჩინარების. სიყვარული ქალისათვის ხომ უსაშველო გაოცებით დაიწყო, კარგად დაიწყო და ღმერთმა უწყის, როგორ დამთავრდებოდა იგი (გიო ხომ უკვე სევდიანი იყო დიდად, იქნებ ტანჯუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიც). ოღონდაც იმასაც გრძნობდა გიო, როგორ იზიდავდა ის გაოცება თუ აღტაცება, რომელიც ელოდა ყველგან, ჩუმად, უსიტყვოდ ელოდა და უთვალთვალებდა...

გიოს უყვარდა და გარბოდა... ეს იყო მისი თუნდაც არასწორი სიმართლე. გიომ იცოდა, რომ ამ წარმტაც გოგოს, რომელსაც ჯერ კიდევ ბავშვს იცნობდა, ტკივილით არ უნდა დაეწყო. გიო კი თვითონ იყო უკვე უდიდესი ტკივილი, თუმცა ვინ იცის, დიდი ტვირთის მზიდავებიც უყვარდებათ, დიდი ხსოვნის თუ მეხსიერების პატრონებიც, ეტყობა, ხანდახან ასეც ხდება ხოლმე.

ახლაც ლუდხანიდან ამოსვლისას იცოდა გიომ, რომ სადმე ქუჩაში შეეფეთებოდა იმ თვალებს, სადმე შორიახლო, მაგრამ იმ ღამით ამისთვის არ ეცალა... ქალაქი ფეხაკრებით იპარებოდა სადღაც, ძველი ქალაქი, ნაწვიმარი, უხმაურო და სადა. ახლა უნდა ევლო გიოს, ბევრი უნდა ევლო, ქვეყნის კიდემდე თუნდაც, რომ იქნებ მცირედი მაინც გადაერჩინა. „ოტლეს ალბათ ვინმე გააცილებს“, — ისევ უმეორებდა თავის თავს, ის მაინც ახსოვდა, ოტლეს დატოვება არ შეიძლებოდა. ასე ემართებოდა მუდამ გიოს, ოტლე სადღაც ცხოვრების შუაგულში დაძირული იმ ვეებერთელა ლოდივით შეიქმნა, რომელზეც გამობმულიყო გიო, სადაც არ უნდა წასულიყო, იმ ლოდის გარშემო ივლიდა მაინც. მაგრამ ახლა სხვანაირი ოტლე სჭირდებოდა გიოს, ფხიზელი, გამჭვირვალე, ფარატინა კაცი, რომელიც წამოეპარებოდა და ამას მაინც ეტყოდა ღიმილით: კიბეები ცაში მიდიოდა არა გიო?!

სინამდვილეში ოტლე აღარ იყო, ოტლე გიოში იგულისხმებოდა მხოლოდ და სადაც არ უნდა დამჯდარიყო გიო, ისეთად ხედავდა მის გვერდით წამოსკუპებულს, როგორც ბოლოხანობას ახსოვდა. ყველგან ეჩვენებოდა იგი — კაცი, რომელსაც ყველაფერი შეეძლო...

ოტლე მარტო მოკვდა, სულ მარტო, სხვანაირად მოკვდა, ვერავინ რომ ვერ გაიმეორებდა, ისე (ასე სიკვდილი ერთადერთი ოტლეს შეეძლო). წავიდა და წავიდა თავისთვის, და ყველას ეგონა, რომ ეს კიდევ ერთი გაუჩინარება იყო მისი, განმარტოება, არადა თურმე სხვა საქმისთვის მიდიოდა, დიდი საქმისთვის, მხოლოდ ის რომ სჭირდებოდა, ისეთი საქმისთვის, სხვა რომ ვერ იტვირთებდა, ისეთი საქმისთვის (ასეთი საქმეებიც არსებობდნენ). ერთხანს იპოდრომს დასცილდა მთლიანად, აღარავის უნახავს იქ. გიო აბანოში ხვდებოდა ხოლმე მას საღამოობით. იჯდა, ცოტას სვამდა, უმეტესად სდუმდა, უმეტესად მიწისფერი ედო სახეზე. ერთ ჭიქას დალევდა, ვერც ვერაფერს ხედავდა, ვერც ვერაფერს ისმენდა მერე, გიოც ვერაფერს ხვდებოდა. და უცებ შხაპის ქვეშ გაშხლართული დაინახა ოტლე, მოკვდაო, იფიქრა, თურმე ეძინა, ოღონდაც მაშინ პირველად დაიზაფრა გიო, არასოდეს აღექვა ესოდენ ოტლეს სიშიშვლე, თითქოს ოტლე კი არადა ზედმეტად გაშიშვლებული სიცოცხლე მოკუნტულიყო წყლის ჭავლის ქვეშ. მერე რამდენჯერმე განმეორდა იგივე — მოწყდებოდა ოტლე ზეზეურად მთვლემარე, ჩააცურდებოდა კედელს და მიიყუჟებოდა თბილ, ორთქლადენილ ფილებზე. აქედან გაუჩნდა გიოს ის შეგრძნებაც ალბათ, რომ ოტლე არასოდეს არ უნდა დარჩენილიყო მარტო. გვიან მიხვდა ოტლეს ალმოჩენის შინაარსს, რომელიც ვეღარ გაანდო წინათ. აბანოსთან ცხოვრობდა ოტლე და როცა გიო სახლში აცილებდა ხოლმე, სულ ითვლიდა ოტლე. მან ზუსტად იცოდა, რამდენი ნაბიჯია აბანოდან სახლამდე და მაინც ხელახლა ამოწმებდა გამუდმებით, დაახლოებით ისევე, როგორც ცხენის მოძრაობის რიტმს იგრძნობდა ხოლმე წინათ, შუაგზაზევე იგრძნობდა თუ გამოთვლიდა. და უკვე ჰელომდე კარგახნით ადრე იცოდა, რამდენი ტემპი სჭირდებოდა ცხენს მიზნამდე. ყველაფერში უზადოდ თამაშობდაო, ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა გიო, დიდი ხელოვანის თამაშით თამაშობდაო.

თურმე აბანოში საძილე აბებს სვამდა ოტლე, ზუსტად იმდენს, რამდენიც სახლამდე ეყოფოდა, უფრო ზუსტად, სახლამდე რომ გაეხსნებოდა და სახლში უკვე (მარტოობის სამლოცველოში) თითქმის მძინარე შედიოდა. და როცა ეს თანწყობაც დაერღვა, მოზომვის უნარი, როცა იქვე შხაპის ქვეშ გაიშოტა, მიხვდა, რომ აქედანაც უნდა წასულიყო, ისევე, როგორც ქალაქიდან და იპოდრომიდან წავიდა ოდესღაც.

ერთ დღესაც გაქრა ოტლე. არავისთვის არაფერი რომ არ უთქვამს, ისე. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიაკვლია გიომ. ენით აღუწერელი ნეტარება იგრძნო, მაგრამ ოტლე უკვე თავის ორბიტაზე გასულიყო, თავის კუთვნილ უსასრულობაში ბრუნავდა. თავშესაფარების მწვანე ბარაკები წარმოუდგა გიოს, სიგიჟემდე მოუნდა, თუნდაც წამით შეევლო თვალი ოტლესათვის.

ოტლე იქაც ისეთივე ხვდებოდა ხოლმე. შემოიყვანდნენ თავის განუშორებელი ცილინდრით და ნაცრისფერი საწვიმარით მორთულს, მზესუმზირას პარკი მოუჩანდა განიერი ჯიბიდან, ნაფოტა კბილებში გაეჩარა სიგარეტი. გამოცარიელებულ შუა ოთახში დასვამდნენ და ასე იჯდა საათობით, პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, გაყვითლებული თითები უთრთოდა და სკამის ირგვლივ პაპიროსის ნამწვავებით მორიალებულ იატაკს ჩასცქეროდა, ანდა ერთ ადგილს მიაშტერდებოდა და მორჩა, ვეღარაფრით მოაცილებინებდი მზერას. გიო კი შესაციცინებდა ბალღივით, ოღონდაც გიოსაც ვეღარა სცნობდა ოტლე.

ერთ დღესაც დაიწყო სიკვდილი, რიტუალური აღმასვლასავით დაიწყო, ნელა, ანგარიშმიუცემლად, უხმაუროდ, ეკლესიიდან აღდგომა ღამეს ხატებს რომ გამოასვენებენ, ისე, და სანთლებით აჩახჩახებულ წყვდიადს რომ აუყვებიან. ოტლე გიოს თვალწინ მთელი ტანით წამოიმართა, როგორც ადრე, რესტორანში, საყვირის დაკვრისას აისვეტა დარბაზის წინ, დაძაბული ხელი დაისვა საწვიმარზე, ცილინდრი გაისწორა, გატრიალდა, მძიმე, მოზომილი ნაბიჯით წავიდა ოთახის კუთხისკენ, წამით შეყოვნდა, ჩამქრალ პაპიროსს მოუკიდა, მერე ნელა, ფრთხილად დაეშვა და ასე, ყველასა და ყველაფრისაგან ზურგშექცევით, ფეხებგაჩაჩხული დაჯდა იატაკზე. გიო ხედავდა ყველაფერ ამას და ეღიმებოდა, სიყვარულით ეღიმებოდა, გულუბრყვილოდ. ოტლეს კი შუბლი მიედო კედლის კუთხეში, კეფაზე ამოსდიოდა სიგარეტის კვამლი, გამალებით აფუტებდა. მერე დათხელდა კვამლი, დაიწმინდა,.. და გათავდა ოტლე...

ვერც ერთხელ ვერ მიუსწრო გიომ, ოტლეს დამცინავმა იერმა ყოველთვის გააცურა იგი. ოტლეს განდგომის მიზეზიც კარგა ხნის მერე გაიგო გიომ, სულ მოულოდნელად გაიგო, ერთმა პატარა ბიჭმა უამბო. ცხენით ასეირნებდა გიო ბიჭს. არასოდეს მჯდარხარ ცხენზეო, ჰკითხა.

— როგორ არა! — ჩაილაპარაკა ბიჭმა, — ძალიან პატარა, ოტლემ შემსვა ერთხელ. იყო ასეთი კაცი, ოტლე, სულ აქ ტრიალებდა, მხიარული კაცი იყო, მზესუმზირას ჩამოგვირიგებდა ხშირ-ხშირად. თქვენ არ იცნობდით ოტლეს?

დამდუღრულივით გაჩუმდა გიო.

— ბოლოსაც აქ ვნახე, — განაგრძობდა ბიჭი, — ვიღაცამ ხელი გაარტყა სახეში. ჯერ ეკამათებოდა, ოტლე კი სულ იღიმებოდა, და მერე იმან მოულოდნელად გაარტყა. ოტლე არ „განძრეულა, ისევ იღიმებოდა. მაშინ იმან საჩქაროდ რაღაც ქაღალდები ამოაცალა ჯიბიდან (გიო მიხვდა, სეზონის პროგრამა იქნებოდა, ოტლეს მონიშვნებით). ეს აღარ შეუნიშნავს ოტლეს, ხმამაღლა ხარხარებდა, აი, ასე, ერთ ადგილას ირწეოდა და ხმამაღლა ხარხარებდა. ის კურდღლის ტუჩიანი და სისინით მოლაპარაკე მოიბუზა, შეშინდა, თვალები გააცეც-გამოაცეცა. ოტლე მას ზემოდან ჩაშტერებოდა ახარხარებული, ყურის ბიბილოში ჩაევლო

ორი თითი, შეშლილსა ჰგავდა. სისინამ უცებ მზესუმზირას პარკში ჩაუკრა ხელი, დააგდებინა და მოჰკურცხლა, თან წარამარა იხედებოდა უკან, ხომ არ მომსდევსო. ოტლე კი ისევ იდგა დიდხანს, ჩუმად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ იღიმებოდა, იქვე იდგა მის წინ გაბნეულ მზესუმზირებში და ირწეოდა.

„ნაწყვეტ-ნაწყვეტ იღიმებოდა... ქვითინსაც რომ ჰგავდა, ალბათ ისე, — გონებაში გაუელვა გიოს. აუხდა ხუმრობა ოტლეს... ერთმა უბირმა, ალბათ ყველა საძოვრიდან გამოძევებულმა კრავმა მაინც შეაახო ხელი“.

გიო ვერ სცნობდა კურდღლის ტუჩიანს, მაგრამ თუ კიდევ სადმე არსებობდა იგი, უთუოდ უნდა სცოდნოდა, რომ გიოს დიდი, თბილი და ღონიერი ხელები ჰქონდა, და როცა წაასწრებდა, ადრე თუ გვიან, მაინც აახევდა პირს. თუმცა ეს რაღა შვება იყო გიოსთვის, დააგვიანდა...

ახლა მეტებთან მართლაც მუყაოსაგან რუდუნებით გამოჭრილსა ჰგავდა ქალაქი, ხელისგულზე რომ დაეტეოდა, ზუსტად იმხელა. მიუყვებოდა გიო წვიმაში დაფერდებულ ქუჩებს და გრძნობდა, რომ აღარ არსებობდა ის ყურადღება, რომელიც ასე შორს სცილდებოდა სიფრთხილეს და ასე უახლოვდებოდა აღსარებას, როგორც ეს თავის ცხენთან დამარტოვებისას უგრძვნია ხოლმე, დაეჭვებული სიყვარული, ცრემლიანი თვალების სიჩუმე და სუნი, საოცრად მძიმე, დახუთული, მაგრამ ჩვეული და თბილი. მას ახლა უფრო მეტი სიმართლე სურდა, ვიდრე სიკვდილი, და უფრო ნაკლები ბედნიერება, ვიდრე ერთი ღამისაგან ბოძებული ალერსი და სიმთვრალე. შორდებოდა იმ ადგილს, სადაც ქალაქი ეგულებოდა ადრე. გადაითარეშა ნიავმა, შემოაცვითა მღვრიე სამოსი წყვდიადს და მბევალივით გაეკრო, გაუყუჩდა მიწას. გიომ გვერდი აუარა გამეჩხერებულ თბმელნარს, შორს, თავლის ალაყაფთან წვრილ ზოლად მიიკლაკნებოდა სინათლე. მიდიოდა და მეორდებოდა მის გონებაში ჩასუქებული კაცის ნათქვამი, დაუსრულებელი „არ მეგონა“. აიარა პატარა მაღლობი, ჭრიალით შეხსნა კარი თავლას, მოესალბუნა ჩვეული სუნი. აიყალყნენ ცხენები მის დანახვაზე, მიეხეთქნენ ერთმანეთს. ერთხანს მათი ჭიხვინი, მათი თავზარდამცემი გნიასი შეელეკა მთვარეს. მერე თითქოს იცნეს, ისევ დაუბრუნდნენ მიწას, ჩაცხრნენ. გიოს ახსოვდა, კუთხეში ეკიდა ლამფა, მაგრამ არაქათგამოცლილს აღარ სურდა ზედმეტი ნათელი. დაიხარა, თითებში მოიქცია თივა და თავადაც დამშეული ულაყივით დაყნოსა... ისევ მოაწყდა და ისევ ჩაიბრუნა გახურებულ, უეცრად სუნთქვაშეხუთულ მკერდში ცრემლები. მხოლოდ იმ ერთმა ვერ იცნო, ის ერთი არ აჭიხვინდა, არ აეფაფრა, არ გაუურჩდა ღამეს. ის, მასთან შეზრდილი, საკუთარი და ნაგლოვი, წინა ფეხებზე ჩაკეცილიყო თავლის კუთხეში და ბრმა თვალებიდან წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა ბლანტი, ჭუჭყისფერი სითხე. და მაინც არ ჰგავდა იმას, ვინც გამთენიისას უნდა მოჰკლან, ბრმა ჯაგლაგს, სიკვდილს შეგუებულს, რომელიც ყველაფერს ეთანხმება და წინააღმდეგობის სურვილი დაჰკარგა. მან იცოდა, აღარაფერი შეიცვლებოდა...

გიომ თივა მიუტანა ლაშებთან. პირი არ დააკარა ულაყმა, თავი იბრუნა მისკენ და მკერდზე შეეხო. ხვალ, გამთენიისას ყველაფერი მორჩებოდა, ალიონზე ტყის გადაღმა დასრულდებოდა ცხენის წამება და მორჩილება, მას კი — გიოს დანანებით შესთავაზებენ, ეცქირა ამისთვის. „ეს არასოდეს არ გრძელდება დიდხანს“ — ნუგეშივით გაეხირა გიოს გონებას, — „ამას ყოველთვის ძალიან ცოტა დრო სჭირდება, სულ ერთი წამი... და მე ალბათ კიდევ ერთ უდიდეს დოლს წავაგებ ჩემს ცხოვრებაში. რაღაც მცირედი გაელვება უნდა მოვითმინოთ, ერთხელაც დავიძაბოთ,

---

მიკა ალექსიძე
ოტლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთხელ და ყველაფერი უცებ, თავისით გათავდება“.

გიო მუხლებზე იდგა ცხენის წინ, ნაცრისფერ ფაფარს ჩასჭიდებოდა დაკოჟრილი ხელით, უხმოდ ჩაეკიდა ცხენის კისერს. იგრძნო, რომ იმატა შუქმა მის ზურგს უკან, უფრო ჩქარა ათენდებოდა ტყეს. ცა იყო მშვიდი, ნისლის ფერმკრთალი ნამქერისგან გადათრთვილული, აღარც წვიმდა. გიოს აღარ სურდა ეცქირა ცისთვის, საშინლად მოსაწყენი, გულგრილი ეჩვენა ცაც. მის უღიმღამო ფონზე მწამებლურად ეჩვენებოდა, რომ ცარიელდებოდა მის გარშემო სადგომი ცხენთა, რომ ვიღაცამ სათითაოდ გაიყვანა ყველა ცხენი და ახლა მხოლოდ ლეშის სუნიღა შერჩენოდა თავლის კედლებს, მის ხელებსა და დამტვერილ ტანსაცმელსაც კი. ტყის გადაღმა ინათა მაინც, და სწორედ ამ თვალისმომჭრელ სინათლეში ძნა ცხენი ტყვიის წინაშე ისე მორჩილად, გაურკვევლად და მშვიდად დახრიდა თავს, როგორც მოულოდნელად თვალებში ჩარჩენილი ვეება, გავარვარებული მზის წინაშე.

და გიოც, ოტლეს წყნარი ხმის მაგიერ — „კიბეები ცაში მიდიოდა არა გიო?“ — სულ სხვა რამეს გაიგონებდა, შორეულს და მოუხელთებელს: ნუ შეგეშინდებათ ღამეების, ისინი მაინც ყველანი ერთმანეთს ჰგვანან, თუმცა თითოეულს სხვადასხვანაირად უჭირს, რადგანაც ღამეები ის მარადიული მშობიარენი არიან, რომლებმაც ერთი და იგივე სხვადასხვანაირად, სხვადასხვა ტანჯვით უნდა შვას.

და ეს უკვე, ისევე, როგორც ოდესღაც ოტლესთვის, მარტო ცოდნა კი არა, გიოსთვისაც რელიგია იქნებოდა.

გალაკტიონ პაიჭაძე

ქართველები განმათავისუფლებელ ბრძოლებში

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ახალი არმიის ინტერნაციონალური არსი და განმათავისუფლებელი მიზანი მთლიანად და ნათლად გამოვლინდა, როცა საბჭოთა ხალხმა დიდი სამამულო ომის წლებში საბრძოლო მოქმედება სამშობლოს საზღვრებს გარეთ გადაიტანა მტრის ბოლომდე განადგურების მიზნით.

1944 წ. 28 სექტემბერს უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა, განთავისუფლებული ბულგარეთის პირველ არმიასთან ერთად, გადალახეს იუგოსლავიის საზღვარი. მაშინ ამ სტრიქონების ავტორი იბრძოდა 267-ე გვარდიული რეაქტიული არტალერიის დივიზიონში (მეთაურის მოადგილედ), რომელიც უკრაინის მესამე ფრონტში მყოფ გვარდიული ოპერატიული ჯგუფის ნაწილში შედიოდა.

ეს ახალი იარაღი — სოციალისტური ინდუსტრიის პირმშო, ომის პირველ დღეებში შეიქმნა და მყისვე პოპულარული გახდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. „კატიუშა", რომელმაც ეხოდენ რომანტიკული სახელი მოიპოვა მთელს ჩვენს ქვეყანაში, თავზარს სცემდა ფაშისტ დამპყრობლებს.

ბულგარეთ-იუგოსლავიის საზღვარი ჩვენმა ლანადგარებმა ეკიპაჟითურთ ჭალაკ ლევის მახლობლად გადალახეს.

არც ისე ადვილია იმ სიხარულისა და აღტაცების გადმოცემა, რასაც მაშინ ჩვენთან ერთად განიცდიდა თავისუფლების მოყვარე იუგოსლავიელი ბალნი. ქალაქებსა და სოფლებში, გზებზე და გზაჯვარედინებზე ჩვენი საბრძოლო მანქანებისაკენ მოემართებოდნენ ხერბები და მაკედონელები, ყველა იუგოსლავიელი მშრომელი, გვეხალმებოდნენ, ყვავილებსა და სხვა სამახსოვრო საჩუქრებს გვთავაზობდნენ.

კარგადაა ცნობილი, რომ ჩვენი ფრონტისა და ბულგარეთის ახალი არმიის მეომრები, იუგოსლავიის განმანთავისუფლებელ ეროვნულ კომიტეტთან ერთად, დიდი წარმატებით ებრძოდნენ ფაშისტთა ჯარების დიდ ჯგუფს, რომელიც საბერძნეთიდან და ალბანეთიდან უნგრეთისაკენ მიემართებოდა.

აღსანიშნავია იუგოსლაველ პატრიოტთა შეურიგებელი ბრძოლა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, რომელიც ფართოდ გაიშალა ქვეყანაში, განსაკუთრებით ომის შემდეგ, რაც მიტლერელთა ურდოები თავს დაესხნენ ოქტომბრის რევოლუციის სამშობლოს.

1941 წლის 12 ივლისს იუგოსლავიის კომუნისტურმა პარტიამ ისტორიულ მიმართვაში თავისუფლებისმოყვარე ხალხებისადმი, — სერბიასა და მაკედონიაში, სლოვენიასა და ბოსნიაში, ხორვატიასა და ჩერნიგორიაში — მგზნებარედ მოუწოდა, იარაღით ხელში შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადებინათ ფაშისტ ოკუპანტებისათვის. მოწოდებაში ხაზგასმული იყო, რომ სისხლს, რომელსაც ღვრიან გმირი საბჭოთა ადამიანები სამშობლოს დასაცავად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიტლერელთა მიერ დამონებული ყველა ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტიის მოწოდებისთანავე ბევრი იუგოსლაველი პატრიოტი შევიდა პარტიზანულ რაზმებში, 1941 წლის ბოლოს პარტიზანული მოძრაობა თითქმის მთელ ქვეყანაში გაიშალა. მათ რიგებში მაშინ 80 ათასი მებრძოლი იყო.

განსაკუთრებით გაიზარდა შებრძოლთა რიგები ომის შემდეგ, რაც წითელმა არმიამ 1944 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე სასტიკი დამარცხება აგება მტერს და გამარჯვება მოიპოვა დნესტრის, პრუტისა და დუნაის მიდამოებში.

ამავე წლის ბოლოს იუგოსლავიის სახალხო განმანთავისუფლებელი არმიის რიგებში იყო 400.000 მებრძოლი. ამ ახალი არმიის ბირთვს შეადგენდა ლეგენდარული პირველი პროლეტარული ბრიგადა, რომელიც 1941 წლის 22 დეკემბერს ბოსნიაში, სოფელ რუდოში ჩამოყალიბდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ წითელი არმიის იუგოსლავიაში მისვლამდე საბჭოთა კავშირი დიდ დახმარებას უწევდა ქვეყანას. უგზავნიდა იუგოსლავ მეომრებს იარაღს, ჭურვებს, საბრძოლო ტექნიკას. 1944 წელს კი ჩვენი ქვეყნის ეს ძმური დახმარება დიდად გაიზარდა.

ამავე დროს საბჭოთა კავშირში იქმნებოდა იუგოსლავიის სატანკო ბრიგადა და სხვა სამხედრო ნაწილები.

საბჭოეთისა და იუგოსლავიის ხალხთა ინტერნაციონალური ძმობის ტრადიციები მდიდარი და დაუვიწყარია.

1944 წლის ოქტომბრის დასაწყისში სერბიაში და მაკედონიაში ბელგრადის გასათავისუფლებლად გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები, მოწინააღმდეგეებს ბალკანეთის მთიანეთში, გზაჯვარედინებზე, გზებზე, მდინარეებზე, დასახლებულ პუნქტებში ეჭირათ მეტად გამაგრებული და ტაქტიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი პოზიციები. ჰიტლერელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს შემტევ ძალებს. მაგრამ უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებმა, ბულგარელ და იუგოსლავიელ მეომრებთან ერთად, ელვისებურ გმირულ ბრძოლებში სასტიკი დამარცხება აგემეს მტერს და 14 ოქტომბერს იუგოსლავიის დედაქალაქის მისადგომებთან გავიდნენ.

იმ დღეებში ჩვენი გვარდიული დივიზიონის რეაქტიული დანადგარების საცეცხლე პოზიცია ბელი-პატოკის (ბელგრადის გარეუბანი) რაიონში იმყოფებოდა. „კატიუშები" ჩავრთეთ გენერალ ედანოვის მექანიზებული კორპუსისა და პოლკოვნიკ ივანოვიჩის იუგოსლავიის სახალხო გამანთავისუფლებელი არმიის პირველი პროლეტარული კორპუსის ნაწილების შეტევაში.

ბელგრადისათვის ბრძოლებმა თითქმის ერთ კვირამდე გასტანა.

20 ოქტომბერს უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებმა, იუგოსლაველ მეომრებთან ერთად, ექვსდღიანი მძიმე ბრძოლების შედეგად გაანადგურეს ჰიტლერელთა ჯარების 20 ათასიანი დაჯგუფება.

კარგად დაგვამახსოვრდა ამ ბრძოლების ტაქტიკური გადაწყვეტაც; ბევრ საბჭოთა ლეგენდარულ ტანკ ტ-34-ზე დესანტთა როლს ასრულებდნენ იუგოსლაველი მეომრები.

ამ ინტერნაციონალური ბრძოლების კეთილ ძალას ვერც დიდად გამაგრებული ცნობილი ციხე-სიმაგრის კალიმეგდანის ბასტიონმა გაუძლო. ცოტა გვიან ამ ციხე-სიმაგრეში ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ საბჭოთა და იუგოსლაველი მეომრები.

იუგოსლავიის დედაქალაქზე თავისუფლების დროშა აღიმართა. ბელგრადი ზეიმობდა.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად 1944 წლის 20 ოქტომბერს უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა უკრაინის მესამე ფრონტის და იუგოსლავიის განმათავისუფლებელი არმიის მეომრებს მადლობა გამოუცხადა. ბევრ სამხედრო ნაწილს „ბელგრადის" სახელწოდება მიენიჭა. იმავე საღამოს მოსკოვმა გამარჯვების სალიუტი მისცა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამ ბრძოლების ყველა მონაწილე დაჯილდოვდა მედლით „ბელგრადის გათავისუფლებისათვის".

იუგოსლავიის ანტიფაშისტური ვეჩეს პრეზიდიუმმა 13 საბჭოთა მეომარს იუგოსლავიის გმირის სახალხო წოდება მიანიჭა. მათ შორის გენერლებს ვ. ი. ედანოვს და ს. ა. კოზაკს, ლეიტენანტებს ა. ი. დიმიტრიენკოსა და თბილისელ ა. გ. მანაგაძეს.

ჭ. ბელგრადის განმათავისუფლებელ ოპერაციაში ბრძოლის ველზე 8 ათასი მეომარი დაეცა.

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 27 ოქტომბრის ცნობილ დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ წითელი არმია შევიდა უნგრეთში, როგორც უნგრელი ხალხის განმათავისუფლებელი.

მტერმა დასავლეთისა და სხვა ფრონტებიდან ბალატონის რაიონში ჩადმოიხროლა რჩეული დივიზიები. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლები ფაშისტებმა უარყვეს საბჭოთა სარდლობის ჰუმანური ულტიმატუმი კაპიტულაციის შესახებ. ვერაგულად მოკლეს უნგრელი და საბჭოთა პარლამენტიორები. ეს გახლდათ ჰიტლერელთა კიდევ ერთი ბოროტმოქმედება. შეაგროვა რა ჭარბი ძალები ცალკეულ უბნებზე, მტერმა შეძლო ტანკებით, საიერიშო ქვემეხებითა და მოტოქვეითი ჯარებით შემოკრილიყო ჩვენს თავდაცვაში. კერძოდ, მან გადალახა შარვიზის არხი ცეცე-ალაპის რაიონში — ქალაქ დუნაფელდვალდის მიმართულებით და დუნაიში გადაყრით ემუქრებოდა უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებს. შეიქმნა დაძაბული, ხაშიში ვითარება. ფაშისტთა ავიაციამ და არტილერიამ „კატიუშების" რამდენიმე დანადგარი დაგვიზიანა. ცოტა დაგვრჩა რეაქტიული ჭურვები და თვალის ჩინივით უნდა დაგვეზოგა ისინი, ამიტომ ბალპეებს ვიძლეოდით რეაქტიული ბატარეებით, ოცეულებით, ცალკე დანადგარებით უმთავრესად პირდაპირი დამიზნებით და თითო-თითო რეაქტიული ჭურვითაც კი.

მოწინააღმდეგეს სულ ახალ-ახალი რეზერვები შეჰყავდა გამძვინვარებულ ბრძოლებში.

ბრძოლები იმართებოდა ბალატონის ტბასთანაც. დივიზიონის რეაქტიული დანადგარის დამუხტველი — შ. გუდაძე, მტრის თვითმფრინავების შეუწყვეტელი თავდასხმისას, სხვა გვარდიელებთან ერთად, გაბედულად მუხტავდა საბრძოლო მანქანას. შემდეგ კი ეკიპაჟთან ერთად მრისხანე იარაღით მიისწრაფოდა საბრძო-

ლო პოზიციებზე და თავზარს სცემდა ჰიტლერელთა ტექნიკას და ცოცხალ ძალას. გვარდიელებმა სხვა ნაწილებთან მჭიდრო ურთიერთობით ებლაც გაუძლეს მტრის დიდი ძალების შემოტევას და დამარცხება აგემეს მას.

ყველასათვის ცნობილია, რით დამთავრდა ეს მრავალდღიანი განმათავისუფლებელი ბრძოლები. მტრის 200 ათასიანი დაჯგუფება განადგურებული იქნა. 138 ათასი ჰიტლერელი ტყვედ ჩაგვბარდა. 13 თებერვალს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი გავათავისუფლეთ დამპყრობლებისაგან.

1945 წლის მარტის დასაწყისში, უნგრეთში დაკარგული პოზიციების აღდგენის მიზნით, დასავლეთისა და სხვა ფრონტებიდან ფაშისტებმა ბალატონის ტბის რაიონში გადმოიყარეს სატანკო, საარტილერიო და მოტომექანიზებული ნაწილები. მათ შორის იყო ესესელთა მთელი მე-6 სატანკო არმია...

267 გვარდიულ დივიზიონში მამაცურად და ხაზრიანად იბრძოდა ერთ-ერთი რეაქტიული დანადგარის მეთაური დავით დოლიძე. უნგრეთში გამართული განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს ის უკვე გამოცდილი მეომარი იყო. თანამებრძოლებს კარგად ახსოვდათ დოლიძის გამბედავი მოქმედება სტალინგრადის ლეგენდარულ ბრძოლებში — კატელნიკოვის რაიონში კურსკის ბრძოლების დროს — იზიუმბარვენკოვისა და ზმეიევსკის რაიონში, დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, ოდესისა და სხვა ქალაქების განთავისუფლებაში, „კატიუშების“ დივიზიონის მტრის ზურგში არაერთი რეიდირებისას, როგორც ეს იყო იას-კიშინიოვის ოპერაციის დროს; იგი მონაწილეობდა რუმინეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის განმათავისუფლებელ ბრძოლებში, დონის, დნეპრის, დნესტრის, დუნაისა და სხვა მდინარეების გადალახვაში. მისმა საბრძოლო დანადგარმა არა ერთი მტრის ტანკი, ქვემეხი გაანადგურა, მოსპო ბევრი ჰიტლერელი. ბრძოლაში მამაცობისათვის და ოსტატობისათვის სამშობლომ არაერთხელ დააჯილდოვა ჩვენი თანამემამულე.

განმათავისუფლებელ ბრძოლებში უნგრეთის მიწა-წყალზე ახალგაზრდა სამშობლო კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის აღზრდილმა, თბილისის 26 კომისრის სახელობის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა გალაკტიონ ალფაიძემ.

ბალატონის რაიონში მოწინააღმდეგის მთავარი დარტყმის მიმართულებაზე მედგრად იდგა 118-ე მსროლელი დივიზიის 72-ე არტილერიის პოლკი, რომელსაც ახალგაზრდა მაიორი ალფაიძე მეთაურობდა. ალფაიძის ჯარისკაცებმა მტრის 13 იერიში მოიგერიეს, მოსპოს ტანკები და საიერიშო ქვემეხები, გაანადგურეს ფაშისტთა 8 ბატარეა და მრავალი საცეცხლე წერტი. პოლკის ბრძოლა მეთაური რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ ალფაიძემ გაცხარებული ბრძოლების დროს არ დატოვა თავისი თანამებრძოლები, სანამ სარდლობის ბრძანებით არ გაგზავნეს სამკურნალოდ.

ბრძოლებში ვაჟკაცური მოქმედებისა და პოლკის ოსტატურად ხელმძღვანელობისათვის გალაკტიონ ალფაიძეს 1945 წლის აპრილში საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის უკვდავ მატიანეში ბალატონის ბრძოლები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ბრწყინვალე ფურცელია.

უკრაინის მესამე ფრონტის მეომრებმა, რუმინელ, ბულგარელ, იუგოსლაველ მებრძოლებთან ერთად სასტიკად დაამარცხეს რა ჰიტლერელები, ბალატონის რაიონში მთლიანად გაათავისუფლეს უნგრეთის მიწა-წყალი, დაასამარეს მტრის ვერაგული გეგმები; დღის წესრიგში დადგა ავსტრიის განთავისუფლება, რომელიც მესამე რაიხის უკანასკნელ ბასტიონად ითვლებოდა სამხრეთში.

მარტის ბრძოლებში კიდევ უფრო განმტკიცდა ძმური საბრძოლო მეგობრობა საბჭოთა მეომრებსა და განთავისუფლებული ქვეყნების ახალი სახალხო არმიების მებრძოლთა შორის.

განმათავისუფლებელი ბრძოლები უნგრეთის მიწა-წყალზე 6 თვის განმავლობაში გრძელდებოდა.

კარგად მახსოვს ის ამაღელვებელი დღეები, როდესაც ჩვენმა რეაქტიულმა დანადგარებმა ეკიპაჟითურთ გაიარეს ქ. სეკეშფეჰერვარი, ვესპრომი და უკრაინის მესამე ფრონტის მიერ განთავისუფლებული ბევრი სხვა ადგილი დასავლეთ უნგრეთში. მცხოვრებლები დიდი სიხარულით და აღტაცებით ხვდებოდნენ მათ.

ასე იყო ყველგან, სადაც საბჭოთა მეომარს თავისუფლება მიჰქონდა, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთსა და ბულგარეთში, იუგოსლავიასა და ავსტრიაში და თვითონ გერმანიაშიც.

140 ათასზე მეტმა საბჭოეთის ქვეყნის საუკეთესო შვილმა თავი შესწირა ვერაგი მტრის განადგურებას უნგრეთის მიწაზე და მისი ხალხის თავისუფლების დიად საქმეს. მას, რასაკვირველია, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის ისტორიული გამარჯვებისათვის. ავსტრიის განმათავისუფლებელ ბრძოლებში კი წითელმა ინტერნაციონალურმა არმიამ 26 ათასი მეომარი დაკარგა.

დუნაისა და ბალატონის მიდამოებში, აღმოსავლეთ ალპებში გმირი წითელი არმიის რიგებში მამაცურად იბრძოდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები: დავით ვარდოსანიძე, დავით ედიბერიძე, ალექსანდრე ქავთარაძე, ალექსანდრე კუკულდავა, პავლე კუპატაძე, იოსებ კეკელიშვილი, შალვა ამისულაშვილი, მერი დოლონაძე... ვიქტ[illegible]ჭირიას პოლკმა „ბუდაპეშტის“ სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელწოდება დაიმსახურა; მაჭხიმე კანდელაკმა უნგრეთის ბრძოლებში თავი იხახელა და მთავრობის არა ერთი ჯილდო მიიღო, მისი ძმები ნიკოლოზი და ანდრია სახელოვნად დაეცნენ ბრძოლის ველზე.

მამაცი არტილერისტი აკაკი კალმახელიძე მძიმედ დაიჭრა ბუდაპეშტის ბრძოლებში და ევაკუირებული იქნა ჰოსპიტალში. ომის დამთავრების შემდეგ აკაკი კალმახელიძეს გადაეცა საბრძოლო ორდენი „წითელი ვარსკვლავი“.

სამედიცინო სამსახურის კაპიტანმა გრიგოლ ალექსანდრეს ძე გეგიძემ არა ერთი მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი და ოფიცერი გადაარჩინა უნგრეთის მძიმე ბრძოლებში.

უნგრეთის დედაქალაქში გიდაკუტსკის ქუჩაზე განისვენებს ერთ-ერთი გვარდიული ქვეგანაყოფის ახალგაზრდა მეთაური გივი გიგიაძე. მან სახელოვანი ბრძოლის გზა განვლო მოლდავეთსა და რუმინეთში და მამაცურად დაეცა ბუდაპეშტის ბრძოლებში.

ბუდაპეშტის კვარტლებში, ქუჩებსა და მოედნებზე გამართული მძიმე ბრძოლების დროს გმირულად დაეცა პოდპოლკოვნიკი მიხეილ გიორგის ძე ინასარიძე.

განმათავისუფლებელ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად სახელოვანმა 414-ე ანაპის წითელდროშოვანმა ქართულმა დივიზიამ (მეთაური ვ. ზაბახიძე, პოლიტგანყოფილების უფროსი ვ. ჯანჯღავა) 1053 საარტილერიო პოლკის მესამე ბატარეის მთელი შემადგენლობა გაგზავნა. ის მე-9 გვარდიული არმიის შემადგენლობაში შევიდა. ქართული ბატარეა შიშის ზარს სცემდა ფაშისტებს უნგრეთში, ავსტრიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში. მან გვარდიის საპატიო წოდება მოიპოვა.

ბრძოლებში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბატარეის მეთაური, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი დ. გ. ამაშუკელი, ბატარეის ოცეულების მეთაურები, გვარდიის ლეიტენანტები ბ. ნ. ქუმსიაშვილი და ა. ვ. ბერუჩიანი; გვარდიის ზემდეგი ი. ე. თარხნიშვილი; ქვემეხის მეთაურები: გვარდიის უფროსი სერჟანტები ე. ს. მანჯგალაძე, ა. მ. ბათიაშვილი, დ. ე. ჯაველიძე, დ. ნ. ბაბარელი; ათეულის მეთაურები: გვარდიის სერჟანტები ა. მ. თოხაძე, გ. მ. ხუტიაშვილი, ნ. ი. კოკაია, ი. ნ. პლიაზა, სანინსტრუქტორი გ. ს. ეხებუა და სხვები.

წითელარმიელი დოლიძე მამაცურად დაეცა ბრძოლის ველზე.

ჯოტო ვასილის ძე კობიძე მძიმედ დაიჭრა ვენის განთავისუფლებისათვის.

უნგრეთისა და ავსტრიის მიწა-წყლის გასანთავისუფლებლად იბრძოდა 69-ე გვარდიული მსროლელი დივიზია, რომელსაც კირილე ჯახუა მეთაურობდა.

ომის შემდეგ, რაც უკრაინის მესამე ფრონტის ჯარებმა ბალატონის სისხლიმსღვრელ ბრძოლებში გაანადგურეს მოწინააღმდეგის უდიდესი ძალები, 1945 წლის აპრილის დასაწყისში, გავიდნენ ავსტრიის საზღვარზე.

6 აპრილს კი დაიწყო ბრძოლები ვენისათვის: იმ მიზნით, რომ ვენის განთავისუფლების დროს, რაც შეიძლება შემცირებულიყო ადამიანთა მსხვერპლი და არ დანგრეულიყო კულტურის და ხელოვნების საუცხოო ძეგლები, საბჭოთა მხარემ ჩაატარა დიდად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი.

ცნობილია, თუ როგორ დამთავრდა მძიმე ბრძოლები ვენის განთავისუფლებისათვის; ამასთანავე, წითელმა არმიამ შესძლო გადაერჩინა ქალაქის მსოფლიო მნიშვნელობის მემორიალები.

ჩვენი „კატიუშების“ დივიზიონი ფრონტის სხვა ნაწილებთან ერთად, მაისის პირველ დღეებში ავსტრიის აღმოსავლეთ ალპებში, ქ. გრაციის რაიონში გავიდა.

უფრო გვიან აქ ერთმანეთს შეხვდნენ უკრაინის მესამე ფრონტის მებრძოლები და ინგლის-ამერიკის ჯარის ნაწილები.

8 მაისს მშვენიერი დილა იყო.

ავსტრიის ალპებში, დაფარულ მიწურში მოთავსებულ საკომანდო პუნქტში ჩვენი რეაქტიული დივიზიონის ოფიცრები მორიგი საბრძოლო ამოცანის გადასაწყვეტად ემზადებოდნენ.

ამ დროს დივიზიონის უფროსი რადისტი კონარევი აღელვებული შემოვარდა ჩვენთან და აღფრთოვანებულმა მოგვახსენა რადიოში მოსმენილი სიტყვები: „ფაშისტური გერმანიის სრული კაპიტულაცია“, „ომამარჯვება“, „ტრიუმფი“, „მშვიდობა“.

ვერავინ მალავდა სიხარულის ცრემლს თუმცა, რა დასამალი იყო? ერთმანეთს ვეხვეოდით და ვკოცნიდით.

ბევრი ჩვენი გვარდიელი სხვადასხვა საბრძოლო განლაგებაში იმყოფებოდა.

ამ უსაზღვრო სიხარულის დროს ისინი ჩვენ პარტორგს პავლე უსენკოს გაახსენდა. უსენკო ავარდა ფარულად ახლოს მდგომ „ვილისზე“ და დივიზიონის საცეცხლე პოზიციებისაკენ გაექანა.

კაპიტან ტროეგუბოვის პირველ ბატარეაში პარტორგის ცნობა ელვასავით მოეფინა რეაქტიული დანადგარების ეკიპაჟებს. შეიქნა გაუთავებელი „ვაშას“ ძახილი. დაიწყო ისტორიაში არნახული დიდებული ზეიმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ჩხიკვიშვილი

უკომპრომისო შემოქმედი

ოთარ ჭილაძემ შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე მიიქცია ყურადღება, როგორც თვითმყოფადმა და უაღრესად საინტერესო პოეტმა. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პოეტური ხელწერის წყალობით შეძლო დაემკვიდრებინა მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში საკუთარი, განსხვავებული ხმა. და მაშინ, როცა პოეტმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როცა მისგან ახალი პოეტური მწვერვალების დაპყრობას ველოდით, მოულოდნელი მხატვრული ფენომენის მოწმენი გავხდით.

ფართო ინტერესების სფერომ, მის პოეზიაში წამოჭრილმა მრავალფეროვანმა თემატიკამ; ზოგადადამიანურმა პრობლემებმა და, რაც მთავარია, ადამიანის სულიერ სამყაროში ჩაღრმავების ხურვილმა განაპირობა ოთარ ჭილაძის როგორც პროზაიკოსის დაბადება. სათქმელმა მოითხოვა მასშტაბი, გამოხატვის ახალი მხატვრული ფორმა.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ოთარ ჭილაძე პირდაპირ ჭრცელი რომანით წარსდგა მკითხველის წინაშე. ამჟამად, როცა მწერალმა უკვე სამი რომანი გამოაქვეყნა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოთარ ჭილაძე-პროზაიკოსი — უნიკალური და მასშტაბური მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში.

უნიკალურია საკუთარი პროზაული ხელწერის მეშვეობით. მასშტაბურია წამოჭრილი პრობლემების ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ყღერადობით.

ოთარ ჭილაძის სამივე რომანი ქართველი ხალხის ბედუკუღმართ წარსულზე მოგვითხრობს. გარკვეული თანმიმდევრობა შეიმჩნევა ეპოქათა ასახვაშიც. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ანტიკური პერიოდის საქართველოს ცხოვრებას და თავისუფლებადაკარგული ქვეყნის დაკნინების პროცესს ასახავს; „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ — იმპერიის კოლონიად ქცეული ქვეყნის უბედურებას გვიხატავს; „რკინის თეატრი“ — იმპერიის რღვევის შედეგად გაღვიძებული ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ ბრძოლას აგვიწერს.

მწერალი აცოცხლებს ჩვენი ისტორიული ყოფის წყვდიადს, როცა სიფხიზლე და თავისუფლება დაკარგეთ, როცა ქვეყნად გაუტანლობა და ბოროტება გაბატონდა... აქედან იღებს სათავეს ო. ჭილაძის პროზის მძაფრი ტრაგიზმი.

ოთარ ჭილაძის სამივე რომანი ოპტიმისტური ტრაგედიაა. მწერალი ხაზგასმით წარმოაჩენს საფუძველს იმ ერის უკვდავებისა, რომელსაც არასდროს გამოლევია უკეთესი მერმისისათვის მებრძოლი გმირები. ამიტომ ო. ჭილაძის პროზის მთავარი გმირი სწორედ მეამბოხეა, წინსვლის, მაღალი იდეალების დასამკვიდრებლად წამოწყებული ბრძოლის გზაზე დამდგარი სულგანათებული ქართველი კაცი.

ოთარ ჭილაძე სამივე რომანში ეპოქის მაჯისცემას გადმოგვცემს და ადამიანის არსებობის მარადიულ პრობლემებს აშუქებს.

ეს თვისება განსაკუთრებული სიხავსით ვლინდება ო. ჭილაძის ბოლო რომანში „რკინის თეატრი“, ამ მრავალპლანიან ტილოში იშვიათი დამაჯერებლობითა და ოსტატობითაა აღწერილი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქის სულისკვეთების გადმოცემას მწერალი ქვეყნისა და ხალხის ბედის წარმმართველი მოვლენებისა და, რაც მთავარია, ადამიანთა სულიერ სამყაროში მომხდარი ძვრების ჩვენებით აღწევს.

მწერალი რომანში არაერთ საკირბოროტო პრობლემას წამოჭრის და ამუშავებს. რაოდენობა თვითმიზნური არაა, რადგან პრობლემათა ერთობლიობის სამხახურში დგას. თითოეულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემას თავისი ზუსტად განსაზღვრული დანიშნულება აქვს და მთავარი სათქმელის სამსახურში დგას.

რომანის ერთ-ერთი პრობლემა ხელოვნების დანიშნულებასთან, ხელოვანის მისიასთანაა დაკავშირებული. წიგნის სათაურიც აქედან იღებს სათავეს. „რატომ ჰქვია თქვენს თეატრს რკინისა?" — იკითხა უცებ ქალმა. დარიამ მხრები აიჩეჩა, დიმიტრის შეხედა. დიმიტრიმაც აიჩეჩა მხრები: რა ვიცი, ასე ეძახიანო; ვიდრე თეატრად გადააკეთებდნენ, რკინეულობის საწყობი იყო და ალბათ იმიტომო. „ალბათ, ალბათ... — გააწყვეტინა კაცმა — მაგრამ თეატრი რკინასავით გამძლე უნდა იყოს, რკინასავით მაგარი, რადგან მარტო იქღა ფრიალებს ჩვენი დროშა, მტრების გულის გასახეთქად".

ამ სიტყვებს პროვინციაში ჩამოსული თბილისელი მსახიობი ამბობს. დიდებით მოსილი ხელოვანის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზიც ისაა, რომ მას „დაუსჯელობით სჯიდნენ, დაუსჯელობი" ასწორებდნენ მიწასთან, რადგან რაც სასჯელს არ იმსახურებს, არც არაფერს წარმოადგენს, ჩვეულებრივი ტაკიმასხარაობაა და არა ამბოხი, ანდა თუნდაც უარყოფა რაღაცისა..."

ხელოვანის მისიისა და ყოფიერების (ყოფა-ცხოვრების) ურთიერთდაპირისპირებით მწერალი გამოკვეთავს საკუთარ სათქმელს, სიყვარული აიძულებს მეამბოხე მსახიობს გუბერნიის მთავარი მოსამართლის ქალიშვილის შერთვას და ღირსების გრძნობით გამსჭვალული ხელოვანისათვის ერთობ დამამცირებელი როლის თამაშს ყოველდღიურ ცხოვრებაში. სიყვარული იქცევა კოპრომისის საფუძვლად და განაპირობებს ტრაგედიას, რადგან არ შეიძლება ხალხს შენი ხელოვნებით არსებული წესწყობილების დამხობისკენ მოუწოდებდე და ამავე ბელისუფლების წარმომადგენელთან დამაკნინებელი ურთიერთობა გაკავშირებდეს.

ღრმა და საბედისწერო გრძნობა, რომელსაც ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოცდისათვის უნდა გაეძლო, ორი სხვადასხვა წრის, განსხვავებული ადამიანების ყოველდღიური ბრძოლის ტანჯვის მიზეზად იქცევა. ფუფუნებას მიჩვეული, განებივრებული მეუღლისაგან მიტოვებული მსახიობი შვილის გაჩენის შემდეგ ისევ თბილისში, სიმამრის ოჯახში ბრუნდება. სიყვარულისთვის ხარკად გაღებული ყოველი დათმობა, ისევ სიყვარულის ტრაგედიის საფუძვლად იქცევა.

გვიან მიხვდება საკუთარ დანაშაულს მშვენიერი ელენე, რომელსაც „დიახ, უყვარდა, მაგრამ არაფერი %აეგებოდა სიყვარულის, პატივს არ სცემდა, არ ეშინოდა სიყვარულის". შვილი აუხელს თვალებს დედას.

„შვილის თვალებში დაინახა ამან საკუთარი სიბრმავე, სიყრუე, სიმკაცრე და დაუნდობლობა, შვილის პირიდან გაიგონა ის, რისი თქმაც ვერ გაბედა, ანდა ვერ მოასწრო. „მეზიზღება აქაურობაო" — უთხრა შვილმა და ამასაც მხოლოდ მაშინ აეხილა თვალი ოჯახური სიამტკბილობის, კეთილდღეობის და, რა თქმა უნდა, სიყვარულის სახელით ატეხილი ომის მონაპოვართა სახილველად".

მამათა და შვილთა მარადიული პრობლემის შუქზე იშლება რომანის ერთ-ერთი ცენტრალური სიუჟეტური ქარგა. მამის თვითმკვლელობამ წარუშლელი დაღი დაასვა შვილის ფსიქიკას, რომელსაც მსახიობის ცხოვრება დღესასწაულად წარმოედგინა.

შვილის გადარჩენის სურვილი და მეუღლის წინაშე „დანაშაულის კომპლექსი" აიძულებს ელენეს ბათუმში საცხოვრებლად გადასვლას; იმ თეატრში სამსახურს, სადაც მისი მეუღლე გამოდიოდა. ახლა მისი იმედი და ერთადერთი ნუგეში შვილია. შვილი, რომელიც აბაზანაში ვენებგადაჭრილი მამის დანახვამ ერთთავად შეძრა და დაეჭვა, რომელიც ეძებს პასუხს კითხვაზე: „რატომ მოიკლა თავი მამაჩემმა!"

ამ კითხვაზე ვერავინ გასცემს პასუხს გელას. დედას შეეძლო ეთქვა: „ჩემი სიყვარულის გამოო", მაგრამ ეს ნაწილობრივი სიმართლე იქნებოდა, ქალური სიმართლე. მან თავად უნდა გაიაროს სტიქიური ამბოხისა და სულის რევოლუციის ურთულესი გზა, ვიდრე ჰეშმარიტებას მიაგნებდეს.

ბოროტებასთან საბრძოლველად თვით ბოროტების არსს უნდა ჩაწვდეს მეამბოხე. უსამართლო ქვეყანაში კანონის დამცველთა და კანონგარეშე გამოცხადებულთა პრობლემა რომანში მათი დაპირისპირებითაა გამოკვეთილი. ხელისუფალთ ბოროტმოქმედი ურჩევნიათ მეამბოხეს, რადგან მეამბოხე ბელისუფლებას, „დიდ ბოროტებას", ებრძვის. პოლიციმეისტერი მეამბოხის შვილს ქურდობას დასწამებს, რათა შეგნებული ბრძოლის გზას აცდინოს. მსჯავრდებული თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად ციხიდან გამორბის, მაგრამ წინასწარ დაგებულ ბაფანგში — ხელმრუში ანარქისტის, ხუთი წლის ობლის გამაუპატიურებლის, გამოუსწორებელი ქურდის „ნაზოგადოებაში" ხვდება.

პოლიციმეისტერი ხელოვნებას უკავშირებს თავის საქმიანობას. თავისი მოღვაწეობის გვირგვინად თვლის უცოდველი ჭაბუკის, მაგრამ პოტენციური მეამბოხისა და „ბნელეთის მოციქულთა" ერთად თავშეყრას.

„კანონიერების სადარაჯოზე" მდგომ პოლიციმეისტერს იმედი აქვს რომ გაწამებული და გაწწირული ოთხეული ერთმანეთს დაერევა, დახოცავს. ცხოვრებაზე ხელაღებული, „წიგნის ჭია" ანარქისტიც იარაღს აჩუქებს გელას — უცოდველს ხთხოვს ხამი ცოდვილის დასჯას. აქ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერალი ანარქიზმის, როგორც ამბოხის ფორმის, პრობლემას წამოჭრის.

უსამართლობაზე აგებული ქვეყნის ინტერესებისთვის ხამსახური თავისთავად დიდი ბოროტებაა და არაადამიანურ ცინიზმს, კაცთმოძულეობას ბადებს. ამიტომაც მოაქვს ამქვეყნად ბოროტმოქმედს „წისქრიგის დამცველ“ პოლიციმეისტერზე ნაკლები ბოროტება. ამიტომაც დაინდობს პოლიციმეისტერის მიერ განწირულ ჭაბუკს გამოუსწორებელი ქურდი;

წესწყობილება განაპირობებს ცხოვრების წესს. ბოროტება ბოროტებას ბადებს. ბოროტმოქმედი „დიდი ბოროტების“ უკანონო, მეგრამ ღვიძლი შვილია, უკანონობის კანონგარეშედ გამოცხადებული მსხვერპლი. ამიტომაც პოლიციმეისტერის მიერ დაგებული ხაფანგიდან მხოლოდ ჭაბუკმა მეამბოხემ უნდა დააღწიოს თავი. „რა დროს შენი სიკვდილია, ჯერ რა გინახავს, მამაძაღლო“ — ეუბნებოდა „გამგელებული ადამიანი კი არა გაადამიანებული მგელი, რადგან, იმის მაგივრად, რომ გადაეხანხლა, ტყიდან გამოდენა გზაბნეული კრავი, გზაზე დააყენა: წადი, დაბრუნდი შენს ფარეხშიო“.

კიდევ ერთი ოჯახის ტრაგედიის ფონზე იშლება ცხოვრებისგან განდგომის პრობლემა, რომელიც რომანში გადაჯაჭვულია საკუთარი მიკროსამყაროს, ამ შემთხვევაში, ოჯახისა, და გარესამყაროს ურთიერთდამოკიდებულების პრობლემასთან.

მწერალი მსახიობის ოჯახისაგან განსხვავებით აქ იდეალურ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს გვიხატავს. მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმყუდროვე მაინც ირღვევა. სწორედ თბილისელი მსახიობისა და მისი მეუღლის სტუმრობა გაუჩენს დიმიტრის ოჯახს პირველ ბზარს, რადგან ამ დაუპატიჟებელი სტუმრობით ცხოვრება, სიცოცხლე შეიჭრება იზოლირებულ გარემოში. იმ ღამეს ჩაისახება უშვილო ოჯახში ახალი სიცოცხლე.

წლების შემდეგ მსახიობის შვილი, გელა, ხაბოლოოდ არღვევს თავშესაფრის სიმშვიდეს. ისევ იბადება ახალი სიცოცხლე. ამჯერად არაკანონიერი, ამასთან, კანონგარეშედ გამოცხადებული მეამბოხის შვილი და ამიტომაც მოხალოდნელი ჭარტეხილის საწინდარი. დიმიტრი კი უოველნაირად ცდილობს საკუთარ მიკროსამყაროში მუუდროების შენარჩუნებას და იძულებულია, „განზე დგომის“, ჩაურევლობის პრინციპსაც უღალატოს... პოლიციმეისტერთან დაახმინოს მისი ხახლის ხხვენში დამამული გელა. ერთ კომპრომისს მეორე მოპყვება...

უკანონო დედობით გაწამებული ნატო ყველაფერს აიტანდა „თავისი სიყვარულის გულისთვის, ამ სიყვარულის გამგები და დამნახველი რომ ყოლოდა ვინმე, ვინმე კი არა, ვინც ყველაზე მეტად იყო ჭალდებული, დაენახა და ეგეგო, შურით კი ცრ ტამსკდარიყო გულზე, შეტოქედ, შემცილებლად, ხახელისა და დიდების მოზიარედ კი არ უნდა ჩაეთვალა ნატო, არამედ თანამებრძოლად, თავის უბედურების მემკვიდრედ და გამაგრძელებლად“.

პოლიციმეისტერის კაბინეტში შიშითა და გამოუცდელობით დაბადებული სიცრუე — ბავშვის მამა ხაბა ლაფაჩიაო — ქალბატონ ელენესაგან შეურაცხყოფილი, უგულებელყოფილი ნატოსთვის შურისძიების იარაღად იქცევა. იარაღად, რომელმაც კიდევ ერთი დიდი კომპრომისი — ხაბა ლაფაჩთან ნატოს მისვლა და ამაზრზენი სიახლოვე განაპირობა.

ხაბა ლაფაჩის დედის ხახეხთანაა დაკავშირებული რომანში მეშჩანური კეთილდღეობისკენ, ძალაუფლებისკენ სწრაფვის პრობლემა. დედა მზად იყო „ცივ ქვაზე დაესვა ოჯახი, რათა შვილი დაეყენებინა ფეხზე, შვილი გამოეყვანა ხალხში, შვილი ექცია კაცად“. პატარა ხაბა მსხვერპლია, რომელსაც „კაი ცხოვრების“ მიხაღწევად აგზავნიან მილუტინის ხამხედრო გიმნაზიაში. შვილიც სიკვდილამდე უხდის დედას ხარკს: პუდრის, ლიქიორისა და პაპიროსის სახით... ლაჩრულად სჯის, სხვებისთვის შეუმჩნევლად იყრის ჯავრს და ამავე დროს დედის პატივისმცემელიც გამოდის სხვათა თვალში. სწორედ „კაი ცხოვრებითაა“ გაუბედურებული ბათუმში, ნაქირავებ ოთახში, ნავთქურასთან ზამოკეტილი მარტოხელა გლეხის ქალი, რომელსაც სოფელში გავლა და სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა ყველაფერს ურჩევნია.

ხაბა ლაფაჩმა კი „დედის სიბრიყვით მოპოვებული არა მარტო შეიშნოვა, არამედ თავის ხიმდაბლისა და სიპატარავის შესანიღბადაც გამოიყენა. არც აქეთ იყო, არც იქით. უფრო ზუსტად, აქეთაც იყო და იქითაც, რადგან ტახტსაც თავისი ეგონა და ტახტის მტერსაც. ტახტის წინ ერთგული ჯარისკაცის, მაგრამ „პროგრესულად მოაზროვნე“ ადამიანის როლს თამაშობდა, ხოლო ტახტის მტრებთან გზაბნეული ბატკანივით იკატუნებდა თავს, ვითომ უძღები შვილი კი არ იყო, არამედ უძღები მშობლების შვილი...“

მსხვერპლმა ვეღარ შეხძლო მსხვერპლის გაღება. მუნდირმა დააკარგვინა საკუთარი მეობა, რადგან „მამამისის არ იყოს, თავად არაფრის დაბრუნება არ შეეძლო, არც არაფრის შენარჩუნება. იქამდე დაეყარა ფარხმალი, ვიდრე ბრძოლის დრო დაუდგებოდა. იქამდე შეეგუებოდა დამარცხებას, ვიდრე შეატყობდა დამარცხებული რომ იყო“.

(გაორებული ცხოვრება აქცევს ხაბა ლაფაჩს „ცოცხალ ლეშად“. ლეშად, რომელთანაც შემზარავი სიახლოვე ცხოვრებაში გზაბნეული ნატოსათვის სიკვდილს უდრის. „ეხლა ბომ დარწმუნდით, რომ ალარა ვარ. გამანებეთ ყველამ თავი! — იყვირა ნატომ და გიუივით გამოვარდა ოთახიდან“. კომპრომისით განპირობებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასიკვდილო განაჩენიც უცილობელია და ნატო ზღვაში იხრჩობს თავს.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს „რკინის თეატრში“ ეროვნულ პრობლემას. უკვე წიგნის ექსპოზიციაში გვაუწყებს მწერალი: „ცენზორებს კალამი მომარჯვებული ჰქონდათ ხიტყვა „საქართველო“ რომ არ გაპარვოდათ. რამდენჯერმე გადაშლილ ხიტყვას ზემოდან „ჩვენს მხარეს“ ანდა „ჩვენს კუთხეს“ დააწერდნენ ხოლმე ლამაზი, გაწაფული ხელით. მაგრამ ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი: ზოგი ჭირი მარგებელიაო. საქართველო მკვდარი კი არ ყოფილა, როგორც ეგონათ, როგორც უნდოდათ, თურმე მხოლოდ ეძინა, ოღონდ ღრმად, ხაღათას ძილით, და რაკი ასე უხეშად გამოაღვიძეს, ისიც იძულებული შეიქნა, განძრეულიყო, გაეხედ-გამოეხედა, საბოლოოდ გამოფხიზლებულიყო, გამოებერტყა თავიდან მაცდურად სახაამოვნო ბანგის ნალექი“.

ეროვნულ ტრაგედიად არის გადმოცემული რომანში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი „ხვვაა, როცა პოეტი მოგიკვდება და ხვვაა, როცა მოგიკლავენ, ქურდულად, ავაზაკურად, ვერაგულად. არა მარტო შენცა გკლავენ იმასთან ერთად, კიდევ უარესი, შენც მკვლელობის თანამონაწილე გამოდიხარ უნებურად, კაენს უამხანაგდები და შენს ხულში აძლევ თავშესაფარს, რაკი არც პოვნა შეგიძლია იმისი და არც ის გამოგეყოფა თავისთავად. ტყიდან კი არ გამოუვარდა იგი პოეტს და ისევ ტყეს კი არ შეაფარა თავი, არამედ — შენში შობილი, შენვე დაგიბრუნდა. „კაენ, გამოჩნდი, ალიარე, მოინანიეო“ — გაპყვიროდნენ გაზეთები და ხალხს უფრო და უფრო ედრიკებოდა ქედი, უფრო და უფრო ეუფლებოდა დანაშაულის გრძნობა, დანაშაულისა და სირცხვილისა, ხაკუთარი სიბრმავის, გულგრილობის, უყურადღებობის და უმწეობის გამო, რადგან ხაკუთარი პოეტის მოვლაც არ შეხძლებია თურმე, როცა მიბარებულს მგელიც ინახავს“.

„რკინის თეატრში“ ეროვნული პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული კლასობრივ ბრძოლასთან. „ცხოვრება კი გრძელდებოდა. „მაქვს პატივი, მაქვს პატივიო“ — ისევ დახვიხვინებდა აცეკვეული ცხენიდან პოლკოვნიკი ვეზირიშვილი კოპწია, ფერადი ქოლგების ქვეშ შეეუფულ ლამაზმანებს. სამაგიეროდ, ბორცხანაში, წვიმისაგან დაობებულ ქოხში, აგერ უკვე მთელი წელი ფეხმოუცვლელად იჯდა მუშა ხოლორაშვილი და ჭრაქის შუქით თვალებამოღებული, იდაყვებით, მუხლებით, მთელი წლის გაუკრეჭავი თმა-წვერით მაგიდას შეზრდილი: „კომუნისტურ მანიფესტს“ თარგმნიდა. ასე რომ, ჯარის აღლუმები ერთად ერთი გასართობი აღარ იყო ბათუმისთვის: შეიყრებოდნენ ლურჯბალათიანი მუშები, წაიმძღვარებდნენ დროშას და „მარსელოზას“ სიმღერით გამოვიდოდნენ ქუჩაში“.

მწერალი არ ღალატობს ისტორიულ ხიმართლეს და ნათლად მიგვანიშნებს ინტელიგენციასა და მუშათა კლასს შორის აუცილებელი კავშირის უქონლობაზე და იმ გათიშულობაზეც რომელიც არსებობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობაში. იგი, თითქოს განსჯვრიტავს მომავალი, 1905 წლის რევოლუციის მარცხის მიზეზებს. რომანში ასახულია მუშათა გამოსვლები, გაფიცვები. ბრძოლები ბარიკადებზე, მაგრამ მწერლისთვის მთავარი ადამიანთა ხულის რევოლუციაა, მომავალ რევოლუციურ გარდაქმნათა აუცილებელი პირობა და საწინდარი.

ეროვნული პრობლემის სრული ხისავსით წარმოჩენას „რკინის თეატრში“ ისიც უწყობს ხელს, რომ მოქმედ პირთა ბედ-იღბალს ისტორიული ვითარება და მოვლენები წარმართავენ. მწერალი საფუძვლიანად აანალიზებს იმპერიის ნგრევისა და რეაქციის მძვინვარების პერიოდში ეროვნული თვითშეგნების ზრდის პროცესს.

პიროვნების გაორების პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალურია რომანში. გაორებული ცხოვრების მსხვერპლია თითქმის ყველა მთავარი გმირი: თბილისელი მსახიობი, ელენე, დიმიტრი, ნატო, ხაბა ლაფაჩი... გაორება, გამომწვევ მიზეზთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყოველთვის კომპრომისს ბადებს. კომპრომისი კი ტრაგედიის საფუძველია. ამიტომაა რომანის მთავარი პერსონაჟების ცხოვრება ესოდენ ტრაგიკული.

„რკინის თეატრში“ წამოჭრილ პრობლემათა მრავალმხრივობა და მაღალმხატვრული გადაწყვეტა მკაფიოდ გამოკვეთავს მწერლის მთავარ ხათქმელს — ერისა და ადამიანის არსებობის ურღვევი, დიალექტიკური ურთიერთკავშირის შესახებ.

თავისუფლებადაკარგული და უსამართლობაზე დაფუძნებული ქვეყნის შვილები ვერც თავისუფალნი იქნებიან და ვერც ბედნიერნი. განწირულია ცხოვრებისაგან განდგომის, იზოლირებული მიკროსამყაროს შექმნის ყოველი ცდა, რადგან ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრობს და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა წარმართავს მის ბედ-იღბალს.

რაც უფრო დიდი ბოროტებაა გამეფებული ქვეყნად, მით უფრო ენერგიულ პროტესტს ბადებს ადამიანებში და თავდაუზოგავად ბრძოლას მოითხოვს მათგან არსებული წესწყობილების შესაცვლელად. დამამცირებელი არსებობა ბადებს მეამბოხეს, რომელმაც უნდა შეიძლოს პირადი ცხოვრების მსხვერპლად გაღება ქვეყნად ღირსეული ყოფის დასამკვიდრებლად.

●

ო. ჭილაძის პროზაში ყურადღებას იქცევს პრობლემათა და პერსონაჟთა ხასიათების ეპო-

ქის შესატყვისი სახეცვლილება, ავიღოთ თუნდაც „მუნდირიანი“, მტრის სამსახურში ჩამდგარი ქართველი კაცის სახე. ეს უხასიათო („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“) მეომარია, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის „პროფესიულ“ მოვალეობას — ომობს. იგი არც უფიქრდება იმას, თუ ვისთვის, რისი სახელით იბრძვის და სამშობლოს მტრების სამსახურში იქცევა ფიზიკურ ხეიბრად; მაიორისთვის („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) მუნდირთანაა დაკავშირებული საუკეთესო მოგონებები და იმპერიის თადარიგში გასული ოფიცერი უცხო სხეულია მშობლიურ მიწა-წყალზე: საბა ლაფაჩს („რკინის თეატრი“) მუნდირმა საკუთარი მეობა დააკარგვინა და სულიერ ხეიბრად აქცია.

ასევე იცვლება რომანიდან რომანში ამბოხის ფორმა და შეამბოხის სახეც, რომელიც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ო. ჭილაძის შემოქმედებაში. პერსონაჟთა ასეთი სახეცვლილება ისტორიული პროცესის კანონზომიერებიდან გამომდინარეობს და პრობლემებიც ეპოქის შესატყვისი კუთხით შუქდება.

ო. ჭილაძის წიგნებში პარალელების ძიება შორს წაგვიყვანს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ოდესმე ეს საკითხი სპეციალური კვლევის საგანი შეიქმნება. ამჟამად კი მხოლოდ მინიშნებით დავკმაყოფილდეთ.

ძნელი სათქმელია, ნებით თუ უნებლიეთ, მიზანდასახულად თუ თავისთავად, მაგრამ ო. ჭილაძის სამი დამოუკიდებელი წიგნი ერთიან ტრილოგიად შეიკრა. ტრილოგიად, რომელშიც თავისთავად, განსხვავებულ წიგნებს ერის ტრაგიკული ყოფისა და მისი შვილების ტრაგიკული ბედის ერთიანობა ახასიათებთ.

ო. ჭილაძის რომანებში ისტორიული მასალა კი არ ზღუდავს, არამედ ბიძგს აძლევს ფანტაზიას. ისტორიული ვითარების, კონკრეტული ფაქტის ახლებური გააზრებით, ინტერპრეტაციით, მწერალი მხატვრულად განზოგადებულ ისტორიულ სიმართლეს გვიხატავს.

წინა ორი რომანისაგან განსხვავებით „რკინის თეატრში“. მეტი ყურადღება ეთმობა ისტორიული ვითარებისა და მოვლენების ახახვას, მაგრამ ეპოქის არსი უმთავრესად ხასიათების სიმართლისა და მთელი სიღრმის ჩვენებით იხსნება. „რკინის თეატრის“ პერსონაჟები იმ ეპოქის შვილები არიან, რომელშიც ცხოვრობენ და დროისთვის დამახასიათებელ ყველა მანკიერებათა მატარებლებიც.

ცბიერი და დაუნდობელი პოლიცმეისტერი-ხელისუფლების, იმპერიის მმართველი წრეების სიმბოლოა. იგივე ითქმის პოლკოვნიკ ვეზირიშვილზე, რომელსაც „იმდენად ეშინოდა ჭარისკაცების სიმშვიდის დარღვევისა, გადამდგარ ოფიცრებს, რომლებსაც უკვე სამუდამოდ გაედგათ ფეხი „აღქმული ქვეყნის“ მიწაში, ქათმებსა და ინდაურების მოშენებაც აუკრძალა, ჭარისკაცებიც უყურებენ იმათ პეპლაობას და ზედმეტად ღიზიანდებიანო.

პოლკოვნიკი ვეზირიშვილი ეპიზოდური სახეა რომანში და მის ხასიათს ავტორი „ქმედებით“ აგვიწერს. „გარედან“ ხასიათის გახსნის ხერხის ოსტატური გამოყენებით ო. ჭილაძე ეპიზოდური გმირების შთამბეჭდავ პორტრეტებს გვიხატავს. ზუსტად მოძებნილი შტრიხების საშუალებით ყოველ ასეთ პორტრეტში აღწევს გმირის ხასიათის სრულ გამოვლინებას. ამიტომაა, რომ ცალფეხა კოსტას, დახლიდარის, გუბერნიის მთავარი მოხამართლისა და მისი მეუღლის, ლიზას, ანარქისტის, ექიმბაშის, ჭურდისა და სხვათა ეპიზოდური სახეები ძალაუნებურად გვამახსოვრებენ თავს.

მთავარი პერსონაჟების: თბილისელი მსახიობის, გელას, ელენეს, დიმიტრის, ნატოს, საბა ლაფაჩის სახეებს მწერალი მათ სულიერ სამყაროში ჩაღრმავებით გვიძერწავს. რომანში დიდი ადგილი ეთმობა შინაგან მონოლოგს. „ქმედება“ განცდისა და ფიქრის საგანი ხდება.

„რკინის თეატრში“ მთავარი გმირის ბედის წარმმართველი ყოველი მოვლენა წარუშლელ კვალს ამჩნევს მის სულიერ სამყაროს. დროთა განმავლობაში იცვლება აღქმა, გააზრება, დამოკიდებულება მოვლენის მიმართ. ხასიათის ჩამოყალიბების პროცესის ახახვა მოითხოვს უცვლელი მოვლენის გარშემო განცდისა და ფიქრის ცვალებადობის თანმიმდევრულ ჩვენებას, რასაც ავტორი ვერსიული ხერხის გამოყენებით ანხორციელებს.

მამის მვითმკვლელობაზე გამუდმებულ ფიქრს სტიქიური პროტესტიდან შეგნებულ ამბოხებამდე მიჰყავს გელა. ქმრის თვითმკვლელობით გამოწვეული განცდები და გამუდმებული ფიქრი ბადებს ფუფუნებაში გაზრდილ „თოჯინაში“ კათარზისს, რომელსაც ხელოვანის ტრაგედიის ამოცნობამდე მიჰყავს ელენე.

საბა ლაფაჩიც, რომელიც დედის სიბრიყვეს აბრალებდა გაორებულ არსებობას, მხოლოდ დედის სიკვდილის შემდეგ წვდება პიროვნული პასუხისმგებლობისა და მშობლის ვალის ჭეშმარიტ არსს.

ტკივილი, დაეჭვება, ჭეშმარიტების მიგნება ყოველთვის როდი განაპირობებს პიროვნებას საბოლოო გარდაქმნას. ადამიანური ბუნება, გენები, გარემოება თავისას შვრება... საბა ლაფაჩიც ისევ გარემოების მსხვერპლი ხდება და გაორებულ არსებობას აგრძელებს. ელენე ისევ ვერ მოერევა საკუთარ ეგოიზმს და ადამიანურ სითბოსაც კი ვერ გაიღებს საკუთარი შვილი-შვილის მიმართ, რადგან მეტოქედ, შვილის სიყვარულის შემცილებლად წარმოუდგება უკანონო დედობით გაწამებული ნატო.

მძაფრი ვნებების ტყვეობაში მოქცეულ ხასიათებს ღრმად და საფუძვლიანად გვაცნობ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწერალი. საკუთარ ადამიანურ სიხუსტეთა ტყვეები არიან თბილისელი მსახიობი, ელენე, დიმიტრი, ნატო, ხაბა ლაფაჩი, დარია... რომანის თითქმის ყველა პერსონაჟი.

ობიექტური სინამდვილე ზემოქმედებას ახდენს ხასიათზე. „რკინის თეატრის" გმირებიც იმ ეპოქის შვილები არიან, რომელშიც ცხოვრობენ და ეპოქის ლაქებს ვერ ჩამოირეცხავენ.

მხოლოდ გელა, მეამბოხის შვილი და თავად მეამბოხე, უნდა ამაღლდეს პიროვნულზე, ერის, ხალხის საუკეთესო ზრახვათა გაშომხატველი გახდეს.

„რკინის თეატრს" დაკანონებული, ეგრეთ წოდებული „დადებითი", უფრო სწორად, მისაბაძი გმირი არა ჰყავს. რომანი ასეთი გმირის ჩამოყალიბების პროცესს გვამცნობს.

ხასიათების ძერწვის ო. ჭილაძისეული მანერა უთუოდ ახდენს ზემოქმედებას „რკინის თეატრის" სიუჟეტზე და განაპირობებს მის თავისებურებას. სულიერ გარდაქმნათა პროცესის ასახვა მოითხოვს გადახვევებს სიუჟეტიდან, რაც უკვე მომხდართან მრავალგზის დაბრუნებით, სხვადასხვა კუთხით მისი გააზრებით ხორციელდება. მაგრამ სიუჟეტის განვითარებისათვის აუცილებელი ყველა კომპონენტის ოსტატური გამოყენებით მწერალი ამ გადახვევებსაც ძირითადი ამბის თანმიმდევრულად გადმოცემის კალაპოტში აქცევს, რითაც თავს აღწევს სიუჟეტურ დაქსაქსულობას და უნარჩუნებს რომანს კომპოზიციურ მთლიანობას.

„რკინის თეატრში" ო. ჭილაძემ სცადა „ტრადიციული" და „ახალი" რომანის ორგანული სინთეზი მოეხდინა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ცდა წარმატებით დამთავრდა.

ო. ჭილაძის რომანები ამქვეყნად ადამიანთა ღირსეული ყოფის მარადიული კანონით — უკომპრომისობის იდეითაა გაჟღენთილი. ამიტომაა მისი ისტორიული რომანები ესოდენ აქტუალური თანამედროვეობისათვის. ნიშანდობლივია ისიც, რომ უკომპრომისობა მწერლური კრედოა, რომელიც დიდ როლს თამაშობს შემოქმედებაში და განაპირობებს პროზაული ხელწერის თავისებურებას.

ხატოვანი აზროვნება და ღრმა ფსიქოლოგიზმი ძალების მაქსიმალურ კონცენტრაციას მოითხოვს მწერლისაგან. ისიც ერთი წუთით არ აძლევს თავს უურადღების მოდუნებისა და ხათქმელის გაიოლებით ფონს გასვლის უფლებას, მაქსიმალურად ტვირთავს ყოველ გვერდს მხატვრული ხერხების დაუზოგავი გამოყენებით.

არსებობს აზრი, რომ ო. ჭილაძე რთული, ძნელად აღსაქმელი მწერალია. ეს მაშინ, როცა ო. ჭილაძის პროზის უპირველესი თვისება სწორედ სინათლეა. მწერალი ყოველმხრივ აშუქებს თითოეულ პრობლემას, ხასიათს, მოვლენას. იგი მკითხველს კი არ უჩენს თავსატეხს, არამედ მოქმედი პირების საშუალებით ცემს პასუხს ყოველ წამოჭრილ კითხვაზე და ამით თვით პერსონაჟებსაც გვიხასიათებს.

მხატვრული ანალიზის სიღრმე და მრავალმხრივობა განაპირობებს სტილის თავისებურებას. გადახვევები სიუჟეტური ხაზიდან, ხასიათების ძერწვის მანერა, დიალოგების აღწერილობით ტექსტში მოქცევა და რთული ქვეწყობილი წინადადების სიმრავლე ართულებს აღქმას. „თავსატეხს" მოუთმენელ მკითხველს ნაწარმოების შინაარსი კი არ უჩენს, არამედ ორიგინალური ფორმა. განსხვავებული ფორმა, რომელიც შინაარსის მთელი სისავსით წარმოჩენის სამსახურში დგას სულიერ სამყაროში მომხდარი ძვრების, სულის მოძრაობის ჩვენებით.

ო. ჭილაძის შემოქმედება მკითხველის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობითაა განმსჭვალული და მისგანაც ასეთივე დამოკიდებულებას მოითხოვს. დღის წესრიგში თავისთავად დგება მკითხველის სათანადო განწყობილებისა და მომზადების საკითხი. განწყობილებაზე როცა ვამახვილებთ ყურადღებას მხედველობაში გვაქვს, რომ ო. ჭილაძის რომანების კითხვა უგულისყუროდ, ყურადღების დაძაბვის გარეშე შეუძლებელია; მომზადება კი პროზაული ხელწერის თავისებურების სწორად გაგებისა და აღქმისათვისაა აუცილებელი.

„რკინის თეატრი" სხვადასხვაგვარად წაკითხვის, გააზრების, ინტერპრეტაციის ამოუწურავ შესაძლებლობას იძლევა. ავტორი ქმნის კიდევ ერთ ოპტიმისტურ ტრაგედიას მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაზე; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რევოლუციური სიტუაციის აღწერასთან ერთად დამაჯერებლად გვიხატავს ადამიანთა სულის რევოლუციას, რაც მომავალ რევოლუციურ გარდაქმნათა აუცილებელი პირობა და საწინდარია.

„რკინის თეატრი" საქართველოს სიმბოლური სახეა. ისტორიული ბედუკუღმართობით განაწამები საქართველოა, რკინასავით გამძლე და რკინასავით მაგარი.

მწერალი ხაზგასმით წარმოაჩენს საფუძველს იმ ერის უკვდავებისა, რომელსაც არასოდეს გამოლევია ნათელი მომავლისათვის მებრძოლი გმირები. რომანის მთავარი გმირიც მეამბოხეა. წინსვლის, მაღალი იდეალებისათვის წამოწყებული ბრძოლის გზაზე დამდგარი სულგანათებული ქართველი კაცი.

ამიტომაც ახე ოპტიმისტურად ეღერს „რკინის თეატრის" ფინალური ეპიზოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაურ მოლაშხია

„მე წამალს ვეძებ“...

მამუკა წიკლაურის ერთ-ერთი ლექსი ასე იწყება: „ამ კედელს უნდა ვედგე ბეჭებით“. ეს კედელი ყოფნა-არყოფნის, საარსებო და მიღმიურის მიჯნაზე დგას. მასთან დგომა არაა ადვილი. არ უნდა დაირღვეს დასაბამიერი წონასწორობა. უნდა გაუმკლავდე მათ — „კედელს მეორე მხრიდან რომ აწვებიან“. სიძაბუნე არ უნდა ჩაგიდგეს მუხლებში, სხვას არ აკიდო საშენო ტვირთი, არ უნდა ჩაიჩოქო „ხერხემლის ძვლების დამსხვრევამდე“... მხრებიც არ მოგეღლება, როცა გრძნობ, რომ მარტო არა ხარ, მარტო შენთვის, შენი კეთილდღეობისთვის არ უდგეხარ „კედელს ბეჭებით“. ამ „დგომაში“ ახლანდელი თანამდგომიც მოიაზრება და წუთისოფლის ხვალინდელი მგზავრიც.

„სული პოეტის სარკე არის სივრცის, დროისა“, — ამბობდა დიდი გალაკტიონი. მამუკა წიკლაურის ლექსთა ლირიკული გმირიც ამ „სივრცის, დროის“ უტყუარი შვილია — დღევანდელი საზრუნავითა და მშობელი ხალხის მოთმავალზე, საერთოდ, ყოფიერების არსზე ლმობითა და ფიქრებით დაყურსული... მისი გონისმიერი მზერა ცდილობს შეაღწიოს მოვლენათა და საგანთა იდუმალ არსში; მისთვის დამახასიათებელია მედიტაციური აზროვნება, ბუნებისა თუ ცხოვრებისეული მოვლენების სიღრმისეული ნიუანსების წვდომა...

მამუკა წიკლაურის ნაწარმოებებში მითოსურ-ბიბლიურ ნაკადს თუ ფოლკლორულ მოტივებს გარკვეული ფუნქცია აკისრია (მაგ. „თორღვა ძაგანი“, „დალი“, „პირიმზე“, „წარწერები ბარათაშვილის ბიოგრაფიაზე“ და სხვ.), პოეტის ლექსთა სტრიქონებს შორის მიწიხქვეშა მდინარესავით მიედინება ის ყოფისეული ტკივილი თუ სიხარული, რომლებსაც თუ ვერ შეიგრძნობ, — ვერ დაინახავ. ნათქვამია, საქმე ის კი არაა, მკითხველი აიძულო წაიკითხოს, საქმე ის არის — აიძულო იფიქროს. მამუკა წიკლაურის ლექსებს (გასართობად, „სალაღობოდ“ ვერ წაიკითხავ, ის შენგანაც მოითხოვს ფიქრსა და გონის აქტივობას:

ცეცხლი აანთეს ციხეებმა.
წითელ ხაზებზე
გადასრიალდა ელვასავით „მტრის ჯარი
მოჩანს“.
ცეცხლის ენები ლაპლაპებდნენ. ბნელში
წიოდნენ
და ანათებდნენ განსაცდელს წითლად.
გამოიყვანა ცხენი მხედარმა...
ჩამოელრუბლა დიაცს სახე და კარმიდამოს
შემოატარა მზერა კრუხივით.

გარდასული დროის სურათი თვითმხილველის, თანამონაწილის განცდითაა დანახული... ისევ ალისფრად აინთო სივრცე — „ცეცხლი აანთეს ციხეებმა“, ისევ განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა ქვეყანა, მოდის გადამთიელი, რომ გადაგთელოს, ფუძე მოგიშალოს, მშობელი დედა დაგავიწყოს... მაგრამ, არა! „გამოიყვანა ცხენი მხედარმა“... უკვე ბევრის თქმა არაა საჭირო და პოეტიც ორიოდე სტრიქონით ამთავრებს: „ჩამოელრუბლა დიაცს სახე და კარმიდამოს შემოატარა მზერა კრუხივით“. იცის მეუღლემ და დედამ, სად და რისთვის მიდის იარაღასხმული მხედარი. ახლა მან უნდა მოუაროს სახლკარს, ოჯახს. შვილებს, რომ სამშობლოს დაძახებაზე კვლავ „გამოიყვანოს ცხენი მხედარმა“...

ავტორს ბარემ აქვე გავუზიარებ ერთ შენიშვნას. ზემოთ მოტანილი ლექსის კონტექსტში „დიაცი“, ჩემი აზრით, უხერხულად ეღერს. რადგან იმის შემდეგ, რაც „გამოიყვანა ცხენი მხედარმა“, ის („დიაცი“) ოჯახის პატრონად, დედაბოძად არის გააზრებული. მართალია, „დიაცს“ უწოდებენ „დედაკაცს“, „ქალს“, „ცოლს“... მაგრამ, ალბათ ჩვენს ცნობიერებაზე უფრო რუსთაველის მიერ „დიაცსა“ და „ქალს“ შორის გავლებული ზღვარი, აზრობრივი სხვაობა ზემოქმედებს. ცნობილია, რომ რუსთაველს „დიაცი“ ყველგან უარყოფით კონტექსტში აქვს მოცემული... რა თქმა უნდა, ეს ჩემი აღმოჩენა არაა და მამუკა წიკლაურმაც მშვენივრად იცის.

მამუკა წიკლაური დიდ ყურადღებას აქცევს სტრიქონის თუ ფრაზის სინათლეს, გამჭვირვალობას, რომელიც აზრობრივ სირთულესთანაც არის წილნაყარი. პოეტი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ სიტყვას თუ ფერს გარკვეულ სიმბოლურ-ქვეტექსტურ დატვირთვას ანიჭებს; ის ლექსში სიტყვას შემთხვევით არ „ჩააგდებს“. თუმცა შეიძლება ყოველთვის ვერ მიმადლოს ის ეღერადობა, რაც თავიდან ივარაუდა, მაგრამ მის სიტყვას თითქმის არახდრის არ აკლია სიმძაფრე, სითამამე და, რაც მთავარია, ცხოვრებისეული სიმართლე!..

პოეტი, რა გაქანებისა და ენერგიისაც არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა იყოს მიხი შემოქმედებითი პოტენცია, ვერასოდეს გაექცევა თანადროულობას, ობიექტურ ხანამდვილეს, რადგან „არავითარ გაქცევას არ ძალუძს ხადმე მიგვიყვანოს“ (სენტ-ეგზიუპერი). პოეტი დღევანდელი დღით სუნთქავს და ცოცხლობს. ამავე დროს ხელოვანის პირადი ცხოვრებაც განსაზღვრავს მის ზნეობას, ცნობიერებას, შემოქმედი დღენიადაგ უფრთხილდება ცხოვრებისეულ ატმოსფეროს სიწმინდეს და ხიჯანსალეს.... ყველა ადამიანი, ვისთვისაც ძვირფასია როგორც თავისი, ისე სხვისი სიცოცხლე, ვისაც ბავშვის ხმის გაგონებაზე სხეულში რაღაც უცნაური სითბო ჩაუდგება, ის უთუოდ ჩვენი პლანეტის მომავალზეც ფიქრობს. ასეთ დროს მამუკა წიკლაურის სიტყვაც მძაფრია და გაფრთხილებასავით გაისმის:

ჩვენ ყველანი დიდ საავადმყოფოში ვართ...
და ტკივილების გასაყუჩებლად
ერთმანეთს ვებრძვით!..
ვის შეუძლია განუწყვეტლივ ხანძარში
დგომა...
ყველაფერი მზადაა დედამიწის
თვითმკვლელობისთვის...
ფრთხილად,
პლანეტა დინამიტის საწყობად იქცა!

ადამიანის გონებამ შექმნა ე. წ. „მასობრივი მოსპობის ხაშუალებანი“, ის ახლა იძულებულია და ვალდებულიც არის გადარჩენის გზაც თვითონვე მონახოს, რათა ადამის ნაშიერმა ისევ არ დაიწყოს ბიზონებზე ნადირობა, ისევ არ გათალოს კაჟი, ისევ არ გამოიგონოს ახალი ღმერთები...

„ხაიდან ვარ მოდგმით? ბავშვობიდან“, — უთქვამს მწერალს. მართლაც ყველა ბორციელი ბავშვობის ფეხვებიდან მოდის, თუმცა ზოგჯერ ასეც ხდებოდა: ბავშვობის ძირებზე ხულ სხვა ჯიშის ლერწს დაამყნობდნენ და ადამიანიც შორდებოდა თავის ხუბსტანციურ ფეხვებს. იყო დრო, როცა ბავშვს ბავშვობასთან მხოლოდღა ასაკი აკავშირებდა. ომისდროინდელ ბავშვებს ხომ „ბავშვობის საღგურზე“ არ დაუხანებიათ, ისე „დაკაცდნენ“. ამიტომ მოდის მამუკა წიკლაურის გულიდან ასეთი ტკივილისმიერი სტრიქონები: „ჩემი ბავშვობა ჩემი სიცოცხლის ნაწილი კი არა, მოკვეთილი ნაწილია, ჩემი მუდმივი ჭრილობაა მოურჩენელი“. სხვა ადგილას კი ამბობს: „თითქოს კედელში ჩაატანეს ჩემი ბავშვობა“.

მამუკა წიკლაურის ლექსებიდან გვეხაუბრება ადამიანი — ყოფისმიერი ხაფიქრალითა და ხატკივრებით გულშეძრული. მიხი ბედვის არეში წარსული, აწმყო და მომავალი მთლიანობაშია მოქცეული. პოეტი, როცა წარსულზე წერს, ქვეშეცნეულად დღევანდელობაზეც მიგვანიშნებს, ხოლო თანამედროვეობა, როგორიც არ უნდა იყოს იგი, მომავლის ქვაკუთხედად არის გაცნობიერებული. დღევანდელსაც ხომ ერთ დროს წარსული დაერქმევა და, ამდენად, აწმყო უწარსულოდ გულისგულამდე ვერასოდეს განიცდება. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილეებისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი წერს:

ისინი გაჩნდნენ, როგორც ზღაპრები
ან გრიგალები ჩნდებიან,
ზღვიდან
ამოიმართნენ, გალუმპულ ტანზე
ეკიდათ მძიმე სატევრები და ძლივს
სუნთქავდნენ,
როგორც ზვავის ქვეშ ძალიან დიდხანს
მომწყვდეული და ნაბრძოლი ხალხი.
მათ შემოგვხედეს,
უცებ გვიცვნეს და გაგვიღიმეს...
და უფრო ძლიერ ტკივილებით
გადავიწყებულ
ტკივილებს გავდნენ“.

არ შეწყვეტილა უძველესი „ღვთაებებით ავსილი სიხხლის“ დინება. სიხხლმა იცნო სიხხლი („უცებ გვიცვნეს და გაგვიღიმეს“). ჩვენი წინაპრების არც ერთ თაობას გულზე ხელდაკრეფით და მშვიდად არ უცხოვრია. ხამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა ერთი თაობიდან მეორე თაობას გადაეცემოდა... მარადმედინი დროის როგორი უკუღმართობა თუ ძნელბედობა ილანდება პოეტის თუნდაც ერთ სტრიქონში: „და უფრო ძლიერ ტკივილებით გადავიწყებულ ტკივილებს გავდნენ“.

მამუკა წიკლაურისთვის არ არსებობს დახარისხებული თემა. ის რაზედაც არ უნდა წერდეს, ცდილობს გულის ნაწილიც თან ჩაატანოს და, გერონტი ქიქოძის თქმისა არ იყოს, მკითხველსაც განაცდევინოს „ტანჯვის გამოუთქმელი სიტკბოება“. პოეტი, უწინარესად, ბედისაგან მიმძლავრებულის მოსარჩლეა. მას ტკივა იმ ადამიანის ხვედრი, რომელსაც „მხარზე ეშმაკი დააჯდა“, აუჯანყდა „ბალახისა და ზღვის დონეზე“ ცხოვრებას, მაგრამ „დაკრეს მარხილს და გაყინულ ბევზე თვალდია დაქანეს“; ტკივა „ციხფერი წვიმების დასასრული“, გულგრილობით გათელილი ყვავილი თუ ბალახი... პოეტი თანაუგრძნობს იმ ცხენსაც, რომელიც ბუნებისაგან ბოძებულ თავისუფლებისაკენ მიილტვის: „ვერ შეანასკვეს თოკი ყელზე, ფეხზე — ბორკილი, ვეღარ ჩაუდეს მოთმინება — მყაველაგამი. დადის სერებზე, შესეზინვინებს წითელ ვარსკვლავებს“. სურთ როგორმე გახედნონ გაველებული ცხენი, თუ არა და „თოფი დაჰკათო — მობუცებმა“... ეს ცხენი შეიძლება მოკლან და ჭალებზე ჩამოათრიონ „მთებისკენ მზირალ სხვა კვიცების დასანახავად“, მაგრამ მას ვერ დაიყოლიებენ, ვერ დაიურვებენ, ვერ ამოდებენ „მოთმინებას — მყავე ლაგამს“. ასეთი ცხენი ათასში ერთი გამოერევა, მაგრამ სწორედ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთშია მოქცეული მისი ჯიშის დაუმორჩილებლობის მარადი გრძნობა...

უთქვამთ: „წერა — სიამოვნებაა, ბეჭდვა — პასუხისმგებლობაო“. ეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის გააჩნდა მამუკა წიკლაურს. გავიხსენოთ, რომ მან პირველი კრებულის დაბეჭდვიდან მთელი ხუთი-ექვსი წლის შემდეგ გამოსცა მეორე წიგნი. ცხადია, ამ ხნის განმავლობაში პოეტი უქმად არ იყო. თარგმნიდა, წერდა საინტერესო წერილებს, მაგრამ ლექსებს ძალზე იშვიათად ბეჭდავდა. შემდეგ კი ზედიზედ გამოვიდა მამუკა წიკლაურის რამდენიმე წიგნი...

მკითხველმა თავიდანვე ირწმუნა პოეტის ნიჭიერება და გულმართალი სიტყვა. თავის შინაგან ხმას მინდობილი, ნამუსიანად მიჰყვება შემოქმედის მძიმე და საპატიო გზას. ალბათ, პოეტისთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა მისი სიტყვა, ღიმილი, ლმობა თუ სიმძიმილი სჯერა მკითხველს... მამუკა წიკლაურის ნაწარმოებებში გამოყენილი სევდაც გულისმიერია და აღიქმება არა როგორც უარყოფა „ამქვეყნიური არსებობისა“, არამედ, პირიქით! ის ცდილობს „ამ არსებობაში“ იოტისოდენი ლუსკუმისფერიც სინათლედ აქციოს. პოეტის მძაფრი ტკივილისმიერი სტრიქონები ქამანდებივით მოეხვევერს, სუნთქვასაც შეგვიკრავს ხოლმე, რათა უკეთ გამოგვაფხიზლოს და უფრო საღი გონებით შევხედოთ ცხოვრებას. გურამ ახალთიანი წერდა: მამუკა წიკლაური „მწარე პოეტია, დაუშოშმინებელი, სიყალბესთან და ასევე ნახევარსიმართლესთან შეურიგებელი“, მისი ლექსები „სამარცხვინო ნირვანაში ჩაფლობის ნებას არ იძლევიან“...

ხელოვანი, რამდენადაც სტრიქონიდან სტრიქონში „გულის სიხსლს“ გაიღებს, იწურება, კვდება, იმდენად უფრო ძლიერ სიცოცხლეს აჩენს. მარინა ცვეტაევა ბორის პასტერნაკს წერდა: „რატომ ეღერს თქვენი ლექსი, როგორც უკანასკნელი?“ ამ შეკითხვას ბოლოს თვითონვე პასუხობდა: „თქვენ ლექსიდან ლექსამდე კვდებით (ამიტომაა ყოველი ლექსი „უკანასკნელი)“. ასე მგონია, მამუკა წიკლაური ლექსის „ქმნადობის პროცესში“ გულში არაფერს იტოვებს, „სტრიქონიდან სტრიქონამდე კვდება“; თავს არავის აწონებს პოეტური სამშვენისებით, ამბობს ისე, როგორც ფიქრობს, გრძნობს და ძალუძს. ეს არც თუ ისე ადვილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ნამდვილი პოეტის შინაგანი სამყარო, მისი პიროვნება ყველაზე უკეთ მისივე ლექსში წარმოჩინდება. არაა სწორი ავტორის პიროვნული ღირსებებისა და [illegible] წარმოებების დაშორიშორება. ყოველი ჭეშმარიტი ლექსი ბომ პოეტის სულია, მისივე პიროვნებაცაა.

მამუკა წიკლაურის ლექსები რა ფორმითაც არ უნდა იყოს დაწერილი (კონვენციურია თუ ვერლიბრი), ერთ თემატურ რკალშია მოქცეული და ვინც მამუკა წიკლაურის პოეზიას იცნობს, ის პოეტისთვის დამახასიათებელ ხელწერას სხვისგან ადვილად გაარჩევს. უწინარესად, მამუკა წიკლაური თავისი თანატოლებისგან გამოირჩევა თავისებური ხმით, სათქმელით, მძაფრი დრამატიზმით, — რითაც მკითხველი მუდამ დაძაბული ჰყავს და არ აძლევს „ჩათვლემის“ საშუალებას.

ამ წერილის დასაწყისში მოვიტანეთ მამუკა წიკლაურის ერთ-ერთი ლექსის („კედელი“) პირველი სტრიქონი: „ამ კედელს უნდა ვედგე ბეჭებით“. პოეტი სხვა ლექსში („ბრძანებაა ჩემი ფესვების“) ამ აზრს განსხვავებული კუთხით აგრძელებს და ავითარებს. პოეტი დგას ეროვნულ ფესვებზე და აქედან გრძნობს ხილულეთის გულისცემას. უამფესვებოდ შემოქმედი ვერ გაისაკუთრებს მოყვასის სატკივარს თუ საფიქრალს. ამიტომ მთელი ძალისხმევით უნდა მოუაროს, უნდა გაურფხილდეს იმ ძირძველ და მარადიულ ფესვებს, რომლებიც მარტოოდენ მიწაში კი არა, წინაპართა სიხსლსა და ძვლებშია გადგმული: „აქ უნდა ვიდგე — მეხით გადათხრილ ჭიუხებთან, სეტყვით დაცხრილულ ჭიუხებთან, წვიმით ჩარეცხილ ნაპრალებთან, ამ კლდის შრეებში უნდა იწვალონ და გზები ძებნონ ჩემმა ფესვებმა, სხვაგან ვერ წავალ — მე ამ ფესვებს ვერ გავეყრები“...

მამუკა წიკლაურის პოემის გმირი თორღვა ძაგანი კი ასე ფიქრობს:

ბუთლავ, ქაჯთ უნდა დავამხო ბანი!
ფრუშკავ, მარტო ვარ ამდენ დევებთან!
ხირჩლავ, აქ უნდა გავიგნო გზანი!
ჯღანავ, საბნელოს უნდა შევება!..
— მე წამალს ვეძებ, ღია ჭრილობას —
კითხვებს: სად? რისთვის? — წამალი უნდა
და დევებთან მაქვს ახლა ცილობა,
სინათლისათვის მივიჭერ ზღურბლთან.

პოეტს ხვალ უფრო მეტ ცხოვრებისეულ კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა. „მე წამალს ვეძებო“, ამბობს თორღვა ძაგანი და პოეტიც იმ წამლის მაძებარია, რომელიც მოყვასის უნუგეშო გულს სამზეოსკენ მოაბრუნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნოდია

ფილოსოფია, ენა და ფილოსოფიის ენა

ვუძღვნი
პროფესორ ზურაბ კაკაბაძის
ნათელ ხსოვნას

დავიწყებ იმის განსაზღვრით, რა არ არის ამ წერილის თემა. ის არ ეძღვნება ენის ფილოსოფიურ გააზრებას, ენას, როგორც ფილოსოფიური ბჭობის საგანს — რაც თავისთავად ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა. მე საქმის სხვა მხარე მაინტერესებს. ფილოსოფია, ფილოსოფოსობა ერთ-ერთი სახეა ადამიანური მოღვაწეობისა, ცხოვრების, კულტურის რეალური ფაქტია. ამასთანავე, ის არის ენობრივი ფაქტი — ის ხდება გარკვეული ენობრივი სტიქიის შიგნით, „მოიხმარს" ენას და თვით ქმნის თავის, განსაკუთრებულ ენას — „ფილოსოფიის ენას". როგორც ენობრივი ფაქტი, ფილოსოფია გარემოცულია უფრო ფართე ენობრივი სინამდვილით — ენით, რომლითაც ჩვენ ვლაპარაკობთ და ვფიქრობთ, ხანდახან ვწერთ, მოკლედ, ენით, რომელშიც და რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ. ამ ენას შეგვიძლია ვუწოდოთ „ბუნებრივი ენა", „ცხოვრების ენა". ფილოსოფიამ, როგორც ენობრივმა ფაქტმა, თავისი ადგილი უნდა დაადგინოს ამ ენობრივ სინამდვილეში. რა შეადგენს და რა განსაზღვრავს ფილოსოფიის ენის თავისებურებას? რა მიმართებაშია ფილოსოფიის ენა ცხოვრების ენასთან? — აი, ამ საკითხების განხილვას ეძღვნება წინამდებარე სტატია.

ფილოსოფიის ენისა და ცხოვრების ენის მიმართების საკითხი მაშინ იქნება ზოგადკულტურული ინტერესის ღირსი, თუ მას დავინახავთ ერთ მხარედ უფრო ფართე პრობლემისა: ფილოსოფია და ცხოვრება. ზუსტად ამ სათაურით ჯერ ჟურნალ „განთიადში", შემდეგ კი კრებულში „ხელოვნება, ფილოსოფია, ცხოვრება" გამოქვეყნებული აქვს სტატია ზურაბ კაკაბაძეს. მისი ეს ნაშრომი, მეტად პრინციპული მნიშვნელობის მქონე, იქნება ჩემთვის მეთოდოლოგიური ამოსავალი. თუმცა, გამოთქმა: „მეთოდოლოგიური ამოსავალი" — მეტისმეტად მშრალად ეღერს და, ალბათ, მთლად სწორიც არაა. ჯობებდა, მეთქვა: „სულისჩამდგმელი", რადგან აქ წარმოსადგენი მოსაზრებები უშუალოდ ამოიზარდა ბატონი ზურაბის დებულებათა გააზრებიდან. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ მე ვცდილობ მას დავაკისრო პასუხისმგებლობა ჩემს რომელიმე საკამათო თეზისზე.

რაკი ფილოსოფია კულტურის სხვა ფორმათაგან ყველაზე ახლოს მაინც მეცნიერებასთან დგას („მეცნიერებაში" ვგულისხმობ ე. წ. კერძო, ანუ პოზიტიური მეცნიერებებს), თავიდან პარალელს გავავლებ ფილოსოფიისა და მეცნიერების ენობრივ პოზიციებს შორის. მეცნიერებამ რომ თავისი ამოცანა შეასრულოს, მან მაქსიმალურად უნდა დაძლიოს ყოველგვარი სუბიექტივიზმი. აქედან კი გამომდინარეობს, რომ, მიუხედავად უზარმაზარი გავლენისა, რასაც მეცნიერების ტექნოლოგიური შედეგები ადამიანის ცხოვრებაზე ახდენს, თავის წმინდა შინაარსში მეცნიერება ცდილობს რაც შეიძლება „არაცხოვრებისეული" იყოს. საქმე ისაა, რომ ცხოვრებისეულ კონტექსტში, „ცხოვრების ველში" საგნები და მოვლენები გარკვეულ კავშირებში წარმოგვიდგებიან. ამ კავშირების ამგვარობას ისინი ადამიანის მათდამი მიმართების, მისი პრაქტიკული მთლიანობის თავისებურებებს, საბოლოო ჯამში — მის მსოფლმხედველობას, ღირებულებებსაც უმადლიან. მოკლედ, „ცხოვრების ველში", პრაქტიკოსი ადამიანის სამყაროში საგნები და მოვლენები ერთგვარად „გაადამიანურებულნი", „ანთროპომორფიზებულნი" არიან, რის შედეგადაც ობიექტური სამყაროს კანონზომიერებები „არაწმინდა", „ამღვრეული", სუბიექტურად შეფერადებული სახით ვლინდება. თავისი ამოცანა რომ შეასრულოს, ე. ი. საგნებისა და მოვლენების შესახებ ობიექტური ცოდნა რომ მოიპოვოს, მეცნიერებამ უნდა გამოყოს, გამოაცალკევოს, „გაასუფთაოს" ცხოვრებისეული წარმოდგენებისაგან თავისი კვლევის ობიექტი (მაგალითად, მეცნიერული ექსპერიმენტის დაყენების გზით) და შემდგომშიც ფხიზლად იყოს, რომ შემთხვევით სადმე რაიმე ცხოვრებისეული „ანთროპომორფიზმი" არ გაეპაროს. ხოლო ერთ-ერთი განსაკუთრებით სახიფათო აგენტი, „ტროას ცხენი", რითაც მეცნიერული თეორიის სიმწყობრე და ხიცხადე შეიძლება შეირყვნეს, არის „ბუნებრივი" ენის ხიტ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყვები, რომლებიც მეცნიერების ცნებათა აღმნიშვნელებად იხმარებიან. მიუხედავად მკაცრი განსაზღვრებებისა, დეფინიციებისა, ამ სიტყვებს ძალაუნებურად მაინც შემოაქვთ ის ცხოვრებისეული კავშირები, ასოციაციები, რაც ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში ახლავთ თან. ამიტომ მეცნიერება იმთავითვე ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს თავის ენაში ამგვარი „ბუნებრივი" ლექსიკის წილი. თავის დროზე მეცნიერება ამ ამოცანას უბრალოდ იმით ჭრიდა, რომ მკვდარ (ლათინურ) ენაზე მუშაობდა. თანამედროვე მეცნიერების იდეალია (თუმც — მიუღწეველი), კიდევ უფრო „არაცხოვრებისეულ", ფორმალიზებულ-მათემატიზებულ ენაზე თარგმნოს მთელი თავისი ცოდნა. შეიძლება ითქვას: რაც უფრო გაუგებარია მეცნიერების ენა „არაგანდობილთათვის", მით უფრო მეტი გაუგებრობისაგან იხსნის იგი თვით მეცნიერებას.

როგორ გვაქვს საქმე ამ მხრივ ფილოსოფიაში? პასუხი ამ კითხვაზე იმაზეა დამოკიდებული, როგორ გვესმის ფილოსოფიის არსი, აქედან — ფილოსოფიის მიმართება ცხოვრებასთან. ჩვენი თემის თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ფილოსოფიის არსის სამი ძირითადი გაგება. ერთ მათგანს ფილოსოფია ესმის როგორც მეცნიერული შემეცნების მეთოდთა და პირობათა შემოწმება, გააზრება, ანალიზი. ასეთ შემთხვევაში ფილოსოფია, ფაქტიურად, მეცნიერების მსახურად (უფრო ზუსტად — მის „პოლიციელად", „მომწესრიგებლად") იქცევა და, ბუნებრივია, არსებითად იმეორებს მეცნიერების დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი და მისი ენისადმი. მეორე შეხედულების თანახმად ფილოსოფია, პირიქით, კერძო მეცნიერებებზე პრინციპულად ამაღლებულ ცოდნის დარგად, „მეცნიერებათა მეცნიერებად" ცხადდება. მისი საგანი პრინციპულად მიუღწეველია კერძო-მეცნიერული შემეცნებისათვის: ეს არის „სამყაროს მთლიანობა", „ყოფიერება თავისთავად", „არსის უზოგადესი კანონები" და ა. შ. მიუხედავად კერძო მეცნიერების მიმართ ერთგვარად ქედმაღლური დამოკიდებულებისა, ფილოსოფიის ასეთი გაგება მისი ცხოვრებისადმი მიმართების თვალსაზრისით, არსებითად, მეცნიერების პოზიციას იმეორებს: ადამიანთა „ცხოვრების სამყარო", როგორც ერთ-ერთი კერძო გამოვლინება „სამყაროსი მთლიანად", არ იმსახურებს ფილოსოფიური გააზრების საგნად ქცევას; ფილოსოფია აბსოლუტურად ობიექტურ, „წმინდა" ცოდნას ელტვის და ადამიანთა სუბიექტური ინტერესების სფეროს რაც შეუძლია გაურბის. თუ პირველი გაგების თანახმად ფილოსოფია ერთგვარი წინაპირობაა მეცნიერული ცოდნისა, ახლა ის მის „გვირგვინად", „მწვერვალად" იქცევა. ორივე შემთხვევაში გამოდის, რომ მეცნიერების ენასა და ფილოსოფიის ენას არსებითად ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ „ცხოვრების", ანუ „ბუნებრივი" ენის მიმართ: ფილოსოფია პრინციპულად განსხვავებულ ენაზე უნდა ამეტყველდეს. სხვაობა ფილოსოფიისა და მეცნიერების ენებს შორის მხოლოდ ბუნებრივი ენის ელემენტთა თავიდან მოშორების ტექნიკურ ხიძნელე-ხიადვილეს შეიძლება ეხებოდეს.

ფილოსოფიის არსის, აქედან — ფილოსოფიის ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ორივე განხილული კონცეფცია ნაკლოვანია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენი არჩეული პრობლემის თვალსაზრისით მათ ერთხა და იმავე პრეტენზიებს ვუყენებთ. ის საქმიანობა, რასაც ფილოსოფიის პირველი გაგება — მეცნიერებაზე ორიენტირებული „ფილოსოფოსობა" ითვალისწინებს, თავისთავად საჭირო, სასარგებლო და გამართლებულია. მეცნიერული ცოდნის წინაპირობათა საფუძვლიანი გააზრება საჭირო საქმეა — ამაზე ორი აზრი არ არსებობს. შეცდომა მაშინ იწყება, როცა ფილოსოფია ამგვარ საქმიანობაზე დაჰყავთ, როცა ფილოსოფიის საზრისს და გამართლებას პოზიტიურ-მეცნიერული ცოდნის დაფუძნება-გააზრებაში ხედავენ, ხოლო ფილოსოფიისა და ცხოვრების კავშირს, შედეგად ამისა, მეცნიერული ცოდნის „ცხოვრებისეული მნიშვნელობით" აშუალებენ.

მეორე გაგება სამართლიანად აცხადებს პრეტენზიას ფილოსოფიის საკუთარ, მეცნიერებისაგან დამოუკიდებელ საზრისსა და ღირებულებაზე, ფილოსოფიის უფლებაზე, სინამდვილისადმი დამოუკიდებელი მიხედვომი ჰქონდეს. მაგრამ ფილოსოფიის ავტონომია მეცნიერების მიმართ სულაც არ ნიშნავს ფილოსოფიის ავტონომიას ადამიანის ცხოვრებისა და მისი პრობლემების მიმართ, „ფილოსოფოსობის" ღირებულების აბსოლუტურ თავისთავადობას. ხსენებულ სტატიაში ზურაბ კაკაბაძე საკმაო ირონიით გადმოგვცემს ფილოსოფოსობის ამ ელიტურ-არისტოკრატულ „პროგრამას": ამ „პროგრამის" თანახმად ფილოსოფია უმაღლესი რანგის ინტელექტუალური სპორტი გამოდის. როგორც ლომებზე და ვეფხვებზე ნადირობაა ნამდვილი არისტოკრატის საკადრისი გართობა, ასევეა ინტელექტუალისათვის ფილოსოფია: მისთვის ის „ინტელექტის ჯუნგლებში ყველაზე ძლიერ მხეცებზე — „ლოგოსებსა" და „ესსენციებზე", „ტრანსცენდენტალიებსა" და „ტრანსცენდენციებზე" ნადირობაა".

მაშ რა არის ფილოსოფიის არსის, ფილოსოფიისა და ცხოვრების მიმართების ჭეშმარიტი გაგება, რომელიც ხსენებულ ორს უპირისპირდება? ისევ ბატონ ზურაბს გადავცემ სიტყვას: „ფილოსოფია სვამს და შეძლებისდაგვარად წყვეტს ხაკითხს, რომელიც ადამიანის ცხოვ-

---

გიორგი ნოდია

ფილოსოფია, ენა და ფილოსოფიის ენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებას თავის უღრმესსა და უმნიშვნელოვანეს ფენაში ეხება და რომელზედაც რაღაცგვარი პასუხი მუდამ მხედველობაში აქვს ცხოვრებას — ესაა საკითხი ცხოვრების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპის თაობაზე". რაგინდ „არაცხოვრებისეული" ჩანდეს ფილოსოფია თავისი გარეგნული გამოხატვით, რაგინდ გაუგებარი იყოს ის არაპროფესიონალისთვის, ის მაინც ხშირად უხილავი, მაგრამ მეტად გამძლე ძაფებით არის დაკავშირებული ყოველი ადამიანისათვის ნაცნობ ძირეულ ცხოვრებისეულ პრობლემებთან, ჩაფესვებულია ყოველი ადამიანისათვის მოუცილებელ მისწრაფებაში „იფილოსოფოსოს", ე. ი. დროებით ზურგი შეაქციოს ყოველდღიურ, ყოფით, „მიმდინარე" პრობლემებს და შეეცადოს თავისი და სხვა ადამიანების ცხოვრება საყოველთაო, მარადიული, აბსოლუტური ხაზომებით გაიაზროს და შეაფასოს, — რითაც, რა თქმა უნდა, ისევ თავის „მიმდინარე" ყოველდღიურობას უპოვის ან ვერ უპოვის გამართლებას. ამ ფესვებს მოწყვეტილი ფილოსოფია ცნებების სქოლასტიკურ თამაშად — „ინტელექტის ჯუნგლებში" უპასუხისმგებლო გართობა-ნადირობად იქცევა. ზ. კაკაბაძის სტატიაში ძალზე ნათლად და კონკრეტულადაა ნაჩვენები, სახელდობრ როგორ უკავშირდება განყენებული მსჯელობები სამყაროს უზოგადეს კანონებზე „ცხოვრების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპის" საკითხს: როგორ განსაზღვრავს თუ ამართლებს შეხედულება უფრო „მაღალ", უფრო „ნამდვილ", უფრო „სრულ" ყოფნაზე (ყოფიერებაზე) ადამიანთა ღირებულებით ცნობიერებას და მათი ცხოვრების წესს.

აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ, მეცნიერებისაგან განსხვავებით, ფილოსოფია თავისი შედეგების „დანერგვით" კი არ უკავშირდება ცხოვრებას, არამედ სწორედ თავისი შინაარსით; ამიტომ ფილოსოფიური აზროვნება იმას კი არ ცდილობს, ცხოვრებას „განუცვგეს", მისი აჩრდილი თავიდან მოიცილოს და „წმინდა", თვითმიზნური აზროვნების სივრცეებში გაიჭრას, არამედ ჩაუღრმავდეს თვით „ცხოვრებას", რაღაცნაირად დააფუძნოს და გაამართლოს მისი „ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი". ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ფილოსოფია ვერ სცდება ცხოვრებაზე მოარული „ფილოსოფოსობის" დონეს, რომ ის ცხოვრებისეული რეალიების განსჯაგაჩხრეკას სჯერდება და „სამყაროს მთლიანობაზე" ან „არსის უზოგადეს კანონებზე" ლაპარაკი მისთვის სქოლასტიკურ გადაგვარებას მოასწავებს. ფილოსოფიის „ცხოვრებისეულობა" იმას ნიშნავს, რომ ის სინამდვილეს ობიექტივისტურად (ნუ ავურევთ ობიექტურობასთან!). ე. ი. მასში მცხოვრები ადამიანისაგან განყენებით, კი არ უყურებს, არამედ ცდილობს გაიაზროს სამყარო როგორც ადამიანის — პრაქტიკული, მოქმედი სუბიექტის — „ცხოვრების, როგორც „ცხოვრების სამყარო", — თუმცა ფილოსოფიის სააზროვნო ქსოვილზე ადამიანი და მისი ყოფა-ცხოვრება შეიძლება უშუალოდ არ ჩანდეს.

..

ფილოსოფიისა და ცხოვრების მიმართების ამგვარი გაგება, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ გვაძლევს უფლებას, რაიმე დასკვნა გავაკეთოთ ფილოსოფიის ენისა და ცხოვრების ენის მიმართების თაობაზე. სანამ ასეთ დასკვნებზე გადავიდოდეთ, „ცხოვრებისეულ" და „პროფესიულ" ფილოსოფოსობას შორის კავშირის გარდა მათ შორის განსხვავებაც უნდა დავაფიქსიროთ და მისი ძირები გამოვაჩინოთ. ამასთან დაკავშირებით ორ გარემოებას მივაქცევ ყურადღებას. ის, რაც ზემოთ ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვადასხვაობაზე ვთქვით, მთლიანად რიდი უარყოფს დებულებას „ფილოსოფია მეცნიერებაა". ფილოსოფია თეორიული აზროვნებაა და ამ აზრით ნამდვილად მეცნიერებაა. ის ცნებებით აზროვნებს და ამ ცნებების მოხმარებაში სიმკაცრეს ეს წრაფვის. ის საგანგებოდ სინჯავს, ანალიზებს თავის ცნებებს, კონტროლს უწევს მათ შინაარსსა და მოცულობას და ამით უპირისპირდება ყოფით, „მოარულ" ფილოსოფოსობას, რომელსაც უპირველეს ყოვლისა სწორედ „მოარული" ცნებებისადმი უკრიტიკო დამოკიდებულება ახასიათებს.

ფილოსოფიის ენასა და ცხოვრების ენას შორის დაცილებას მეორე მომენტიც განსაზღვრავს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ე. წ. „ხალი აზრით", ე. ი. სინამდვილეს ვუყურებთ ჩვენს წინაშე მდგომი „მიმდინარე", მეტნაკლებად ლოკალური, სახრული ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით, „აქ და ახლა" არსებული სიტუაციიდან. ეს არ ნიშნავს, რომ ხალი აზრი „აქ და ახლას" იქით ვერ ზვახედებს. „აქ და ახლა" მყოფი საგანი თუ მოვლენა რომ გავიგოთ, დროში და სივრცეში მოსაზღვრე საგნებთან და მოვლენებთან მისი კავშირი უნდა განვმარტოთ: „მოსაზღვრე საგნებისა" და „შემადგენელი ნაწილების" შესწავლისას შემდეგი რიგის „მოსაზღვრეებზე" და „შემადგენელ ნაწილებზე" გადავდივართ და ა. შ. ასე და ამგვარად ხალმა აზრმა, განსაკუთრებით თუ ის მეცნიერული აზროვნების ფორმას იღებს, შეიძლება მილიონობით წელი თუ კილომეტრი გაგვატაროს, უმცირესი ნაწილაკები დაგვანახოს. მაგრამ რაც გინდა შორს წავიდეთ „ხალი აზრის" გზით, მისი ამოსავალი მაინც „აქ და ახლა" დარჩება, ხოლო სამყაროს სურათი, რომელსაც ის შექმნის, „აქ და ახლადან" დანახული სამყაროს სურათი იქნება. რა თქმა უნდა, მეცნიერებას შეუძლია ეს „აქ და ახლა" გადაადგილოს კიდეც: მაგალითად, სამყარო მზიდან ან რომელიმე ვარსკვლავიდან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვანახოს. მაგრამ რომელიღაც „აქ და ახლას“-ის ვერახოდეს გაექცევა.

ფილოსოფიის გამიზნულობა, როგორც ვთქვით სხვაა. მას ადამიანური ცხოვრების არა ლოკალურ, „ტაქტიკურ“, არამედ ძირეულ, „სტრატეგიულ“ პრობლემებთანა აქვს საქმე: იგი მოწოდებულია რაღაცნაირად დააფუძნოს თუ გაამართლოს ადამიანის ცხოვრების წესი, მისი ძირითადი მიზნები. დაადგინოს ადამიანის ცხოვრების საზრისი და ა. შ. ამიტომ მას არ შეუძლია „აქ და ახლადან“ ამოვიდეს. მისი გზა საპირისპიროა: იგი აბსოლუტურიდან, უპირობოდან, უსასრულოდან უნდა ამოვიდეს და შემდეგ „აქ და ახლა“ მცხოვრებ ადამიანთან მივიდეს. სწორედ აბსოლუტურთან, უპირობოსთან, უსასრულოსთან დამოკიდებულებაში ჩანს ყველაზე კარგად ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკა. საღი აზრის უმაღლეს ფორმას — მეცნიერებას, არსებითად, ასეთ რეალობებთან საქმე არა აქვს. მისთვის საკმარისია ე. წ. „ფსევდოაბსოლუტური“, რომელსაც თვითონვე ადგენს სასრულო მოვლენებისთვის ათვლის სისტემის სახით. მართალია, მეცნიერება ლაპარაკობს უსასრულობაზე, მაგრამ მისთვის ამ ცნებას წმინდად ნეგატიური ღირებულება აქვს: ის ნიშნავს, რომ ყოველი სასრული მოვლენა გაპირობებულია რაღაც სხვა მოვლენით, ის კიდევ სხვით და ა. შ., და ამ მოძრაობას გაპირობებულიდან გამაპირობებლისკენ ჩვენ ვერახოდეს შევწყვეტთ, ე. ი. ვერასოდეს ვიპოვით ასეთ მოვლენას, რომელიც თავის მხრივ კიდევ სხვა მოვლენით არ იყოს განსაზღვრული. ფილოსოფოსები ამგვარ უსასრულობას „ცუდ უსასრულობას“ უწოდებენ. ფილოსოფოსმა რომ თავისი ამოცანა შეასრულოს, ურთიერთგანმსაზღვრელ პირობათა ჯაჭვის „გარეთ“ უნდა წარმოიდგინოს თავი და საგნები და მოვლენები „აბსოლუტურის“ თვალსაზრისით განიხილოს. რა თქმა უნდა, ეს „გარეთ გასვლა“ წარმოსახვითია. ადამიანი „აქ და ახლა“, ემპირიულ სამყაროში. გარკვეულ საზოგადოებაში ცხოვრობს და ამ სამყაროთი და ამ საზოგადოებით არის განსაზღვრული, მაგრამ, ამას გარდა, მას ძალუძს იდეალურად „ამაღლდეს“, „აქ და ახლაზე“, სხვა, უკეთესი, სასურველი მდგომარეობა წარმოიდგინოს და რეალურად იღვაწოს ამ სხვის განსახორციელებლად. თავისი მოღვაწეობის ამგვარი „სტრატეგიული ხაზის“ განსაზღვრა-დაფუძნებისას ადამიანი უნდა შეეცადოს აბსოლუტურის, უპირობოს, უსასრულოს პოზიციაზე დადგეს და იქიდან შემოხედოს სამყაროსა და სამყაროში თავის თავს.

„აბსოლუტურის“ სიმაღლიდან სინამდვილის ჭვრეტის პრივილეგია სულაც არ აძლევს ფილოსოფოსს უფლებას „ზემოდან“ შეხედოს მეცნიერებას, როგორც „მიწაზე მხოხავ ემპირიზმს“. ასეთი ქედმაღლობა არაფრით სჯობია ზოგიერთი მეცნიერის აგდებულ დამოკიდებულებას ფილოსოფიისადმი, რომელმაც თურმე თვითონ არ იცის, რას აკეთებს და, როცა გარშემო ამდენი საქმეა, წყლის ნაყვას უნდება. ადამიანს ორივე სჭირდება: აბსოლუტური ორიენტირებიც და ამ აბსოლუტურის „აქ და ახლა“ არსებული სინამდვილისადმი მორგებაც. ფილოსოფიის მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნებოდა განეცხადებინა: მე აბსოლუტურს გიჩვენებთ, დანარჩენი კიდევ თქვენ იცით, მე ნუღარ შემაწუხებთო. სამყაროს ფილოსოფიური ხედვისა და საღი აზრის სინთეზი მუდამ სასურველი მიზანი იყო ადამიანის გონებისათვის. საგულისხმოა, რომ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ინტელექტუალური მოდის ჭირვეულობას ყველაზე უკეთ იმანუელ კანტის ნააზრევი უძლებს: ეს იმიტომ, რომ მასავით ვერავინ შეძლო შეეერთებინა საღი აზრის პირუთვნელობა აბსოლუტურის ძიების დვრიტასთან. საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში უნიკალური ფენომენია მარქსიზმი, რომელშიც სავსებით ორგანულადაა გაერთიანებული ფილოსოფია, პოლიტიკური ეკონომია და მეცნიერული კომუნიზმი: ამის წყალობითაა, ის რომ სამყაროს ახსნის ამოცანით არ დაკმაყოფილდა და მისი გარდაქმნა იტვრთა, რევოლუციური პრაქტიკის წამყვან ელემენტად იქცა.

მაგრამ — ფილოსოფიის ენის თემას რომ დავუბრუნდეთ — ხომ არ მოასწავებს ფილოსოფიის ორიენტაცია უპირობოზე და საღი აზრისაგან მისი პრინციპული გამიჯვნა აგრეთვე ფილოსოფიის ენის დაშორებას „ცხოვრების ენისაგან“? ჩემი აზრით, ამ კითხვაზე შეიძლება ამგვარი პასუხი გავცეთ: ფილოსოფიურ ცნობიერებას საბოლოო აზრით მხედველობაში აქვს იგივე, რაც „ყოფით ცნობიერებას“ — „ცხოვრების სამყარო“ (და ამით ფილოსოფია განსხვავდება პოზიტიური მეცნიერებისაგან), მაგრამ ის მას სხვა პოზიციიდან უყურებს, ვიდრე ყოფითი ცნობიერება. ის იმაზეზე ლაპარაკობს, მაგრამ უფრო ღრმად. ამიტომ ფილოსოფოსი სწორად არ მოიქცეოდა, თავისი გასააზრებელი ფენომენებისათვის რომ სხვა სიტყვები დაერქმია ვიდრე ის, რასაც მათ „ცხოვრება“ არქმევს. სხვა სახელი შექმნილა იმის ილუზიას, თითქოს ფილოსოფია რაღაც „სხვაზე“ აზროვნებს, იმაზე, რის შესახებ ყოფითმა ცნობიერებამ სულ არაფერი იცის. ნამდვილად კი ფილოსოფია მოწოდებულია იმაში, რაც ყოველი ადამიანის არსებობის პირობას შეადგენს, და რაც ყოველი ჩვენგანისათვის თითქოს კარგადაა ნაცნობი. — დრო, სივრცე, ბუნება, ადამიანი, მიზეზი, შედეგი, შემთხვევითი, აუცილებელი, სიკეთე, სილამაზე და ა. შ. — ის მოწოდებულია ყოველივე ამაში „ჩვეულებრივი“ მზერისთვის დაუნახავი სიღრმე, „შეუიარაღებელი თვალისთვის“ მიუწვდომელი უსაკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრესი არსი განშვრიტოს. ამიტომ ფილოსოფიის ძირითადი, ამოსავალი ცნებები — კატეგორიები — ხელოვნურად შექმნილი თუ შეთანხმებით მიღებული ტერმინებით კი არ უნდა აღინიშნებოდეს, არამედ თვით „ცხოვრების" შექმნილი სიტყვებით უნდა /გამოითქმებოდეს. ცხოვრების ენა ამოსავალია ფილოსოფიის ენისთვის, მაგრამ არა ისეთი ამოსავალი, რომელიც, ერთხელ თუ მოსცილდი, შეგიძლია სულ დაივიწყო. ფილოსოფიის ენა შორდება ცხოვრების ენას, მაგრამ, რაც უნდა დაშორდეს, მასთან მიმართებას მაინც ინარჩუნებს, დროდადრო უბრუნდება, როგორც თავის ძირს, და ამ დაბრუნებაში საკუთარ თავს ამოწმებს.

რაც შეეხება დისტანციას ფილოსოფიის ენასა და ცხოვრების ენას შორის, მისი არსებობა, როგორც ვთქვით, ერთის მხრივ ფილოსოფიის მეცნიერულობით, მეორეს მხრივ კი ფილოსოფიისა და საღი აზრის დაპირისპირებით არის გაპირობებული. შევეცადოთ იმის დანახვას, რა შემოაქვს ფილოსოფიის ენაში ორივე ამ ფაქტორს ცალ-ცალკე. დავიწყებ ფილოსოფიის „მეცნიერულობით". ფილოსოფოსები საუკუნეების მანძილზე ცდილობენ თავიანთი მოსაზრებანი „აბსოლუტურზე" და ადამიანთან მის მიმართებაზე გამოთქვან ხისტემურად ჩამოყალიბებული და ლოგიკურად დაფუძნეული მოძღვრებების სახით. სხვადასხვა მოძღვრებები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, ყოველი ახალი მოძღვრება წინამორბედებთან კამათში ცდილობს თავისი უპირატესობის და ერთადერთობის დასაბუთებას. ფილოსოფიურ მოძღვრებათა ბრძოლაში იკვეთება გარკვეული ლოგიკური ხაზი, რომელიც შესაძლებელს ხდის თვალსაზრისთა მრავალსახეობიდან ერთიანი „ფილოსოფიის ისტორიის" აგებას. ფილოსოფიის ისტორიის პროცესში სხვადასხვა თვალსაზრისები ლაგდებიან განსაზღვრულ ფილოსოფიურ მიმართულებებად, იკვეთება სპეციფიკური ფილოსოფიური პრობლემები და ამ პრობლემათა გადასაწყვეტად მოწოდებული სხვადასხვა ფილოსოფიური მეთოდები, ყალიბდება კლასიკური არგუმენტები, რომელთაც ფილოსოფოსები ერთმანეთთან კამათში იყენებენ და ა. შ. ასე და ამგვარად ფილოსოფიას უგროვდება გარკვეული „შინაურული", „ტექნიკური" საკითხები, რომელთა მოვლა თავის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ლაბორატორიას" საჭიროებს. ამ „ლაბორატორიაში" ხდება ფილოსოფიურ ცნებათა, იდეათა, მოძღვრებათა, მიმართულებათა, მეთოდთა, არგუმენტთა და ა. შ. ურთიერთშედარება, შეთანხმება, დაპირისპირება, დაზუსტება, მოწესრიგება, კლასიფიკაცია. „ლაბორატორიაში" საქმიანობა მხოლოდ სპეციალისტებად მომზადებულ, პროფესიონალ, „ნაიც" ფილოსოფოსებს შეუძლიათ და აქ „უცხო პირთა" შემოსვლა არევდარევას გამოიწვევს როგორც ფილოსოფიაში, ისე ამ „უცხო პირთა" გონებაში. არიან ფილოსოფოსები, რომლებიც მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე „ლაბორატორიის" გარეთ ვერ გადიან. მათ შეიძლება ფილოსოფიისათვის დიდად სასარგებლო საქმე გააკეთონ, მაგრამ ზოგადკულტურულ ღირებულებას (უშუალოდ მაინც) მათი ნაზრევი ვერ იძენს. სამაგიეროდ, წინასწარი პროფესიულ-„ლაბორატორიული" მომზადების გარეშე ფილოსოფოსი მნიშვნელოვანს ვერაფერს ეტყვის საზოგადოებას, რადგან, რაც გინდა ღრმა „განშვრეტები" აწუხებდეს, მათი გამოთქმის მცდელობისას გარდუვალად ჩაეფლობა ბანალურ, ყოფით-მოარულ სენტენციებში. მოკლედ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფილოსოფია იმდენად იზიარებს მეცნიერების განდგომას „ცხოვრების ენისაგან", რამდენადაც „ლაბორატორიული" საკითხების გადაჭრითაა გართული; ან სხვაგვარად: ფილოსოფიის „ტექნიკური ტერმინოლოგიის" მოქმედების არე ფილოსოფიის „ლაბორატორიით" შემოიხაზღვრება. როცა ფილოსოფია „თვითონ საგანზე" ლაპარაკს იწყებს, მას პრინციპულად უნდა შეეძლოს ამ „ტექნიკური ტერმინოლოგიის" გარეშეც წავიდეს იოლას (ეს არ ნიშნავს, რომ ის უნდა მოერიდოს მის გამოყენებას, თუნდაც ასე უფრო ეხერხებოდეს სათქმელის გამოხატვა; ლაპარაკი პრინციპულ შესაძლებლობაზეა).

არსებითად სხვა სახის გავლენას ახდენს ფილოსოფიის ენაზე ის ზემოთდასახასიათებული გარემოება, რომ ფილოსოფია სხვა რამეზე კი არ ლაპარაკობს, ვიდრე „ცხოვრებაში" ვლაპარაკობთ, არამედ სხვაგვარად ლაპარაკობს: სახელდობრ, არა ყოფითი ყოველდღიურობის, არამედ აბსოლუტურის პოზიციებიდან. აქედან გამომდინარე, შეიძლება წამოვაყენოთ ასეთი თეზისი: აზროვნებაში ამგვარი, შეიძლება ითქვას, „კოპერნიკისებრი გადატრიალების" წყალობით ფილოსოფია სხვა, შეთანხმებით მიღებული სიტყვებით ლაპარაკს კი არ იწყებს, არამედ იმავე სიტყვებს სხვაგვარად ხმარობს (ამ სხვაგვარად ხმარებაში შედის ფილოსოფოსის მიერ „ცხოვრების სიტყვებისაგან" შექმნილი ნეოლოგიზმებიც). ფილოსოფოსი ენას კი არ გაურბის, არამედ ცდილობს მის ძირებში ჩავიდეს და აბსოლუტურის ადგილსამყოფელი იქ იპოვოს. ამ გარემოების ნათელსაყოფად კიდევ ერთი მხრიდან შევხედავ იმ განსხვავებას, რაც არსებობს ენისადმი ფილოსოფიურ და პოზიტიურ-მეცნიერულ დამოკიდებულებებს შორის. პოზიტიური მეცნიერებისათვის ენა აზრის გამოხატვის და გადაცემის საშუალებაა მხოლოდ, ერთგვარი აპარატია, რომლის ცალკეული დეტალები შეგვიძლია შეთანხმების საფუძველზე მივიღოთ, შევცვალოთ და გავაუმჯობესოთ. ამიტომ პოზიტიურ მეცნიერებაზე ორიენტირებულ („პო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზიტივისტურ") აზროვნებაში გაბატონებულია ენის კონვენციონალისტური თეორია („კონვენცია" ხომ შეთანხმებას ნიშნავს). ის სავსებით ესადაგება მეცნიერების ამოცანას, დააშოროს საგანი ხიტყვას, რომელიც ამ საგანს გამოთქვამს, ხიტყვასთან ერთად კი — საგნის მოარულ-ყოფით აღქმას. ამისგან განსხვავებით ფილოსოფია ვერ დააშორებს ენას მის გასაზრებელ სინამდვილეს, რადგან საგნები, რომლებზეც ფილოსოფია ლაპარაკობს, „ცხოვრების სამყაროში" არსებობენ, ცხოვრების სამყარო კი მოუაზრებელია ენის გარეშე. ადამიანი არა მარტო ლაპარაკობს ენით, წერს ენაზე, არამედ ენაში ცხოვრობს. ფილოსოფოსისათვის ენა მხოლოდ გამაშუალებელი კი არ არის მასსა და საგანს შორის, არამედ თვით სინამდვილის, თვით ყოფნის (ყოფიერების) მონაწილეა. რაკი ფილოსოფოსი შიშველი აბსტრაქციების უმაღერო სივრცეში კი არა, „ცხოვრების სამყაროში" ეძებს „აბსოლუტურს", ანუ ცხოვრების სამყაროს აბსოლუტურს ეძებს, მან ეს აბსოლუტური თვითონ ცხოვრების ენას უნდა „გამოაჩენინოს". ეს, ვიმეორებ, სულაც არ ნიშნავს უკრიტიკო დამოკიდებულებას ცხოვრების ენის მოცემული მდგომარეობისადმი. შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფოსი ცხოვრების ენის დინებას აძლევს თავს, ოღონდ არა ზედაპირულს, არამედ სიღრმისეულს; სიღრმისეული დინებები კი ხანდახან ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელ ენობრივ ნაპირზე გარიყავს ხოლმე.

ჩემი აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ ენობრივ წიაღსვლას, რომელიც ფრაგმ ფილოსოფოსს, სარტრს ეკუთვნის, მაგრამ ქართულადაც ადვილად და ზუსტად გამოიხატება (ამიტომაც ამოვარჩიე). საქმე ეხება ზმნა „არსებობას". ეს არის ერთპირიანი, გარდაუვალი, საშუალი გვარის ზმნა. სარტრმა ეკვი შეიტანა ამაში. ზმნა „არსებობის" ამგვარი ხმარება მან გამართლებულად მიიჩნია მხოლოდ მაშინ, როცა საქმე უსულო ნივთებს ეხება: „ქვა არსებობს", „მაგიდა არსებობს" და ა. შ. მაგრამ მდგომარეობა იცვლება, როცა ადამიანის ტანზე ვლაპარაკობთ (აქ სიტყვა „ტანიც" არსებითია: „ხეული" ფიზიკურია, „ტანი" ცოცხალია, გასულიერებულია): ის კი არ არსებობს, მას მე ვარსებობ. მე ვარსებობ ჩემს ტანს. ამგვარად, ზმნა „არსებობა" იქცა ორპირიან, გარდამავალ, მოქმედებითი გვარის ზმნად. ასეთი სიტყვაბმარებით სარტრი ებრძვის ტრადიციულ ქრისტიანულ სპირიტუალიზმს, რომლისთვისაც ადამიანის ტანი მხოლოდ ზხეულია, „სულის საპყრობილეა" სულისთვის უცხო, არაორგანული „ნაჭუჭია", რომელშიც ის თითქოს შემთხვევით „მოხვდა". თუ ჩემი ტანი თავისით კი არ „არსებობს", არამედ მე „ვარსებობ" მას, ამით ერთბაშად სამი რამ ირკვევა: ჯერ ერთი, ჩემი, როგორც ადამიანის, მთლიანობა, მეორე — ამ მთლიანობაში განსხვავება მე-სა და ტანს შორის (ტანი მაინც სხვაა, რაკი მე მას ვარსებობ) და მესამე — ამ მთლიანობაში მე-ს პირველობა, წამყვანობა (ტანი ხომ არ „მარსებობს", მე „ვარსებობ" მას). თავს შევიკავებ სარტრის მსჯელობის შეფასებისაგან, აქ მთავარია იმის აღნიშვნა, თუ რა მიმართულებით შორდება იგი ცხოვრების ენას: ის კი არ ზვთავაზობს (მოხერხებულობის ან სხვა მსგავსი მოსაზრებით): მოდით, ასე ვილაპარაკოთ, არამედ მოითხოვს: ასე კი არა, ასე უნდა ვილაპარაკოთო. და ის ვერავითარი ჩახვეული ტერმინოლოგიით ვერ იტყოდა ამაზე უკეთ იმას, რისი თქმაც სურდა.

ფილოსოფიის ენისა და ცხოვრების ენის აღწერილი მიმართებიდან ერთი მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს. ცხოვრების ენა, ხელოვნურად შექმნილი ენებისაგან განსხვავებით, ეროვნულია. არ არსებობს ცხოვრების ენა, არსებობს სხვადასხვა ეროვნული ენები, ყოველი ეროვნული ენა გამოხატავს ერის ისტორიას, ყოფას, ხასიათს, მსოფლგანცდას. ამიტომ ამ ენიდან ამოზრდილი და მისით ნასაზრდოები ფილოსოფია, პოზიტიური მეცნიერებისაგან განსხვავებით, ეროვნულია. არ არსებობს ინგლისური ფიზიკა ან გერმანული მათემატიკა (შეიძლება არსებობდნენ ფიზიკოსთა ან მათემატიკოსთა ეროვნული სკოლები, მაგრამ ეს სხვა ამბავია), მაგრამ არსებობს ინგლისური ფილოსოფია და გერმანული ფილოსოფია. ფილოსოფია „ეროვნული სულის" (თუ „გონის") გამოხატულებაა. ყოველი ეროვნული ფილოსოფიის თავისებურება მნიშვნელოვანწილადაა გაპირობებული მისი დედაენის აღნაგობით. ფილოსოფია ისე ხედავს სამყაროს, როგორც ენა „აჩვენებს". (რაც, სხვათა შორის, არ ეწინააღმდეგება ფილოსოფიის ობიექტურობას: ერთსა და იმავე საგანს შეიძლება სხვადასხვა მხრიდან შეხედო და ყველა შემთხვევაში ობიექტური დარჩე). ეს არ გამორიცხავს „უკურეაქციას": ფილოსოფიაც ახდენს გავლენას ენის განვითარებაზე. ენა, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული ფილოსოფია, სხვა ენაა, ვიდრე ის, რომელზეც არ ფილოსოფოსობენ (ან — რომელიც არ ფილოსოფოსობს). ფილოსოფია საზრდოობს ეროვნული ენით და ქმნის კიდეც მას. რამდენადაც ფილოსოფია ენობრივი ფენომენია, იმდენად ეროვნული ფენომენიცაა.

ბოლო აბზაცში ნათქვამი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ფილოსოფია სავსებით თვითმყოფად და ერთმანეთთან დაუკავშირებელ „ეროვნულ ფილოსოფიათა" სახით არსებობს. ამ თვალსაზრისით ფილოსოფია შეიძლება ხელოვნებას შევადაროთ: ისიც ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდება, მაგრამ შემდგომ საკაცობრიო ასპა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზზე გადის. თუმცა, ფილოსოფიას, მისი თეორიულ-ცნებითი ხასიათის გამო, მაინც ხელოვნებაზე უფრო ეადვილება „ეროვნული ბარიერების“ გადალახვა. ფილოსოფიურ პრობლემათა აბსტრაქტულობა, საყოველთაობა თავისთავად აბლობელს ხდის მათ ყოველი ადამიანისათვის, ეროვნების მიუხედავად. ფილოსოფიური პრობლემები ყველასათვის საერთოა, მაგრამ მათდამი მიდგომის წესს რამდენადმე მაინც ეროვნული „ნიადაგი“ განსაზღვრავს. ეს სხვადასხვა „ეროვნულ ფილოსოფიებს“ ურთიერთშემავსებლობის მიმართებაში აყენებს და მათ შორის დიალოგის აუცილებლობას ქმნის. ფილოსოფია განსხვავებულთა დიალოგში ვითარდება. „ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის დიალექტიკა“ აქაც ძალაშია.

ფილოსოფიის მიმართ ამ დიალექტიკის თავისებურებას ერთი ზემოთ გაკვრით უკვე ნახსენები გარემოებაც განაპირობებს. ფილოსოფია უმაღლესი წერტილია იმ პირამიდისა, რასაც „ეროვნული კულტურა“ ჰქვია. ფილოსოფია არ აღმოცენდება, თუ კულტურის სხვა ფორმებმა (თანაც არა ზოგიერთმა, არამედ ყველა ძირითადმა ფორმამ) განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს არ მიაღწია. თავისი პოეზია ყველა ერსა აქვს, ხალხური მაინც, ფილოსოფია კი — ძალზე ცოტას. მხოლოდ რამდენიმე ერმა მოახერხა, „მარადიულ პრობლემათა“ ხედვის თავისი ვარიანტი გამოეხატა ცნებით აზროვნებაში. ეს ასეა, მაგრამ დგება კითხვა: ვთქვათ, ერი ჯერ არ არის „მომწიფებული“ ხაიმისოდ, რომ „თავისი“ ფილოსოფია ჰქონდეს; რა უნდა ქნას მან — მოიცადოს, სანამ კულტურული პროგრესის კანონზომიერება „თავისთავად“ მოიტანს ფილოსოფიის აღმოცენების აუცილებლობას? ეროვნული კულტურები რომ იზოლირებულად, მხოლოდ შინაგანი ლოგიკით ვითარდებოდნენ, ასეთ დაშვებას კიდევ აზრი ექნებოდა, მაგრამ დღეს, კულტურათა ცხოველი ურთიერთზემოქმედების პერიოდში, როცა კულტურის ღიაობა სხვა კულტურათა მიმართ მისივე წინსვლის აუცილებელი პირობაა, ასეთი რამის თქმა აბსურდულია. ფილოსოფოსობა ადამიანისა და საზოგადოდ კულტურის აუცილებელი მოთხოვნილებაა და თუ „ეროვნული რესურსები“ არ იძლევა მისი საკმარისად მაღალ დონეზე აყვანის საშუალებას, კულტურამ საკაცობრიო ფილოსოფიის მონაპოვრის ათვისებით უნდა დაიწყოს. აი, აქ მის წინაშე დგება პრობლემები, რომელთაც, ფართო აზრით, „ფილოსოფიის თარგმნის“ ან „თარგმნილი ფილოსოფიის“ პრობლემები შეიძლება ვუწოდოთ. ფართო აზრით-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ იგულისხმება არა მხოლოდ სახელდობრ ფილოსოფიური ტექსტების თარგმნა, არამედ საზოგადოდ უცხოენოვანი ფილოსოფიური კულტურის შემოქმედებითი ათვისება და ამის საფუძველზე ეროვნული კულტურის ფილოსოფიური გააზრების მცდელობა.

ამ პრობლემებს აქვს ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები. თუ რა არის ობიექტური საფუძვლები, ეს წინამორბედი მსჯელობიდან უშუალოდ ცხადდება. რაკი ფილოსოფია მშობლიური ენის ძირებიდან არის ამოზრდილი, მისი ამ ძირებს მოწყვეტა და ახალ ენობრივ ნიადაგზე გადატანა არ შეიძლება ხიძნელეებთან არ იყოს დაკავშირებული. ფილოსოფიის ძირითადი, ამოსავალი ცნებები ხომ „ცხოვრების ენის“ სიტყვებით უნდა გამოითქმებოდეს, იმ სიტყვებით, რომლებიც ფილოსოფიამდეც მუშაობდნენ კულტურაში. ხოლო სხვადასხვა ეროვნული კულტურის „ცხოვრების სამყაროებისა“ და, აქედან, „ცხოვრების ენების“ აღნაგობა ერთმანეთს არ თანხვდება. შესაძლებელია, ენის აქტიურ მარაგში ვერ მოინახოს სიტყვა, რომელმაც გარკვეული ფილოსოფიური ცნების ზამოხატვა შეძლოს. მაშინ ფილოსოფიის მთარგმნელი იძულებულია ხელოვნურად, შეთანხმების საფუძველზე შექმნას ცნების გამომხატველი ტერმინი, რაც, როგორც ვთქვით, არ არის ფილოსოფიისათვის ბუნებრივი გზა. ცალკეულ შემთხვევებში, როცა ამგვარ ოპერაციას ენის წიაღში წარმატებული ჩასვლა უძღვის წინ, ასე შექმნილი ტერმინი შეიძლება ენამ ორგანულად მიიღოს და ცოტა ხანში მისი ხელოვნურობა აღარავის ახსოვდეს (ქართულში ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „აღქმა“). ზოგჯერ მივიწყებული, არქაული სიტყვაც კარგად ჩაჯდება ცოცხალ ენობრივ ქსოვილში. XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა უფროსმა თაობამ — შ. ნუცუბიძემ, დ. უზნაძემ, ს. დანელიამ, რომელთაც გარკვეული წყვეტის შემდეგ დაიწყეს ქართული პროფესიული ფილოსოფიური კულტურის აღდგენა, შემდგომ კი მათმა მოწაფეებმა უზარმაზარი შრომა გასწიეს ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შესამუშავებლად. მათი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე ფასდაუდებელია. როგორც ვთქვით, არა მარტო ფილოსოფია საზრდოობს „ცხოვრების ენით“, არამედ პირიქითაც, ფილოსოფია ამდიდრებს მას. უკანასკნელ შემთხვევაში სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ხშირად „თარგმნილი ფილოსოფია“ გარდუვალი, ენის არსებობის მოცემულ ეტაპზე დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტის არმქონე პრობლემის წინაშე აღმოჩნდება. ასეთ პრობლემებს მიეკუთვნება, მაგალითად, ქართულად იმ განსხვავების გამოხატვა, რასაც გერმანულ ენაში გამოთქვამს სიტყვები Seele და Geist, ინგლისურში — soul და spirit, რუსულში — душа და дух. ქართულად ორივე შემთხვევაში „სული“ ითქმის... ეტყობა, ახალ დროში ქართულ ჰუმანიტარულ აზროვნებას, ვიდრე ევროპული ფილოსოფიის მწვერვალებს ეზიარებოდა, არ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასჭირვებია [გრძნობად-ემპირიული სულისა და გონიერი, პიროვნული სულის პრინციპული გარჩევა. რატომ მოხდა ეს — აქ ამაზე ბჭობის დრო არ არის. მთავარი ისაა, რომ ევროპული ფილოსოფიისათვის განსხვავება ამ ორგვარ „სულს“ შორის მეტისმეტად არსებითია, მისი გათვალისწინების გარეშე მის გაგებაზე ფიქრიც ზედმეტია. ამიტომ ქართველმა ფილოსოფოსებმა სცადეს და შემოიღეს სიტყვა „გონი“, როგორც სხეულებრივობას მაქსიმალურად დაშორებული, იდეალური, პიროვნული საწყისის აღმნიშვნელი. მე სულაც არ ვაპირებ ამ გადაწყვეტილების კრიტიკას — შექმნილი სიძნელის უკეთესი გადაჭრა ჯერჯერობით არ ჩანს. მაგრამ მისი ხელოვნურობაც აშკარაა. როგორც გინდა ატრიალე, „გონი“ მაინც არსებითად იგივე „გონებაა“[1] და, ამის შედეგად, ეს ტერმინი გამოსათქმელი ცნების არასასურველ ინტელექტუალიზაციას ახდენს (თუმც გონიერება, რა თქმა უნდა, ამ ცნების შინაარსის ერთ-ერთი უარსებითესი კომპონენტია — მაგრამ არა ერთადერთი). ამიტომ არა მგონია, მხოლოდ მავანთა არასაკმარისი ფილოსოფიური განსწავლულობის ან ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის მიმართ უყურადღებობის შედეგი იყოს, რომ „გონი“ ფილოსოფიური უარგონის კუთვნილება დარჩა და „ცხოვრების ენაში“, ან თუნდაც ჰუმანიტარული აზროვნების ენაში ვერ დამკვიდრდა. ისიც არ არის გასაკვირი, რომ კრიტიკოსმა ა. ბაქრაძემ შედარებით ცოტა ხნის წინ არად ჩააგდო „სულის“ და „გონის“ განსხვავების უკვე საკმაოდ მყარი ტრადიცია და იმავე პრობლემის სავსებით სხვაგვარი გადაჭრა შემოგვთავაზა. კერძოდ, სიტყვა „სული“ უფრო მაღალი საწყისის (Geist, дух) აღმნიშვნელად დატოვა, „სხეულებრივ სულს“ კი ძველ ტექსტებში დადასტურებული „სამშვინველი“ შეუთანადა. ამგვარ სიტყვახმარებას უკვე ერთი-ორი მიმდევარიც გამოუჩნდა. თეორიულად ამის საწინააღმდეგოს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მაინც მეჩვენება (ეს ჩემი სუბიექტური ინტუიციაა და მას, ბუნებრივია, არგუმენტის ძალას არ ვანიჭებ და არც არავის ვაბვევ თავს), რომ „სამშვინველი“ ფეხს ვერ მოიკიდებს. ამას ისევ აპრობირებული „სული“ და „გონი“ მირჩევნია: „გონი“ ნაწილობრივ მაინც გამოხატავს იმას, რაც უნდა გამოხატოს.

თუმცა, ნუ გავყვებით კერძო ტერმინოლოგიურ საკითხებს. იგივე „სულის“ და „გონის“ პრობლემა გაცილებით უფრო ვრცელ და ღრმა მსჯელობას იმსახურებს. მისი მოხმობა მხოლოდ იმის საჩვენებლად დამჭირდა, რა ობიექტური, მოცემულ ეტაპზე გარდაუვალი პრობლემები დგება ერის წინაშე, რომელსაც „ფილოსოფიის თარგმნა“ განუზრახავს. ეს პრობლემები მხოლოდ ფილოსოფიის „შინაურული“ პრობლემები არ არის. თუნდაც „სულხა“ და „გონს“ რომ მივუბრუნდეთ: მათ შორის განსხვავების სიღრმისეული გააზრება ფილოსოფიის წილი საქმეა, მაგრამ ამ გააზრებას მნიშვნელობა დაეკარგება, თუ სიტყვა „გონი“ (ან „სამშვინველი“ — ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს) თეორეტიკოსთა ხელოვნურად „შემოღებულ“ ტერმინად დარჩა და „ცხოვრების ენის“ აქედან — მთელი კულტურის ორგანულ კუთვნილებად არ იქცა.

ფილოსოფიის თარგმნის ობიექტურ სიძნელეებს სუბიექტურიც ახლავს თან, რაც ფილოსოფიის არსის ზემოთ დახასიათებულ არასწორი გაგების შედეგია. როგორც უკვე უთქვიათ, ეს გაგება გაურბის „ცხოვრებას“, ვითარცა რაღაც მდაბიოს და თვლის, რომ მისი საკადრისი სინამდვილე თუ მთლად ცაში არა, მიუდგომელ უინულოვან მწვერვალებზე მაინც არის საძიებელი. ამიტომ მას ეშინია, ეგზომ ამაღლებულ საგანზე საუბრისას „უბრალო“, „მდაბიური“ სიტყვები არ მოეძალოს. როცა ფილოსოფიის ამგვარი გაგება საკმარისად მყარი და მძლავრი ფილოსოფიური ტრადიციის შიგნით აღმოჩნდება, ის იძულებულია ფილოსოფიურ ტერმინებად დამკვიდრებულ ჩვეულებრივ „ცხოვრების“ სიტყვებსაც შეეგუოს. მაგრამ როცა პროფესიული ფილოსოფია იძულებითი „შესვენების“ შემდეგ ახლად იდგამს ფეხს და ცდილობს საკუთარი ეროვნული ენა ფილოსოფიური აზრის მიღწეულ მწვერვალებს აზიაროს, ზედმეტმა მოწიწებამ ამ „მწვერვალების“ წინაშე შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს ფილოსოფიის ენის შემოქმედს. მან შეიძლება უგულებელყოს მშობლიური ენის „ცხოვრების სიტყვა“ იმ საბაბით, რომ მავანმა „სათარგმნელმა“ ფილოსოფოსმა შესაბამის ტერმინში უფრო ღრმა საზრისი ჩადო, რასაც მშობლიური ენის „უბრალო“ სიტყვა ვეღარ გამოხატავს. (რაც, როგორც ვნახეთ, შეცდომაა: ფილოსოფოსმა კი არ „ჩადო“ „ცხოვრების სიტყვაში“ „ღრმა საზრისი“, არამედ აღმოაჩინა, დაინახა ის მასში), და „გამააბსტრაქტულებულ“ სუფიქსებსა და მტვერდადებულ არქაიზმებზე თვითნებურ ოპერაციებს იწყებს. ასე გამოდის, რომ თავდაპირველად ბუნებრივი და გასაგები მსჯელობა (მოუმზადებელი მკითხველისათვის იქნებ გაუგებარიც, მაგრამ პრინციპულად გასაგები) ბუნდოვანი და ბნელი ხდება.

ამის მაგალითად მოვიყვან ტერმინს „ყოფიერება“, რომელიც ფილოსოფიის ყველაზე უფრო

---

[1] ტერმინ „გონის“ ნაკლულობა საფუძვლიანად განიხილა რ. შენგელიამ მოხსენებაში, რომელიც მან წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1982 წლის 12 ოქტომბერს.

ელემენტარულსა და ძირეულ კატეგორიას აღნიშნავს. ის იმდენად დამკვიდრებულია ჩვენს ფილოსოფიურ ლიტერატურაში, ბოლო ხანს კი ისეთი პოპულარობა მოიპოვა ლიტერატურისმცოდნეთა და კრიტიკოსთა შორის (მისი ხმარების გარეშე ლიტერატურაზე სტატიის დაწერა, ვგონებ, უკვე სირცხვილად ითვლება), რომ გაბედვაც მიჭირს, მის წინააღმდეგ რამე ვთქვა. მაგრამ მაინც მგონია, რომ მისი შექმნა შესაბამისი ცნების არასწორი გაგების შედეგი იყო. ჯერ ვნახოთ, როგორ გამოიხატება ეს ცნება სხვა ენებში. გერმანულში მას შეესატყვისება das Sein, ინგლისურში — being, რუსულში — бытие. სამივე შემთხვევაში ის მსგავსი გზით არის ნაწარმოები: აღებულია ინფინიტივური ფორმა ზმნისა „არის" (გერმ. — sein, ინგ. — to be, რუს. — быть) და ამ ინფინიტივური ფორმიდან ყოველი ცალკეული ენისთვის უმარტივესი წესით მიღებულია არსებითი სახელი. როგორ უნდა მოიქცეს ამ შემთხვევაში ქართული? მას ზმნის ინფინიტივური ფორმა არა აქვს. მაგრამ ამ შემთხვევაში ის მას არც სჭირდება, რადგან აქვს სახელზმნა. ის, რასაც ხსენებული ენები ხელოვნურად აკეთებენ (ზმნას არსებით სახელად აქცევენ) ქართულში მზამზარეულადაა მოცემული: სახელზმნა. აქედან ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ ქართულად ცნება, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, უნდა გამოითქმებოდეს სიტყვით „ყოფნა". მაგრამ ეს ასე არ არის. რატომ? ჩემი აზრით, აქ გადამწყვეტი აღმოჩნდა შემდეგი აშკარად გამოუთქმელი მოსაზრება: „ყოფნა" ჩვეულებრივი, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში ხმარებული სიტყვაა, — როგორ უნდა გამოხატოს მან უაბსტრაქტულესი ფილოსოფიური ცნება? ამიტომ „ყოფნიდან" ჯერ „ყოფიერი" (ე. ი. ყოფნის მქონე, ის, რასაც ყოფნა მიეწერება) იქნა წარმოებული, და მხოლოდ აქედან მივიღეთ ბუნდოვანი, საკმაოდ სოლიდური და ნამდვილად აბსტრაქტული „ყოფიერება".

იქნებ არასწორად მოვიქეცი, განსახილველი ცნების სხვა ენებში გამოხატვის წესი ნიმუშად რომ ავიღე — იქნებ ჯობს უშუალოდ საქმის არსში ჩავიხედოთ და იქიდან ამოვიდეთ? ახლა მოვიქცეთ. რისი გამოხატვა ევალება „ყოფნის" კატეგორიას? ის უნდა წვდეს იმას, რაც საერთოა ყველაფრისათვის, რაც არის. ყველაფერს, რაც არის, აერთიანებს მხოლოდ ერთი რამ — თვით ყოფნა. ამიტომ ყოფნის კატეგორიაში „თვითონ ყოფნა" გამოყოფილია იმისგან, რაც არის — მყოფისაგან (ანუ „ყოფიერისგან" — ამ ტერმინს აქ არ განვიხილავ), ე. ი. იდეალურ თუ მატერიალურ საგანთა და ვითარებათა ნებისმიერი ერთობლიობისაგან. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად — ძალზე ძნელი. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის ერთ-ერთი კლასიკოსი ჰაიდეგერი, მაგალითად, ამბობდა (მის თვალსაზრისს პრობლემის სირთულის საილუსტრაციოდ მოვიხმობ და არა იმიტომ, რომ სწორად მიმაჩნია), რომ ყოფნისა და მყოფის გამიჯვნის ამოცანა ევროპულმა ფილოსოფიამ დღემდე ვერ გადაწყვიტა: „ყოფნაზე" ლაპარაკს იწყებდა, მაგრამ ბოლოს მაინც „მყოფი" ეპარებოდა მუდამ, ხოლო თუ ეს ვერ ვქენით — ე. ი. ყოფნა მყოფისგან ვერ გავმიჯნეთ — ყოფნის ცალკე კატეგორიად გამოყოფას აზრი ეკარგება. მართლაც, თუ ყოფნა გავუიგივეთ მყოფს, ე. ი. იმას, რაც არის, რაღად გვინდა თვით ეს კატეგორია — „ყოფნა", განა არ სჯობს, ყველასათვის გასაგებად ვთქვათ: „სამყარო", ან „ხინამდვილე?" ამით აზრი სრულებით არ შეიცვლება — შეიცვლება მხოლოდ მწერლისა და მკითხველის სუბიექტური განწყობა, რომ საუბარი რაღაც ბუნდოვანსა და ამაღლებულს ეხება.

სხვათა შორის, ქართველ ფილოსოფოსთა უფროსი თაობა ერიდებოდა „ყოფიერების" ხმარებას. ის უძველესი ქართული ფილოსოფიური ტექსტებიდან ნასესხებ „არსს" ამჯობინებდა. ეს ტერმინი მიღებულია ზმნის მესამე პირის ფორმისთვის („არს") სახელობითი ბრუნვის ნიშნის (ი) დართვით. ამგვარად, აქ ზმნა ყველაზე მოკლე, თუმც უჩვეულო, გზით არის გაარსებითებული. მაგრამ თანდათან „ყოფიერებამ" მაინც შეავიწროვა „არსი" (თუმც დღეს ორივე იხმარება, როგორც ალტერნატული ფორმები). რატომ მოხდა ეს? ზოგი იმით ხსნის, რომ „ყოფიერება" რუსული „бытие"-ს შეთანადებაა და რაკი ბევრი ფილოსოფიური ტექსტი (განსაკუთრებით — სახელმძღვანელოები) რუსულიდან ითარგმნება, ამ ტერმინს თანდათანობით უპირატესობა მიეცა. ესეცაა, მაგრამ, ჩემი აზრით, თვით ტერმინი „არსიც" არ არის ჩვენი განსახილველი ცნების საუკეთესოდ გამომხატველი. თანდათან (ძნელი სათქმელია, რატომ) მან საზრისი შეიცვალა (რაც ენაში — ცოცხალ, „ცხოვრების ენაში", მოგეხსენებათ, ჩვეულებრივი ამბავია) და მიეყენა არა ყოველგვარ ყოფნას, არამედ ხინამდვილის უღრმეს, შინაგან, მყარ ფენას, რომელსაც სხვა ენებში ჰქვია: გერმანულში — Wesen, ინგლისურში — essence, რუსულში — сущность. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ: საქმის არსი, მოვლენის არსი, ამიტომ, როცა XX საუკუნის დასაწყისში ფილოსოფოსებმა „დაუბრუნეს" მას პეტრიწისეული საზრისი, ეს უკვე ენაზე ძალდატანების მომენტს შეიცავდა. „არსის" „ყოფნის" აზრით ხმარების თაობაზე კიდევ ერთი რამ შეიძლება ითქვას. „არსი" ზმნის მესამე პირის ფორმიდან არის ნაწარმოები. ესე იგი, თუ „ყოფნა" მართლაყოველგვარ ყოფნას აერთიანებს (მე ვარ, შენ ხარ, ის არის და ა. შ.), „არსი" მხოლოდ იმის, მესამე პირის ყოფნას მოიცავს და მხედველობიდან რჩება სუბიექტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მე, შენ) ყოფნა. ნეოპლატონურ ტრადიციებზე აღმოცენებულ შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიას ეს არაფერს უშლიდა, რადგან ნეოპლატონიზმში სუბიექტის პრობლემა გამოკვეთილი სახით არ არსებობდა. სუბიექტის წინწამოწევა ახალი, ბურჟუაზიული ეპოქიდან და მისი ფილოსოფიით იწყება. ამიტომ, დღევანდელი ფილოსოფიის თვალით რომ შევხედოთ, ტერმინი „არსი" „ყოფნის" აზრით ვეღარ დაგვაკმაყოფილებს. ობიექტის, საგნის ყოფნისა და სუბიექტის, ადამიანის ყოფნის ურთიერთმიმართება ხომ უმნიშვნელოვანესი პრობლემაა თანამედროვე ფილოსოფიისა.

არა მგონია, ჩემს მასწავლებელს ძალით ვახვევდე თავს საკუთარ მოსაზრებებს, თუ ვიტყვი, რომ ზურაბ კაკაბაძე, განსაკუთრებით ბოლო შრომებში, სულ უფრო ხშირად ხმარობდა ხიტყვას „ყოფნა" ფილოსოფიური, ონტოლოგიური აზრით. ტერმინოლოგიური საკითხები მას საგანგებო განსჯის საგნად არ გაუხდია, მაგრამ თვით კონცეფცია ფილოსოფიისა და ცხოვრების მჭიდრო კავშირისა უბიძგებდა „ცხოვრების" სიტყვების ხმარებისაკენ. იგი ხხვამხრივაც მუდამ ერიდებოდა ჩახლართული და ღვარჭნილი ტერმინოლოგიით ტექსტის გადატვირთვას, რაც პროვინციალიზმის ნიშნად მიაჩნდა. ბუნებრივია, არსებულ ტერმინოლოგიურ ტრადიციასაც ანგარიშს უწევდა და, კერძოდ, „ყოფიერებასაც" ხმარობდა „ყოფნის" პარალელური ფორმის სახით. სტატიაში „ფილოსოფია და ცხოვრება" ეს ორი სიტყვა ხშირად გვერდიგვერდ, მძიმით გამოყოფილი დგას, როგორც სინონიმური. ამ დროს ერთი თითქოს განმარტავს მეორეს: „ყოფნას" რომ ვამბობ, იმას ვგულისხმობ, რასაც ჩვეულებრივ „ყოფიერებას" უწოდებენ. და პირიქით: ფილოსოფოსები რომ „ყოფიერებაზე" ლაპარაკობენ, ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რასაც ჩვეულებრივ „ყოფნას" ვეძახით.

როგორც ვთქვი, მოყვანილი ტერმინების ვარგისობა-უვარგისობის დადგენას გაცილებით უფრო საფუძვლიანი კვლევა სჭირდება. საზოგადოდ ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის წინაშე მრავალი პრობლემა დგას და მათი გადაწყვეტა დიდძალ მუშაობას მოითხოვს. წარმოდგენილ მოსაზრებებს ცალკეული ტერმინების შესახებ მხოლოდ ილუსტრაციის პრეტენზია აქვს და არავითარ შემთხვევაში — საკითხის გადაწყვეტისა. რაც შეეხება სტატიის ზოგად ამოცანას — ფილოსოფიის ენობრივი სტატუსის, ფილოსოფიის, როგორც ენობრივი ფენომენის კვლევას — ის აბსტრაქტულიცაა და, ამავე დროს, პრაქტიკული, უფრო სწორად, მეთოდოლოგიური გამიზნულობა ახლავს. ქართულ ფილოსოფიის ენას ვერასოდეს შევქმნით, — ან, სხვა სიტყვებით, ფილოსოფიის ენას ქართულად ვერასოდეს ვაქცევთ (იგულისხმება არა კასტური ფილოსოფიური ეარგონი, არამედ ფილოსოფიის ენა, როგორც ზოგადკულტურული ფაქტი), თუ მას პროვინციული მოწიწებით ვუყურებთ, როგორც მიუღწეველ „მწვერვალს", რომლამდეც, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა „ავმაღლდეთ". სინამდვილე, რასაც ფილოსოფია იაზრებს, არის არა მისტიკურ-დაბურული „ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა" — მაგრამ არც ყოველდღიურ-წვრილმანი ყ ო ფ ა, — არამედ ადამიანისა და მის გარშემო სამყაროს ყ ო ფ ნ ა, მისი ულრმესი ძირები და მისი უსაკუთრესი საზრისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარმენ ზაქარაია

ქართული ციხე-სიმაგრეები

(წერილი პირველი)

დღევანდელობის სახეს ყველაფერთან ერთად ისიც განსაზღვრავს, თუ როგორ ვიცნობთ და ვეპყრობით წარსულის უმდიდრეს მემკვიდრეობას, სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს. სწორედ ამიტომ გახდა ეს სფერო ბოლო წლებში ინტენსიური სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი, ენთუზიასტი ჰობუკები და ქალიშვილები თავის სიტყვას ამბობენ ამ დიდ საქმეში. ცნობილი მეცნიერის, პარმენ ზაქარაიას წერილსაც, ქართული ციხე-სიმაგრეების თავგადასავალს რომ გვიყვება, ვფიქრობთ, ინტერესით გაეცნობა ჩვენი ახალგაზრდობა.

საქართველოს ტერიტორიის ყოველი დამთვალიერებელი, იქნება ძგი ადგილობრივი თუ ჩამოსული, აღტაცებაში მოჰყავს ძეგლთა სიმრავლეს და მათ ადგილმდებარეობას. მართლაც, ვინ არ მოუხიბლავს მთებთან შეზრდილი ქსნის, აწყურის, გრემის, ხერთვისის, ოქროსციხეს, ბებრისციხეს, ხულუტისა და სხვათა ხედებს.

მაგრამ ერთი წუთით დავფიქრდეთ, რამ გამოიწვია ციხეთა ასეთი სიმრავლე? ცხადია, აქ დავინახავთ ჩვენი ისტორიის მძიმე ხვედრს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართველი კაცი დღენიადაგ თავდაცვაზე ზრუნავდა. საერთოდ ასეთი იყო პატარა ერების ბედი. თუ დიდი, მრავალრიცხოვანი ერი მეზობელი თუ შორეული ქვეყნების დაპყრობაზე ფიქრობს, პატარა ერი სულ თავდაცვაზე ზრუნავს. მართალია, თავდაცვა დროის რომელიღაც მომენტში უხდება დიდსაც და პატარასაც, მაგრამ პირველს პერიოდულად, მეორეს კი — თითქმის გამუდმებით. მაგრამ მცირერიცხოვან ერებშიაც არის საკმაოდ დიდი განსხვავება. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველი კაცისათვის კომპრომისი დამახასიათებელი არ იყო, იგი თავის დაღუნვას თავდადებას არჩევდა. აქედან გამომდინარე, ქართველი მტრის შემოსევის მოლოდინში გზას კეტავდა, სიმაგრეს აგებდა და იქვე შუბით ხელში იდგა, იდგა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე!

საქართველოს ტერიტორიაზე სიმაგრეთა შექმნაზე ზრუნვას შეიძლება თვალი გადავავლოთ დღეიდან ექვსი-შვიდი ათასი წლის მანძილზე. ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე-მეოთხე ათასწლეული ის ეპოქაა, როდესაც ხდება მეურნეობისათვის სავარგის ადგილებზე დამაგრება, მცირე სამოსახლოების გაჩენა. ჩვენი წინაპრები სპეციალურად ირჩევდნენ ისეთ ადგილებს, სადაც შეიძლებოდა მეურნეობის გამართვა და იმავე დროს თავდაცვაც.

ამ მიზნებისათვის ეძებდნენ მცირე შემაღლებებს, გორაკებს, რომელთაც სამი მხრიდან ხევი ექნებოდა, ხოლო მეოთხეს თვითონ ჭრიდნენ, ღრმა და განიერ თხრილს აკეთებდნენ. ასე, თხრილებით გამაგრებულ გორაკზე დასახლებულთ დაცვის მეტი იმედი ჰქონდათ, ვიდრე ტრიალ მინდორზე მცხოვრებთ, დასახლებისას კიდევ ერთ პირობას ითვალისწინებდნენ... ეს იყო სამი ხევიდან ერთ-ერთში მაინც წყაროს წყლის არსებობა.

ცხადია, ასეთი სიმაგრე გადაულახავი არ იყო და მათზე მრავალრიცხოვანი მომხდური ხშირად ეწეოდა საწადელს. ასეთ დასახლებაზე ბევრჯერ გვინახავს შვიდ-რვაჯერ გადამწვარი ფენა. მტერი უმოწყალო იყო. ასეთ ნასახლარებზე ვხედავთ აგრეთვე ქართული ტიპიური სახლის წინამორბედს. ის დედაბოძი, პირველად ამ შელესილ ფაცხა-სახლებში გვხვდება — დედაბოძი და ცენტრში კერა!

დაცვის აღნიშნულმა სისტემამ დიდხანს იარსება, რადიკალური ცვლილება ხდება მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასეულის დასაწყისში. ამ დროიდან ქვის სიმტკიცეს უფრო მიენდვნენ. უზარმაზარ ქვებს ქვებზე აწყობდნენ და ისე აგებდნენ გალავნებს. ასეთ სქელ კედლებს ხსნარი არ სჭირდებოდა, იგი ისედაც მყარად იდგა. ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დღესაც გვანცვიფრებს ე. წ. ციკლოპური წყობით ნაგები ციხეთა გალავნები. მაგალითად, ჩხიკვთა ციხის რამდენიმე მეტრის სიგრძე-სიგანის ქვები საშუალოდ 20-30 ტონას იწონის. მათი აწევა და კედელზე მორგება დღევანდელ ტექნიკასაც გაუჭირდება.

როგორც ჩვენში, ისე ძველი ცივილიზაციის ქვეყნებში შესამჩნევი გარდატეხა ხდება, რკინის შემოღების შედეგად. მართალია, რკინის გამოგონება ხდება ძველი წელთაღრიცხვის მეორე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათასეულის ბოლოს, მაგრამ მისგან დამზადებულ იარაღებს ფაქტიურად ძალა მიეცა ანტიკური ხანის ადრეულ ეტაპზე. ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებიდან, დაიწყეს ყოველგვარი ქვის დამუშავება. კარგად გათლილ შედარებით პატარა ქვებს რკინის სამაგრებით აკავშირებდნენ ერთმანეთთან. ამის შემდეგ კედლის სიგრძე, სიგანე და სისქე პრობლემას აღარ წარმოადგენდა; იგი კეთდებოდა ისეთი, როგორიც საჭირო იყო ამა თუ იმ ნაგებობისათვის.

ამ ეტაპს დაემთხვა საქართველოში სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სახელმწიფოს კი თან ახლავს ქალაქთა ქსელი. იმ ეპოქაში, ისე როგორც ფეოდალურ ხანაში, სადაც და რომელი ქვეყანაც არ უნდა ყოფილიყო, ქალაქი აუცილებლად გამაგრებული იყო, იგი ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. საქართველოში ასეთი ციხე-ქალაქი იყო, მაგალითად, მცხეთა.

აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ქართული სახელმწიფოს, იბერიის დედაქალაქის, მცხეთის დაცვა მაღალ დონეზე იყო მოფიქრებული. იყო მცხეთა და დიდი მცხეთაც. პირველი მათგანი მდებარეობდა იქ, სადაც დღეს დაბა მცხეთაა, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ხოლო მეორე — მის გარშემო. ანტიკურ პერიოდში მცხეთა იყო გამაგრებული ქალაქი, ციხე-ქალაქი. მცხეთაში შემოდიოდა სამი გზა, სამივე დაცული იყო ციხეებით. დასავლეთიდან მტკვარს მომყოლ გზას იცავდა, კეტავდა ხარკინე. აღმოსავლეთიდან ისევ მტკვარზე მომავალ გზას დარაჯობდა არმაზციხე, ხოლო ჩრდილოეთიდან არაგვზე მომავალ გზას იცავდა წიწამური (ბერძენთა „სევსამორა"). თითოეულ მათგანს 20-30 ჰექტარი ფართობი ჰქონდა მოკავებული. ამ ფართობებს შემოზღუდავდა ქვის საფუძველზე დამყარებული ალიზის კედლები. სახელმწიფოს დედაქალაქი ასე რომ არ ყოფილიყო გამაგრებული, დამოუკიდებელი არსებობა გაუჭირდებოდა. მართალია, ისინი აუღებელი არ დარჩენილან, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ მომხდურთა ჭარბი ძალების დროს.

ქართული მშენებლობის ისტორიაში შესამჩნევი გარდატეხა ხდება, ისე როგორც მაშინდელი მსოფლიოს ყველაზე დიდი იმპერიის — რომის სამყაროში, პირველ საუკუნეებში, როდესაც დამკვიდრდა კირის დულაბი. ლეონტი მროველის ცნობით საქართველოში კირის დულაბი შემოდის ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის დასაწყისიდან. ამ ვარიანტის დასადასტურებლად არქეოლოგია უმნიშვნელო მასალას იძლევა, მაგრამ კირის დულაბი პირველივე საუკუნეებიდან რომ მუდმივად იხმარება, ეს უკვე დიდი ხანია დადასტურებულია.

ამ დროიდან მშენებლობის პროცესი საერთოდ გაადვილდა, კედლებმა მეტი სიმტკიცე მიიღეს.

ანტიკური ხანის საქართველოდან ჩვენთვის ცნობილია სიმაგრეთა ორი სახე. ესაა ციხე და ციხე-ქალაქი. არაა გამორიცხული, რომ ციხე-დარბაზიც ყოფილიყო, მაგრამ ჯერჯერობით ასეთი რამ მიკვლეული არ არის.

ფეოდალური ხანის დასაწყისიდან მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში გვხვდება სიმაგრეთა შემდეგი სახეები: ციხეები, ციხე-ქალაქები, ციხე-დარბაზები, ციხე-გალავნები და კოშკები. ვიდრე თითოეულ მათგანს დავახასიათებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ყოველთვის კარგად იყენებდა თავისი ქვეყნის ბუნებრივ მონაცემებს. კერძოდ, აქ საუბარია ხეობებზე. ხეობები იყო ბრწყინვალე ბუნებრივი სიმაგრე. მთები ქართველებს ზურგს უმაგრებდა და ერთი მეომარი რამდენიმეს უმკლავდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ხეობებს კედლებით გადაკეტავდნენ. ხეობებში ქვემოდან მტრის ჯარი რომ არ შემოხულიყო, ამისათვის ხეობების გარდიგარდმო მაღალ კედლებს აშენებდნენ.

სახელმწიფო როცა ძლიერი, ერთიანი და აწყობილი იყო, ქვეყნის დაცვის საკითხიც მაღალ დონეზე იდგა, ქვეყანა დაცვის ერთიანი ჯაჭვით იყო შეკრული. ციხეები და კოშკები ისე იყო განლაგებული, რომ ერთი მეორეს უცქერდა. მტერი საზღვარს რომ მოადგებოდა, ციხის მთავარი კოშკის ან ცალკე მდგარი კოშკის ბანზე კოცონი დაინთებოდა. მას მზვერავი, მომდევნო კოშკზე, მაშინვე გაიმეორებდა და ასე, ცენტრამდე სწრაფად მიდიოდა სიგნალი. ცენტრი კი მზადყოფნას გამოაცხადებდა და მტერს დროულად შეეგებებოდა.

სიგნალიზაცია ადრეულ საუკუნეებში თუ კოცონით ხდებოდა, გვიან XVI საუკუნიდან, იგი ცეცხლმსროლელი იარაღით ხორციელდებოდა.

ქვეყნის დაცვაში მთავარ როლს ციხე ასრულებდა. ციხე სახელმწიფო დანიშნულებისა იყო და მას დგამდნენ ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილებზე. ასეთებიდან პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს საზღვრებზე გადმომავალი გზები და ქვეყნის შიგნით — გზაჯვარედინები. აქ მდგარი ციხეები ღებულობდნენ პირველ დარტყმას და თუ ისინი სათანადოდ არ იყვნენ მომზადებულნი, მტერს გზა ხსნილი ჰქონდა. ქვეყნის მმართველებს კარგად ესმოდათ ეს გარემოება და ყველაფერს აკეთებდნენ ქვეყნის გასამაგრებლად. ციხეთა აგება, ცხადია, მარტო ხურვალზე არ იყო დამოკიდებული, მას ეკონომიური საფუძველი სჭირდებოდა.

საქართველოში, ისე როგორც ეს სხვაგანაც ხდებოდა, არა მარტო აგებდნენ ახალ ციხეს, არამედ შეაკეთებდნენ, ახალ ეპოქას მოარგებდნენ ძველს, ყველა ციხეში უნდა მდგარიყო გარნიზონი თუ არა, მცველები მაინც. ცხადია, საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე წყდებოდა.

ციხის აშენების, მისი ფუნქციის მთავარი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნმსაზღვრელი იყო გალავანშემოვლებული ეზო და კოშკი. ციხის ეზოს ფართობს განსაზღვრავ და მისი დანიშნულება და ამგების, დამკვეთის შესაძლებლობები. კოშკი ერთი მაინც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათი რაოდენობა შეზღუდული არასოდეს არ ყოფილა. თუ კოშკი ერთი იყო, იგი აუცილებლად ყველაზე მაღალ ადგილზე იდგმებოდა, ხოლო თუ მრავალი იყო, მაშინ ერთი სხვებზე დიდი და მაღალი იყო, იგი დონჟონს წარმოადგენდა. დიდი და მაღალი კოშკი დასავლეთად გამოიყენებოდა. დაზვერვა სხვა კოშკებიდანაც ხდებოდა, მაგრამ მაღალი კოშკიდან უფრო შორი ადგილები მოჩანდა.

საქართველო ძირითადად მთიანი ქვეყანაა და აქ ციხისათვის მარჯვე ადგილის შერჩევა ძნელი არ არის. ამიტომ მაშინდელი სტრატეგები არჩევდნენ სათანადო ადგილებს. ჩვეულებრივად ეს იყო მთის წვერი, ქედის შემაღლება და კონცხი, მდინარეთა შეერთების ადგილი. თითოეული მათგანიდან ირგვლივ მდებარე მიდამოს დაზვერა იოლი იყო, ხოლო ახლო მომდგარ მტერს ციხესთან მოსვლა უძნელდებოდა, ქვემოდან ზემოთ შეტევაც ჭირდა.

მდინარეთა შეერთების ადგილის შერჩევისას მხედველობაში იღებდნენ იმას, რომ მტერი ორ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ერთი იყო მდინარე და მეორე — მთლიანი კონცხის ფერდობები. სამკუთხა მოხაზულობის კონცხის ორი მხარე ბუნებრივად თუ ასე იყო დაცული, მესამე მხარე ხელოვნურად, უფრო სქელი და მაღალი კედლებით იყო შემოსაზღვრული.

მდინარეების შეერთების ადგილზე ციხის აგება ჩვეულებრივია სხვა ქვეყნებისთვისაც, მაგრამ ვაკე და მთიანი ქვეყნებისათვის პრინციპულად განსხვავებული გადაწყეტა გვხვდება.

ვაკე ადგილებში კი, თუ მდინარეები წყალუხვი იყო, სამკუთხა კონცხის მესამე მხარეზე თხრილი გაივლებოდა და მდინარეები შეერთდებოდა. ე. ი. კონცხი კუნძულად იქცეოდა.

საქართველოში ასეთი შემთხვევა არც მემატიანეებსა აქვთ აღწერილი და ჩვენც არ შეგვხვედრია. ერთადერთი შემთხვევა, სადაც ციხის ირგვლივ წყალი იდგა, ეს იყო XVIII ს-ის შუა ხანებში აგებული ყვარლის ციხე. ისტორიკოსის ცნობით და ერთ მონაკვეთში შემორჩენილი ფრაგმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთ დასკვნამდე მივალთ: ციხიდან ოცდოდ მეტრის მოშორებით კედელი გადიოდა, შესაძლოა, ამ თხრილში წყალი მდგარიყო.

ქართველი ფორტიფიკატორები, მართალია, არხს არ იყენებდნენ, მაგრამ თხრილსა და მიწაყრილს კი მიმართავდნენ ადრეფეოდალურ ხანაში, დაახლოებით IV-VII საუკუნეებში. ასეთი მაგალითებიდან რამდენიმე შეიძლება დავასახელოთ, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოდან ამის კარგ მაგალითს იძლევა ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ისეთი დიდი ქალაქი, როგორიც იყო ურბნისი, იგი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა ნაპირას. სამხრეთით და მდინარის ნაპირს ებჯინებოდა, ხოლო დანარჩენ მხარეებზე გალავანი მშვილდივით იყო მორკალული. ალიზის ზღუდე დროის რომელიღაც მონაკვეთში მწყობრიდან გამოსულა. ქალაქის მეხვეურებს ამის შემდეგ დაცვის სისტემა შეუცვლიათ. მორკალული გალავნის ირგვლივ ღრმა და განიერი თხრილი ამოუღიათ. თხრილიდან ამოღებული მიწა ალიზის დაზიანებულ გალავანზე დაუყრიათ. ამრიგად, მიიღეს თხრილი და მიწაყრილი. მართალია, სიმაგრის ეს სახე მტრისათვის გადაულახავი არ არის, მაგრამ დამცველებს დიდ უპირატესობას აძლევს.

დანარჩენი მაგალითები დასავლეთ საქართველოს, ეგრისის სამეფოს ისტორიიდან უნდა მოვიყვანოთ. ეგრისის სამეფოს ადრეულ პერიოდში აგებული ციხეებიდან — შხეფს, კოტიანეთს, საკალანდარიშვილოს, ეკს და სხვებს, თხრილები შემოუყვებათ. ეს ციხეები მთებზე დგანან, მაგრამ თხრილის შემოყოლებით დაცვა გაძლიერდა. მტერს, რომელიც ციხის ასაღებად ქვემოდან მოდიოდა, ჯერ თხრილში მსხდომთა წინააღმდეგობა უნდა გადაელახა, შემდეგ კი მიწაყრილის უკან მსხდომთა და ბოლოს — ციხეში მყოფთა. ამით ციხის აღებისას ერთი წინააღმდეგობის მაგიერ სამი გაჩნდა. ცხადია, ეს დაცვას დიდად აადვილებდა.

გამაგრების სისტემა შუა საუკუნეებში ეპოქების მიხედვით იცვლებოდა. მას ძირითადად განსაზღვრავდა საბრძოლო იარაღი, ტექნიკა. ამ საკითხში რადიკალურ გარდატეხას ახდენს ცეცხლმსროლელი იარაღი.

ქვეყნის დაცვაში ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ უფრო დიდი იმედი იყო ციხე-ქალაქები. ციხე-ქალაქი ქვეყანაში რამდენიმე შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელთაგან ხიდიდით და სიმძლავრით, ცხადია, დედაქალაქი გამოირჩეოდა.

ქალაქი დანიშნულებით სხვადასხვანაირი შეიძლებოდა ყოფილიყო. ასევე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს ქალაქის შიდა გადაწყვეტა, მისი საერთო გეგმარება, თუ ცალკეული ნაწილები. მაგრამ ფეოდალური ქალაქის დაყოფის, მისი შემადგენელი ნაწილების პრინციპი ერთია — ქალაქის საერთო გალავნის შიგნით აუცილებლად გამოყოფილი უნდა ყოფილიყო მეფე-დიდებულთა უბანი. ქალაქი შეიძლება იყოს სამეფო და დიდ ფეოდალთა. ერთსაც და მეორესაც ეშინია არა მარტო გარეშე მტრისა, არამედ ქვეშევრდომებისაც. ამიტომ ქალაქის შიგნით მათი სამყოფი გამოყოფილი უნდა იყოს, ცალკე სიმაგრეს უნდა წარმოადგენდეს. ქალაქს და დიდ ციხესაც ყოველთვის ახლავს შიდა ციხე, ანუ როგორც მას ეძახიან, ციტადელი, აკ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როპოლისი. შიდა ციხე არის სიმაგრე სიმაგრეში. საერთო გალავანში შემოჭრილ მტერს ციტადელის აღება ცალკე უბდება.

როგორც აღვნიშნეთ, ქალაქს და ციხესაც ჩვენი წინაპრები ძველად მისადგომ ადგილებში აგებდნენ. ამასთან ერთად, კიდევ ერთი საერთო ნიშანიც გვხვდება. ესაა გალავნის შეხამება ადგილმდებარეობასთან. მთას, მის ფერდობებს ქართველი ფორტიფიკატორი სახეს არ უცვლის არ ასწორებს. თუ ამას აკეთებს, მხოლოდ აუცილებლობის გამო, მცირე მასშტაბით, ამიტომ გალავანი ჩვეულებრივ რელიეფს მიჰყვება, ცდილობს მისი ხელსაყრელობის მაქსიმალურად გამოყენებას.

ციხეს ჭიშკარი, ე. ი. სატრანსპორტო შესასვლელი, ყოველთვის არ ჰქონდა. თუ ციხე მაღალ მთაზე იდგა, მაშინ მას ჭიშკარი არ ჭირდებოდა, მაგრამ ციხე, რომელიც ვაკეზე იდგა, ჭიშკარს საჭიროებდა. კარი, ე. ი. არასატრანსპორტო შესასვლელი კი ყველა შემთხვევაში ჰქონდა, მხოლოდ განსხვავება იმაში იყო, რომ ზოგ მათგანს კარი მიწის დონეზე ჰქონდა, ზოგს კი მაღლა და იქამდე ასვლა მისადგმელი კიბით ხდებოდა.

განსხვავებულ გადაწყვეტას ვხედავთ ქალაქებში, ქალაქს ჭიშკარი აუცილებლად ჰქონდა. ჭიშკრის რაოდენობას განსაზღვრავდა გზა. ქალაქს ჩვეულებრივ იმდენი ჭიშკარი ჰქონდა, რამდენიც გზა.

ჭიშკარს გამუდმებით იცავდნენ. ამ მცველთა ნებართვის გარეშე ქალაქში ვერც ვერავინ შევიდოდა ვერც იქიდან გამოვიდოდა.

იყო კიდევ მესამე სახე სიმაგრისა. ეს იყო ციხე-დარბაზი. იგი სხვებისგან განსხვავებით კერძო იყო, ამა თუ იმ დიდებულს ეკუთვნოდა. მთელს მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში საზოგადოების სოციალურად განსხვავებული ფენები ყოველთვის ანტაგონისტურად იყვნენ ურთიერთ განწყობილნი, ამიტომ ვისაც შეეძლო გამოცალკევებულად, სიმაგრეში ცხოვრობდა.

მონათმფლობელები და ფეოდალები ერთმანეთისაგან ხიძლიერით განსხვავდებოდნენ. მათი სიმაგრეები, ციხე-დარბაზებიც ამის მიხედვით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

ციხე-დარბაზი ციხისაგან დიდად განსხვავდება, რადგან პირველი საცხოვრებელ შენობას წარმოადგენს, მეორე კი — მხოლოდ თავდაცვითს.

განურჩევლად ზომებისა, ციხე-დარბაზი, თუ მეტი არა, ორი ნაწილისგან მაინც შედგებოდა. ერთი იყო შუა ციხე, ანუ ციტადელი და მეორე — გალავანშემოვლებული ეზო. თუ რელიეფი ხელს უწყობდა, მაშინ ციტადელი შემაღლებულზე იყო, ხოლო ეზო მას ეკვროდა ერთი, ორი ან სამი მხრიდან. ეზოს ჭიშკარი უნდა ჰქონოდა, ხოლო ციტადელისთვის აუცილებელი არ იყო. ციტადელში განლაგებული იყო დიდებულის საცხოვრებელი აუცილებელი დამხმარე სათავსოებით. გალავანშემოვლებულ დიდ ეზოში იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მომსახურე პერსონალი მათთვის საჭირო სათავსოებით. ციხედარბაზს დაცვა აუცილებლად უნდა ჰქონოდა.

არსებობდა სიმაგრის კიდევ ერთი სახე, რომელიც განსაკუთრებულმა გარემოებამ წარმოშვა, ეს იყო „გალავანი", ანუ ციხე-გალავანი.

აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის პირველი მეოთხედიდან განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა. ქვეყნის დაპყრობას ძველებურად ლამობდნენ ისეთი დიდი მეზობელი იმპერიები, როგორიც იყო ირანი და თურქეთი. მათთან ბრძოლებით ქვეყანა ილაჯგაწყვეტილი იყო და ამას დაემატა კავკასიის მთებში მცხოვრები ლეკების თავდასხმები. ლეკებს ქვეყნის დაპყრობა არ შეეძლოთ, მაგრამ იტაცებდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას. მათ ირანისა და თურქეთის სახით წამქეზებლები და ხელისშემწყობნი ჰყავდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი მთა მოჯარდა. სადაც ლეკები გაივლიდნენ, იქ თითქმის არაფერი რჩებოდა. ამიტომაც მაშინ გაჩნდა სიტყვა „წალეკვა".

გავიხსენოთ რა მდგომარეობაა ქვეყანაში; მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას.

1740 წელს კასპის მოურავი დემეტრე ქარუმიძე გივი ამილახორს წერს: თქვენს ბრძანებას, რომ კასპში სახლის აშენებას ვუხელმძღვანელო, ვერ შევასრულებ, რადგანაც „კასპელი კაცი სადღა არის, სულ ამოწყვეტილია. თითო ბიჭი სადღაც გარდარჩომილა, იმათი პოვნა ვის შეუძლია? ვერცა იმათ ცოდოში ჩავდგები" და მოურავობა ვისაც გინდათ, იმას უბოძეთო.

ცენტრალურ ქართლში თუ ასეთი მდგომარეობა იყო, ადვილი წარმოსადგენია, როგორი მდგომარეობა იქნებოდა ქვეყნის განაპირა ადგილებში.

ასეთი მდგომარეობის საილუსტრაციოდ მრავალი ცნობის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ვახუშტიდან ამონაწერს დავჯერდებით. იმავე წლებში ლეკთა თარეშზე იგი წერს: „გარნა აქუნდათ სადგურად ქსანი და მარადის იყო მათგანი რბევა და ტყვევნა, რამეთუ არღა-რა იყო მოსახლე".

ლეკთა თარეშის გამო მოსახლეობის 'განადგურების საოცარი გოდებაა მჭადიჯვრის ციხის წარწერაში: „ოდეს ჟამთა ქცეულებისაგან და ცოდვათა ჩუენთა მიერ მოოხრებულიყო ქვეყანა ქართლისა ლეკთაგან, რომელ არიან კავკასსა შინა და თვინიერ ციხეთა არსადა ეგებოდა გება კაცთა არც თუ ერთსა სოფელსა და დაბაცა ესე ოხერქმნილიყო... აწ ჩვენ მუხრანის ბატონმა კონსტანტინე ხელვყავ აღშენებად ციხისა ამის სამკვიდროსა ჩვენსა რათა კაცრიელ იქნას და დაეშენონ კაცთა და მტერთა და მარბიელთაგან უვნებლად დაშთენ, აღვაშენე მეფო-

ბასა ცხებულის პორფიროვანის მეფის თეიმურაზისა". ეს ციხე აშენდა 1746 წელს. მართალია, ციხე პატარაა, მაგრამ მან დიდი სამსახური გაუწია ქვეყანას 1754 წელს ლეკის დიდი ჯარის შემოსევის დროს.

ხუნძახის ბატონი ნურსალაბეგი დაღესტნელთა დიდი ჯარით ქართლ-კახეთს შეესია. მოსახლეობა მეფეებმა ციხე-სიმაგრეებში დახიზნეს. შემოსეულებმა კახეთი ააოხრეს, არაგვი გადმოლახეს, დუშეთი გადაწვეს, ანანური წაბილწეს. ბოლოს მუჰადისჯვრის ციხეს ალყა შემოარტყეს „იყო დღე-ღამ ბრძოლა და ომი განუწყვეტლად: არ ავად იყვნენ მყოფნი ციხისანი, მრავალი ლეკი მოუკლეს და დიდადაც გულმამაცად იყვნენ ციხის კაცნი..."

უთანასწორო ბრძოლა ექვსი დღე გაგრძელდა. მეშვიდე დღეს მოვიდა ქართლ-კახეთის შეერთებული ჯარი, რომელიც რაოდენობით დიდად ჩამოუვარდებოდა მტრის ჯარს. ამ გარემოებას არ შეუშინებია ქართველები და მტერს ეკვეთნენ, ლეკთა სიჭარბემ თავისი ქნა, გაძნელდა ბრძოლა. რა მოსჭირდა, „ბრძანა ბატონმა დაჭვეითება ჯარისა, გარდახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გარდახდომა ყოველთა: „ესე არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული რჯულისაო". ისეთი სროლა ამტყდარა, რომ კვამლს ყველაფერი დაუფარავს. მალე გატეხილა წინააღმდეგობა და ლეკები მხოლოდ გაქცევაზე ფიქრობდნენ. მემატიანე განაგრძობს: „მათის მძოვრით აღვის ტყე და ველი, ვინა მორჩა მათი ცხენიც და იარაღიც ჩვენს ჯარს დარჩათ".

სწორედ ამ ბრძოლასთან არის დაკავშირებული, ლეგენდა „მუჰადიჯვრელ დედაბერზე".

დახასლებული პუნქტების ირგვლივ ტყეები გაიჩეხა, რადგან თითქმის ყველა ხის ძირას ლეკი იმალებოდა. იგი დიდსა და პატარას იტაცებდა და ბაზარზე ჰყიდდა. ქარლ-კახეთში მცხოვრებნი უიარაღოდ არც დღისით და არც ღამით სახლიდან არ გამოდიოდნენ და ძილის დროსაც იარაღი სასთუმალთან ედოთ. ქვეყანას ძნელბედობა დაუდგა! საჭირო შეიქნა განსაკუთრებული ზომების მიღება. ლეკების ჩამოსასვლელებზე და მათ საერთო გზებზე სადაზვერვო კოშკების მთელი ჯაჭვი გაიმართა. ამ კოშკებში მდგარი მზვერავები ლეკების შემოსვლას დაუყოვნებლივ გადასცემდნენ ქვეყნის შიგნით. მაგრამ, სამწუხაროდ, დაქუცმაცებულ ქვეყანაში, როცა ცენტრალური ხელისუფლება ძლიერი არ იყო, ჯაჭვი ყოველთვის ზუსტად ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას.

კოშკების აგების პარალელურად ქვეყნის შიგნით უფრო დიდი მასშტაბის სამუშაოები ტარდებოდა, ეს იყო ახალი ტიპის ციხეთა მშენებლობა. შენდებოდა „გ ა ლ ა ვ ნ ე ბ ი" ანუ „ც ი ხ ე-გ ა ლ ა ვ ნ ე ბ ი", თუ ადრე ციხეები შენდებოდა ძნელად მისადგომ ადგილებში, ახალ სიტუაციაში ასეთი „გალავნები" თავდაცვისთვის არ გამოდგებოდა. საჭირო იყო უფრო სწრაფი მობილურება. ამისათვის დაიწყეს ახალი სახის ციხეების აგება თვით სოფელში ან სოფლებს შორის. ასეთი ციხე ჩვეულებრივად ვაკეზე შენდებოდა, მოსახლეობა ადვილად რომ მიდგომოდა.

ციხე ძირითადად შენდებოდა კვადრატული, მაგრამ გვხვდება ოცტათი მოგრძო სწორკუთხაც. მას ერთი ჭიშკარი მაინც უნდა ჰქონოდა. ამ ციხის დანიშნულება იყო ლეკების გამოჩენისთანავე მოსახლეობა თავისი ხარჩო-საბადებლით შეხიზნულიყო, ამიტომ მათ სჭირდებოდათ საურმე ჭიშკარიც.

ასეთ ციხე-გალავანს აგებდა უშუალოდ ის მოსახლეობა, თემი, რომელსაც იგი სჭირდებოდა. ამიტომ მას „სათემოს" ეძახდნენ. ციხე-გალავანს მუდმივი გარნიზონი არ ჰყავდა. ჩვეულებრივ გარნიზონს შეხიზნულნი წარმოადგენდნენ. ლეკიანობა, საშიშროება რომ გაივლიდა, შეხიზნულნი გამოვიდოდნენ და ციხეში აღარავინ რჩებოდა. ამ ციხეებს, როგორც ვხედავთ, დროებითი ხასიათი ჰქონდა, მას მხოლოდ შიშიანობის დროს იყენებდნენ.

XVII ს-ში დაცვის სისტემაში არსებული წესების საილუსტრაციოდ აქ მოვიყვანთ 1791 წ. შედგენილ მეფე ერეკლეს „განწესების" საინტერესო დოკუმენტებიდან შემდეგ ამონაწერს: „ციხეებისაც ასე დაგვიწერია: ქალაქის თბილისის ციხეები, გორის ციხე, სურამის ციხე, წირქოლის ციხე, ანანურის ციხე, ბოგორმის ციხე და გრემის ციხე, რომ ამ ციხეებს ნარიყალის ციხეებიცა აქვს და ნარიყალები ოცტას კაცით შეინახება. ამ შვიდს ალაგას ნარიყალებში (ე. ი. ციტადელებში — პ. ზ.) საერთოდ კაცნი უნდა ეყენოსთ, რეერთიცა მოუნდეს მცველად. სხვა ციხეები და გალავნები, რომ დიდრონი არიან, ქართლში თუ კახეთში, ისინი ოცტას კაცით ხომ არ შეინახება, ის სათემო არის. ღმერთმან ნუ ქნას, მძლავრის მტრის შიშობა, რომ იქნება დასახიზნავად ახლო სოფლების ხიზანი და ხალხი შევა: როგორც დაჩემებული არის და განწესებული ისე უნდა შევიდნენ და დაიხიზნონ".

ამ „განწესებაში" კარგად ჩანს, თუ რომელ ციხეს რა ევალებოდა და როგორი გარნიზონი უნდა ყოლოდა.

განსახილველი დაგვრჩა სიმაგრის კიდევ ერთი სახე — კ ო შ კ ი. კოშკი თავისთავად ორნაირი გვხვდება. ერთია ცალკემდგარი და მეორე — ციხის გალავანში ჩართული. ცხადია, ისინი ორივე თავდაცვისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ კონკრეტული დანიშნულება სხვადასხვა ჰქონდა.

ცალკემდგარი კოშკი მრავალი დანიშნულებით შეიძლებოდა გამოეყენებინათ. უპირველესი მისი დანიშნულება იყო მაკავშირებლის როლი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზღვრიდან ცენტრამდე სიმაგრეთა ჯაჭვი უნდა ყოფილიყო, რომ ცენტრს მტრის შემოკრა უმალ შეეტყო. ამ ჯაჭვის ძირითად ბირთვს ციხეები წარმოადგენდა, მაგრამ მათი მაკავშირებელი იმ ხაზზე მდგარი კოშკები იყო.

ცალკე მდგარი კოშკი შეიძლება კერძო, ერთი მოსახლისა ყოფილიყო, ეს მოსახლე კოშკს საცხოვრებლად არ იყენებდა, მაგრამ შიშიანობის შემთხვევაში დაცვის მთავარი ობიექტი ხდებოდა. ასეთი დანიშნულების ერთ-ერთი სახესხვაობას წარმოადგენს მრავალმხრივ საინტერესო სვანური კოშკი.

მეორე სახეა სიმაგრის, გალავანში ჩართული კოშკი. ანტიკურ თუ შუა საუკუნეებში არ გვხვდება ისეთი სიმაგრე, რომელსაც ერთი კოშკი მაინც არ ახლავს. კოშკების რაოდენობას განსაზღვრავდა სიმაგრის დანიშნულება, ადგილმდებარეობა დამკვეთის შესაძლებლობები და სხვა.

ცალკე მდგარ კოშკსა და გალავანში ჩართულ კოშკს შორის პრინციპული განსხვავებაა შესასვლელების მოწყობაში, პირველ კოშკს, როგორც წესი, შესასვლელი მეორე სართულზე აქვს, ხოლო მეორეს — პირველზე. ცხადია, გამონაკლისი გვხვდება ორივე შემთხვევაში, მაგრამ ზემოაღნიშნული წესი დაცვის ლოგიკადან გამომდინარეობდა. საქმე იმაში იყო, რომ, თუ ცალკე მდგარ კოშკს კარი მიწის დონეზე ექნებოდა, მაშინ მომხდური მასში ადვილად შეაღწევდა. მაღლა მდებარე კარამდე ასვლა ხდებოდა მისადგმელი კიბით, რომელიც მტრის მოახლოებისას შეეძლოთ აეწიათ და კოშკში შეეტანათ. კიბის გარეშე მომხდურს კოშკზე ასვლა უჭირდა.

სხვა სურათია გალავანში ჩართული კოშკის შემთხვევაში. აქ კოშკს ეზოს გალავანი იცავს, შიგ კი გარნიზონია, ამიტომ მიწის დონეზე კარის დატანება საშიში არ არის. მაგრამ აქაც არის გამონაკლისი. კარი კეთდება პირველ, მეორე და მესამე სართულზეც. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ორი გარემოება: პირველი — მტრის ეზოში შემოსვლისას ქვედა კარი დაიგმანებოდა, ზედა კარებიდან იმოძრავებდნენ. მეორე შემთხვევაში ზედა კარები საჭირო იყო საბრძოლო ბილიკებთან მარჯვედ დასაკავშირებლად.

თვით კოშკის სახე და ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია. სამწუხაროდ, კარგად არაა ცნობილი ანტიკური ხანის ცალკე მდგარი კოშკების ფორმები, ხოლო გალავანში ჩართული კოშკებისათვის დამახასიათებელია სწორკუთხოვნება, არის ნახევარწრიულად შვერილიც. იშვიათად ვხვდებით მომრგვალებულს. რაც შეეხება შუა საუკუნეებს, თითქმის მთელი თხუთმეტი საუკუნისათვის დამახასიათებელია კოშკი სწორკუთხა ჯეგმით. რაც შეეხება ცილინდრული ფორმის კოშკს, იგი, როგორც წესი, გვხვდება XVII საუკუნიდან და დამახასიათებელია ძირითადად XVIII საუკუნისათვის.

არის კიდევ ერთი ფორმა კოშკისა, რომელიც გავრცელებული იყო მხოლოდ ისტორიულ შიდა ქართლში, მთიულეთსა და ხევში. ამ ტიპს ადგილობრივ „ზურგიან" კოშკს ეძახიან, რადგან ცალი მხარე ცილინდრული აქვს. ეს კოშკი ყოველთვის ფერდობზე დგას და პირით ხევისკენაა მიმართული, ე. ი. ცილინდრული ფორმის ზურგი აღმართისკენ, მთისკენაა მიმართული, ამ კოშკის ინტენსიური მშენებლობის ხანა V-X საუკუნეებზე მოდის, მაგრამ მას XVI-XVII საუკუნეებშიც იყენებენ.

როგორც გამონაკლისი, გვხვდება, აგრეთვე, მრავალგვერდა კოშკები, მაგრამ მათ არა აქვთ დახვეწილი ფორმა, ამიტომ ცალკე არ განვიხილავთ.

საქართველოში მრავალი გზა შემოდიოდა და შემოდის, ბევრმა მათგანმა იცვალა ადგილმდებარეობა, მაგრამ ჩრდილოეთის ქვეყნებთან მაკავშირებელი გზა, რომელიც მდინარე თერგის გაყოლებით დარიალის ხეობაზე გადიოდა, ახლაც მთავარია.

დ ა რ ი ა ლ ი ს ც ი ხ ე მდებარეობს თერგის ხეობაში, საზღვართან ახლოს. კავკასიონზე გადამავალი გზებიდან ყველაზე მარჯვეა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში, როგორც ამას მემატიანეები გვამცნობენ, უკვე გადაკეტილი ყოფილა რკინის კარიანი მაგარი კედლით.

„დარიალის კარის" შეუვალობა ქართველთა გამუდმებულ საზრუნავს წარმოადგენდა. „დარიალანის" გადაკეტვა ჩრდილოელთა შემოსევის უვნებელყოფის საწინდარი იყო. ამ ადგილზე პირველი ციხის ამგებად ვახტანგ გორგასალი (V ს.) გვევლინება. მის საქმიანობაზე მემატიანე მოგვითხრობს: „დაიმორჩილნა ოვსნი, და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენნა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის აღგილისანი და უწოდა მას კარად დარიალანისად და თვინიერ ბრძანებისა მეფისა ვერ ხელეწიფების გამოსვლად ოვსთა და ყივჩაყთა".

გზა, რომელიც აბობოქრებული მდინარის ხან მარჯვენა და ხან მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა, სალი კლდეების თითქმის ვერტიკალური კედლებითაა შემოზღუდული. სწორედ ამ ვიწრო ხეობას ეწოდება დარიალი (დარი-ალან სპარსულად „ალანთა კარს" ნიშნავს). ქართველები მას „არაგვის კარს" ან „ოვსთა (ალანთა" კარს" უწოდებენ. თავისი სიმაგრით ეს ვიწრო ხეობა, კასპიის ზღვასთან მდებარე დარუბანდთან ერთად, კავკასიონის მთაგრეხილზე მართლაც ამიერკავკასიის კარად ითვლებოდა.

არაბებმა საქართველოს დაპყრობისთანავე ჩაკეტეს დარიალი. ამით მათ თავი დაიზღვიეს ჩრდილოელთა თავდასხმებისაგან.

XII საუკუნის დასაწყისში დარიალის კარი ოსთა ხელში ყოფილა. როდესაც დავით აღმაშენებელმა საკუთარი ლაშქრის გასაძლიერებლად განიზრახა ყივჩაყთა გადმოყვანა, იგი წავიდა ჩრდილო კავკასიაში, მოარიგა ოს-ყივჩაყნი და მორჩილების ნიშნად ორივესგან მძევლები წამოიყვანა. ამას გარდა, ოსებს წაართვა დარიალის ციხე და იქ თავისი ჯარი ჩააყენა. ამით მან, როგორც ისტორიკოსი გვამცნობს, „შექმნა გზა მშვიდობისა".

მომდევნო საუკუნეებშიც დარიალი საიმედოდ იყო ჩაკეტილი. ხოლო XVIII საუკუნის ბოლოდან იგი მთავარ დამაკავშირებელ გზად გახდა ორ ქვეყანას შორის. ახალი ციხეც ძველი ციხის მახლობლად გაშენდა.

ძველ ციხეს მოკავებული აქვს მდინარის მარცხენა მხარეზე მდებარე მაღალი მთა. ნაგრევებში ქრონოლოგიურად განსხვავებული ფენებია დაწყებული ანტიკური ხანიდან გვიან საუკუნეებამდე.

სწორედ ამ ციხეს მიუძღვნა მ. ლერმონტოვმა ლექსი „თამარის ციხე", რომელიც ასე იწყება:

სადაც ბინდბუნდში ლოდების მთხრელი
გასდევს დარიალს თერგი მყვირალი,
ამართულია იქ კოშკი ძველი,
შავს კლდეზე შავად გამომზირალი.

ამ ლექსის გავლენით დარიალის ციხეს „თამარის ციხე" შეერქვა. სამწუხაროდ, მრავალს ეს თამარი ჰგონია თამარ მეფე, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ლეგენდარულ თამართან. ლერმონტოვმა ეს სახელი აიღო ლეგენდა „დარეჯან ცბიერის" ერთ-ერთი ვარიანტიდან, სადაც დარეჯან ცბიერის მაგიერ იხსენიება თამარ-ცბიერი.

მნიშვნელოვან ციხეთა მეორე ნიმუშად შეიძლება ხერთვისის ციხე მოვიყვანოთ. იგი აღმართულია მაღალ, კლდოვან მთაზე, რომელსაც დასავლეთით არტაანის მტკვარი ჩამოუდის, ჩრდილოეთით — ახალქალაქისა. ციხის პატრონი არა მარტო ამ პუნქტის, არამედ მთელი ამ მხარის მფლობელიც იქნებოდა. მთელი ანსამბლი ისეა შერწყმული კლდესთან, რომ მნახველი აღტაცებაში მოჰყავს.

საუკუნეთა მანძილზე სამხრეთ საქართველოზე გამავალი მაგისტრალური გზა მტკვრის ხეობას მიჰყვებოდა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ყველა ეპოქის მეხვეურთ ეზრუნათ მის დაცვა-გამაგრებაზე. ამის შედეგია მრავალ ციხეთა და ქალაქთა ის ნანგრევები, რომელნიც გაფანტულია მთელი გზის გაყოლებაზე. მათში ხერთვისი გამოირჩევა, როგორც მტკიცე ციხე და იშვიათი კომპოზიციური ქმნილება.

ციხე მრავალფეროვანია. ლეონტი მროველი მის წარმოშობას ანტიკურ ხანას მიაწერს და საქართველოს პირველ ქალაქთა შორის იხსენიებს, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან. იგი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მოქმედი იყო, მაგრამ წყაროებში XVIII საუკუნემდე არ იხსენიება. ამ დროს იგი ოსმალთ ეპყრათ და ქალაქად იწოდებოდა.

ბოლო პერიოდში ციხე ორი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი — ციტადელი, მეორე — ეზო გალავნით. წყლით მომარაგება ხდებოდა მდინარეზე ჩამავალი საიდუმლო გვირაბით.

მომდევნო საუკუნეებში ციხის ისტორია უშუალოდ დაკავშირებული იყო სამცხე-საათაბაგოს ისტორიასთან. იგი ჯაყელი ათაბაგების საიმედო სიმაგრეს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ მანუჩარ II — ათაბაგმა 1588 წელს ხერთვისის ციხე შაჰ-აბასს დაუთმო, — უფრო გვიან, სამცხეს შეფარებულმა გიორგი საакაძემ ყორჩიბაშის მიერ გამოგზავნილი დიდი ჯარი სასტიკად დაამარცხა ჯერ ასპინძასთან, შემდეგ ხერთვისი და სხვა ციხეები აიღო. ამ დღიდან მოკიდებული ხერთვისში ფაშა იჯდა.

დიდი ხნის განმავლობაში ხერთვისისა და, საერთოდ, თურქეთის მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს დაბრუნების რეალური შესაძლებლობა არ დამდგარა. იმედის ნაპერწკალმა ოდნავ გაიღვიძა XVIII საუუკნის 70-იან წლებში, როდესაც ქართველებმა რუსეთის დახმარებით სცადეს დაკარგული მიწების დაბრუნება.

მკითხველთა საყურადღებოდ!

ალ. სამსონიას იუმორისტული მოთხრობა „ფეხბურთი თავით უნდა ითამაშო" დასრულდება მომდევნო ნომერში.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, პასუხისმგებელი მდივანი 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-35, პროზის — 72-26-30, „ციხკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 12. 12. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 01. 85 წ. ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 2825. უე 05030 ტირაჟი 62. 200.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამულს ვუთხრათ გამარჯვება

ხანდაზმული თუ ჭაბუკი
ქართლის გზაზე რომ შეგხვდება,
მგზავრს აგზომავს თვალის შუქით,
მკვირცხლად გეტყვის „გამარჯვება!"

ჭირში, ლხინში გვასწავლიდა
ეს მიმართვა გაკაჟებას,
რადგან ქართველს მარად სწამდა,
მშობელ კუთხის გამარჯვება.

წინაპრები ჭიქდნენ ოდით!
„საზღვრად დავდგეთ დარაჯებად!"
და როცა მტერს მოველოდით,
ხმალზე ვწერდით გამარჯვებას.

გუთნისდედის ხმაც ისმოდა,
ქედს არ ხრიდნენ ხარაჯებით.
ქაროველების წინ მიჰქროდა
მქუხარე ხმა გამარჯვების.

ამ ძახილით ცეცხლი გვერგო,
მისალმების აღმნიშვნელი,
გამარჯვებით რომ შეგვემკო
ჩვენი მთა და ჩვენი ველი.

დღეს ორკეცად ღვივის რწმენა,
ქუდზე კაცი ფეხზე დგება.
ჩვენს ბახვილს და ჩვენს მარჯვენას
სიმტკიცე და გამარჯვება!

მტერი ბევრი დაინისლა,
მაგრამ იგი ჯერ არ ცხრება,
გულში რეკავს ხალხის მიერ
მედგრად თქმული გამარჯვება!

ბრძოლის ცეცხლი გზას გვინათებს,
ხალხის ძალა არ დაშრება.
ჩვენს მხედრებს და ჩვენს შევარდნებს
მტრის ურდოზე გამარჯვება!

მტერი მტრულად დაისაჯოს,
ერთიც ველარ გადარჩება.
მამულის გულს გაუმარჯოს,
წითელ ლაშქარს გამარჯვება!

სისხლი სისხლის წილ დავღვაროთ,
მტერზე რისხვა გაგვიძღვება.
მტერი მოვსპოთ სამუდამოდ,
მამულს ვუთხრათ გამარჯვება!

სიმონ ჩიქოვანი

1945.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

62/23

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**